

ანატოლ ფრანსი ბატონ ჟერომ კუანიარის აზრები

ფრანგულიდან თარგმნა ზაჩანა ბრეგვაძემ

აბატი ჟერომ კუანიარი დიდი ფრანგი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის (1921 წ.) - ანატოლ ფრანსის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო პერსონაჟია.

ეს უსახლკარო, უპოვარი, მუდამ მშვიერი ვაგაბუნდი მკითხველს აოცებს თავისი თამამი, სკეპტიკური აზრებით და კეთილი სულით.

„აბატ კუანიარის აზრები“ მძაფრი მამხილებელი პამფლეტია მწერლის თანადროულ საფრანგეთზე, მის საზოგადოებრივ წყობაზე, მკაცრ კანონებზე, მართლმსაჯულებაზე.

წიგნი დაწერილია ფრანსისათვის დამახასიათებელი მახვილგონივრული სარკაზმით.

აბატი ჟერომ კუანიარი

ოქტავ მირზოს

ზედმეტად მიმაჩნია აღვწერო აქ აბატი ჟერომ კუანიარის ცხოვრება. ის იყო მჭევრმეტყველების პროფესორი ბოვეს კოლეჯში, სეეზის ეპისკოპოსის ბიბლიოთეკარი, Sagiensis episcopi bibliothecarius solertissimus[1], როგორც ეპიტაფია გვაუწყებს მისი, უფრო გვიან სენტ-ინოსანის სასაფლაოს მწერალი და, ბოლოს, მცველი, ასტარაკიანის, წიგნთსაცავთა ამ ჭეშმარიტი დედოფლისა, რომლის დაკარგვა მარად სავალალო იქნება ჩვენთვის. აბატი დილუპა ლიონის გზაზე, ებრაელი კაბალისტის, მოზაიდის ხელით (Judaea manu nefandissima[2]), და შთამომავლობას დაუტოვა დაუმთავრებელ ნაშრომთა წყება და ხსოვნა გულთბილი, ინტიმური საუბრებისა. კუანიარის საოცარი სიცოცხლისა და ტრაგიკული აღსასრულის ყველა დეტალი გამოწვლილვით გადმოგვცა მისმა მოწაფემ ჟაკ მენეტრიემ, რომელსაც მეტსახელად ტურნებრომს[3] ეძახდნენ, იმიტომ, რომ მედუქნის ვაჟი გახლდათ (მამამისს წმ. იაკობის ქუჩაზე ჰქონდა დუქანი). ეს ტურნებროში პირდაპირ აღმერთებდა მას, ვისაც, ჩვეულებრივ, თავის კეთილ მოძღვარს ეძახდა. „ესაა ყველაზე სრულქმნილი სული, რომელსაც ოდესმე უცხოვრიაო დედამიწაზე“ - ამბობდა იგი. დიდი უბრალოებითა და ერთგულებით დაწერა მან თავისი მოგონებანი აბატი კუანიარზე, რომელიც მის ქმნილებაში ისე ცოცხლდება, როგორც სოკრატე[4] ქსენოფონტეს მემორაბილიებში[5].

სათუთად, სიფრთხილითა და სიზუსტით დაგვიხატა მან სიცოცხლით სავსე პორტრეტი, რომელშიაც ჩააქსოვა მთელი თავისი სიყვარული და ერთგულება. მისი ქმნილება ერაზმის[6] ჰოლბეინისეულ[7] პორტრეტებს გვაგონებს, რომლებიც ლუვრში, ბაზელის მუზეუმსა თუ ჰემპტონ-კორტშია დაცული და რომელთა სინატიფის ცქერით ვერასოდეს გაძლება თვალი. ერთის სიტყვით, მან დაგვიტოვა ჭეშმარიტი შედეგრი.

რა თქმა უნდა, საოცარია, თავი რომ არ შეიწუხა თავისი თხზულების გამოსაქვეყნებლად, თუმცა, შეეძლო კია თვითონვე გამოეცა იგი, რადგან, ბოლოს წიგნით მოვაჭრე გახდა წმ. იაკობის ქუჩაზე, სადაც შეცვალა ბ-ნი ბლეზო, რომელსაც იქ გახსნილი ჰქონდა დუქანი „წმიდა კატერინას ხატი“. შესაძლოა, შიშობდა, მიწყვი წიგნებით გარშემორტყმული, ვაითუ მხოლოდ რამდენიმე ფურცელი შევმატოო შავი საღებავით დათხიპნილ ქაღალდის იმ შემხარავ გროვას, აგრე ვაგლახად რომ ლპება ბუკინისტთა დუქნებში. ჩვენ ვიზიარებთ მის შიშს, როცა, სანაპიროზე მოხეტენი, ვხედავთ იმ ორგროშიან დახლებს, სადაც მზე და წვიმა ნელ-ნელა ნთქავენ უკვდავებისთვის შექმნილ სტრიქონებს. როგორც ის გულისშემძვრელი თავისქალები, რომელთაც ბოსიუე[8] უგზავნიდა ტრაპის[9] აბატს, რათა მათი ჭვრეტით თავი შეექცია მარტოსულს, ისე აქაც, ეს უბადრუკი დახლები წერის ამაოებაზე

დააფიქრებენ მწერალს. მე, ჩემდა თავად, ვბედავ იმის თქმას, რომ სამეფო ხიდსა და ახალ ხიდს შორის ხშირად მთელი სავსებით განმიცდია ეს ამაოება. და, მე მგონია, აბატ კუანიარის შეგირდმა იმიტომ თქვა უარი თავისი თხზულების გამოქვეყნებაზე, რომ აგრე კეთილი მოძღვრის მიერ წვრთნილს საღი წარმოდგენა ჰქონდა ლიტერატურულ დიდებაზე და ღირსებისამებრ აფასებდა მას, ე.ი. სრულიადაც არ აფასებდა. მას ესმოდა, რომ ის უხანოა, მსწრაფლწარმავალი, მიწყვიც ცვლადი და მრავალი, თავისი არსით უმნიშვნელო და უბადრუკი გარემოებით განპირობებული. თანამედროვეთა უმეცრების, უსამართლობისა და უკეთურების მჭკრეტელს არა ჰქონდა იმის იმედი, რომ მათი შთამომავლანი ერთის დაკვრით გახდებოდნენ ყოვლისმცოდნენი, სრულქმნილნი და სამართლიანნი. ის მხოლოდ იმას ვარაუდობდა, რომ მომავალი, რომლისთვისაც ასე უცხოა ყველა ჩვენი ცილი და დავა, სამართლიანობის ნაცვლად გულგრილობას მოგვაგებდა მხოლოდ. ჩვენ თითქმის ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ სუყველას - დიდსაც, მცირესაც, ის გაგვასწორებს არყოფნაში და დავიწყების ცივ საბურავს ჩამოგვაფარებს. მაგრამ, თუ ღმერთმა ინება და მოლოდინი არ გაგვიმართლდა, თუ მომავალმა თაობებმა მაინც შეინახეს ჩვენთა სახელთა და საქმეთა ხსოვნა, ერთი რამ მაინც შეგვიძლია შეუმცდარად ვიწინასწარმეტყველოთ: ჩვენს ნააზრევს ისინი მხოლოდ იმ რიოში რომვისა და მახვილგონივრული ჩმახვის წყალობით თუ ჩასწვდებიან, რომელთა გარეშე გენიალური ქმნილება ვერ გაეხმიანება საუკუნეებს. შედეგის უკვდავება განპირობებულია უბადრუკი ინტელექტუალური ავანტურებით, სადაც პედანტთა მაღალფარდოვანი ბოდვა აქეზებს და ფრთებს ასხამს დილეტანტთა კალამბურებს. და მე ვბედავ იმის მტკიცებას, რომ ამჟამად „ილიადისა“ თუ „ღვთაებრივი კომედიის“ არცერთი ლექსი არ გვესმის ისე, როგორც ესმოდა ის მათ შემოქმედთ. სიცოცხლე ნიშნავს სახეცვლილებას, და ჩვენი აზრების სიკვდილშემდგომი სიცოცხლეც ამავე კანონს ემორჩილება: ისინი არსებობას აგრძელებენ მხოლოდ იმის წყალობით, რომ მიწყვიც იცვლებიან და სულ უფრო და უფრო შორდებიან თავიანთ პირველსახეს, რომლითაც ჩვენს სულში იშვნენ. ის, რითაც ჩვენ განვაცვიფრებთ მომავალს, სავსებით უცხო იქნება ჩვენთვის.

მაგრამ ჟაკ ტურნებროში, რომლის მიამიტობა საყოველთაოდ ცნობილია, ალბათ, არც სვამდა ასეთ კითხვებს თავის წიგნთან დაკავშირებით. უსამართლობა იქნებოდა მის მიმართ, გვეთქვა, რომ აბატ კუანიარის მოწაფეს გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონდა თავის თავზე.

მე მგონია, კარგად ვიცნობ მას. მე მიფიქრია მის წიგნზე. ყველაფერში, რასაც ის ამბობს, ან დუმილით უვლის გვერდს, გამოსჭვივის მისი სულის საოცარი უბრალოება. ხოლო თუ ის მაინც გრძნობდა თავისი ტალანტის ძალას, უთუოდ ისიც კარგად ესმოდა, რომ ყველაზე ნაკლებ სწორედ ტალანტს ინდობენ კაცნი. ცნობილ პიროვნებას ადვილად შეუძნობენ ხოლმე სულის სიმდაბლეს და ორგულობას, ურიგდებიან მის სიმხდალეს და ბოროტებას და არც მისი სიმდიდრე შურთ

მაინცდამაინც, თუ ხედავენ, რომ ის დაუმსახურებლად მიეცა მას. ჩვეულებრივ, საშუალო ნიჭის კაცს ერთხმად აქებენ და ადიდებენ მისივე მსგავსნი, რომელნიც მას გარს ახვევიან და თავის თავს ეთაყვანებიან მასში. მისი დიდება არავის არ აღიზიანებს. ის, უმაღლეს, ბრბოს იღუმალ ეთნევა კიდევ. მაგრამ ტალანტში არის რაღაც გამომწვევი და თავხედური, რომელსაც ყრუ ზიზღით და ცილისწამებით ემსჭვალვიან კაცნი. და თუ ჟაკ ტურნებროში შეგნებულად უარყო მწარე პატივი, თავისი მჭევრმეტყველებით გაელიზიანებინა ბრიყვთა და ავციათა ბრბო, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, აღფრთოვანდეთ მისი კეთილგონიერებით და ვცნოთ მასში ღირსეული მოწაფე ბრძენი მოძღვრისა, რომელიც ასე კარგად იცნობდა ადამიანებს. მაგრამ, ასეა თუ ისე, ჟაკ ტურნებროშის ხელნაწერი გამოუქვეყნებელი დარჩა და მივიწყებული ეგდო მთელი საუკუნის განმავლობაში. მე წილად მხვდა იშვიათი ბედნიერება, მიმეკვლია მისთვის ერთ ანტიკვართან მონპარნასის ბულვარზე. ამ ანტიკვარს თავის ქუჩიკიან ვიტრინაში ერთად გამოეფინა შრომანის ჯვრები, წმიდა ელენეს მედელები და ივლისის ორდენები,[10] ისე, რომ აზრადაც არ მოსვლია, შერიგების და დაზავების რა სევდიან გაკვეთილს გადასცემდა ადამიანებს. ეს ხელნაწერი ჩემი ზრუნვის და გულმოდგინების წყალობით 1893 წელს გამოქვეყნდა სათაურით: „ბატისფეხა დედოფლის დუქანი“ (I ტ. ინ-18 ჯ სუს). ცნობისმოყვარე მკითხველი მასში მეტ სიახლეს ჰპოვებს, ვიდრე ძველი წიგნისგან შეიძლება მოელოდეს კაცი. მაგრამ ახლა ამ თხზულებასთან როდი გვაქვს საქმე.

თუმცა თავისი თანმიმდევრული თხრობით ჟაკ ტურნებროში მარტოოდენ აბატ კუანიარის საქმეთა და მაქსიმათა გადმოცემას როდი დასჯერდა. მან შეკრიბა და აღადგინა თავისი მოძღვრის ბევრი სიტყვა და დიალოგი, რომელთაც ადგილი ვერ ჰპოვეს მემუარებში (სწორედ ასე უნდა იწოდებოდეს „ბატისფეხა დედოფლის დუქანი“) და შეადგინა პატარა რვეული, რომელიც მის სხვა ქაღალდებთან ერთად შემთხვევით ჩამივარდა ხელში.

სწორედ ამ რვეულს ვაქვეყნებ ახლა სათაურით „ბატონ ჟერომ კუანიარის აზრები“. ის დიდი სითბო და ინტერესი, რომლითაც მკითხველმა მიიღო ჟაკ ტურნებროშის წინა თხზულება, ძალას მმატებს და მამხნევებს ამ დიალოგების გამოსაქვეყნებლად, რომლებშიც კვლავ მჟღავნდება სეეზის ეპისკოპოსის ყოფილი ბიბლიოთეკარის ყოვლისშემწყნარებელი სიბრძნე და დიდსულოვანი სკპეტიციზმი, რითაც განირჩევიან მისი შეხედულებანი ადამიანზე; შეხედულებანი, სადაც ერთმანეთს ერწყმის ზიზღი და კეთილმოსურნეობა. მე არ შემიძლია პასუხი ვაგო იმ იდეებზე, რომელთაც მორალისა თუ პოლიტიკის სხვადასხვა საკითხებზე გამოთქვამს ეს ფილოსოფოსი. მაგრამ, როგორც გამომცემელი, თავს მოვალედ ვრაცხ სათანადოდ განვმარტო და გავაშუქო ჩემი ავტორის აზრები. მისი თვითმყოფი, თავისუფალი სული დაუნდობლად ებრძოდა გაცვეთილ ჭეშმარიტებებს და არასდროს განუსჯელად არ შერთვია საერთო აზრს, ერთი გამონაკლისის, კათოლიკური სარწმუნოების გარდა, - აქ ის ჭეშმარიტად ურყევი იყო. რაც შეეხება

დანარჩენს, ის თამამად უსწორებდა თვალს საუკუნეს და განა მარტო ესეც არ კმარა, რათა პატივის ღირსად ვცნოთ იგი? ჩვენ დიდად უნდა ვუმაღლოდეთ ცრურწმენებთან მეზრძოლ მაღალ სულებს, მაგრამ უფრო ადვილია მათთვის ხოტბის შესხმა, ვიდრე მათი მიბაძვა. ცრურწმენანი განუწყვეტლივ იშლებიან და იცვლებიან, მიწყვი მოძრავ და მოფარფატე ღრუბელთა დარად. არის მათში რაღაც ზვიადი (მაგრამ მხოლოდ მანამ, სანამ ზიზღს არ აღძრავენ ჩვენში) და იშვიათად მოიძებნება კაცი, რომელსაც ძვალ-რბილში არ ჰქონდეს გამჯდარი თავისი ეპოქის ცრურწმენები და წარბშეუხრელად შეჰყურებდეს იმას, რაც თვალს სჭრის და აბრმავებს ბრბოს. აბატი კუანიარი უბრალო და უპოვარი კაცი იყო, მაგრამ, ამასთან, თავისუფალიც, რაც, ჩემი აზრით, სავსებით საკმარისია, რათა ის ვინმე ბოსდიუსა თუ სხვა სახელგანთქმულ პიროვნებებზე მაღლა დავაყენოთ, თავიანთ ხომლში რომ ბრწყინავენ ჩვევათა და რწმენათა ტრადიციული პომპით.

მაგრამ, თუ ვაღიარებთ, რომ აბატი კუანიარი ცხოვრობდა როგორც ბრბოს ცთომისაგან თავდახსნილი და თავისუფალი კაცი, რომელზეც არავითარი გავლენა არ ჰქონიათ ჩვენი ვნებებისა და შიშისგან შობილ მოჩვენებებს, ისიც უნდა ვცნოთ, რომ ეს მაღალი სული სრულიად თავისებური თვალთახედვით უყურებდა ბუნებას და ადამიანებს. და თუ მან ვერ შეძლო კაცთ მოხიბვლა და დატყვევება აზროვნების ფართო და მწყობრი სისტემით, მხოლოდ იმიტომ, რომ არ ეყო მოქნილობა, ან იქნებ სურვილი, უშურველად ამოეგოზა სოფიზმებით, როგორც ერთგვარი დუღაბით, ჭეშმარიტების ფარღალალა კედლები: რადგან მხოლოდ ასე აგებენ დიდ ფილოსოფიურ სისტემებს, რომლებიც დგანან და არ ირღვევიან მარტოდენ სოფისტიკის წყალობით. მას აკლდა სისტემის, ანდა, თუ გნებავთ, სიმეტრიული კომპონირების სული. ეს ნაკლი რომ არა, ის წარმოგვიდგებოდა თავისი ჭეშმარიტი სახით, წარმოგვიდგებოდა როგორც ბრძენთა-ბრძენი მორალისტი, როგორც ეპიკურესა[11] და წმიდა ფრანჩესკო ასიზელის[12] ერთგვარი საოცარი ნაერთი.

ეს ორნი, ჩემი აზრით, ტანჯული კაცობრიობის უკეთესი მეგობრები არიან, რომელთაც ის ოდესმე შეჰყურია გზად თავის დაუსრულებელ ხეტიალში. ეპიკურემ ბედითი შიშისაგან იხსნა ჩვენი სულები და გვასწავლა, როგორ შეგვეფარდებინა ბედნიერების იდეა ჩვენი უბადრუკი ბუნებისა და ჩვენი სუსტი ძალებისათვის. კეთილმა წმინდა ფრანჩესკომ კი, უფრო ნაზმა და სენსუალურმა, ნეტარებას გვაზიარა ინტიმური ზმანების გზით და პირადი მაგალითით გვიჩვენა, როგორ განგვეცადა სიხარული, ექსტაზირებული სიმარტოვის უფსკრულში დანთქმულთ. ორივე ჩვენდა სასიკეთოდ იღვწოდა ქვეყნად; ერთი იმით, რომ ამსხვრევდა ცრუ ილუზიებს, მეორე იმით, რომ ქმნიდა ილუზიებს, რომელთაგან არ ფხიზლდებიან.

მაგრამ ნურას გავაზვიადებთ. რა თქმა უნდა, ვერც თავისი ღვაწლით, ვერც თავისი აზრებით, აბატი კუანიარი ვერ შეედრება ბრძენთაგან ყველაზე თამამს და წმიდანთაგან ყველაზე ფიცხს. ის გვივლენდა და გვიცხადებდა ჭეშმარიტებებს, მაგრამ არ შეეძლო გადაშვებულისყო მათში, როგორც მორევი. თავის ყველაზე

გაბედულ გამოკვლევებშიც კი ის ინარჩუნებდა მშვიდად მოსეირნე კაცის აუმიღვრეველობას. მან თავის თავზეც განავრცო ის ყოვლისმომცველი ზიზღი, რომელსაც უნერგავდნენ კაცნი. აბატ კუანიარს აკლდა ის უძვირფასესი ილუზია, ძალას რომ აძლევდა ბეკონს[13] და დეკარტს[14], რომელთაც არავინ არ სწამდათ, ეწამნათ საკუთარი თავი. მას აეჭვებდა ჭეშმარიტება, რომელსაც ატარებდა თავის თავში და დაუზოგავად ფანტავდა ირგვლივ თავისი სულის საუნჯეს. მისთვის უცხო იყო თვითრწმენა, რომელიც საერთოა ყველა იდეათმოქმედისათვის და რომლითაც ისინი უდიდეს გენიოსებზე მაღლა აყენებენ თავს. ეს ნაკლი მიუტევებელი ნაკლია, რადგან დიდება მიდის მხოლოდ მასთან, ვინც მას დაემბს. აბატ კუანიარისთვის ეს იყო არა მარტო სისუსტე, არამედ არათანმიმდევრულობაც. რაკი მისი ფილოსოფიური შემართება და გამბედაობა უკიდურეს ზღვარს აღწევდა ხოლმე, მას მართებდა თავისი თავი უყოყმანოდ გამოეცხადებინა პირველ კაცად დედამიწაზე. მაგრამ ის გულუბრყვილო იყო და მისი ალაღმართალი სული სრულიად უმწეო აღმოჩნდა იმისთვის, რომ ყველაზე მაღლა დაეყენებინა თავი; ამან აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა მას. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ სწორედ ამიტომაც მიყვარს იგი?

მე არ მაშინებს იმის მტკიცება, რომ აბატი კუანიარი, ფილოსოფოსი და ქრისტიანი, უებროდ აერთებს თავის თავში ეპიკურეიზმს, ჩვენი ტკივილების მალამოს, და კურთხეულ უბრალოებას, ჩვენი სიხარულის წყაროს.

ისიც საცნაურია, რომ მან არა მარტო მიიღო ღმერთის იდეა იმ სახით, როგორითაც ის მიაწოდა კათოლიკურმა სარწმუნოებამ, არამედ ცდილობდა კიდევ რაციონალური არგუმენტებით დაესაბუთებინა იგი. მას არასდროს მიუბამავს იმ თვალთმაქცი დეისტების გაქნილი პრაქტიციზმისთვის, თავისი საჭიროების მიხედვით რომ აქცევენ ღმერთს მორალისტად, ფილანთროპად თუ უმანკო კრავად და მერე შეხმატკბილებულნი ეჭუკჭუკებიან ასე ადაპტირებულს. ფამილიარული ურთიერთობა, რასაც ისინი ამყარებენ ღმერთთან, დიდ ავტორიტეტს ანიჭებს მათ ნაწერებს, თვითონ მათ კი სახელს უხვეჭს საზოგადოების თვალში. და ეს ღმერთი, განგებიანი, ზომიერი, დარბაისელი, ფანატიზმისგან თავისუფალი და ზნესრული, მფარველობს მათ სათათბიროებში, სალონებსა თუ აკადემიაში. აბატი კუანიარი არ უყურებდა წარუდინებელს, როგორც სარფისა და სარგებლის წყაროს. მაგრამ, რაკი ესმოდა, რომ სამყაროს შეცნობა შეუძლებელია გონების კატეგორიების გარეშე, და რომ სამყაროს საცნაურად უნდა ვთვლიდეთ მაშინაც კი, როცა მისი უაზრობის დამტკიცებას ვისახავთ მიზნად, ის ყოვლის პირველმიზეზად მიიჩნევდა რაციონალურ საწყისს, რომელსაც ღმერთს უწოდებდა, ხოლო ამ ცნებას თავის უსასრულო ტევადობას უნარჩუნებდა. რაც შეეხება დანარჩენს, ის აქ მთლიანად ეყრდნობოდა თეოლოგიას, რომელიც, როგორც ცნობილია, გამოწველილვით აანალიზებს იმას, რასაც გონება ვერ წვდება ჩვენი.

თავის ეს მოზღლუდვა, რომელმაც ზღვარი დაუსაზღვრა მის შემეცნებას, ბევრ რამეში წაადგა მას, რადგან, ვფიქრობ, სწორედ ამის წყალობით არ წამოეგო ამა თუ იმ

მაცთური ფილოსოფიური სისტემის ანკესს და თავი დააღწია იმ წყეულ სათაგურს, რომელშიც მეყსეულად ემწყვედევინ თავისუფლად მოაზროვნენი. ჩვენს ვრცელსა და ძველ დილეგში მან მარჯვედ მიაგნო არაერთ საძრომს, რომელთა წიალ ის ჭვრეტდა სამყაროს და აკვირდებოდა ბუნებას. მე არ ვიზიარებ მის რელიგიურ მრწამსს და მიმაჩნია, რომ ის ტყუვდებოდა, ისევე, როგორც, თავისდა სასიხარულოდ თუ სამწუხაროდ, საუკუნეთა მანძილზე ტყუვდებოდა ადამიანთა ამდენი თაობა. მაგრამ, ჩემი აზრით, ძველი ცთომანი უფრო ადვილი ასატანნი არიან, ვიდრე ახალნი, და თუ ცთომა ჩვენი წერაა, ახალ ილუზიებს დახავსებულთ ვარჩევდი ისევე.

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ მაინც ცხადია ჩვენთვის: ქრისტიანიზმისა და კათოლიციზმის დოგმატებს რომ აღიარებდა, აბატი კუანიარი არ ერიდებოდა მათგან სრულიად თავისებური დასკვნების გამოტანას. ორთოდოქსიის ფესვებზე მისი მაღალი სული ამოიზარდა ეპიკურეიზმისა და მორჩილების კეთილ ჰიბრიდად. ერთხელ უკვე ვთქვი: ის დაუნდობლად ებრძოდა დამეულ მოჩვენებებს, ჩვენს ფუქსა და ამაო შიშს, ან, როგორც თვითონ ამბობდა, მთელ ამ გოთურ ემმაკეულობას, აღქაჯთა ყოველდღიურ და ბანალურ შაბაშად რომ აქცევს პატიოსანი მოქალაქის ღვთისმოსავ ყოფას. ჩვენი დროის თეოლოგებმა ასეთი ბრალდება წაუყენეს მას: ბოროტად იყენებდა ხსნის იმედს და ამიტომ ხშირად ვარდებოდა უკიდურესობაში, რომელიც აღვირახსნილობას უახლოვდებოდაო. ამ ბრალდებას მე წავაწყდი ერთი ცნობილი ფილოსოფოსის სტატიაში. არ ვიცი, აბატი კუანიარი მართლა ასე სასოებით ემსჭვალვოდა თუ არა ღვთისმიერ მადლს და მოწყალებას. მაგრამ ერთი მაინც ცხადია: ეს მაღლი აბატს ესმოდა მისი ფართო და ბუნებრივი აზრით, და ამიტომ სამყარო მის თვალში უფრო ეპიკურეს ბალებს[15] წააგავდა, ვიდრე თებაიდის უდაბნოს[16]. ის სეირნობდა ამ ბალებში იმ თამამი გულუბრყვილობით, რაც მისი ხასიათის არსებითი ნიშანია და მისი მოძღვრების საფუძველი. არასდროს კაცის სული არ ყოფილა ერთდროულად ასე თამამი და ასე მშვიდი, არც ასე შეურბილებია თავისი ზიზლი თავისივე უწყინარობით. მისი მორალი აერთიანებს კინიკოსი ფილოსოფოსების[17] სილაღეს და წმიდა პორციუნკულის[18] პირველ ბერ-მონაზონთა სათნოებას. მას ეზიზლებოდა ადამიანები, მაგრამ სინაზით და სიყვარულით. ის ცდილობდა ჩაეგონებია მათთვის, რომ თუ მათში დიდია რამე, ესაა მხოლოდ ტანჯვის უნარი, და ამიტომ ისინი ვერას აღზრდიან თავის თავში უფრო კეთილს და უფრო მშვენიერს, ვიდრე სიბრალულს და გულმოწყალებას. რადგან, მხოლოდ ამაო სურვილებისა და ტანჯვისათვის შობილთ, ისდა დარჩენიათ, შეიმოსონ სათნოება, შემწყნარებელი და შვების მომცემი. აქედან მან დაასკვნა, რომ ზვაობა უდიდესი ბოროტების წყაროა და ერთადერთი დანაშაული ბუნების წინაშე.

როგორც ჩანს, ადამიანი უბედურია იმიტომ, რომ გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს თავის თავსა და თავის მსგავსზე. მას რომ ამპარტავნობა არ აბრმავებდეს და მართებულად აფასებდეს კაცის ბუნებას, უფრო კეთილი იქნებოდა როგორც სხვების, ისე თავისი თავის მიმართაც. სწორედ კეთილმოსურნეობა

აქეზებდა აბატ კუანიარს დაემცირებინა თავისი მოყვასნი, დაემცირებინა მათი გრძნობები, მათი ცოდნა, მათი ფილოსოფია, მათი დაწესებულებანი. ის ცდილობდა ეჩვენებინა კაცთათვის, რომ მათ ყვეეჩ ბუნებას არა აუგია რა ისეთი, რაზედაც იერიშის მიტანა ისეთივე სისულელე არ იქნებოდა, როგორც მისი დაცვა, და თუ ისინი შეიცნობდნენ მათი ყველაზე დიდი ქმნილებების, ვთქვათ, კანონთა თუ სახელმწიფოთა უხამსობას და უხანობას, ალბათ, აღარც იომებდნენ ერთმანეთს შორის, ანდა, თუ იომებდნენ, მხოლოდ თავშესაქცევად, როგორც ბავშვები, ზღვის პირას ქვიშის ციხე-კოშკებს რომ აგებენ ომობანას თამაშის მიზნით.

ამიტომ არ უნდა განგვაცვიფროს, არც აღგვაშფოთოს იმან, რომ აბატი კუანიარი ყოველნაირად ცდილობდა დაემდაბლებინა ის იდეები, რომელთა მეშვეობითაც ადამიანი დიდების და სახელის მოხვეჭას ცდილობს თავისი სიმშვიდის საზიანოდ. კანონთა სიდიადეს არასდროს შეუძრავს მისი ნათელმხილველი სული და ის წუხდა, ბეჩავდა ადამიანებმა სულ ამაოდ რომ იღვეს კისრად ამდენი ფუჭი ვალდებულება, რომელთა აზრი და წარმომავლობა მეტწილად სრული წყვილია მოცული. ყველა პრინციპი მისთვის თანაბრად სადავო და საკამათო იყო უკლებლივ. აქედან გამომდინარე, ის მივიდა იმ აზრამდე, რომ მოქალაქენი მიტომ დაღავენ მოყვასთა თვისთა ასეთი სიმრავლეს სირცხვილით და ცილისწამებით, რათა თავი დაუპირისპირონ მათ და საკუთარი კეთილზნობით დატკბნენ. ამიტომ, მას ავთა საზოგადოება უფრო ხიბლავდა, ვიდრე კეთილთა, მისი მაგალითისამებრ, ვინც ტრიალებდა მეზვერთა და მეძავთა შორის.[19] აქ აღარას ვიტყვი მის ღვაწლზე; ეს უკვე ითქვა „ბატისფეხა დედოფლის დუქანში“. მე მიზნად არ დამისახავს, გამერკვია, როგორც ამბობდნენ მაძამ დე მუშზე, იყო თუ არა ის უფრო დიდი, ვიდრე მისივე სიცოცხლე. ჩვენი თავი მთლიანად ჩვენ როდი გვეკუთვნის და ჩვენს ქცევასაც ჩვენზე ხშირად შემთხვევა განაპირობებს. ბევრ რამეს ჩვენ გვკარნახობს გარემოება და ყოველთვის როდი ვიმსახურებთ იმას, რაც ჩვენდა უნებურად გვეძლევა ხოლმე. ჩვენი მოუხელთებელი აზრი, აი, თუ გნებავთ, მთელი ჩვენი ავლა-დიდება. აქედან - ჩვენი მსჯელობების ამოება. და მაინც, მე სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ყველა დიდსულოვან კაცს უყვარდა ბ-ნი აბატი კუანიარი და უხაროდა მასთან ყოფნა. მართლაც, უნდა ფარისეველი იყო, რომ უფლის კეთილი ქმნილება არა სცნო მასში. ახლა, რაკი ეს ითქვა, საჩქაროდ მივუბრუნდები მის მოძღვრებას, რადგან აქ მხოლოდ ეს გვანტერესებს.

რაც ყველაზე მეტად აკლდა აბატ კუანიარს, ეს გახლდათ თაყვანისცემის გრძნობა. ბუნებამ არ უბოძა ეს საბოძვარი, თვითონ კი თითიც არ გაუძრავს მის შესაძენად. შიშობდა, ერთს რომ განვადიდებ, ვაითუ მეორე დავამცირო ამით, და მისი ყოვლისმომცველი ღმობიერება თანაბრად ეფინებოდა თვინიერთაც და ქედმაღალთაც. მართალია, მეტი მზრუნველობით ის მსხვერპლთ ევლებოდა თავს, მაგრამ ჯალათნიც მეტისმეტად საბრალონი ჩანდნენ მის თვალში, რათა ზიზღი

ეგრძნო მათ მიმართ. აბატს არ სურდა მათთვის ბოროტი, მას მხოლოდ ებრალებოდა ისინი, ებრალებოდა, იმიტომ რომ ავნი იყვნენ და ავისმოქმედნი.

მას არ სწამდა, რომ სასჯელს, კანონიერს, გინდა თვითნებურს, შეეძლო სხვა ნაყოფის გამოღება, გარდა ბოროტის მომრავლებისა ისედაც ბოროტით სავსე სოფელში. მას სძულდა როგორც პირადი შურისძიებით ნაკარნახევი ვერაგული გამოხდომები, ისე კანონთა ზვიადი სისასტიკე, და თუ მაინც იღიმებოდა ხოლმე, როცა გვერდით ჩაუვლიდნენ პოლიციელები, ეს იყო მხოლოდ სისხლისა და ხორცის ექო და თანდაყოლილი სიხალისე, სხვა არაფერი.

ამრიგად, მას სავსებით მარტივი და ნათელი წარმოდგენა ჰქონდა ბოროტებაზე, რასაც მთლიანად მიაწერდა კაცის ბუნებას და ორგანიზმის ბუნებრივ მიდრეკილებებს, ისე რომ, აღარ ართულებდა თავის წარმოდგენას ათასგვარი ცრურწმენით, რომელიც ხელოვნურ სიმტკიცეს იძენს კანონთა კოდექსებში. მე უკვე ვთქვი, რომ მას არ შეუქმნია არავითარი სისტემა, რადგან ნაკლებად სჩვეოდა სიძნელეთა გადაჭრა სოფიზმების საშუალებით. პირველ სიძნელეს კი, როგორც ჩანს, ის წააწყდა მაშინ, როცა დაფიქრდა, რა გზით შეიძლებოდა ბედნიერების, ან, თუნდაც, მხოლოდ მშვიდობის დამკვიდრება დედამიწაზე. მას სწამდა, რომ კაცი მხეცია ბუნებით. ამიტომ კაცთა საზოგადოების მთელ სიბილწეს იმითი ხსნიდა, რომ ისინი თავისი მიდრეკილებების მიხედვით ჰქმნიან მას. აქედან გამომდინარე, ის ფრიად უიმედოდ უყურებდა კაცის მიქცევას ბუნებისაკენ, და ვეჭვ, იმედით შეეცვალა უიმედობა, უფრო დიდხანსაც რომ ეცოცხლა და „ემილის“^[20] წაკითხვა მოესწრო. აბატი მოკვდა მაშინ, როცა ჟან-ჟაკს ჯერ კიდევ არ შეეძრა ჩვენი პლანეტა უყალბეს ლოგიკასთან შერწყმული უქემმარიტესი მგრძნობელობის მჭევრმეტყველებით: „ემილის“ ავტორი მაშინ ჯერ კიდევ პატარა მაწანწალა იყო და ლიონის უკაცრიელ ბაღში, თავისდა საუბედუროდ, აბატ კუანიარს კი არა, სულ სხვა აბატებს აწყდებოდა ხოლმე. დასანანი კია, შემთხვევამ ერთად რომ არ შეჰყარა ბ-ნი ჟერომ კუანიარი, რომელიც ასე კარგად იცნობდა ადამიანებს და მადამ ვარანსის^[21] ნორჩი მეგობარი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს იქნებოდა მხოლოდ კურიოზული სცენა, თავშესაქცევი რომანტიული სურათი. ჟან-ჟაკს, ალბათ, არაფრად ეჭაშნიკებოდა ჩვენი ფილოსოფოსის სკეპტიკური სიბრძნე. ძნელია წარმოიდგინო რუსოს ფილოსოფიისგან უფრო მეტად განსხვავებული რამ, ვიდრე აბატ კუანიარის ფილოსოფია. ეს უკანასკნელი მთლიანად გამსჭვალულია თბილი ჰუმორით, შემწყნარებელია, მარტივი და, ჩვენი ბუნების უმტკიცობაზე დაფუძნებული, მტკიცე საძირკველს ეყრდნობა მაინც. რუსოს ფილოსოფიას კი აკლია კურთხეული ეჭვი და მსუბუქი ღიმილი. და რაკი ვითომცდა კაცისგან განუყოფელი ბუნებრივი სიკეთის მოჩვენებითს საძირკველს ემყარება, ფრიად უხერხულ მდგომარეობაში ვარდება ხოლმე, თუმცა თვითონ ვერც კი გრძნობს, რაოდენ სასაცილოა ეს. ესაა მისი მოძღვრება, ვისაც თავის სიცოცხლეში ერთხელაც არ გაუცინია. მისი დაბნეულობა ცუდ განწყობაში პოულობს გამოხატულებას. მას მადლიც აკლია. ამას კიდევ

შეურიგდებოდა კაცი, მაგრამ ის უკან, მაიმუნისკენ ეწევა ადამიანს და სრულიად უსაფუძვლოდ ენთება, როცა ხედავს, რომ მაიმუნისთვის სათნოება უცხო ხილია. აქ ის უკვე უაზროა და დაუნდობელი. და ეს ცხადი გახდა ყველასთვის, როცა სახელმწიფო მოღვაწეებს მოეპრიანათ რესპუბლიკათაგან უკეთესი რესპუბლიკისთვის მიესადაგებინათ „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“.[22]

რობესპიერი[23] თაყვანს სცემდა რუსოს ხსოვნას. აბატ კუანიარს, ალბათ, ავ კაცად მიიჩნევდა იგი. ამას არც აღვნიშნავდი აქ, რობესპიერი რომ ურჩხული ყოფილიყო. მაგრამ ის დიდი გონების კაცი იყო და, მამასადამე, ურჩხულისაც არა ეცხო რა. საუბედუროდ, რობესპიერი ოპტიმისტი იყო და სათნოება სწამდა. ამ ტემპერამენტის სახელმწიფო მოღვაწეებს კი შესაძლებელთაგან უდიდესი ბოროტება მოაქვთ კაცთათვის. ის, ვინც კაცთა ბელადობას კისრულობს, არასოდეს უნდა ივიწყებდეს იმას, რომ ისინი ბილწი მაიმუნები არიან მხოლოდ, ვინაიდან მარტოდენ ამ პირობითი შეიძლება იყო ჰუმანური და კეთილი პოლიტიკოსი. რევოლუციის სიშლეგე სწორედ იმაში გამოიხატა, რომ მან სათნოების დამკვიდრება მოინდომა დედამიწაზე. ხოლო როცა მიზნად ისახავენ კეთილ, ბრძენ, თავისუფალ, თავდაჭერილ და დიდსულოვან არსებებად აქციონ კაცნი, გარდუვალად მიდიან იქამდე, რომ უკლებლივ ყველას მუსრის გავლებას უპირებენ. რობესპიერს სწამდა სათნოება და ტერორს ნერგავდა. მარატს[24] სწამდა სამართლიანობა და ორასიათას თავს მოითხოვდა. XVIII საუკუნის მოაზროვნეთა შორის აბატი კუანიარი, შესაძლოა, ერთადერთია, ვისი პრინციპებიც ძირფესვიანად განსხვავდება რევოლუციის პრინციპებისაგან. ის, ალბათ, „ადამიანის უფლებათა დეკლარაციის“[25] არც ერთ ბჭვარს არ მოაწერდა ხელს იმ მკვეთრად გამოხატული და არაბუნებრივი დისკრიმინაციის გამო, რომელსაც ეს დეკლარაცია წითელი ხაზივით ავლებს ადამიანსა და გორილას შორის.

გასულ კვირას ერთი ჩემი მეგობარი ანარქისტი მეწვია, რომელიც პატივს მდებს და თავისი მეგობრობის ღირსად მცნობს, მე კი მიყვარს იმიტომ, რომ, ვიდრე მისთვის სახელმწიფოს მმართველობა არ მიუზღვიათ, მომხიბვლელი მიამიტობა შეინარჩუნა. ყველაფერს მხოლოდ იმიტომ უპირებს აფეთქებას, რომ ბუნებით ქველ და კეთილ არსებებად მიაჩნია ხალხი. ასე ჰგონია, საკუთრებისა და კანონთა ტყვეობისაგან თუ დაიხსნის ადამიანებს, ისინი მყისვე ჩამოირეცხენ მათ ეგოიზმს და ბიწიერებას. უსაზარლეს სისასტიკემდე ის მიიყვანა ურბილესმა და უსათუთესმა ოპტიმიზმმა. მთელი მისი უბედურება და დანაშაული ისაა, რომ, ერთავად სამზარეულოში ტრიალისთვის განწირული, პატრონია ჭემმარტად არაამქვეყნიური სულისა, რომელიც პირდაპირ ოქროს ხანისთვის არის შექმნილი. ესაა პატარა ჟან-ჟაკი, მეტად უბრალო და პატიოსანი, რომელსაც ვერ შეაკრთობდა ვერც მადამ უდეტოს ხილვა და ვერც მარშალ ლუქსემბურგელის[26] გასხეპილი თავაზიანობა. სულის სიწმინდე ჩემს მეგობარს ნებას არ რთავს უღალატოს თავის ლოგიკას და პირდაპირ შემზარავს ხდის მას. მინისტრზე უკეთ აზროვნებს, მაგრამ გამოდის

ყოვლად უაზრო წანამძღვრებიდან. მას არა სწამს პირველი ცოდვა, თუმცა ამ მტკიცე და ურყევ დოგმაზე კაცს შეეძლო დაემუქებინა ყველაფერი, რაც კი მოეპრიანებოდა.

რა იქნებოდა, ჩემს კაბინეტში შეხვედროდით მას, ბატონო აბატო კუანიარ, რათა ამ ანარქისტული დოქტრინის მთელი სიყალბე გეჩვენებინათ მისთვის?! ამ კეთილშობილ უტოპისტს თქვენ ცივილიზაციის სიკეთესა თუ სახელმწიფოს ინტერესებზე როდი დაუწყებდით დავას: სხვას ვის ესმოდა თქვენსავით ნათლად, რომ ყველაფერი ეს სისულელეა და უხამსობაა უპოვართ უმასპინძლო ამ სისულელით; თქვენ იცოდით, რომ საზოგადოებრივი წყობილება სხვა არა არის რა, თუ არა ორგანიზებული ძალადობა და თვითეულ ჩვენგანს შეუძლია თავად განსაჯოს, რა ყრია მასში. არა, თქვენ მას დაუხატავდით იმ ბუნებრივი წყობილების ჭეშმარიტად შემზარავ სურათს, რომლის აღდგენასაც ცდილობს; იმ იდილიაში, რომელზედაც ოცნებობს, თქვენ უჩვენებდით ტრაგიკულ და სისხლიან შინააშლილობათა ურიცხვ სიმრავლეს, ხოლო მის ნეტარ ანარქიაში - უსაზარლესი ტირანის საწყისს და თესლს.

აქედან გამომდინარე, მე ვეცდები მეტი სიზუსტით ჩამოვაცალიხო ბ-ნ აბატო კუანიარის აზრები მთავრობისა და ხალხის შესახებ, რომელთაც ის გამოსთქვამდა სამიკიტნოში - „ჩვილი ბახუსი“. აბატი არაფრად აგდებდა არც სახალხო ყრილობებს, არც უზენაეს ხელისუფალთ. ის ეჭვისა და ცილობის საგნად ხდიდა თვით წმინდა მირონცხების მადლს, - მის დროს სახელმწიფოს ისეთსავე დიდ პრინციპს, როგორცაა ჩვენს ეპოქაში საყოველთაო საარჩევნო უფლება. ეს უპატივცემლობა, რომელიც მაშინ, ალბათ, აღაშფოთებდა ყოველ ჭეშმარიტ ფრანგს, დღეს უკვე აღარ გვეჩვენება დიდ მკრეხელობად. მაგრამ ცუდად გავუგებდით ჩვენს ფილოსოფოსს, თუ მის თამამ კრიტიკას მხოლოდ ძველი წეს-წყობილების უკეთურობითა და უსამართლობით ავხსნიდით. ბ-ნი აბატი კუანიარი მაინცდამაინც დიდ განსხვავებას ვერ ხედავდა ე.წ. აბსოლუტურ მონარქიასა და დემოკრატიას შორის, და ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვივარაუდოთ: ჩვენს დრომდე რომ მოეღწია, მისი მაღალი სული უწინდებურად გულისწყრომით იქნებოდა სავსე.

რაკი ის ყოველთვის საწყისებამდე დადიოდა, უეჭველად გამოააშკარავებდა ჩვენი პრინციპების ამაოებას. ამის თქმის უფლებას მაძლევს ერთი მისი გამონათქვამი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. „დემოკრატიის დროს, - ამბობდა ბ-ნი აბატი კუანიარი, - ხალხი თავისსავე ნებას ემორჩილება, ეს კი მძიმე მონობაა. და მართლაც, საკუთარი ნება ხალხისთვის არანაკლებ მტრულია ხოლმე, ვიდრე მტარვალის ნება. რადგან საერთო ნება ნაკლებადაა, ან სრულიადაც არაა ინდივიდში, მაშინ, როდესაც მისი კირთება მთელი სიმძიმით განიცდება თვითეული ჩვენგანის მიერ. ხოლო საყოველთაო საარჩევნო უფლება ისეთივე სატყუარაა ხეპრეთათვის, როგორც ის მტრედი, ზეთისხილის რტო რომ მოიტანა ნისკარტით. დემოკრატია, ისევე როგორც მონარქია, მხოლოდ ფიქციებს ემყარება და ათასგვარ ხრიკს

მიმართავს, რათა, ავად თუ კარგად, გაიტანოს თავი. მთავარია, როგორმე არწმუნებინო ხალხს ეს ფიქცია და ფონს გახვიდე შენი ხრიკებით“.

ეს მაქსიმა გვარწმუნებს, რომ ის ჩვენს დროშიც შეინარჩუნებდა აზროვნების სილადესა და სითამამეს, რითაც ასე შეიმკო სული მეფეთა ხანაში. მაგრამ რევოლუციონერი მაინც არასდროს არ იქნებოდა. ამისთვის საჭიროა ილუზიები, რომლებიც მას არ გააჩნდა, და მთავრობათა დამხობას მხოლოდ იმ ბრმა და ყრუ, ნელი და წინააღმდეგომელი ძალების მისიად თვლიდა, ასე დაჟინებით რომ აღგვიან ყოველს პირისაგან მიწისა.

მას მიაჩნდა, რომ ერთი და იგივე ხალხი ერთსა და იმავე დროს მმართველობის მხოლოდ ერთ წესს უნდა დაქვემდებარებოდა, ვინაიდან ერები ორგანიზმები არიან და მათ ფუნქციებს მთლიანად განაპირობებენ ასოთა სტრუქტურა და ორგანოთა მდგომარეობა, ე.ი. ქვეყანა და მისი მოსახლეობა, და არა მთავრობანი, რომელთაც ისე არგებენ ხალხებს, როგორც ტანსაცმელს - კაცს.

„უბედურება ისაა, - დასძენდა იგი, რომ ხალხებს იგივე დღე ადგათ, რაც ბაზრობებზე - არლეკინებს და ჟილებს.[27] მათი სამოსი, ჩვეულებრივ, ან მეტისმეტად განიერია, ან მეტისმეტად ვიწრო, მოუხერხებელი, სასაცილო, ჩრჩილით დაჭმული, დალაქავებული და მკბენართ სავსე. მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება მისი წესრიგში მოყვანა, თუ ფრთხილად დაბერტყავ, ამოკემსავ და მაკრატელსაც გაჰკრავ აქა-იქ; ეს უფრო იაფი ჯდება, ვიდრე სხვა, ასეთივე კონკების ყიდვა, მაგრამ მის ტარებას აზრი აღარა აქვს და უნდა გადააგდო კიდეც, როცა სხეული ფორმას იცვლის ასაკთან ერთად“.

აქედან ჩანს, რომ ბ-ნი აბატი კუანიარი კარგად უთავსებდა ერთმანეთს პროგრესს და წესრიგს და, არსებითად, არც სხვაზე ნაკლები მოქალაქე გახლდათ. არასდროს აუმბოხებია ვინმე, რადგან არჩევდა არსებულ რეჟიმს ნელ-ნელა თვითონვე ამოეჭამა თავისი თავი, ვიდრე ერთბაშად ქცეულიყო ნამსხვრევებად სოციალური კატაკლიზმებით. ის გამუდმებით უნერგავდა თავის შეგირდებს, რომ ყველაზე მკაცრი კანონებიც კი სასწაულებრივად რბილდებიან მოქმედებისას და უმჯობესია მრავალმოწყალე დროს მიენდო, ვიდრე კაცთა გულმოწყალებას. რაც შეეხება უშტი და უშქარი კანონის ერთი მოქნევით თავიდან მოშორების შესაძლებლობას, მას არც ამის იმედი ჰქონდა და არც სურვილი, რადგან ნაკლებად ენდობოდა სახელდახელოდ შეკოწიწებული კანონმდებლობის ქველმოქმედებას. ჟაკ ტურნებროში ეტყოდა ხოლმე: ხომ შეიძლება მოხდეს ისე, რომ თქვენმა კრიტიკულმა ფილოსოფიამ ძირი გამოუთხაროს სახელმწიფო წეს-წყობილებას, რომელსაც თვითონვე აუცილებლად თვლით და, ამრიგად, შემუსროს ის, რისი შენარჩუნებაც ეგზომ საჭიროაო.

- ვერ გამიგია, - კითხულობდა ერთგული მოწაფე, - ო, მოძღვართაგან უკეთესო მოძღვარო ჩემო, რატომღა უნდა ვაქციოთ მტვრად სამართლის,

მართლმსაჯულების, კანონთა და, საერთოდ, ყველა სამხედრო თუ სამოქალაქო დაწესებულებათა საფუძვლები, თუკი თვითონვე აღიარებთ, რომ საჭიროა სამართალიც, მართლმსაჯულებაც, არმიაც, დაწესებულებანიც და წესრიგის მცველნიც?

- შვილო ჩემო, - მიუგებდა ბ-ნი აბატი კუანიარი, - ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე მე ვხედავდი, რომ კაცთა უბედურებანი მათი ცრურწმენებისაგან იღებენ დასაბამს, ისევე როგორც ობოლები და მორიელები სარდაფთა წყვდიადიდან და მტილთა სინესტიდან მოძვრებიან მხოლოდ. ურიგო როდი იქნებოდა ჯაგრისი ან ცოცხი მიგვეს-მოგვესვა მიბნელებული კუთხეების სიბრმავისათვის; არც ის გვაწყენდა, თოხის პირი გამოგვეკრა სარდაფებისა თუ ბაღების კუთხეებისთვის, რათა დაგვეფრთხო უწმინდური და დაგვეჩქარებინა იმისი ნგრევა, რაც უჩვენოდაც დაინგრეოდა მალე.

- სიამოვნებით დაგიკრავდით კვერს, - ამბობდა უწყინარი ტურნებროში, - მაგრამ, როცა თქვენ შემუსრავთ ყველა პრინციპს, მოძღვარო ჩემო, რაღა დარჩება მათ ნაცვლად მაშინ?

რაზეც ასე პასუხობდა მოძღვარი: - როცა ყველა ყალბი პრინციპი დაიმსხვრევა, დარჩება საზოგადოება, რადგან ის დაფუძნებულია აუცილებლობაზე, რომლის კანონები, უფრო ძველნი, ვიდრე სატურნი, მას მერეც იკანონებენ, რაც პრომეთე ტახტიდან გადმოაყუდებს იუპიტერს.

ამ საუბრის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. პრომეთემ ბევრჯერ დაამხო იუპიტერი, და ბრძენის წინასწარმეტყველება ისეთი საოცარი სიზუსტით მართლდებოდა მუდამ, რომ ახლა ეჭვობენ კიდევ, ბებერი იუპიტერი ხომ არ ზისო ტახტზე კვლავინდებურად, - ახალი რეჟიმი ისე ჰგავს ძველს, ზოგიერთი კი სულაც უარყოფს ტიტანის მოსვლას. მის მკერდზე, ამბობენ ისინი, არ ჩანს კვალი იმ ჭრილობისა, რომელიც მას მიაყენა უსამართლობის არწივმა, გულს რომ უფლეთდა ბასრი ნისკარტით, და რომლიდანაც გამუდმებით უნდა ჟონავდეს სისხლი. მისთვის უცხოა ტკივილები და განდევნის შავი სიმწარე. ეს არაა მაშვრალი ღმერთი, რომელიც ჩვენ აღგვითქვეს და რომელსაც ასე ველოდით. ეს ისევ ის ღიპიანი იუპიტერია, მისი ძველი და სასაცილო ოლიმპოს მკვიდრი. როდისღა ვიხილავთ კაცობრიობის ჭეშმარიტ მხსნელს, ცეცხლის მომტანს, ჯერ კიდევ კლდეზე მიჯაჭვულ ტიტანს? ყრუ გუგუნის მოდის მთებიდან, - ეს უსამართლობის კლდის მკერდზე თავის დაფლეთილ მხრებს ისწორებს იგი, და შორეთიდან ჩვენამდე აღწევს მისი მხურვალე სუნთქვა.

რაკი საქმეთაგან შორს ეჭრა თავი, აბატი კუანიარი, ჩვეულებრივ, განყენებული აზროვნებისკენ იხრებოდა და ხშირად მიმართავდა განზოგადოებებს. სულის ეს მიდრეკილება, რომელმაც, ალბათ, დიდად ავნო თანამედროვეთა თვალში, ახლა, საუკუნენახევრის შემდეგ, გარკვეულ ღირებულებასა და უეჭველ სარგებლიანობას ანიჭებს მის აზრებს. მათი შემწეობით შეგვიძლია უკეთ

ჩავუკვირდეთ ჩვენს ჩვეულებებს და სწრაფად ამოვიცნოთ სიავე, რომელიც არის ჩვენში.

უსამართლობა, სიბრიყვე და სისასტიკე არავის აღარ ანცვიფრებენ, როცა საყოველთაო კუთვნილებად იქცევიან. ჩვენ ვხედავთ ჩვენი წინაპრების ყველა ამ ბიწს, მაგრამ ვერ ვხედავთ ჩვენსას. და რაკი წარსულში ერთ ეპოქასაც ვერ ვპოულობთ ისეთს, როცა ადამიანი ბრიყვი, უსამართლო და დაუნდობელი არსების სახით არ წარმოგვიდგებოდა, ჭეშმარიტად სასწაულის მოწმენი ვიქნებოდით, ჩვენს საუკუნეს, როგორც ბედნიერ გამონაკლისს, ერთბაშად რომ ჩამოერეცხა თავიდან მთელი გულმხეცობა, ვერაგობა და სისასტიკე. და თუ იმ კერპებს არ ვგავდეთ, რომელთა თვალნი ვერ ხედავენ და სასმენელნი ვერ ისმენენ, ბ-ნ აბატ კუანიარის აზრები უთუოდ დაგვეხმარებოდნენ ჩაგვეხედა ჩვენსავ სინდისში. ერთი ბეწო კეთილი ნება, ერთი ბეწო უანგარობა, და ჩვენ სწრაფად დავრწმუნდებოდით, რომ ჩვენი კანონთა კოდექსები ჯერ კიდევ უსამართლობის თავშესაფრებს წარმოადგენენ, რომ ჩვენს ზნე-ჩვევებში სათუთად ვინახავთ მემკვიდრეობით გადმოცემულ სისასტიკეს, სიხარბეს და ამპარტავნობას, პატივს ცვემთ მხოლოდ სიმდიდრეს და არაფრად არ ვაგდებთ შრომას. მაშინ საგანთა ჩვენეულ წესრიგს აღვიქვამდით მისი ჭეშმარიტი სახით, როგორც უხანო და უბადრუკ წესრიგს, რომელიც, კაცთა სამართლის საზიანოდ, უხეშად არღვევს ბუნებრივ სამართლიანობას და დღეს უკვე უჩნდება ბზარი. ჩვენი მორჭმულნი ისეთივე უცნობონი გვეჩვენებოდნენ, როგორც ის ცოფის ჭია, არხინად რომ განაგრძობს მწვანე ფოთლების განადგურებას, როცა მის სხეულში შემძვრალი სკარაბეუსი ნელ-ნელა ხრავს მისსავე შიგანს. ვეღარ მიგვამინებდა მაშინ ჩვენი სახელმწიფო მოღვაწეების ბრტყელ-ბრტყელი და ყალბი ლაყბობა და, ბოლოს და ბოლოს, ეშველებოდა ჩვენს საბრალო ეკონომისტებსაც, ცხარე კამათში რომ არკვევენ იმ სახლის გასაწყობი ავეჯის ფასს, რომელსაც ცეცხლი ედება უკვე. აბატ კუანიარის სიტყვებში გამოსჭვივის ჭეშმარიტად წინასწარმეტყველური ზიზღი რევოლუციის იმ დიდ პრინციპთა და დემოკრატიულ უფლებათა მიმართ, რომელთა სახელითაც ასი წლის მანძილზე ათასგვარი ძალადობითა და უზურპაციით ვქმნიდით ამბოხებებით შობილ მთავრობათა უთავბოლობას და თანაც ყოველგვარი ირონიის გარეშე ვგმობდით ამბოხებებს. ჩვენ რომ ოდნავი დაცივით მაინც შეგვეხედა მთელი ამ სისულელისთვის, რომელიც ზვიადი ჩანდა და სისხლიანი კი იყო ხშირად, ანდა შეგვეგნო, რაოდენ მსგავს შედეგებამდე, მახინჯსა თუ სასაცილო შედეგებამდე, მივყავართ როგორც ძველ, ისე ახალ ცრურწმენებს, ჩვენ რომ კეთილმოწყალე სკეპტიციზმით განგვესაჯა ერთიმეორე, მსოფლიოს უმშვენიერეს ქვეყანაში ალბათ იკლებდა განხეთქილებათა რიცხვი და ბ-ნი აბატი კუანიარიც თავის ღირსეულ წვლილს შეიტანდა საყოველთაო კეთილდღეობის დამკვიდრების საქმეში.

ანატოლ ფრანსი

ბატონ ჟერომ კუანიარის აზრები

I. მინისტრები

ერთხელ, ნასადილევს, ბ-ნი აბატი ჟერომ კუანიარი, ჩვეულებისამებრ, შევიდა წიგნით მოვაჭრე ბ-ნ ბლეზოს დუქანში - „წმიდა კატერინას ხატი“, წმ. იაკობის ქუჩაზე. თაროზე ჟან რასინის თხზულებანი რომ შენიშნა, აიღო ერთი ტომი და დაუდევრად დაუწყო ფურცვლა.

- ამ პოეტს, - გვითხრა მან, - უნიჭობას ვერ დავწამებთ, მაგრამ, უფრო რომ ამაღლებულიყო და თავისი ტრაგედიები ლათინური ლექსებით აემეტყველებინა, უთუოდ ხოტბის ღირსი იქნებოდა. განსაკუთრებით, „ათალიის“ [28] იმ ადგილისთვის, სადაც გვიმჟღავნებს, რაოდენ კარგად ერკვეოდა პოლიტიკაში. კორნელი, მასთან შედარებით, ცუდმაშვრალი მოლაყბეა მხოლოდ. ეს ტრაგედია, იოასის ტახტზე ასვლას რომ გვიხატავს, იმავდროულად გვიჩვენებს ზოგიერთი ფარული ზამბარის მოქმედებას, რომლის წყალობითაც იქმნებიან და ირღვევიან იმპერიები. უნდა ვიფიქროთ, რომ ბ-ნ რასინს არ აკლდა გამჭირახობა, რასაც პოეზიისა თუ მჭევრმეტყველების მთელ იმ მაღალფარდოვანებაზე მაღლა უნდა ვაყენებდეთ, რომელიც სინამდვილეში, სხვა არა არის რა, თუ არა რიტორთა გაქნილი ხრიკები და მანქანება, დოყლაპიათა შესაქცევად რომ მიმართავენ ისინი. კაცის განდიდება ნიშანია სუსტი გონებისა, რომელსაც მცდარად ესმის ადამის თესლის ჭეშმარიტი ბუნება, თავისი არსით ასე საწყალობელი და სიბრაალულის ღირსი. და თუ მე არ ვამტკიცებ, კაცი ყვეუჩი ცხოველია-მეთქი, მხოლოდ იმიტომ, რომ უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ თავისი ფასდაუდებელი სისხლი დასთხია მისთვის. ადამიანის კეთილშობილება მთლიანად ამ მიუწვდომელ მისტერიას ემყარება და მოკვდავი, სულერთია, დიდი თუ მცირე, თავისთავად სხვა არა არის რა, თუ არა ბილწი და ველური მხეცი.

ბ-ნმა რომანმა სწორედ მაშინ შემოაღო კარი, როცა ჩემი კეთილი მოძღვარი ამ უკანასკნელ სიტყვებს წარმოსთქვამდა.

- როგორ, ბატონო აბატო?! - იყვირა ამ სიბრძნის ჭამ, - თქვენ გავიწყდებათ, რომ ეს ბილწნი და ველურნი მმართველობის საუცხოო სისტემას ექვემდებარებიან, ყოველ შემთხვევაში, ევროპაში მაინც, და ისეთი სახელმწიფოები, როგორცაა საფრანგეთის სამეფო ან ჰოლანდიის რესპუბლიკა, ძალზე შორს დგანან იმ ბარბაროსობისა და ურჯუკობისგან, რომლებიც ასე შეურაცხყოფენ თქვენ.

ჩემმა კეთილმა მოძღვარმა თავის ადგილს დაუბრუნა რასინის ტომი და ჩვეული ენაწყლიანობით შეესიტყვა ბ-ნ რომანს: - გეთანხმებით და თქვენთან ერთად ვადიარებ, ბატონო ჩემო, რომ სახელმწიფო მოღვაწეთა ქმედებანი გარკვეულ მთლიანობასა და სიცხადეს იძენენ იმ ფოლოსოფოსთა თხზულებებში, რომელნიც

მათზე წერენ, და თქვენს ქმნილებაშიც - „მონარქიისათვის“ - მე მატყვევებს იდეათა კავშირი და თანმიმდევრობა. მაგრამ, ნება მიბოძეთ, ბატონო ჩემო, მხოლოდ თქვენ ერთს მოგაგოთ პატივი იმ მაღალი აზრებისათვის, ასე დაუმსახურებლად რომ მიაწერთ წარსულისა თუ ჩვენი დროის პოლიტიკოსებს. ეს დიდი მოღვაწენი, ერთი შეხედვით, თითქოს თავიანთ ნებაზე რომ ათამაშებდნენ სამყაროს, სინამდვილეში თვითონ იყვნენ სათამაშოები ბუნებისა და ბედისწერის ხელში. ისინი ვერ გასცდნენ კაცთა სიბრყველასა და შეზღუდულობას, და, თუ სიმართლე გნებავთ, ბრჭყვიალა არარაობანი იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ.

ბ-ნმა რომანმა, რომელიც მოუსვენრად ცქმუტავდა მთელი ამ ხნის განმავლობაში, ხელი დაავლო ძველისძველ ატლასს და გაშმაგებით დაუწყო ქნევა; ფურცლების გამაყრუებელ ტკიცინს შეერთო მისი წრიპინა ხმაც.

- რა სიბრმავეა! - ყვიროდა იგი, - რას მიქვიან დიდ მთავართა, დიდ მოქალაქეთა ღვაწლის უარყოფა? ნუთუ არასდროს გისწავლიათ ისტორია? ნუთუ ვერ ხედავთ, ეს კეისრები, რიშელიეები თუ კრომველები ისე რომ ზელდნენ ხალხებს, როგორც მექოთნე - თიხას, ხოლო სახელმწიფოებს ისე ატრიალებდნენ ხელში, როგორც მესაათე - საათს?

- ვერა, ვერ ვხედავ, - გააწყვეტინა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - აგერ ორმოცდაათი წლისა მოვიყარე და მთელი ამ ხნის განმავლობაში ვაკვირდებოდი, როგორც ცვლიდნენ მთავრობები ერთიმეორეს, ისე რომ, ეს ცვლა არაფრით დასტყობია ხალხის ცხოვრებას, თუ არ ჩავთვლით იმ უჩინარ პროგრესს, რომელიც სრულიადაც არაა დამოკიდებული კაცთა ნებისგან. აქედან მე ვასკვნი, რომ, არსებითად, სულერთია, ვინ გვმართავს ან როგორ გვმართავს, და რომ მინისტრთა მინისტრობას მათი ტანსაცმელი და კარეტები განსაზღვრავენ მხოლოდ.

- და თქვენ... თქვენ ამას ამბობთ მაშინ, - წამოიძახა ბ-ნმა რომანმა, - როცა ჯერ კიდევ არ გაცივებულა ბატონი მინისტრი[29], ოდესღაც ერთპიროვნულად რომ წყვეტდა სახელმწიფო საქმეებს და სწორედ იმ მომენტში განუტევა სული, როცა, ამდენი ხნის შერისხვის შემდეგ, ხელახლა დაიბრუნა პატივი და ძალაუფლება. ყური მიუგდეთ მის კუბოსთან ატეხილ ხმაურს და დარწმუნდებით, ვინ იყო და რისი მოქმედი. მისი საქმე მასთან ერთად როდი ჩაბარებია წარსულს.

- ბატონო ჩემო, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - ეგ მინისტრი პატიოსანი, ბეჯითი და გულმოდგინე კაცი იყო, და მისი თავაზიანობა, ისევე როგორც ბ-ნ ვობანისა[30], დღეს ლეგენდად არის ქცეული. მაგრამ თავისი თავაზიანობით განსვენებულს არასოდეს მოუწონებია თავი, რადგან ეს არც მოსვლია აზრად არასდროს. მე ის განსაკუთრებული ქების ღირსად მიმაჩნია იმიტომ, რომ სახელმწიფოს საჭესთან მდგომი გამუდმებით სრულყოფდა საკუთარ თავს, რასაც ვერ ვიტყვით მის კოლეგებზე, რომლებსაც ასე აფუჭებს და რყვნის თანამდებობა. ეს იყო სულით ძლიერი კაცი, რომელსაც ღრმად სწამდა თავისი ქვეყნის სიდიადე, და, იცით,

კიდევ რატომ მიმაჩნია ქების ღირსად? იმიტომ, რომ თავისი მძლავრი მხრებით უდრტვინველად ზიდავდა ვაჭრუკანებისა და წარჩინებული წვრილფეხობის ზიზღს. მაგრამ მითხარით, ბატონო ჩემო, რა ქნა მაინც მაგ დიდმა კაცმა ჯერ არქმნილი და არნახული, ან რა მოსაზრებით მიგაჩნიათ სხვა რამედ და არა უბრალო სათამაშოდ იმ ქარებისა, განუწყვეტლივ რომ მძვინვარებდნენ მის ირგვლივ? იეზუიტები, რომლებიც მან გააძევა, უკანვე დაბრუნდნენ. მცირე რელიგიური ომი, რომელიც მან ხალხის შესაქცევად გააჩაღა, მიინავლა და ზეიმის შემდეგ დარჩა მხოლოდ უბადრუკი ფოიერვერკის მყრალი კარკასი. მე კვერს გიკრავთ და გეთანხმებით, რომ მან იცოდა, როგორ მიერთმია ხალხისთვის სატყუარი, ან, უფრო სწორად, როგორ წაერთმია მისთვის სიმართლე. მისმა პარტიამ, რომელიც მხოლოდ შემთხვევისა და გაქნილი პოლიტიკის წყალობით შემოიკრიბა გარშემო, განსვენებულის სიცოცხლეშივე შეიცვალა სახელიცა და ბელადიც, მაგრამ ისე კი, რომ პროგრამა არ შეუცვლია. ამრიგად, გარემოებებს რომ ეგუებოდა, მისი ხროვა ბოლომდე თავისი ბელადისა და თავისი თავის ერთგული დარჩა და ნუთუ ყველაფერი ეს, ერთად აღებული, კმარა კაცთა განსაცვიფრებლად?

- დიახაც კმარა, - შეესიტყვა ბ-ნი რომანი. - სხვას რომ თავი ვანებოთ, თუნდაც მხოლოდ იმისთვის, რომ მან ერთმა დაიხსნა მართვის ხელოვნება მეტაფიზიკური აბდაუბდის ტყვეობისაგან, რათა საგანთა რეალობისთვის დაებრუნებინა იგი, - მე მისი მეხოტბე ვიქნებოდი მუდამ. თქვენ ამბობთ, რომ თავისი თანამზრახველნი მან მხოლოდ შემთხვევისა და გაქნილი პოლიტიკის წყალობით შემოიკრიბა გარშემო. მაგრამ, თუ გინდა წარმატებით მართო ქვეყანა, როგორ გგონიათ, რა საჭირო გარდა იმისა, რომ მარჯვედ გამოიყენო ხელსაყრელი შემთხვევა და დროზე მიმართო ფანდებს? სწორედ ასე იქცეოდა, ან, უკეთ რომ ვთქვათ, მოიქცეოდა იგი, მეგობართა ლაჩრულ მერყეობასა და მოწინააღმდეგეთა მზაკვრულ თავხედობას რომ არ შეეშალა ხელი. მაგრამ მან სულ ამაოდ შეაღია თავი პირველთა განმტკიცებასა და მეორეთა დაშოშმინებას. მას არ ეყო ორი აუცილებელი იარაღი - დრო და ხალხი, - რათა თავისი კეთილმყოფელი დესპოტიზმი დაემკვიდრებინა ქვეყნად. და მაინც, მან შეიმუშავა განსაცვიფრებელი პროექტი საშინაო პოლიტიკისთვის; ხოლო რაც შეეხება საგარეოს, ნუ დაივიწყებთ, რომ მან ვრცელი და ნაყოფიერი მხარენი შემოუმტკიცა თავის სამშობლოს. და ჩვენ მით უფრო უნდა ვაფასებდეთ მის ღვაწლს, რომ მიუხედავად პარლამენტის ნებისა, რომელზედაც დამოკიდებული იყო, მარტომ წამოიწყო და კეთილადაც დაავგირგვინა არა ერთი და ორი ომი.

- ბატონო ჩემო, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - მან მართლაც დიდი სიმარჯვე და გამჭრიახობა გამოიჩინა კოლონიათა შემომტკიცების საქმეში, მაგრამ მაინც არა იმაზე მეტი, რასაც ყოველი ჩვენგანი იჩენს მიწის ნაკვეთის შეძენისას. ხოლო რაც ყველაზე მეტად მირევს გულს ზღვისიქითა ოპერაციებში, ესაა ევროპელთა არაადამიანური დამოკიდებულება აფრიკისა თუ ამერიკის ხალხების მიმართ. საკმარისია, საქმის ინტერესებმა ყვითლებს ან შავებს შეაჯახოს თეთრები,

რომ ეს უკანასკნელნი უკვე თავის მოვალეობად თვლიან მუსრი გაავლონ ყველას, უკლებლივ. ველურებს უებრო ველურობით უსწორდებიან. თითქმის ყველა კოლონიური ექსპედიცია ამნაირი ხოცვა-ჟლეტით მთავრდება. მე არ უარვყოფ იმას, რომ ესპანელებმა, ჰოლანდიელებმა თუ ინგლისელებმა გარკვეულ უპირატესობას მიაღწიეს ამ დარგში. მაგრამ ამ დიდსა და სისხლიან ავანტიურებში, ჩვეულებრივ, ალაღბედზე გადაეშვებიან ხოლმე. რას ნიშნავს სიბრძნე ერთი კაცისა ან მისი ნება, როცა საქმე ეხება ვაჭრობის, მიწათმოქმედებისა თუ ნაოსნობის ინტერესებს და როცა ყველაფერს უბრალო მოკვდავთა ურიცხვი სიმრავლე განაპირობებს? მინისტრის როლი ამ შემთხვევაში ფრიად უმნიშვნელოა და თუ ჩვენ მაინც მნიშვნელოვნად გვეჩვენება, მხოლოდ იმიტომ, რომ თავები მითოლოგიით გვაქვს გამოტენილი და ვცდილობთ, სახელი და სახე მივცეთ ბუნების ყველა უსახო და უხილავ ძალას. მაინც რა ისეთი სიახლე შეიტანა თქვენმა მინისტრმა კოლონიურ პოლიტიკაში, რასაც უკვე არ იცნობდნენ ფინიკიელნი კადმოსის[31] დროს?

ამ სიტყვების გაგონებისას ბ-ნმა რომანმა ხელიდან გაავლო ატლასი, ხოლო წიგნით მოვაჭრე დაიხარა და ფრთხილად აიღო იგი.

- ბატონო აბატო, - თქვა ბ-ნმა რომანმა, - მე, ჩემდა სამწუხაროდ, თანდათან იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ თქვენ სოფისტი ბრძანდებით. რადგან სოფისტის მეტი ვინ აურევს კადმოსსა და ფინიკიელებში განსვენებული მინისტრის კოლონიურ მონაპოვართ? თქვენ ვერ შეძელით იმის უარყოფა, რომ ყველა ეს მონაპოვარი მისი საქმეა და სრულიად უადგილოდ მიმართეთ კადმოსს, რათა თავგზა აგებნიათ ჩვენთვის.

- იცით, რა, ბატონო ჩემო, - თქვა აბატმა, - მოდით, თავი ვანებოთ ამ კადმოსს, თუკი ასე გაღიზიანებთ. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ მინისტრი ფრიად უმნიშვნელო როლს ასრულებს საკუთარ წამოწყებებში; ამიტომ ის არც დიდების ღირსია, არც გმობის. მერე, მე იმის თქმა მინდა კიდევ, რომ, მართალია, წუთისოფლის ამ უბადრუკ კომედიამი ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს ძლიერნი მბრძანებლობენ, ხოლო სუსტნი ძლიერთ მონებენ, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი თამაშია, ფუჭი მირაჟი. სინამდვილეში, ერთთაც და მეორეთაც უხილავი ძალა განაგებს.

II. წმიდა აბრაამი

ზაფხულის ერთ მშვენიერ საღამოს, როცა უკვე ჩამოხნულდა და „ჩვილი ბახუსის“ ფარნის გარშემო არილდა მუშლის ლაშქარი, ბ-ნი აბატი კუანიარი წმიდა ბენედიქტე განრღვეულის ტაძრის ეზოში იჯდა ქვის მერხზე და ღამის სიგრილით

ტკბებოდა. ჩვეულებისამებრ ფიქრში წასულს კატერინა მიეახლა და მის გვერდით ჩამოჯდა მერხზე. ჩემს კეთილ მოძღვარს აგრე სჩვეოდა: როცა უფლის შესხმა ეწადა, მის ქმნილებებს აქებდა ხოლმე. მას ეამა ამ მწყაზარი არსების ხილვა და, რაკი სული გაზაფხულს ჰგავდა მისი, ბევრი ფერადოვანი და ამაოდ სასმენი სიტყვა ასმინა ასულს. მან ჯერ ჭკუა შეაქო მისი და თქვა, რომ ამ კარგ გოგოს მარტო ენა კი არა აქვს ჭკვიანი, არამედ ვერცხლის ძუძუებიც, მკლავებიც და სხვა მისთანანი. ახლა იმას აღარ იტყვით, როგორ იცინის?! არა მარტო ღაწვებითა და ბაგეებით, არამედ მთელი თავისი ნაჩვრეტებით, მთელი თავისი სალუქი და ქორფა სხეულით, და მის სამოსსაც ასე მიტომ გამოვყავართ მოთმინებიდან, რომ ხელს გვიშლის დავინახოთ, როგორ იცინის მთელი არსებით, თხემით ტერფამდე.

- რაკი, გვინდა თუ არ გვინდა, ყველამ უნდა ვცოდოთ ამ ქვეყნად, - ამბობდა იგი, - და ვერვინ, მზვაობართა გარდა, უცოდველად ვერ ჩათვლის თავს, მე ვისურვებდი, ძვირფასო ჩემო, ისევ თქვენს გვერდით წამრთმეოდა ღვთიური მადლი და მოწყალება, რა თქმა უნდა, თუკი ასეთი იქნებოდა თქვენი კეთილი ნებაც. ამით ორ რამეს მოვიგებდი უთუოდ: ჯერ ერთი, წარმოუდგენელი სიამოვნებით შევცოდავდი თქვენთან და მეორეც, თქვენი მშვენება უთუოდ გამამართლებდა ბოლოს, რადგან განკითხვის წიგნში, ალბათ, შავით თეთრზე წერია, რომ თქვენს გრძნებას ვერავინ აღუდგება წინ. და ესეც ყურადსაღებია თუ არა? ზოგი რეგენი დუბჭირსა და ხორცდარღვეულ დიაცებთან ეძლევა სიძვას. რა იციან ამ უბედურებმა, წარწყმედას რომ უმზადებენ თავიანთ თავს. რადგან ისინი იმისთვის სცოდავენ, რომ სცოდონ და მათი ცოდვილი გულმოდგინება ბოროტებას ამრავლებს მხოლოდ. მაშინ, როდესაც თქვენი გრძნებით ამრევი კანი, კატერინა, უთუოდ გამამართლებს კაცს გულთამხილავის წინაშე. თქვენი მშვენება სასწაულებრივად ამსუბუქებს დანაშაულს, რადგანაც უნებური დანაშაული უფრო ადვილად მიეტევება კაცს. პირდაპირ გეტყვით, ჩემო ძვირფასო, თქვენს გვერდით მე ვგრძნობ, როგორ მტოვებს ღვთიური მადლი და მტრედივით იჭრება ცაში. აი ახლაც, ამას რომ ვამბობ, ის უკვე გაქრა, გაუჩინარდა და მისგან დარჩა მხოლოდ ერთი ციცქნა თეთრი წერტილი, აგერ იქ, იმ სახურავებს ზემოთ, სადაც კატები ველური ჩხავილით ეძლევიან სიყვარულს, მაშინ, როდესაც მთვარე ურცხვად ჩამომჯდარა ბუხრის ჭკარტილიან თავზე. ყველაფერი, რასაც სამოსი არ გიფარავთ, კატერინა, საოცრად მალეღვებს მე, და რასაც გიფარავთ, - ის უფრო მეტად.

ამ სიტყვებზე კატერინამ დაბლა დახარა თვალები და თავის მუხლებს დააშტერდა. მერე უეცრად ანთებული მზერა მიაპყრო ბ-ნ აბატ კუანიარს.

და უნაზესი ხმით წარმოსთქვა: - მე ვხედავ, რომ ჩემთვის მხოლოდ სიკეთე გსურთ, ბატონო ჟერომ. მაშ, აღმითქვით, რომ შემისრულებთ, რასაც ახლა გთხოვთ. მე ისეთი მადლობელი ვიქნები თქვენი, ისეთი!..

ჩემმა კეთილმა მოძღვარმა აღუთქვა: ან კი ვინ არ აღუთქვამდა მის ადგილას?

მაშინ კატერინამ სხაპასხუპით მიაყარა: - როგორც მოგეხსენებათ, ბატონო ჟერომ, აბატი ლა პერიუკი, წმიდა ბენედიქტეს სამრევლოა ვიკარი, ურცხვად აბრალებს ძმა ანგელუს ვირი მომძარაო; გუმინ საჩივარიც შეიტანა მოსამართლესთან. მაგრამ ეს მტკნარი სიცრუე და ცილისწამებაა მხოლოდ. კეთილმა ძმამ დროებით ითხოვა ვირი, რადგან რელიკვიები უნდა დაეტარებინა სოფელ-სოფელ. ვირი გზაში დაიკარგა. რელიკვიებს კი მიაგნეს. ხოლო მთავარი ესაა სწორედ, როგორც ძმა ანგელუსი ამბობს. მაგრამ აბატი ლა პერიუკი დაჟინებით მოითხოვს თავის ვირს და არაფრის გაგონება არა სურს. თუ ასე გაგრძელდა, იმდენს იზამს, რომ საწყალ ძმას არქიეპისკოპოსის დილეგში ამოაყოფინებს თავს. მხოლოდ თქვენ ერთს შეგიძლიათ გული მოუღბოთ მას და უკან წააღებინოთ საჩივარი, ბატონო ჟერომ.

- კი მაგრამ, ჩემო მშვენიერო, - მიუგო აბატმა კუანიარმა, - მე არც ამის შეძლება მაქვს და არც სურვილი.

- აჰ, ამოიოხრა კატერინამ, უფრო ახლო მიუჩოჩდა და თვალთმაქცური სინაზით შეხედა აბატს, - სურვილიო? მაშინ მოკვდეს კატერინა, თუ სურვილი ვერ გაგიღვიძათ! ხოლო რაც შეეხება შეძლებას, თქვენ შეგიძლიათ, თქვენ ბევრი რამ შეგიძლიათ, ბატონო ჟერომ. თქვენთვის ისე ადვილია ჩვენი საწყალი ძმის ხსნა; საკმარისია, დიდმარხვისთვის რვა ქადაგება მიართვათ ბატონ ლა პერიუკს და საშობაოდაც - ოთხი. თქვენ ისე კარგად გამოგიდით ქადაგებანი, რომ მათი თხზვა, ალბათ, სიამოვნებას განიჭებთ მხოლოდ. შეთხზეთ თორმეტი ქადაგება, ბატონო ჟერომ, შეთხზეთ ახლავ, დაუყოვნებლივ. მათთვის მე თვითონ მოგაკითხავთ თქვენს სენაკში სენტ-ინოსანის სასაფლაოზე. ბატონ ლა პერიუკს, რომელიც დიდად აფასებს თქვენს სიბრძნესა და დამსახურებას, მიაჩნია, რომ თქვენი თორმეტი ქადაგება მის ერთ ვირად ღირს. როგორც კი ამ თორმეტ ქადაგებას მიიღებს, უკან წაიღებს თავის საჩივარს. რა არის თქვენთვის თორმეტი ქადაგება, ბატონო ჟერომ? სიტყვას გაძლევთ, მეთორმეტეს მე თვითონ დავუსვამ ბოლოში ამინს. თქვენ ხომ აღმითქვით, - დასძინა მან და ყელზე მოეჭდო აბატს.

- თუ ასეა, - გადაჭრით თქვა ბ-ნმა კუანიარმა და თან თლილი თითების ნასკვი შეიხსნა კისერზე, - უკან მიმაქვს ჩემი სიტყვები. აღთქმა, რომელსაც მაცთურ დიაცებს ვაძლევთ, მხოლოდ ჩვენს ხორცს ავალდებულებს და მისი დარღვევა დიდ ცოდვად არ ჩაგვეთვლება. ტყუილად გგონიათ, ჩემო ლამაზო, რომ სულიერ მსაჯულს ხელიდან გამოვტაცებ თქვენს წვეროსან აშიკს. ერთი და ორი კი არა, თორმეტი ქადაგების შეთხზვა რომ დამჭირდეს მართლაც, თუ შევთხზავ, ისევ იმ გახრწნილ ბერ-მონაზონთა წინააღმდეგ შევთხზავ, რომელნიც არცხვენენ ეკლესიას და ბუზებივით ეხვევიან წმიდა პეტრეს კაბის ტკბილ კალთებს.[32] ეგ თქვენი ანგელუსი - თაღლითია და ყალთაბანდი. წმიდა ნაწილებად ასაღებს და ღვთისმოსავ დედაბრებს აგრე აწვდის სამთხვევად ჭედილასა და ბურვაკის ძვლებს, რომლებსაც თვითონვე ხრავს გულისამრევი სიხარბით. სანაძლეოს ვდებ, რომ ბატონ ლა პერიუკის ვირით მას მიჰქონდა გაბრიელ მთავარანგელოზის ფრთა და იმ

ვარსკვლავის სხივი, რომელიც წინ უძღოდა აღმოსავლეთით მომავალ მოგვებს, ხოლო პატარა შუშით ერცახე რეკვა იმ ზარებისა, სოლომონის ტაძრის სამრეკლოზე რომ გუგუნებდნენ. ის ცრუა, ის ხეპრეა და ის თქვენ გიყვართ. აი, სამი მიზეზი, რომელთა გამო არ მომწონს იგი. ხოლო რომელია ამათგან უპირველესი, ამის გარკვევა თქვენთვის მომინდვია, ჩემო ძვირფასო. თუმცა ეს უპირველესი მიზეზი, შესაძლოა, ყველაზე უხამსიც იყოს, რადგან ახლა ისეთი დაუოკებელი ნდომით მომინდით, რომელიც სულაც არ შეჰფერის არც ჩემს ხარისხს და არც ჩემს ასაკს. მაგრამ არაფერი შეგეშალოთ. მშვენივრად მესმის, რამხელა ზიანს აყენებს თქვენი ანაფორიანი აშიკი მაცხოვრის ჩვენის იესო ქრისტეს ეკლესიას, რომლის უღირს წევრადაც თვლის თავს თქვენი მონა-მორჩილი. და ამ კაპუცინის მაგალითი ისეთ ზიზღს იწვევს ჩემში, რომ უცებ სურვილმა მომიარა, ავდგე და წმიდა იოანე ოქროპირის მშვენიერ სტრიქონებზე დავიუნჯო გონი, ნაცვლად იმისა, რომ მუხლი გიხახუნოთ მუხლზე, რითაც აგერ უკვე მეოთხედი საათია ვტკბები. რადგან სურვილი ცოდვილისა წარმავალია, უფლის დიდება კი მარადიული. მე არასდროს მიმიჩნევია სიძვა მაინცდამაინც დიდ ცოდვად, და ამას თქვენც აღიარებთ, ალბათ. ბატონ ნიკოდემივით როდი მაძრწუნებს ათქვირებულ ასულებთან ლაღობა, მაგრამ თუ რამეს ვერ ვიტან ქვეყნად, უპირველეს ყოვლისა, სულის სიმდაბლეს, პირფერობას, სიცრუესა და გონებაჩლუნგობას, რომელთაც, როგორც ჭეშმარიტი კაპუცინი, უებროდ აერთებს თავის თავში თქვენი ანგელუსი. მაგ გახრწნილს რომ ეკურკურებით, ჩემო ლამაზო, თქვენ ეფლობით გარყვნილების ისეთ მწვირეში, რომელიც არცხვენს თქვენს პროფესიას და კოკოტას ღირსეულ სახელს. მე ვიცი, რამდენი სირცხვილისა და დამცირების გადატანა გიხდებათ, მაგრამ კოკოტას ხელობა მაინც ასჯერ უფრო სუფთაა, ვიდრე კაპუცინისა. ნუთუ ვერა გრძნობთ, რომ ეგ სალახანა ისევე გსვრით, როგორც ყველასა და ყველაფერს, რასაც ეხება, როგორც, თუნდაც, ჩვენი ქუჩის წყალსადენ არხს, რომელშიც თავისი ბინძური ფეხისგულებით მიტყაპუნობს ხოლმე. იფიქრეთ, ჩემო მშვენიერო, ყველა იმ სათნოებისთვის, რომლებითაც შეგეძლოთ შეგემკოთ სული, მიუხედავად თქვენი საეჭვო ხელობისა, და რომელთაგანაც ნებისმიერი გაგიხსნიდათ სასუფევლის კარს, ასე რომ არ ეკვროდეთ და ემონებოდეთ მაგ ბილწ პირუტყვს.

მიუხედავად თქვენი ალებ-მიცემობისა, თქვენ შეგეძლოთ, კატერინა, სარწმუნოებაში, იმედსა და ღმობიერებაში განგემტკიცებინათ თავი, გყვარებოდათ უპოვარნი, მოგეხილათ სნეულნი, გაგეკითხათ გლახაკნი, გენუგემებინათ უნუგემონი და გაგეხარათ შეუმღვრეველი სიხარულით ამ მშვენიერი ცის, წყლების, ტყეებისა და მინდვრების მჭვრეტელს. თქვენ შეგეძლოთ, მსხემობის დღეებში, ასულიყავით წმიდა ვალერიანის მთაზე და იქ, ჯვრის ფერხთით განრთხმულს, ჩუმი ცრემლებით დაგეტირებინათ თქვენი დაკარგული უბიწოება. ერთი სიტყვით, თქვენ შეგეძლოთ გეთქმევინებინათ გულთამხილავისთვის: „კატერინა ჩემი ქმნილებაა, და მე მას ვცნობ იმ ღვთიური ცეცხლის ნაპერწკლით, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩამქრალა მასში სავსებით“.

კატერინამ გააწყვეტინა.

- რაო, ბატონო აბატო, - მშრალად იკითხა მან, - ვითომ რაში დაგჭირდათ ახლა ეგ ქადაგება?

- კი მაგრამ, თუ არ ვცდები, წელან თქვენ მთელ დუჟინს მთხოვდით ერთად, - მიუგო მან.

კატერინა გაბრაზდა: - ფრთხილად, აბატო. იცოდეთ, თქვენზე ჰკიდია, მეგობრები ვიქნებით თუ მტრები. მაშ ასე, მპირდებით თუ არა თორმეტ ქადაგებას? კარგად დაფიქრდით, ვიდრე პასუხს გამცემდეთ.

- მადმუაზელ, - თქვა აბატმა კუანიარმა, - ჩემს სიცოცხლეში არა ერთი და ორი გმობის ღირსი ნაბიჯი გადამიდგამს, მაგრამ, მადლობა უფალს, მაშინ კი არა, როცა დაფიქრების დრო და საშუალება მქონია.

- მაშ, თქვენ არ გსურთ? კარგად დაფიქრდით! ერთი.. ორი... უარზე ხართ? ფრთხილად, აბატო, მე შურს ვიძიებ.

ის გაიფხორა და ერთხანს ასე ჩუმად იჯდა, პირგამეხებული. მერე უეცრად იკვილა: - მორჩით, ბატონო აბატო კუანიარ! რაღა დროს თქვენი ეგეებია! ფუი! ბატონო აბატო, ფუი! ვაი სირცხვილო, ვაი სირცხვილო!

ვიდრე ის ასე კიოდა, აბატმა შენიშნა, როგორ გადმოსჭრა ეზო მადმუაზელ ლეკერმა, გალანტერიით მოვაჭრემ. ამ უდროო დროს წმიდა ბენედიქტეს მესამე ვიკართან აღსარების სათქმელად მოსულიყო და როცა გვერდით ჩაუარა მერხზე მსხდომთ, პირი იბრუნა უღრმესი ზიზღის ნიშნად.

აბატი მიხვდა, რომ კატერინამ სწრაფად და დაუნდობლად იძია შური; რადგან მადმუაზელ ლეკერის სათნოება წელთა სიმრავლით ისე გამოიწრთო და გამოიბრძმედა, რომ ეს ღირსეული მანდილოსანი უღმობლად უტევდა სამრევლოს ყველა უკეთურებას და თავისი ბასრი ენით დღეში შვიდჯერ მაინც ხვრეტდა წმიდა იაკობის ქუჩის ცოდვილ მცხოვრებთ.

მაგრამ კატერინამ ვერც კი შენიშნა, რაოდენ ზუსტად მოარტყა მიზანს. მან დაინახა ქალბატონი ლეკერი, მაგრამ არ დაუნახავს მამაჩემი, რომელიც მას მოსდევდა უკან.

მე და მამაჩემი აბატს ვეძებდით, რათა „ჩვილ ბახუსში“ მიგვეწვია. მამაჩემს მოსწონდა კატერინა და მშვენივრად იცოდა, ვინც მოსწონდა, მაგრამ მაინც ცოფდებოდა, როცა რომელიმე კავალერის მკლავებში წაასწრებდა ხოლმე. მან გარკვევით გაიგონა კატერინას კვილი. მამაჩემი ფიცხი კაცი იყო და ადვილად კარგავდა წონასწორობას. ამიტომ შიშმა ამიტანა, ვაითუ რისხვით ცნობამიხდილი

ლანძღვა-გინებას მოჰყვეს-მეთქი: მე უკვე წარმოვიდგინე, როგორ დაადრობდა წინსაფრიდან ქონსატენ მახათს, რომელსაც ფრიად საპატიო საჭურვლად თვლიდა, ვინაიდან პირდაპირ აღმერთებდა თავის ხელობას.

საბედნიეროდ, ჩემი შიში სანახევროდ გამართლდა მხოლოდ. ამ შემთხვევამ, საცა კატერინამ ასეთი სიმტკიცე და შეუვალობა გამოიჩინა, იმდენად როდი გაარისხა, რამდენადაც გააკვირვა მამაჩემი, და კმაყოფილების გრძნობამ, რომელიც მას დაეუფლა, დასძლია რისხვა.

თავშეკავებით მიეახლა ჩემს კეთილ მოძღვარს და დამცინავი სიმკაცრით მიმართა მას: - ბატონო კუანიარ, ღვთისმსახური, რომელიც მხიარულ დიაცებთან ურთიერთობას ეძებს, ჩირქს სცხებს თავის სათნოებასა და კეთილ სახელს. და ეს ასეა მაშინაც კი, როცა თავისი უკეთურების სანაცვლოდ ვერაფერს იღებს და პირში ჩალაგამოვლებული რჩება.

კატერინა წამოდგა და შეურაცხყოფილი უმანკოების სახით გაეცალა იქაურობას. ჩემმა კეთილმა მოძღვარმა კი ჩვეული ენაწყლიანობით მიუგო მამაჩემს: - თქვენი მაქსიმა ჭეშმარიტად მშვენიერია, ოსტატო ლეონარ, მაგრამ მაინც ნუ მივაკრავთ განურჩევლად ყველა შემთხვევას, იმ „ექვსგროშიან“ იარლიყთა მსგავსად, რომელთაც თავის დანებს აკრავს ჩვენი მაიმახი მედანე. არ მოვყვები იმის ჩხრეკას, რამდენად მართებულად მაკერებთ მას. ვიტყვი მხოლოდ, რომ მე ის დავიმსახურე.

უხამსობად მიმაჩნია თავის მართლება, და ეგეც არ იყოს, ვიდრე ჩემი ხასიათის თავისებურებებზე მოვყვებოდი ლაპარაკს, ჯერ ჩემი სიმორცხვე უნდა დამეძლია. უმჯობესია, ისევ ღირსი მამის რობერ არბრისელის მაგალითს მივმართო, ოსტატო ლეონარ, სიძვის დიაცებს ხშირ-ხშირად რომ უქადაგებდა და ასე მოიგონეტარება კეთილმოღვაწემ. აქვე შეგვეძლო გვეხსენებინა წმიდა აბრაამი, სირიელი ანაქორეტი, რომელმაც წარბშეუხრელად შევლო საროსკიპოს კარი.

- ეგ რომელ აბრაამზე ბრძანებთ? - იკითხა - მამაჩემმა, რომელსაც ყველაფერი აერდაერია თავში.

- მოდი, თქვენი სახლის წინ დავსხდეთ, - თქვა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - თქვენ ერთ ხელადა ღვინოს გამოიტანთ, მე კი მაგ დიდი წმიდანის თავგადასავალს გიამბობთ, როგორც წმიდა ეფრემი გადმოგვცემს მას.

მამაჩემმა თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად. მერე სამივენი ფარდულში მივყუჩდით და ჩემმა კეთილმა მოძღვარმაც დაიწყო: - წმიდა აბრაამი მარტო ცხოვრობდა უდაბნოში, პატარა ქოხში. ნახევრად მიხრწნილს ძმა მოუკვდა და მისი უასაკო, საოცრად ლამაზი ასული, რომელსაც მარიას ეძახდნენ, წმიდანის ანაბრად დარჩა. რაკი განდეგილის ცხოვრება ობლისთვისაც სავსებით შესაფერად მიაჩნდა,

აბრაამმა თავისი ქოხის გვერდით მცირე სადგომი აუგო და კედელში დატანებული ვიწრო სარკმლიდან ასწავლიდა და წვრილად ძმისწულს.

ერთავად იმის ცდაში იყო, რომ მარიას ემარხულა, ეფხიზლა და ფსალმუნები ეგალობა დღემუდამ. მაგრამ ერთხელ, ერთი შაოსანი ბერი, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, ცრუ ბერი იყო, ქალწულის სენაკში შეიპარა სწორედ იმ დროს, როცა წმიდა აბრაამი საღმრთო წერილს ჩაჰკირკიტებდა და აცთუნა იგი. მაშინ მარიამ თქვა: - რაკი უფლისთვის დავიკარგე, უმჯობესია უცხო მხარეს გადავიხვეწო, სადაც არავინ მიცნობს წარწყმედილს.

ქურდულად დატოვა თავისი სენაკი და მეზობელ ქალაქს მიაშურა, ედესად სახელდებულს, რომელსაც საუცხოო ბაღები და გრილი შადრევნები ამშვენებდნენ და რომელიც სირიის ერთი ყველაზე დალოცვილი ქალაქია დღესაც.

წმიდა აბრაამი კი კვლავ საღმრთო წერილს ჩაჰკირკიტებდა. მისი ძმისწული უკვე რამდენიმე დღის გაპარული იყო, როცა სენაკის სარკმელი გამოაღო და იკითხა: - რა დაგემართა, ქალო, რატომ აღარ გალობ ფსალმუნებს, ასე მშვენვინვრად რომ გალობდი?

პასუხი რომ ვერ მიიღო, მიხვდა, რაშიც იყო საქმე და წამოიძახა: - მძვინვარე მგელმა წარიტაცა ჩემი უმანკო კრავი.

ორ წელიწადს იგლოვა იგი. მერე კი შეიტყო, რომ მისი ძმისწული გარყვნილების გზას დასდგომოდა. არ აჩქარებულა. გადაწყვიტა ფრთხილად ემოქმედა და თავდაპირველად ერთ მეგობარს სთხოვა, ქალაქი დაევილო და გაერკვია, რა იყო მის თავს. მეგობარმა დაუდასტურა, მარია მართლაც გარყვნილ ცხოვრებას ეწევაო. მაშინ წმიდა აბრაამმა ერისკაცის სამოსი და ცხენი ითხოვა მისგან, შუბლზე ფართოფარფლიანი ქუდი ჩამოიფხატა, რადგან არ უნდოდა ვინმეს ეცნო, და ასე მიადგა იმ ქარვასლას, სადაც, როგორც აცნობეს, მისი ძმისწული ცხოვრობდა. დიდხანს იდგა ქარვასლასთან ატუზული და აქეთ-იქით იყურებოდა, ეგება თვალი მოვკრაო ძმისწულს. მაგრამ რაკი მარია არსით გამოჩნდა, უდარდელი კაცის იერი მიიღო და ღიმილით მიმართა ქარვასლის პატრონს: - როგორც მითხრეს, თქვენ აქ ერთი ტურფა გყოლიათ. არ შეიძლება მისი ნახვა, ბატონო ჩემო?

ქარვასლის პატრონი სტუმართმოყვარე კაცი იყო ხელობით და ხელად მოჰგვარა მარია, ვისი სამოსიც, როგორც წმიდა ეფრემი ბრძანებს, ნათლად მოწმობდა, რა გზასაც ადგა იგი. ხოლო წმიდა კაცი მწუხარებით აღივსო მაშინ.

მაგრამ არაფერი შეიმჩნია და უხვი ტრაპეზი შეუკვეთა ქარვასლის პატრონს. იმ დღეს ფრიად სევდიანი იყო მარია. ვინც სიამოვნებას გვანიჭებს, თვითონაც ყოველთვის როდი განიცდის მას, და ეს მიხრწნილი ბერიკაცი, რომელსაც ქუდი თვალებამდე ჰქონდა ჩამოფხატული, და სწორედ ამის გამო ვერ იცნო, ნაკლებად

ახარებდა მას. ამიტომ პატრონმა ყვედრებით აავსო იგი: რად არცხვენო შენს ხელობას მაგ სევდით, ქალო. მარიას მხოლოდ ეს აღმოხდა პასუხად: - ნეტავი სამი წლის წინათ მოვეკალი ღმერთს.

მაშინ წმიდა აბრაამმა მეძრუშის სილირფით მიმართა მას: - მე აქ იმისთვის როდი მოვსულვარ, რომ შენი ცოდვები დავიტყო, ჩემო ლამაზო; მე შენი სიყვარული მწყურია მხოლოდ.

მაგრამ, როგორც კი ქარვასლის პატრონმა მარტო დატოვა ისინი, მოიგლიჯა ქული და ატირდა: - მარია, შვილო ჩემო! ნუთუ ვერა მცნობ? მე ხომ აბრაამი ვარ, მამის მაგიერი შენი?

მერე ხელი მოჰკიდა და მთელი ღამე ეჭურჩულეობდა; ცოდვების მონანიებას სთხოვდა, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც იმას ცდილობდა, როგორმე სასოწარკვეთისგან ეხსნა ძმისწული და დაუსრულებლად უმეორებდა ერთსა და იმავეს: მხოლოდ ღმერთიაო უცოდველი, შვილო.

მარია ბუნებით მშვიდი იყო და თვინიერი. ის დათანხმდა დაბრუნებოდა მოხუცს. უთენია გაუდგნენ გზას. მარიას უნდოდა თავისი კაბებიცა და სამკაულებიც წაეღო, მაგრამ წმიდა აბრაამმა არ დაანება. ცხენზე შეისვა ძმისწული და ასე მიიყვანა უდაბნოს, სადაც ტკბილად და ბედნიერად იცხოვრეს დიდხანს. მაგრამ ამჯერად წმიდა აბრაამმა იზრუნა იმისთვის, რომ მარიას ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტა ქვეყანასთან. და მხოლოდ მისი სენაკის გავლით გასულიყო გარეთ. აი, ასე, ღვთის შეწევნით, დაიცვა მან თავისი კრავი.

ასეთია წმიდა აბრაამის ისტორია, - დაასრულა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა და თან ღვინით სავსე ჯამი მოიყუდა.

- მშვენიერი ისტორიაა, - თქვა მამაჩემმა, - რაღა დაგიმალოთ და, ცრემლიც კი მომადგა თვალზე, ისე შემძრა ამ საწყალი მარიას ბედმა.

III. მინისტრები

(გაგრძელება და დასასრული) იმ დღეს ჩვენ ფრიად განცვიფრებულნი დავრჩით, - ჩემი კეთილი მოძღვარი და მე, - როცა ბ-ნი ბლეზოს დუქანში „წმიდა კატერინას ხატი“ პატარა კაცუნას წავადექით თავს, ყვითელსა და ხმელს. ეს იყო ჟან ჰიბუ, სახელგანთქმული პამფლეტისტი ჟან ჰიბუ, არც მეტი და არც ნაკლები. ჩვენ კვლავ ბასტილიაში გვეგონა იგი, სადაც უფრო მეტ ხანს ატარებდა, ვიდრე საკუთარ სახლში, და თუ მაშინვე ვიცანით, მხოლოდ იმიტომ, რომ მის სახეს ჯერ კიდევ აჩნდა

დილეგის სიბნელისა და სინესტის კვალი. ხელის კანკალით ფურცლავდა ჰოლანდიიდან ახლად მიღებულ პოლიტიკურ ბროშურებს, ხოლო წიგნით მოვაჭრე შემფოთებით აყოლებდა თვალს მის მოძრაობას. ბ-ნმა აბატმა ჟერომ კუანიარმა ჩვეული თავაზიანობით მოუხადა ქუდი დამხვდურს, და მისი ჟესტი კიდევ უფრო საგრძნობი იქნებდა, ჩემი კეთილი მოძღვრის თავსარქმელი ასე რომ არ შეელანდლა „ჩვილი ბახუსის“ ფანჩატურში წინა საღამოს გამართულ ცემა-ტყეპას.

ბ-ნმა აბატმა ჟერომ კუანიარმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ კვლავ ხედავდა ასე მაღალნიჭიერ კაცს.

- თქვენი სიხარული ძალზე ხანმოკლე იქნება, - მიუგო ბ-ნმა ჟან ჰიბუმ. - მე ვტოვებ ამ ქვეყანას, სადაც აღარ დამედგომება. აღარ შემიძლია პარიზის გახრწნილი ჰაერის სუნთქვა, აღარც ფლერის ყურება დიუბუას შემდეგ. ერთ თვეში ჰოლანდიას გადავბარგდები. როგორც ჩანს, ჩემი სიქველე მეტისმეტია ერთი ფრანგისთვის. ჩვენ ავი კანონები გვაქვს და ავისმოქმედთ ვემორჩილებით. აი, რაა ჩემთვის ასე აუტანელი.

- მართალს ბრძანებთ, - თქვა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - ჩვენი საქმე თანდათან ხელიდან მიდის და ჩვენს მთავრობაშიც ბევრი გაიძვერაა და მპარავი. ძალაუფლება ბრიყვებსა და უკეთურებს უპყრიათ ხელთ და თუ ოდესმე ჩვენს წამხდარ დროზე დავაპირებ რამის დაწერას, ეს იქნება პატარა წიგნი, ფილოსოფოს სენეკას „აპოკოლოკინთოსისა“ თუ ჩვენი მაღლიანი „მენიპეს სატირის“ [33] მსგავსი. ამ საგანს ასეთი მსუბუქი და მხიარული მანერა უფრო შეეძენის, ვიდრე ტაციტის მკაცრი ლაპიდარობა, ანდა დე ტუს [34] მრავლისმთმენი ღრმააზროვნება. მერე ამ პასკვილს ხელნაწერების სახით გავავრცელებ ფარულად, რათა ხელი-ხელ საგომანებმა კაცთა მიმართ ფილოსოფიური ზიზღი იქადაგოს ხალხში. ძალაუფლების ბევრ მპყრობელს უთუოდ გააცოფებს, მაგრამ ზოგ-ზოგიერთი შეიძლება იდუმალ დატკბეს კიდევ თავს ლაფის დასხმით. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ ერთი კეთილშობილი მანდილოსნის სიტყვები გამახსენდა, რომელიც სეუზში გავიცანი, როცა ბატონ ეპისკოპოსს ვემსახურებოდი წიგნთსაცავის მცველად. ის უკვე ვარდდამქუნარი იყო, მაგრამ მისი არსება ჯერ კიდევ თრთოდა გარდასულ დროთა თავაწყვეტილი ორგიებით. რადგანაც, უნდა მოგახსენოთ, რომ ოცი წლის მანძილზე ყველაზე აღვირახსნილ ჭკად ითვლებოდა მთელს ნორმანდიაში. ერთხელ, როცა ვკითხე, ყველაზე დიდი სიამოვნება როდის განგიცდიათ-მეთქი თქვენს სიცოცხლეში, მან მიპასუხა: - როცა ნამუსახდილად მიგრძვნია თავიო.

ამ პასუხმა მისი გრძობების სინატიფე და დახვეწილობა მაგრძნობინა. მე მგონია, ეს დახვეწილობა არც ჩვენს მავან და მავან მინისტრისთვისაა უცხო, და თუ ოდესმე მათ წინააღმდეგ გავილაშქრებ, მხოლოდ იმიტომ, რომ საამოდ შევუღიტიწო მათ ბიწსა და უსირცხვოებას. მაგრამ რაღად ვიჭოქმანო, ეხლავ რად არ შევასხა ხორცი

ამ მშვენიერ ჩანაფიქრს? დაუყოვნებლივ საწერ ქაღალდს ვთხოვ ბატონ ბლეზოს და დავჯდები ახალი „მენიპეს“ პირველი თავის წერად.

და ის იყო ხელი გაუწოდა განცვიფრებულ ბ-ნ ბლეზოს, რომ ბ-ნმა ჟან ჰიბუმ მკვეთრი მოძრაობით შეაჩერა იგი.

- მოითმინეთ, ბატონო აბატო, - თქვა მან, - ეგ მშვენიერი ჩანაფიქრი საკოლანდიოდ შემოინახეთ და ჩემთან ერთად წამობრძანდით ამსტერდამს, სადაც ლიმონადით მოვაჭრესთან ან აბანოს მეპატრონესთან მოგაწყობთ ჩასვლისთანავე. იქ თქვენ სავსებით თავისუფალი იქნებით. საღამოობით კი მაგიდას მოვუსხდებით ორივე, და თუ თქვენ მაგ ახალს „მენიპეზე“ იმუშავეთ, მე ჩემს პამფლეტებს შევთხოვავ. მათში იმდენ გესლს ჩავანთხევთ, რომ, ვინ იცის, იქნებ შეერთებული ძალებით მთავრობის შეცვლაც კი შევძლოთ ჩვენს სამეფოში? პამფლეტისტების როლი მთავრობათა დამხობის საქმეში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება ეჩვენოს კაცს: ისინი ამზადებენ კატაკლიზმებს, რომელთაც შემდეგ ამბოხებული ბრბო აგვირგვინებს.

- წარმოგიდგენიათ, რა ზეიმი მექნება, რა სიხარული, - გამოსცრა მან თავისი ჩაშავებული, გესლიანი ნერწყვით დახრული კბილებიდან, - თუ შევძლებ შევმუსრო ერთი იმ მინისტრთაგანი მაინც, რომელთა სიმხდალემ კინაღამ გამომალპო ბასტილიაში! და ნუთუ თქვენ, ბატონო აბატო, მონაწილეობას არ მიიღებთ ესოდენ კეთილშობილურ საქმეში?

- ბაჰ, თქვენც არ მომიკვდეთ, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - მე სულაც არ მსურს რამე შეიცვალოს ჩვენს სამეფოში; და თუ შემეძლოს იმის წინასწარ განჭვრეტა, რომ ჩემს „აპოკოლოკინთოსისს“ ანდა „მენიპეს“ მსგავსი რამ მოჰყვებოდა შედეგად, სულაც არ დავწერდი მათ.

- როგორ! - წამოიძახა იმედეგაცრუებულმა პამფლეტისტმა, - კი, მაგრამ, თქვენ ხომ ეს წუთია მეუბნებოდით, ჩვენი მთავრობა ყოვლად წამხდარი და უვარგისიაო?

- რასაკვირველია, - მიუგო აბატმა, - მაგრამ, მე ერთი სირაკუზელი დედაბრის ბრძნულ მაგალითს მივდეგ. მაშინ, როცა დიონისიოსს[35] უღრმესი სიძულვილით ემსჭვალვოდა თავისი ხალხი, ეს დედაბერი დღემუდამ ტაძარში დადიოდა და ღმერთებს ევედრებდა - გვიდღეგრძელებოთ ტირანი. ამ გაუგონარი გულმოწყალების ამბავი რომ გაიგო, დიონისიოსმა მიზეზის გაგება მოისურვა. მოაყვანინა კეთილი ქალი და გამოწვლილვით გამოჰკითხა ყოველი.

„მე უკვე ბებერი ვარ, - მიუგო მან, - მრავლის მომსწრეს მინახავს, როგორ მოდიოდნენ და მიდიოდნენ ტირანები, მაგრამ არც ის დამრჩენია შეუმჩნეველი, რომ ავს უავესი ცვლიდა ყოველთვის. შენ ყველაზე ამაზრზენი ხარ მათ შორის. აქედან მე ვასკვნი, რომ შენი მემკვიდრე შენზე უფრო ამაზრზენი იქნება, თუკი ეს

შესაძლებელია საერთოდ. ჰოდა, აი, მეც ვევედრები ღმერთებს, რაც შეიძლება გვიან მოგვივლინონ იგი“.

- ეს დედაბერი ნამდვილი ჭკუის კოლოფი იყო. და მეც მასავით მიმაჩნია, ბატონო ჟან ჰიბუ, რომ ცხვრები ბრძნულად იქცევიან, როცა მოხუც მეცხვარეს აპარსვინებენ თავს, იმის შიშით, ვაითუ მოვიდეს მეორე, ახალგაზრდა, და უფრო მოკლედ გაგვპარსოსო.

ამ სიტყვებმა მთლად გადარია ბ-ნი ჟან ჰიბუ და ის აყვირდა: - რა ლაჩრული სიტყვებია! რა მდაბალი პრინციპები! ვაი, ბატონო აბატო, რა ცუდად ზრუნავთ საზოგადო სიკეთისათვის, რა ნაკლებად იმსახურებთ მუხის იმ გვირგვინს, რომელსაც ღირსეულ მოქალაქეებს აღუთქვამენ პოეტები! თქვენ სათათრეთში უნდა დაბადებულიყავით, ანდა თურქეთში, ჩინგისხანისა თუ ბაიაზეთის მონად, და არა ევროპაში, სადაც საზოგადოებრივი სამართლისა და ფილოსოფიის მაღალ პრინციპებს ნერგავენ მოაზროვნენი. როგორ! თქვენ ითმენთ ავ მთავრობას და დამხოვაც არა გსურთ მისი?! ჩემი პროექტით აგებულ რესპუბლიკაში მსგავსი მრწამსისთვის კაცი, სულ მცირე, განდევნითა და პატივის აყრით მაინც დაისჯებოდა. დიახ, ბატონო აბატო, ჩემს კონსტიტუციაში, რომელსაც ანტიკურობის პრინციპები დაედება საფუძვლად, მე შევიტან მუხლს თქვენსავით უღირს მოქალაქეთა დაუნდობლად დასჯის შესახებ. მე დავაწესებ მკაცრ სასჯელს მისთვის, ვისაც შეეძლო სრულყოფილ სახელმწიფო, მაგრამ არა ჰყო.

- ოჰო! - ჩაიცინა აბატმა. - თქვენ მე მიკარგავთ თქვენს სანაქებო რესპუბლიკაში ცხოვრების ყოველგვარ სურვილს. როგორც თქვენი სიტყვებიდან ჩანს, იძულება არც ისე უცხო იქნება მისთვის.

- ამ იძულების მიზანი სათნოებაა მხოლოდ, - შთამაგონებლად მიუგო ბ-ნმა ჟან ჰიბუმ.

- აჰა, - თქვა აბატმა, - ეს ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ სირაკუზელი დედაბერი ცამდე მართალი იყო, და რომ დიუბუასა და ფლერის[36] შემდეგ ჩვენ ბატონ ჟან ჰიბუს უნდა ვუფრთხოდეთ. თქვენ მოძალადეთა და პირმოთნეთა მთავრობას აღმითქვამთ, ბატონო ჩემო, და აღთქმულის სისრულეში მოყვანის მიზნით, მთავაზობთ ლიმონადით მოვაჭრე გაუხდე ან მექისე ამსტერდამის მყრალ აბანოში. დიდად გმადლობთ! მე აქ ვრჩები, წმიდა იაკობის ქუჩაზე, სადაც შეიძლება ცივი ღვინო სვა და მინისტრები ლანძღო. თქვენ გინდათ იმ მთავრობის ფუჭი მირაჟით მაცთუნოთ, რომელიც, თქვენის გაგებით, პატიოსანი ხალხისაგან შედგება და ისეთ ციხე-კოშკებს აგებს თავისუფლების გარშემო, რომ ძალზე საეჭვოა ვინმემ ისარგებლოს ტყვექმნით.

- ბატონო აბატო, - წამოიძახა ჟან ჰიბუმ, რომელსაც სულ უფრო და უფრო ანთებდა დავა, - რა სინდისით მიგაქვთ იერიში იმ მთავრობაზე, რომლის იდეა ბასტილიაში დამებადა და რომელზედაც წარმოდგენაც არა გაქვთ თქვენ?

- ბატონო ჩემო, - გააწყვეტინა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - მე ექვის თვალით ვუყურებ შეთქმულებითა და ამბოხებით შობილ მთავრობებს. ოპოზიცია ცუდი სკოლაა მთავრობისათვის და გაქნილი პოლიტიკოსნი, რომელნიც სწორედ ოპოზიციის წყალობით ექცევიან ხელისუფლების სათავეში, მერე სულ იმის ცდაში არიან, როგორ იხელმძღვანელონ იმ პრინციპებით, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგებიან იმას, რასაც მანამდე თვითონვე ქადაგებდნენ. ასე იყო ჩინეთში და არა მარტო ჩინეთში. ისინი იმავე აუცილებლობას ემორჩილებიან, რომელსაც ემორჩილებოდნენ მათი წინამორბედნი. და თუ მაინც მოაქვთ რაღაც ახალი, ეს მათი გამოუცდელობაა მხოლოდ და მხოლოდ. აი, ერთი მიზეზთაგანი, ბატონო ჩემო, რომელიც მაიძულებს ვივარაუდო, რომ ახალი მთავრობა, რომელიც, არსებითად ძველის განმეორებაა მხოლოდ, კიდევ უფრო აუტანელი იქნება. და განა ჩვენ თვითონ არ განგვიცდია ეს?

- მაშასადამე, - თქვა ბ-ნმა ჟან ჰიბუმ, - თქვენ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მომხრე ხართ, არა?

- აგრე გამოდის, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა. - მთავრობები ღვინოსა ჰგვანან: რაც უფრო ძველდება, მით უფრო ტკბილია და წმინდა. მათ შორის ყველაზე სასტიკიც კი დროთა განმავლობაში თანდათან კარგავს თავის სიმკაცრეს. მე მაშინებს დაუდუღებელი ძალაუფლება. მე მაშინებს რესპუბლიკის სიმაჟრე, და თუ ავი მთავრობის ქვეშევრდომობა მიწერია, მბრძანებლებად იმ მონარქებსა და მინისტრებს ვირჩევდი ისევ, რომელთაც რამდენადმე მაინც გამოუწედათ გზნება.

ბ-ნმა ჟან ჰიბუმ ცხვირამდე ჩამოიფხატა ქუდი და გაცეცხლებული დაგვემშვიდობა.

მაშინ ბ-ნმა ბლეზომ, როგორც იქნა, დავთრიდან ასწია თავი, დინჯად გაისწორა სათვალე და ჩემს კეთილ მოძღვარს მიმართა: - აგერ ორმოცი წელი იქნება, რაც წიგნებით ვვაჭრობ და ყოველთვის დიდ სიამოვნებას მგვრიდა ჩემი გაბრძნობილი კლიენტების კამათი. მაგრამ პოლიტიკაზე საუბარი მძაგს. ადამიანები ცხარობენ და ტყუილუბრალოდ აგინებენ ერთმანეთს.

- და ეს იმიტომ, - შენიშნა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - რომ ამ საგანს მყარი საფუძველი არ გააჩნია.

- თუ არ ჩავთვლით ერთს, რასაც ვერვინ უარყოფს ამქვეყნად, - თქვა ბ-ნმა ბლეზომ, წიგნით მოვაჭრემ, - რადგან ცუდი ქრისტიანი უნდა იყო და ცუდი ფრანგი, რომ უარყო რეიმისის წმინდა ამპულის მადლი, რომლით ცხებული ჩვენი მეფენი

ქრისტეს მოსაყდრეებად ადიან საფრანგეთის ტახტზე. ეს არის ურყევი საფუძველი მონარქიისა.

IV. „მისისიპის“ საქმე

როგორც ცნობილია, 1722 წელს პარიზის პარლამენტში ირჩეოდა „მისისიპის“ საქმე, რომელშიც ამ კომპანიის დირექტორებთან ერთად გარეუღნი იყვნენ მავანი მინისტრი, მეფის მდივანი და პროვინციების მმართველთა რამდენიმე თანაშემწე. კომპანიას ბრალად ედებოდა სახელმწიფო მოღვაწეთა მოსყიდვა, რომელნიც ფაქტობრივად თვითონ ფცქენიდნენ მას იმ მპარავთა და მტაცებელთა სიხარბით, მაღალი თანამდებობანი რომ უჭირავთ სუსტ მთავრობაში. მართლაც, იმ დროს სახელმწიფოს ზამბარები ფრიად მოშვებულნი იყვნენ და მოსუსტებულნი. და აი, ამ ღირსსახსოვარი პროცესის ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე ქ-ნი დე ლა მორანჟერი, კომპანია „მისისიპის“ ერთ-ერთი დირექტორის მეუღლე, მთავარ პალატაში ჩვენებას აძლევდა ბატონ პარლამენტარებს. მან აჩვენა, რომ ვინმე ბ-ნმა ლესკომ, მთავარი კრიმინალისტის თანაშემწემ, ფარულად გამოიძახა შატლეში და აგრძნობინა, რომ ქმრის ხსნა მთლიანად მასზე იყო დამოკიდებული. ხოლო ამ ქალს უყვარდა ქმარი - ლამაზი, წარმოსადეგი მამაკაცი. ბ-ნმა ლესკომ დაახლოებით ამ სიტყვებით მიმართა მას: „ქალბატონო, მეფის ჭემმარიტი მეგობრები აღშფოთებულნი არიან, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ ამ საქმეში გარეული არ არიან იანსენისტები[37]. ეს იანსენისტები მონარქიის მტრები არიან, ისევე, როგორც რელიგიისა. მოგვეცით შესაძლებლობა, ქალბატონო, ბრალი დავდოთ თუნდაც ერთ მათგანს და ჩვენ ვალში არ დაგრჩებით სამსახურისთვის, დაგიბრუნებთ თქვენს მეუღლეს მთელი თავისი ავლადიდებით“. როცა ქ-ნმა დე ლა მორანჟერმა ეს სიტყვები ჩაუკაკლა სასამართლოს, რომლებიც სულაც არ ყოფილან გასამჟღავნებლად თქმულნი, ბ-ნი პარლამენტის პრეზიდენტი იძულებული გახდა მთავარ პალატაში გამოემახებინა ბ-ნი ლესკო. მან ჯერ ყველაფერი უარყო, მაგრამ ქ-ნ დე ლა მორანჟერს მშვენიერი თვალეები ჰქონდა და ბ-ნმა ლესკომ ვერ გაუძლო მათ მართალ მზერას. დაიბნა და მხილებულ იქნა. ეს იყო ჩასუქებული არამზადა, იუდა ისკარიოტელივით მწითური.

ინციდენტმა სასამართლოს დარბაზიდან გაზეთების ფურცლებზე გადაინაცვლა და მალე მთელი პარიზი ალაპარაკდა მასზე. ალაპარაკდნენ სალონებში, ბაღებში, სადალაქოებსა თუ ლიმონადით მოვაჭრეთა დუქნებში. ამასთან, ქალბატონი დე ლა მორანჟერი საყოველთაო სიმპათიას იწვევდა ხალხში, ხოლო ლესკო ზიზღს ჰგვრიდა ყველას.

საზოგადოების ცნობისმოყვარეობა ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო, როცა ჩემი კეთილი მოძღვრის გაცილება მომიხდა ბ-ნი ბლეზოს დუქნამდე, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, წმიდა იაკობის ქუჩაზე მდებარეობს.

დუქანში დაგვხვდა ერთი ჩვენი მინისტრის პირადი მდივანი, ბ-ნი ჟანტილი, რომელსაც ჰოლანდიიდან ახლად მიღებულ წიგნში ჩაერგო თავი. აქვე იყო სახელმძღვანელო ბ-ნი რომანი, ავტორი ფუნდამენტური გამოკვლევებისა სახელმწიფოს აუცილებლობის შესახებ. დიდად პატივცემული ბატონი ბლეზო კი დახლს უკან კითხულობდა გაზეთს.

ბ-ნი ჟერომ კუანიარი ფეხაკრეფით მიეახლა ბ-ნ ბლეზოს და დახლზე გადაეყუდა, ეგება ახალ ამბებს მოვკრა თვალთ, რომლებიც ღვინოზე ნაკლები როდი უყვარდა. ეს გაბრძნობილი, ჭეშმარიტად მაღალნიჭიერი კაცი მსხემივით უპოვარი იყო და როცა „ჩვილ ბახუსში“ ღვინით სავსე კათხას მოიპირქვაებდა ხოლმე, ჯიბე ამ კათხასთან ერთად უცარიელდებოდა და გაზეთის საყიდლად გროშიც აღარ რჩებოდა. გაზეთში, რომელსაც ბ-ნი ბლეზო კითხულობდა, ქალბატონ დე ლა მორანჟერის ჩვენება იყო დაბეჭდილი. ჩემმა კეთილმა მოძღვარმა მოახერხა მისი ამოკითხვა და გახარებულმა წამოიძახა, რომ ეს ნამდვილი სენსაციაა, და რომ მისი სული ხარობს, როცა ხედავს, როგორ ანგრევს დიაცის სუსტი ხელი უსამართლობის გოდოლს და ამით თითქოს ერთით ზრდის იმ მშვენიერი მაგალითების რიცხვს, რომლებითაც სავსეა საღმრთო წერილი.

- მიუხედავად იმისა, - დასძინა მან, - რომ ეს კეთილშობილი მანდილოსანი ჩემთვის ეგზომ საძულველ მეზვერეთა წრეში ტრიალებს, ის მაინც იმ მამაც დედაკაცებს მაგონებს რატომღაც, რომლებსაც ასე ადიდებს მეფეთა წიგნი. ქალბატონი დე ლა მორანჟერი გვხიბლავს სიწრფელისა და ცბიერების უზადო შერწყმით, და მე აღტაცებით მივესალმები მის გამარჯვებას.

ბ-ნმა რომანმა გააწყვეტინა: - ფრთხილად, ბატონო აბატო, ფრთხილად, - თქვა მან და თან ხელი გაიშვირა წინ, - რატომ ასე ვიწრო, თუ შეიძლება ითქვას, ინდივიდუალურ ასპექტში განიხილავთ ამ საქმეს და ანგარიშს არ უწევთ, თუმცა სამართლიანობა მოითხოვდა - გაგეწიათ, საზოგადოების საჭირბოროტო საკითხებს, რომლებსაც უშუალოდ უკავშირდება იგი. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს ინტერესები უნდა გვქონდეს მხედველობაში, ხოლო ეს უმაღლესი ინტერესები მოითხოვდნენ, რომ ქალბატონ დე ლა მორანჟერს კრინტიც არ დაეძრა, ან, რაკი დასძრა, სხვები მაინც უნდობლად მოჰკიდებდნენ მის სიტყვებს.

ბ-ნმა ჟანტილმა, როგორც იქნა, წიგნიდან ასწია ცხვირი.

- რაც მართალია, მართალია, - თქვა მან, - ამ ინციდენტის მნიშვნელობა მეტისმეტად გააზვიადეს.

- აჰ, ბატონო მდივანო, - გააწყვეტინა ბ-ნმა რომანმა, - არა გვგონია, რომ ინციდენტი, რომელიც ადგილს დაგაკარგვინებთ, უმნიშვნელო იყო. აი, ნახავთ, თუ ის საბედისწერო არ აღმოჩნდეს თქვენთვის და თქვენი პატრონისთვისაც. მე, ჩემდა თავად, დიდად მამწუხრებს ეს. მაგრამ თუ რამე მანუგეშებს ამ უბადრუკი მინისტრების დაცემის მოწმეს, ესაა მათი უსუსურობა; დიახ, მათი უსუსურობა, თორემ რა უნდოდა ამ დარტყმის აცილებას თავიდან?

ბ-ნმა ჟანტილმა თვალი ჩაუკრა ბ-ნ რომანს, რითაც ანიშნა, ამ შემთხვევაში სავსებით ვიზიარებ თქვენს აზრსო.

ბ-ნი რომანი კი განაგრძობდა: - სახელმწიფო ადამიანის სხეულსა ჰგავს. ყველა მისი ფუნქცია როდია კეთილშობილური. ზოგიერთის - მალვას საჭირო: მე ვგულისხმობ მხოლოდ ყველაზე აუცილებელთ.

- როგორ, ბატონო ჩემო, - თქვა აბატმა, - ნუთუ აუცილებელი იყო, რომ ლესკო ასე მოჰქცეოდა პატიმრის უბედურ ცოლს? ეს ხომ სიმდაბლეა!

- არაფერი შეგეშალოთ, - თქვა ბ-ნმა რომანმა, - სიმდაბლედ იქცა მაშინ, როცა გამჟღავნდა. მანამდე კი არაფერიც არ იყო. თუ თქვენ გასურთ ისარგებლოთ უზარმაზარი სიკეთით, თუ თქვენ გასურთ გმართავდეთ ვინმე, - ხოლო ეს ერთადერთი პრივილეგიაა, რომელიც კაცს პირუტყვზე მაღლა აყენებს, - მართვის შესაძლებლობაც უნდა მისცეთ მმართველებს. ამ შესაძლებლობათაგან უპირველესი კი იდუმალეა გახლავთ. ამიტომაც, რომ სახალხო მმართველობა, ყველაზე ნაკლებ მისტერიული, ყველაზე სუსტიცაა ამავე დროს. იქნებ გგონიათ, ბატონო აბატო, რომ ხალხი შეიძლება სათნოების საშუალებით მართო? მეტი არაა ჩემი მტერი!

- არა, მე ეგ არა მგონია, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა. - სად არ ვუტარებოდა ჩემი ბედის უკუღმართ ტრიალს და ყველგან ბოროტ მხეცებად მეჩვენებოდნენ კაცნი, რომელთა ალაგმვა მხოლოდ ძალით შეიძლება ან ცბიერებით. მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს და არ უნდა შევბღალოთ ის ერთი ციციქნა სიკეთე, რაც მათ სულშია ათას ავ ინსტინქტთან ერთად. რადგან, მიუხედავად თავისი სიმბდალის, სიბილწისა და სისასტიკისა, ადამიანი მაინც ღვთის ხატად შეიქმნა, როცა შეიქმნა, და მან დღემდე შეინარჩუნა თავისი პირველსახის ზოგი ნიშანი, ბატონო ჩემო. მთავრობა, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ყველაზე გაცვეთილი პატიოსნების მოთხოვნებს, ხალხის აღშფოთებას იწვევს და უნდა დაემხოს.

- ცოტა ხმადაბლა, ბატონო აბატო, - თქვა მდივანმა.

- მონარქი უცოდველია, - თქვა ბ-ნმა რომანმა, - ხოლო თქვენი მაქსიმები, ბატონო აბატო, მემბოხის სიტყვებს მაგონებს. თქვენ და თქვენი მსგავსნი იმის ღირსნი ხართ, რომ სულაც არ გმართავდეთ არვინ.

- რა გაეწყობა, - თქვა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - მაგრამ თუ მმართველობა, როგორც თქვენი სიტყვები მოწმობენ, გაიძვერობას, გაქნილობასა და ათასგვარ ძალადობას გულისხმობს, ვეჭვობ, თქვენმა მუქარამ რაიმე ნაყოფი გამოიღოს. ჩვენ ჯერ კიდევ დიდხანს გვასხდებიან თავზე მინისტრები და პროვინციათა მმართველები. მე მხოლოდ იმას ვისურვებდი, რომ ახლანდელნი სხვებს შეეცვალათ. ახლები მათზე უარსენი ვერ იქნებიან და, ვინ იცის, იქნებ უკეთეს მთავრობასაც კი ვეღირსოთ.

- ფრთხილად, - თქვა ბ-ნმა რომანმა, - ფრთხილად! ყველაზე დიდებული სახელმწიფოში მემკვიდრეობითობა და უწყვეტობაა, და თუ ქვეყნად არ არსებობს სრულქმნილი სახელმწიფო, ეს, ჩემის აზრით, მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ნოეს დროს წარღვნამ დაარღვია მემკვიდრეობის მკაცრი წესრიგი; და ჩვენ დღემდე განვიცდით ამ არეულ-დარეულობის სავალალო შედეგებს.

- ბატონო ჩემო, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - თქვენ, ალბათ, თქვენი თეორიებით შექცევას გვიპირებთ დღეს. მსოფლიო ისტორია სავსეა კატაკლიზმებით. შინააშლილობანი, შეთქმულებანი, მთავართა სისასტიკით გამოწვეული ამბოხებანი - აი, მისი ნიშანსვეტები, და მე არ ვიცი რა უფრო უნდა გვაცვიფრებდეს დღეს: მთავრობათა ურცხვობა თუ ხალხთა მოთმინების უნარი.

აქ ბ-ნმა მდივანმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ბ-ნ აბატს ასე ცუდად ესმის მთავრობათა კეთილშობილური მისიის როლი, ხოლო ბ-ნმა ბლევომ გადაჭრით განგვიცხადა, წიგნით მოვაჭრის დუქანი საზოგადოებრივ საქმეებზე მსჯელობის ადგილი როდიაო.

გარეთ გამოვედით თუ არა, ჩემს კეთილ მოძღვარს სახელოზე მოვავლე ხელი.

- ბატონო აბატო, - ვუთხარი მას, - ტირანთა დამხობას რომ ნატრობთ, სირაკუზელი დედაბერი ხომ არ გავიწყდებათ შემთხვევით?

- ტურნებროშ, შვილო ჩემო, - მომიგო მან, - მე ვაღიარებ, რომ ამით ჩემსავე თავს ვეწინააღმდეგები, მაგრამ ეს გაორება, რასაც სამართლიანად ამჩნევ ჩემს მსჯელობებში, არც ისე მავნეა, როგორც ფილოსოფოსთა მიერ ანტინომიად წოდებული წყეული ფენომენი. შარონი[38] თავის წიგნში - „სიბრძნისათვის“ - ამტკიცებს, რომ არსებობენ გადაუჭრელი ანტინომიები. რაც შემეხება მე, საკმარისია ბუნებაზე ფიქრს მივცე თავი, რომ ნახევარი დუჟინი მაგისტანა ჭინკა მაინც ამიცეკვდება შიგ და ისე დაუნდობლად იწყებენ პიძგილს, გეგონება, თვალები სურთო ამოსჩიჩქნონ ერთიმეორეს. და მაშინ ჩემთვის ნათელი ხდება, რომ ვერავინ დააზავებს ამ გაჯიქებულ ალქაჯებს. მე უკვე იმედი გადამიწყდა მათი შერიგებისა და სწორედ მათი წყალობითაა, მეტაფიზიკაში ერთ ადგილს რომ ვტკეპნი დღემდე. მაგრამ ამ შემთხვევაში წინააღმდეგობა მოჩვენებითია, შვილო ჩემო. ჩემი გონება კვლავაც სირაკუზელი დედაბრის მხარეზეა. დღესაც ის მწამს, რაც გუშინ მწამდა.

ოღონდ ეგაა, წელან გრძნობებს ავეყვი და გულისთქმას დავემორიჩლე, როგორც ერთი უბირი ვინმე.

V. აღდგომის კერცხი

მამაჩემს წმიდა იაკობის ქუჩაზე ჰქონდა დუქანი, წმიდა ბენედიქტე განრღვეულის ტაძრის პირდაპირ. ვერ ვიტყვი, რომ სული ელეოდა დიდმარხვაზე; ეს არც იქნებოდა ბუნებრივი მემწვადისათვის. მაგრამ მაინც მტკიცედ ინახავდა მარხვას, როგორც ჭემმარიტ ქრისტიანს შეშვენის. ფული მას არ გააჩნდა, რომ მარხვის ამხსნელი ინდულგენცია ეყიდა არქიეპისკოპოსისაგან და დიდმარხვის დღეებში მარტოოდენ გამხმარ ვირთევზაზე გადადიოდა ცოლ-შვილთან, ძაღლთან და მუდმივ მუშტრებთან ერთად, რომელთა შორისაც ყველაზე გაშინაურებული ჩემი კეთილი მოძღვარი ბ-ნი აბატი ჟერომ კუანიარი გახლდათ. დედაჩემი ღვთისმოსავი ქალი იყო და არ დაუშვებდა, რომ მიროს, ჩვენს ძაღლს, ძვლები ეხრა ვნების პარასკევს. ამ დღეს ის არც ხორცს ურევდა და არც ცხიმს საცოდავი ძაღლის სალაფავს. ბ-ნი აბატი კუანიარი ამაოდ არწმუნებდა დედაჩემს, რომ ეს მწვალელობაა და, საცა სამართალია, გამოსყიდვის წმიდა მისტერია, რომელშიც წილი არ უძევს მიროს, ულუფას არ უნდა უყოფდესო მას.

- ჩემო კეთილო ქალბატონო, - ამბობდა ეს დიდი კაცი, - ჩვენ ეკლესიას ვეკუთვნით და დიახაც, უნდა ვეკრძალვოდეთ სხვა რამეს, ამ გამხმარი ვირთევზას გარდა. მაგრამ ცრუმრწმენის, უღმერთოს, შლეგისა და მკრეხელის მეტი თვითგვემასა და ხორცის მოკვდინებას ვინ დააკისრებს ძაღლს? თქვენ კი აკისრებთ. თუ ხორცის წვალეა წმიდათაწმიდაა ჩვენთვის, მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ მამაზეციერი მონაწილეობს მასში. ასე რომ არა, ეს იქნებოდა უაზრო და უღირსი აქტი. მხოლოდ თქვენი გულუბრყვილობა თუ გაამართლებს მაგ მკრეხელობას, რომელიც ღვთისმეტყველს და არა მარტო ღვთისმეტყველს, თითოეულ სადად მოაზროვნე მორწმუნესაც კი ცოდვად მიეთვლებოდა უთუოდ. ასეთ პრაქტიკას პირდაპირ უსაზარლეს ერესამდე მივყავართ, ჩემო ქალბატონო. რადგან ეს იმის მტკიცებას ნიშნავს, რომ იესო ქრისტემ მხოლოდ ადამის ძეთათვის კი არა, ძაღლისთვისაც მიიღო სიკვდილი. ხოლო საღმრთო წერილს არა ეწინააღმდეგება რა ასე.

- შეიძლება, - იტყოდა დედაჩემი, - მაგრამ თუ ვნების პარასკევს მიროს სახსნილოს დაუწყებებს თქვლეფას, მე ურია მეგონება და შემჯავრდება. ნუთუ ეს ცოდვაა, ბატონო აბატო?

ჩემი კეთილი მოძღვარი ღვინოს წრუპავდა და თან ალერსით ესიტყვებოდა: - ჩემო კეთილო, მე აქ სულაც არ ვაპირებ იმის გარკვევას, სცოდავთ თუ არა, მაგრამ

ერთი რამ მაინც ცხადია ჩემთვის: თქვენში არ არის ბოროტი და თქვენი სულის ხსნაც უფრო ღრმად მწამს, ვიდრე ხუთი თუ ექვსი ჩემი ნაცნობი ეპისკოპოსისა და კარდინალის, რომლებიც, სხვათა შორის, მშვენიერ ტრაქტატებს წერენ ჭეშმარიტი რწმენის შესახებ.

მირი ხარბად თქვლევდა სალაფავს, ხოლო მამაჩემი და ბ-ნი აბატი კუანიარი „ჩვილი ბახუსისკენ“ მიუყვებოდნენ გზას.

ასე ვატარებდით „ბატისფეხა დედოფლის დუქანში“ დიდმარხვის წმიდა დღეებს. მაგრამ აღდგომა დილას, როცა წმინდა ბენედიქტე განრღვეულს ტაძრის სამრეკლოდან ზარები სიხარულით იუწყებოდნენ ჩვენი მაცხოვრის ტრიუმფს, მამაჩემი დუჟინობით აგებდა შამფურზე წიწილებს, იხვებსა და მტრედებს, ხოლო მირი მოღულუნე ბუხრის წინ ხარბად იცნოსავდა რცმელით მწთოლვარე ცვრის საამო სურნელს და კმაყოფილებით აქნევდა კუდს. მიხრწნილს, ბინარსა და თითქმის თვალდავისილს ჯერ კიდევ არ ჩაჰქრობოდა ტრფიალი ამქვეყნიურ სიამეთა მიმართ, შეჭირვებანი კი უდრტვიწველად გადაჰქონდა და ასე იმსუბუქებდა ყოფას. მირი ნამდვილი ბრძენი იყო და მე არ მიკვირს, დედაჩემი კაცივით რომ ამარხულებდა მას.

საზეიმო წირვის შემდეგ ყველანი დუქანს ვუბრუნდებოდით, მთლად გაჟღენთილს ამო სურნელით. მამაჩემი ჭეშმარიტად რელიგიური აღტყინებით უჯდებოდა სახსნილო სუფრას. მისი მუდმივი სტუმრები სასულიერო სასამართლოს მწერლები იყვნენ და ჩემი კეთილი მოძღვარი, ბ-ნი აბატი კუანიარი. ქორონიკონს ქრისტეს აქეთ 1725 წელს, აღდგომა დილას ჩემმა კეთილმა მოძღვარმა ბ-ნი ნიკოლა სერიზი მოიყვანა ჩვენსას. ამ ნიკოლა სერიზს მასონთა ქუჩაზე ჰქონდა ბინა, პატარა მანსარდაში, სადაც ეს ღრმად განსწავლული კაცი დღედაღამ ცხელ-ცხელ ამბებს აცხობდა ლიტერატორი ძმების ცხოვრებიდან და მერე ჰოლანდიელ გამომცემლებს უგზავნიდა მათ. სუფრაზე წითელი კვერცხების მთა იდგა სინით. და მას შემდეგ, რაც ბ-ნმა აბატმა კუანიარმა დადადყო Benedicite[39], ეს კვერცხები გაცხოველებული კამათის საგნად იქცნენ.

- ელიუს ლამპრიდიუსი[40] ამბობს, - თქვა ბ-ნმა ნიკოლა სერიზმა, - რომ ალექსანდრე სევერუსის[41] მამის ქათამმა წითელი კვერცხი დადო იმ ყრმის დაბადების დღეს, რომელსაც საუკუნო მეფობას უმზადებდა ბედი.

- აბა ის ყოფილა, რაც ყოფილა, - თქვა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - თუ მაგნაირი ზღაპრების თქმაში ეცილებოდა ენაჭარტალა დიაცებს. მაგრამ თქვენ საღად უყურებთ საგნებს, ბატონო ჩემო, და, ალბათ, არ დაიწყებთ იმის მტკიცებას, რომ სწორედ მაგ უაზრო ლეგენდისგან იღებს დასაბამს ჩვენი ქრისტიანული ჩვეულება სააღდგომოდ კვერცხების წითლად შეღებვისა.

- არა, - თქვა ბ-ნმა ნიკოლა სერიზმა, - მე სრულიადაც არ ვამტკიცებ, რომ ამ ჩვეულებას დასაბამი მისცა კვერცხმა, რომელიც ალექსანდრე სევერუსის მამის

ქათამმა დადო. ერთადერთი დასკვნა, რომელიც ამ ფაქტიდან გამომყავს ისაა, რომ წარმართებს უზენაესი ხელისუფლების სიმბოლოდ მიაჩნდათ წითელი კვერცი. ოღონდ, თქვენი არ ვიცი, და მე კი მგონია, - დასძინა მან, - რომ ეს კვერცი უთუოდ უნდა შეეღებათ როგორღაც, რადგან ქათმები წითელ კვერცხებს არ დებენ.

- მომიტევეთ, - სიტყვა ჩაურთო დედაჩემმა, რომელიც ღუმელთან თევზებზე ანაწილებდა კერძს, - ბავშვობაში მე მინახავს შავი ქათამი, რომელიც მოყავისფრო კვერცხებს დებდა. ამიტომ არც იმ ქათმების არსებობაში მეპარება ეჭვი, რომლებიც წითელ ან მოწითალო, ვთქვათ, აგურისფერ კვერცხებს დებენ.

- ადვილი შესაძლებელია, - თქვა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - რადგან ბუნება თავის ქმნილებებში გაცილებით უფრო ახირებულია და მრავალფეროვანი, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. ცხოველთა სამყარო ათასგვარ უცნაურობას იმარხავს, ხოლო ბუნებისმეტყველების კაბინეტებში ისეთ ურჩხულებს შეხვდებით, რომლებთან შედარებითაც ქათმის მიერ დადებული წითელი კვერცი თეთრად მოეჩვენება კაცს.

- მართალს ბრძანებთ, - დაუდასტურა ბ-ნმა ნიკოლა სერიზმა, - იშვიათობათა სამეფო კოლექციაში თქვენ შეხვდებით ხუთფეხა ხბოს და ორთავიან ყრმას.

- მეტსაც გეტვით, - თქვა დედაჩემმა და თან სუფრაზე ხონჩით შემოდგა თორმეტი აცმა სოსისი მოშუშული კომბოსტოთი, რომელსაც საამო ოხშივარი ასდიოდა, - ონოში, შარტრის მახლობლად, მე მინახავს ახალშობილი ყრმა, რომელსაც ბატის ფეხები ჰქონდა და გველის თავი, ჩემო ბატონო. ბებიაქალი, რომელმაც ეს საოცრება მიირქვა, ისე შეშინდა, რომ პირდაპირ ცეცხლში ისროლა იგი.

- აბა, დაფიქრდით, რას ამბობთ, - წამოიძახა ბ-ნმა აბატმა კუანიარმა, - კაცი ღმერთის სამსახურისთვის მოდის ამქვეყნად და ძნელი წარმოსადგენია, გველის თავით ემსახუროს მას; მაშასადამე, ასეთი ყრმები არ არსებობენ და თქვენს ბებიაქალსაც ან მოეჩვენა ეგ ურჩხული, ან, უბრალოდ, დაგცინათ თქვენ.

- ბატონო აბატო, - ამკარა ირონიით თქვა ბ-ნმა ნიკოლა სერიზმა, - იშვიათობათა სამეფო კოლექციაში თქვენც ჩემსავით გინახავთ, სპირტიან ქილაში კონსერვირებული ემბრიონი ოთხფეხა აკუმისა, ხოლო იქვე, მეორე ქილაში, უთავო ყრმა, რომელსაც ზედ ჭიპთანა აქვს ერთადერთი თვალი. როგორ გგონიათ, ნუთუ ეს ურჩხულები უკეთ მოემსახურებოდნენ უფალს, ვიდრე გველის თავიანი ყრმა, ვისზედაც გველაპარაკება ჩვენი დიასახლისი? მაშინ ორთავა არსებებზე რაღა უნდა ვთქვათ? ვის შეუძლია დაბეჯითებით ამტკიცოს, რომ მათ ორი არა აქვთ სულიც? უნდა დამემოწმოთ, ბატონო აბატო, რომ ბუნება, რომელიც თავს იქცევს ამ სასტიკი თამაშით, ზოგჯერ თავგზას უბნევს თეოლოგებს.

ჩემმა კეთილმა მოძღვარმა ის იყო პირი დაალო პასუხის სათქმელად და უთუოდ გატეხდა კიდეც ბ-ნ ნიკოლა სერიზის წინააღმდეგობას, რომ დედაჩემმა,

რომელსაც ლაპარაკის საღერღელი ნუ აეშლებოდა, თორემ ვეღარავინ დააკავებდა ქვეყნად, დაასწრო და ხმამაღლა განაცხადა - ონოში შობილი ყრმა სულაც არ ყოფილა ადამიანური არსება და ის ეშმაკმა აჰკიდა ერთ მეფუნთუშე ქალსო.

- ამას ისიც ამტკიცებს, - დასძინა მან, - რომ კაციშვილს აზრად არ მოსვლია მისი მონათვლა; სახელდახელოდ გახვიეს ჩვრებში და ასე დაფლეს ბაღის განაპირას. ის რომ ადამის ძე ყოფილიყო, ნაკურთხ მიწაში დამარხავდნენ უთუოდ. როცა დედაკაცი ეშმაკისგან შობს, ნაშობს ცხოველის სახე აქვს მუდამ.

- ჩემო კეთილო ქალბატონო, - მიუგო ბ-ნმა აბატმა კუანიარმა, - პირდაპირ წარმოუდგენელია, რომ გლეხის ქალმა მეტი იცოდეს ეშმაკზე, ვიდრე თეოლოგიის დოქტორმა, და მე განცვიფრებით ვკითხულობ, რატომ ანიჭებთ ასე დიდ მნიშვნელობას ონოელი მატრონას აზრს იმ საკითხის გარკვევისას, ეკუთვნის თუ არა დიაცის მიერ მოღებული ესა თუ ის ნაყოფი ადამის ძეთა მოდგმას, მაცხოვრის სისხლით გამოსყიდულს. მერწმუნეთ: მთელი ეს ეშმაკეულობა მხოლოდ ბინძური ჭორებია და თქვენ გმართებთ თავიდან ამოიგდოთ იგი. ვერც ერთ წმიდა მამასთან ვერ შეხვედებით იმის მტკიცებას, რომ ეშმაკი აორსულებდეს ასულებს. მთელი ეს მონაჭორი სატანის ავხორცობის შესახებ სხვა არა არის რა, თუ არა სიბილწით სავსე ბოდვა და პირდაპირ სამარცხვინოა, იეზუიტები და დომინიკელები ტრაქტატებს რომ წერდნენ მასზე.

- მართალს ბრძანებთ, აბატო, - თქვა ბ-ნმა ნიკოლა სერიზმა და თან სოსისი დაითრია ხონჩიდან, - მაგრამ თქვენ მაინც უპასუხოდ დატოვეთ ჩემი სიტყვები იმის შესახებ, რომ უთავოდ შობილი ყრმები ნაკლებად შეეფერებიან კაცის უმაღლეს დანიშნულებას, რაც, როგორც ეკლესია ბრძანებს, უფლის წვდომაში, მსახურებასა და სიყვარულში მდგომარეობს და აქ, ისევე როგორც თესლის ამაოდ ნთხევის მრავალ სხვა შემთხვევაში, ბუნება ნაკლებ თეოლოგიურია და ქრისტიანული. აქვე დავძენდი, რომ მას რელიგიურობის არა სცხია რა და ბევრჯერ ისე იქცევა, თითქოს სულაც არ იცნობდეს ღმერთს. აი, რა მაფრთხობს მე, ბატონო აბატო!

- აჰ! - წამოიძახა მამაჩემმა და თან ჩანგლით მოიქნია გარეული იხვის მსუყე ნაჭერი, რომელსაც ის იყო დანით ანაკუწებდა, - აჰ, რა პირქუში სიტყვებია, რა შეუფერებელი და შეუწონელი იმ საზეიმო თარიღისათვის, რომელსაც დღეს ვდღესასწაულობთ. ყველაფერში ჩემი ცოლია დამნაშავე, რომელმაც ისეთი ამბით მოგვართვა ეგ გველისთავიანი ყრმა, თითქოს ჩემს ძვირფას სტუმრებს სული ელეოდეთ მასზე. ჰოდა, რა გასაკვირია, ამ მშვენიერი წითელი კვერცხებიდან ერთბაშად ამდენი ეშმაკეულობა რომ გამოიჩეკა სუფრაზე.

- ჰაი გიდი, ჩემო ძვირფასო მასპინძელო, - თქვა ბ-ნმა აბატმა კუანიარმა, - კვერცხიდან ათასი უცნაურობა იჩეკება მართლაც. ამის თაობაზე წარმართები ღრმად ფილოსოფიურ მითებსაც კი ქმნიდნენ. მაგრამ ასე ქრისტიანული, თუმცა ანტიკური

მეწამულით მოსილი კვერცხებიდან, რომლებსაც წედან გეახლებოდით, მთელი ქაჯეთი რომ გამოტყვრა უცებ, გამოგიტყდებით, ეს თვითონაც მაცვიფრებს დიდად.

ბ-ნმა ნიკოლა სერიზმა თვალი ჩაუპაჭუნა ჩემს კეთილ მოძღვარს და დამცინავი ღიმილით მიმართა მას: - ბატონო აბატო, ეგ კვერცხები, რომელთა ჭარხლის წვენი შეღებილი ნაჭუჭებითაც მთელი იატაკი მოვფინეთ ჩვენს ფეხქვეშ, თავისი არსით, არც ისე ქრისტიანული არიან და კეთოლიკური, როგორც თქვენ ფიქრობთ. პირიქით, აღდგომის კვერცხები წარმართობისგან იღებენ დასაბამს, და ისინი სიცოცხლის გამოღვიძლებას განასახიერებენ საგაზაფხულო ბუნიობის დროს. ესაა ძველთუძველესი სიმბოლო, რომელიც ქრისტიანულმა რელიგიამ შემოინახა.

- მაგრამ ჩვენ უფლება გვაქვს ისიც ვამტკიცოთ, - თქვა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - რომ ესაა ქრისტეს აღდგომის სიმბოლო. მაგრამ რაკი მე მთელი არსებით ვეწინააღმდეგები რელიგიის გადატვირთვას ათასი რიოში სიმბოლიკით, ვფიქრობ, სწორედ კვერცხის გემოს ხილვით მონიჭებული სიამოვნება, რომლისგანაც თავს ვიკავებდით დიდმარხვის განმავლობაში, გახლავთ ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ სააღდგომო სუფრაზე ასეთი პატივით ვაზვინებთ მათ, სამეფო პურპურით მოსილთ. მაგრამ რას ვამბობ? ყველაფერი ეს მხოლოდ უმნიშვნელო წვრილმანია, რომლითაც პედანტები და ბიბლიოთეკარები იქცევენ თავს. მაგრამ თუ თქვენს სიტყვებს ჩაუფიქრდება კაცი, ბატონო ჩემო, ნახავს, რომ თქვენ ბუნებას რელიგიას უპირისპირებთ და ერთმანეთის მტრებად აცხადებთ მათ. ეს კი მკრეხელობაა, ბატონო ჩემო, ისეთი შემზარავი მკრეხელობა, რომ თვით ჩვენი კეთილი მასპინძელიც კი შეირყა თხემით ტერფამდე, თუმცა არა გაუგია რა. მაგრამ მე კი არ მაკრთობს ეგ, რადგან მსგავსი არგუმენტები ვერ აცთუნებენ მტკიცე სულს, რომელსაც ძალი შესწევს თვითონვე წარმართოს თავისი თავი.

მართლაც, ამ შემთხვევაში, თქვენ გონებისა და განსწავლულობის გზას მიდსევთ, ბატონო ჩემო, რომელსაც პირდაპირ ვიწრო და ბინძურ ჩიხში შევყავართ, საიდანაც კაცნი ამაოდ დაეძებენ გამოსავალს და ვაგლახად იმტვრევენ ცხვირებს. თქვენ ღრმადმოაზროვნე მეაფთიაქესავით მსჯელობთ, რომელსაც ჰგონია ბუნებას ვიცნობო, რაკი ზოგიერთ მის მოვლენას ეხახუნება. თქვენ გგონიათ, სიცოცხლის ბუნებრივი ჩასახვისას მიტომ იზადებიან ურჩხულები, რომ ასეთია ნება უფლისა, რომელიც თავისდა სადიდებლად აგებს ადამის ძეთ: *Pulcher hymnus Dei homo immortalis*[42]. მაღლობა ღმერთს, მკვდრადშობილთ, შეშლილთა და შლეგთაც რომ არ ასახელებთ მათ რიცხვში, რომელთაც, ლაქტანციუსის[43] გამოთქმას თუ მოვიშველიებთ, არ შეიძლება უფლის კეთილ საგალობელს - *Pulcher hymnus Dei* - უწოდებდეს კაცი. მაგრამ რა უწყით თქვენ ამის შესახებ და რა ვუწყით ჩვენ, ბატონო ჩემო? როგორც ჩანს, ერთი თქვენი ამსტერდამელი თუ ჰააგელი მკითხველთაგანი გგონივართ და მიტომ ცდილობთ შემაგნებინოთ, თითქოს უცნაური და უთქმელი ბუნება შეუთავსებელი იყოს ჩვენს წმიდათაწმიდა ქრისტიანულ სარწმუნოებასთან. ბუნება ჩვენს თვალში სხვა არა არის რა, ბატონო ჩემო, თუ არა საგანთა და მოვლენათა

ქოტური მონაცვლეობა, რომელთა აზრს ვერასოდეს ჩასწვდება კაცი; და მე ვაღიარებ რომ, თუ ფეხდაფეხ მივყვებით მას, ვერასოდეს ამოვიცნობთ ახალშობილში ვერც ქრისტიანს, ვერც ადამიანს, ვერც, თუნდაც, ინდივიდუმს, და რომ ხორცი აბსოლუტურად ამოუშიფრავი იეროგლიფია ჩვენთვის. მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს, რადგან ჩვენ ნაქარგის ქვედა პირს ვხედავთ მხოლოდ. მაშ, მოდი, მთელი არსებით მივიქცეთ საცნაურისკენ, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა კაცის სული, ღვთაებასთან შერწყმული და შეერთებული.

თქვენი მსჯელობა ბუნებისა და დაბადების შესახებ ჭეშმარიტად სასაცილოა, ბატონო ჩემო. თქვენ იმ მდაბიოს მაგონებთ, რომელსაც ჰგონია მონარქის ყველა საიდუმლოს ჩავწვდიო, მხოლოდ იმიტომ, რომ სათათბირო დარბაზის მოხატულობას მოჰკრა თვალი. სახელმწიფო საიდუმლოებას მეფე მინისტრებს უმქლავნებს მხოლოდ, ხოლო კაცის ხვედრი მის აზრში მქლავნდება, რომელიც ერთდროულად აღედგრის ხოლმე შექმნილსაც და შემოქმედსაც. დანარჩენი მხოლოდ უმნიშვნელო წვრილმანია, იმ დოყლაპიათა თავშესაქცევად შექმნილი, რომელთა სიმრავლეს ძლივძლივობით იტყვენ აკადემიათა კედლები. ნურას მეტყვიით ბუნებისათვის, თუ ეს არაა ის, რასაც „ჩვილი ბახუსის“ წინ ატუზული კატერინა მემაქმანის სხეული გვივლენს, ასერიგად სანდომი და სალუქი.

თქვენ კი, ჩემო ძვირფასო მასპინძელო, - დასძინა ბ-ნმა აბატმა კუანიარმა, - ღვინო გვასვით საჩქაროდ, თორემ პირი გამიშრა ამ ნიკოლა სეარიზის წყალობით, რომელსაც ათეისტი ჰგონია ბუნება. თუმცა, ეშმაკმა დალახვროს, ის მართლაც ასეთია და უნდა იყოს კიდევ ასეთი, ბატონო ნიკოლა სერიზ; მაგრამ თუ ზოგჯერ მაინც უფლის დიდებას ღაღადებს, ეს მხოლოდ ქვეცნობიერად, ვინაიდან არ არსებობს ცნობიერება კაცის გონების გარეშე, რომელიც ერთადერთია, ერთდროულად რომ იღებს დასაბამს სასრულისგან და უსასრულოსგან. აბა დავლიოთ!

მამაჩემმა პირთამდე გაულიცლიცა ჭიქები ჩემს კეთილ მოძღვარს, ბ-ნ აბატ კუანიარს და ბ-ნ ნიკოლა სერიზს და ბრძანა, ერთმანეთს მიუჭახუნეთო, რაც მათ ხალისით აღასრულეს, რადგან ორივე კაი კაცი იყო ბუნებით.

VI. ახალი მთავრობა

ბ-ნი შიპენი, რომელიც გრინვიჩში მუშაობდა ზეინკლად, პარიზში ყოფნისას ყოველდღე „ბატისფეხა დედოფლის დუქანში“ სადილობდა მამაჩემთან და ბ-ნ აბატ ჟერომ კუანიართან, ჩემს კეთილ მოძღვართან ერთად. იმ დღესაც, ჩვეულებისამებრ, ერთი ბოთლი ღვინო მოითხოვა დესერტად, ჩიბუხი დატენა და „ლონდონის გაზეთი“

დააპრო ჯიბიდან; ეწეოდა, ღვინოს წრუპავდა და თან გაზეთს კითხულობდა აუჩქარებლად. მერე დინჯად დაკეცა გაზეთი და ჩიბუხი მაგიდის კიდეზე ჩამოდო.

- ბატონებო, - თქვა მან, - მთავრობა დაემხო.

- კეთილი და პატიოსანი, - თქვა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - მერედა, რა მნიშვნელობა აქვს მაგას?

- მომიტევეთ, - შეესიტყვა ბ-ნი შიპენი, - ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან წინა მთავრობაში ტორები შედიოდნენ, ახალს კი ვიგები შექმნიან და, ეგეც არ იყოს, ყველაფერი, რაც ინგლისში ხდება, მნიშვნელოვანია.

- ბატონო ჩემო, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - საფრანგეთში არა ერთი და ორი მაგისტანა გადატრიალება გვინახავს. გვინახავს სახელმწიფო მდივნის ოთხი ადგილი მრჩეველთა ექვსი თუ შვიდი საბჭოთი შეცვლილი, რომელთაგან თითოეული ათი წევრისგან შედგებოდა, ხოლო ათად გაჭრილი ბატონი სახელმწიფო მდივნები - ბოლოს ისევ გამთელებულნი. ამასთან, ყოველი ცვლილებებისას, ერთნი ფიცულობდნენ, ყველაფერი დაიღუპაო, მეორენი კი პირიქით, გადარჩენილად თვლიდნენ ყველაფერს. თანაც უხვად თხზავდნენ კუპლეტებსა და ანექდოტებს. გამოგიტყდებით, ნაკლებად მაინტერესებს, რა ხდება მეფის კაბინეტში, რადგანაც ვხედავ, რომ ამდენი ცვლილება კალაპოტს ვერ უცვლის ცხოვრების მდინარებას, რომ რეფორმების შემდეგაც ადამიანები კვლავინდებურად ეგოისტები არიან, ძუნწნი, მხდალნი და დაუნდობელნი, ხან ყეყენი, ხან მძვინვარენი, და თითქმის უცვლელია ახალშობილთა, ახალშეუღლებულთა, რქიანთა და ჩამოხრჩობილთა რიცხვი, ხოლო ესაა უპირველესი მაჩვენებელი მტკიცე საზოგადოებრივი წყობილებისა. ეს წყობილება კი ჭეშმარიტად ურყევია, ბატონო ჩემო, და არაფერს ძალუძს მისი შემუსვრა, რადგან კაცთა სილატაკესა და სიბრიყვეს ემყარება, ხოლო ასეთი საყრდენები არასდროს მოეშლება მას. მათი წყალობით მთელი ნაგებობა ისეთ სიმტკიცეს იძენს, რომ აქარწყლებს ძირგამომთხრელ გულმოდგინებას ყოვლად უვარგისი მბრძანებლებისა და მოხელეთა ურცხვი ხროვისა, რომელნიც მუდმივი თანამყოლნი არიან მისი.

მამაჩემმა, რომელსაც ქონსატენი მახათი ეპყრა ხელთ და ასე ისმენდა აბატის სიტყვებს, თავს ნება მისცა შესწორება შეეტანა მათში და მოკრძალებით, მაგრამ მტკიცედ განაცხადა, რომ არიან კეთილისმყოფელი მინისტრებიც, რომელთაგანაც მას განსაკუთრებით დაამახსოვრდა ერთი, ამ ცოტა ხნის წინათ მიცვლილი: მან გამოსცა ფრიად ბრძნული ბრძანებულება, რომელიც ყასაბთა და მეღვეზელეთა მტაცებლური სიხარბისგან იცავდა მისი ამქრის ხალხს.

- შეიძლება, ბატონო ტურნებრომ, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - მაგრამ, აბა ერთი, ყასაბსაც ვკითხოთ? ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სახელმწიფო მინისტრთა სიბრძნეზე კი არ შენობს, არამედ საჭიროებებზე

მრავალმილიონიანი მასისა, რომელიც თავის გატანის მიზნით ყველაფერს განურჩევლად ჰკიდებს ხელს, ყველა ჭუჭყიან და უმადურ საქმეს: ხელოსნობას, ვაჭრობას, მიწათმოქმედებას, ომს, ნაოსნობას. ეს პირადი საჭიროებანი ქმნიან იმას, რასაც ერის სიდიადეს უწოდებენ, ხოლო მეფე და მისი მინისტრები არაფერ შუაში არიან აქ.

- ცდებით, ბატონო ჩემო, - თქვა ინგლისელმა, - მინისტრები, დიახაც, შუაში არიან; ისინი სცემენ კანონებს, რომელთაგან ნებისმიერს ძალუმს გაამდიდროს ან გაადატაკოს ერი.

- აჰ, - თქვა აბატმა, - აქ უკვე ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ შეტრიალდება საქმე. სახელმწიფო საქმენი კი ისე ვრცელნი და უნაპირონი არიან, რომ ერთი კაცის გონება ვერ მოიცავს მათ. ამიტომ უნდა შევუნდოთ მინისტრებს, ბრმად რომ აფათურებენ ხელს და თვითონაც არ უწყიან, რას იქმან, კეთილსა თუ ბოროტს, რადგან ისინი დახუჭობანას მოთამაშე ბავშვებსა ჰგვანან, და, ეგეც არ იყოს, თუ მიუკერძოებლად განვსჯით, ეს კეთილი და ბოროტი იმდენად უმნიშვნელო გამოჩნდება ჩვენს თვალში, რომ მეექვსეა, რომელიმე კანონმა ან ბრძანებულებამ შეძლოს ის, რასაც თქვენ მათ მიაწერთ, ბატონო ჩემო. ავიღოთ თუნდაც მსუბუქი ყოფაქცევის ქალები: მარტო მათზე ერთი წლის განმავლობაში იმდენი დადგენილება გამოვიდა, რამდენიც ყველა სხვა კორპორაციის შესახებ მთელი საუკუნის მანძილზეც არ გამოვა სახელმწიფოში; მაგრამ ეს ხელს არ უშლის მათ თავიანთი საქმე განაგრძონ და, თანაც, ისეთი გააფთრებით, როგორც მათ ბუნებას შეეფერება. ისინი დასცინიან იმ მაღალზნობრივ უხამსობებს, რომლებსაც მათი მისამართით აქვეყნებს მავანი მრჩეველი, ნიკოდემად სახელდებული, და მასხრად იგდებენ ბეზლანსს, ქალაქის მერს, რომელმაც, სიძვის აღმოფხვრის მიზნით, მსტოვარნი და აეშაგნი მიუჩინა მათ და, ამრიგად, თავისდა უნებურად ცუდმაშვრალთა ლიგა დააარსა. მერწმუნეთ, კატერინა მემაქმანეს ბეზლანსის სახელი არც კი გაუგონია და ვერც გაიგონებს თავისი სიცოცხლის აღსასრულამდე, რომელიც, ვიმედოვნებ, ღირსეული და ჭეშმარიტად ქრისტიანული იქნება. აქედან მე ვასკვნი, რომ მთელი ეს კანონპროექტები, რომლებითაც მინისტრი ტენის თავის პორტფელს, ფუჭად ნაჯღაბნი ფურცლებია მხოლოდ და მხოლოდ, და რომ ისინი არც გვიმსუბუქებენ, არც გვიშლიან სიცოცხლეს ქვეყნად.

- ბატონო აბატო, - თქვა გრინვიჩელმა ზეინკალმა, - თქვენი სიტყვების სიმდაბლე მოწმობს, რომ მონობას ხართ ჩვეული. სულ სხვანაირად დაიწყებდით ლაპარაკს მინისტრებსა და კანონებზე, ჩემსვით რომ სარგებლობდეთ თავისუფალი წყობილების ყველა სიკეთით.

- ბატონო შიპენ, - მიუგო აბატმა, - ჭეშმარიტი თავისუფლება ამქვეყნიურ ამოებათაგან თავდახსნილი სულის თავისუფლება გახლავთ. რაც შეეხება

საზოგადოებრივ თავისუფლებებს, მათ ჩალის ფასი აქვთ ჩემს თვალში. ყველაფერი ეს ცრუ ილუზიებად მიმაჩნია, რომლებითაც უვიცთა პატივმოყვარეობას ანებივრებენ.

- თქვენ თანდათან მიმტკიცებთ იმ აზრს, - თქვა ბ-ნმა შიპენმა, - რომ ფრანგები მართლაც მაიმუნები არიან.

- მომიტევეთ, - წამოიძახა მამაჩემმა და თან თავსი განუშორებელი საჭურვლით გააპო ჰაერი, - მათ შიგადაშიგ ლომებიც გამოერევიან ხოლმე.

- როგორც ჩანს, მოქალაქეთა ნაკლებობას განიცდით მხოლოდ, - გააწყვეტინა ბ-ნმა შიპენმა. - თქვენთან, ტიულირის პარკში, ყველა პოლიტიკაზე ლაყბობს, მაგრამ მთელ ამ დაუსრულებელ დავაში ერთ გონივრულ სიტყვასაც ვერ მოჰკრავთ ყურს. თქვენი ხალხი აგნიასებულ სამხეცეს მაგონებს.

- ბატონო ჩემო, - თქვა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - როცა ადამიანთა საზოგადოება ცივილიზაციას ეზიარება, ის სამხეცეს ემსგავსება მართლაც, რადგან ზნეთა პროგრესი გალიაში გამოკეტვას გულისხმობს და არა ტყე-ტყე მიუსაფრად ხეტიალს. და ამ ყოფაშია ამჟამად ევროპის ყველა ქვეყანა.

- ბატონო ჩემო, - შეესიტყვა გრინვიჩელი ზეინკალი, - ინგლისი სამხეცე არ გახლავთ, რამეთუ მას ჰყავს პარლამენტი, რომელსაც მისი მინისტრები ექვემდებარებიან.

- ბატონო ჩემო, - თქვა აბატმა, - შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს, მინისტრები საფრანგეთშიც დაექვემდებარონ პარლამენტს. მეტსაც გეტყვით, დრო ბევრ რამეს ცვლის სახელმწიფო წყობილებაში და ადვილი შესაძლებელია, ორი თუ სამი საუკუნის შემდეგ საფრანგეთში სახალხო ხელისუფლებაც კი დამყარდეს. მაგრამ, ბატონო ჩემო, მინისტრები, რომლებიც დღესაც არაფერს წარმოადგენენ, სულ მთლად არარაობად იქცევიან მაშინ. რადგან, ნაცვლად იმისა, რომ მონარქს დაემორჩილონ, რომელიც მათ მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროით ანიჭებს ძალაუფლებას, ისინი ხალხის ნების წინაშე მოიხრიან ქედს და იწვნევენ კიდევ მის უმტკიცობას. უნდა აღვნიშნოთ, რომ მინისტრთა ძალაუფლებას მხოლოდ აბსოლუტური მონარქია ანიჭებს გარკვეულ სიმტკიცეს, როგორც იოსების, ფარაონის მინისტრისა და ამანის, მეფე ასურის მინისტრის მაგალითები მოწმობენ ამას. ორივე ქმედით მონაწილეობას ღებულობდა ქვეყნის მართვაში. - ერთი ეგვიპტეს განაგებდა, მეორე - სპარსეთს. და მხოლოდ განსაკუთრებულმა გარემოებამ, როცა ძლიერი სახელმწიფოს სათავეში მოექცა სუსტი მეფე, განაპირობა ის, რომ საფრანგეთში აღზევდა მძლე რიშელიე. სახალხო ხელისუფლების მინისტრები იმდენად უმწეონი და უსუსურნი იქნებიან, რომ მთელი მათი სიავე და სიბრიყვეც კი ვერას დააკლებს ხალხს.

ძალაუფლება, რომელსაც გენერალური შტატები მიანიჭებენ მათ, მერყევი იქნება და ეფემერული. რაკი გასაქანი არ მიეცემა მათ ზვიად ზრახვებსა და მზვაობას,

ისინი უბადრუკ საქმეებს შეაღებენ თავიანთ უდღეურ ძალაუფლებას. მათ ზეზეულად ჩამოახმობს და ჩამოაყვითლებს დღემუდამ ფეხზე დგომა და იმის თვალთვალი, იქნება ასამბლეის ხუთასი წევრის სახეზე ამოვიკითხოთო ჩვენი სამოქმედო პროგრამა. მაგრამ ამ ჭრელსა და ბნელ ბრბოში ამაოდ დაიწყებენ თანამოაზრეთა ძებნას და სიცოცხლეს გაუარმებთ საკუთარი უმწივობის შეგნება. ისინი საბოლოოდ გადაეჩვევიან მერმისისათვის რაიმეს მზადებას, მომავლის წინასწარჭვრეტასა და მხოლოდ ინტრიგებსა და მანქანებაში დახელოვნდებიან. მერე უსახელოდ დაეცემიან ზნედაცემულნი, მაგრამ დაცემა უმტკივნეულო იქნება მათთვის, ვინაიდან არც ისე დიდი სიმალლიდან დაეცემიან. და მათი სახელები, კედელზე ნახშირით მიწერილი ანცი მოსწავლეების ხელით, გამვლელებს ღიმილს მოჰგვრიან მხოლოდ.

ამ სიტყვებზე ბ-ნმა შიპენმა მხრები აიჩეჩა.

- შეიძლება, - თქვა მან, - მე არ მიჭირს, ფრანგები ამ ყოფაში წარმოვიდგინო.

- მერე რა? - თქვა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - სამყარო ამ ყოფითაც წავა წინ. ჭამა ხომ ყოველთვის საჭირო იქნება, ხოლო ყველაფერს ეს დიადი აუცილებლობა ბადებს.

ბ-ნმა შიპენმა ჩიბუხი დატენა და თქვა: - ჯერჯერობით, ჩვენ გვპირდებიან მინისტრს, რომელიც მფარველად მოეგვლინება მიწათმოქმედთ, მაგრამ, თუ ნებას მივცემთ, უთუოდ გააკოტრებს ვაჭრობას. ამიტომ თვალი ფხიზლად უნდა მეჭიროს, რადგან საზეინკლო სახელოსნოს პატრონი ვარ გრინვიჩში. ჰოდა, ჩავალ თუ არა, ერთად შევეყრი ზეინკლებს და სიტყვით გამოვალ მათ წინაშე.

მან ჯიბეში ჩაიღო ჩიბუხი და გამოუმშვიდობებლად გავიდა დუქნიდან.

VII. ახალი მთავრობა

(გაგრძელება და დასასრული) ნავახშმევს ბ-ნი აბატი ჟერომ კუანიარი სასეირნოდ გამოვიდა წმიდა იაკობის ქუჩაზე, სადაც უკვე ანთებდნენ ფარნებს. მე წილად მხვდა დიდი პატივი ვხლებოდი მას. მშვენიერი საღამო იყო. ჩემი კეთილი მოძღვარი წმიდა ბენედიქტე განრღვეულის ტაძრის ბჭესთან შედგა და თავისი მშვენიერი, მსუქანი ხელით, როგორც ბრძნული მითითებების, ისე ნაზი ალერსისთვის შექმნილი ხელით, მიმითითა ერთ-ერთზე ქვის იმ მერხთაგან, რომელნიც ბჭის ორივე მხარეს ჩამწკრივებულიყვნენ უხამსი წარწერებით აჭრელებული გოთური სტატუების ქვეშ.

- ტურნებროშ, შვილო ჩემო, - მითხრა მან, - რას იტყვი, ხომ არ ჩამოვსხდეთ ამ ძველსა და გაცვეთილ ქვებზე, სადაც ჩვენამდე ამდენ გლახაკს ჩამოუსვენებია თავისი სისაწყლეს და სიგლახაკე. ვინ იცის, იქნებ, უპოვართა ამ ურიცხვ ლაშქარს ორი თუ სამი კაცი ერია, რომელნიც მაღალ საგნებზე საუბრობდნენ ერთმანეთს შორის. მართალია, აქ შეიძლება რწყილები ავიკიდოთ, მაგრამ, რაკი შენში სწორედ ახლა იღვიძებს სიყვარული, ჟანეტა მუტრიბის დანატოვარი გეგონება ეს რწყილები ან კატერინა მემაქმანესი, ღამღამობით თავიანთ აშიკებთან ერთად რომ ცვეთენ ამ მერხებს, და შენ ტკბილად გეჩვენება მათი მწარე კბენა. შენს ასაკში თავის ასეთი მოტყუება, დიახაც, მიეტევება კაცს. მე კი დიდი ხანია წამივიდა მომხიბლავ ცთუნებათა დრო და მხოლოდ იმას შევაგონებ თავს, რომ გასაქანი არ უნდა მისცე ხორციელ ვნებებს, ვინაიდან ფილოსოფოსს არ შეჰფერის უფრთხოდეს რწყილებს, რომლებიც, სამყაროს ყველა სხვა არსსა თუ საგანთან ერთად, უხენაესის უცნაურსა და უთქმელ მისტიერად გვევლინებიან.

ამ სიტყვებით ის ფრთხილად ჩამოჯდა მერხზე, რათა პატარა სავიარო და მისი ზაზუნა არ გაეღვიძებინა, რომლებსაც ტკბილად ეძინათ ქვის სარეცელზე. მე მის გვერდით მოვიკალათე. ჩემი კეთილი მოძღვრისა და ბ-ნი შიპენის დღევანდელი საუბარი გამახსენდა და - ბატონო აბატო, - ვკითხე ამ დიდ კაცს, - დღეს თქვენ მინისტრებზე ლაპარაკობდით. თქვენ ამბობდით, რომ არად აგდებთ მეფის მინისტრებს, მათ სამოსს, მათ ნიჭს, მათ კარეტებს და ამას ამბობდით იმ კაცური კაცის პირდაპირობით, რომელსაც არაფერი არ აცვიფრებს. მერე ამ მოხელეთა ხვედრს შეეხეთ სახალხო ხელისუფლებაში (თუ ის ოდესმე დამყარდება ქვეყნად) და ფრიად უმწეო, ქების კი არა, სიბრალულის ღირს არსებებად დაგვისახეთ ისინი. ნუთუ თქვენ წინააღმდეგი ბრძანდებით თავისუფალი წყობილებისა, რომელიც ანტიკური რესპუბლიკების სიდიადეს აღადგენს და აღორძინებს?

- პირიქით, შვილო ჩემო, - მომიგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - მე სახალხო ხელისუფლების მომხრე ვარ სულითა და გულით. ჩემს სისაწყლესა და სიბეჩავეს გადავყავარ მის მხარეზე, ხოლო საღმრთო წერილი, რომლის შესწავლას ცოტა დრო და ენერგია როდი შევალე, ჩემი არჩევანის სისწორეს მიმტკიცებს, რადგან რამათემს უფალმა ასე უბრძანა სამოელს: „ყოველნი კაცნი ისრაელისანი ითხოვენ მეფესა, რათა არა მე ვსჯიდე მათ... მიუთხარ მათ: ესე არს სამართალი მეფისა, რომელი მეფობდეს თქვენს ზედა - ძენნი თქვენნი წარიყვანოს და დაადგინნეს იგინი მეტყველად მისსა და ცხენთა ზედა აღსხნეს იგინი, წინამსრბოლად ეტლისა მისისა. და ასულნი თქვენნი აღიხვნეს და ყვნეს საცხებელის მბგოლველ და სხვანი ქმნეს მზვარეულ და მეპურედ ცხოზად პურისა - „Filiis quoque vestras faciet sibi unguenarias et focarias et panificas“. ეს სიტყვები ხატოვნადაა თქმული მეფეთა წიგნში, სადაც იმასაც ამოიკითხავს კაცი, რომ მონარქი ორ საბედისწერო ხვედრს არგუნებს თავის ქვეშევრდომთ: ომსა და ბეგარას. და თუ მართალია, რომ მონარქიები უფალმა დააწესა ამქვეყნად, არანაკლებ მართალია ისიც, რომ მათში განსახიერდა ადამიანური სიბრიყვისა და ბოროტების

მთელი ბიჭიერება. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცამ ისინი სასჯელად მოუვლინა ხალხებს: Et tribuit eis petitionem eorum[44].

ის მრისხანებით იწირავს მას, რასაც ჩვენ ვწირავთ, და წყალობაც კი მისი წყევლად გვექცევა ხშირად: მე შემეძლო, შვილო ჩემო, ძველი მწერლების ბევრი მშვენიერი გამონათქვამი მომეყვანა აქ, რომლებშიც განსაცვიფრებელი ძალითაა გადმოცემული მათი ზიზღი ტირანიის მიმართ. დასასრულ, მე მგონია, ყოველთვის მხნედ მეჭირა თავი, ყოველთვის ზიზღით ვუცქერდი ამქვეყნიურ ამოებას და ყოველთვის მძულდა, იანსენისტ ბლეზ პასკალის[45] მსგავსად, ხმალამოწვდილი მამლაყინწები. ამიტომაც მთელი ჩემი არსება, მთელი ჩემი სული და გული სახალხო მმართველობისკენ მიდრეკილი და მიქცეული. მე ბევრი მიფიქრია ამაზე და ჩემს ნაფიქრალსა და ნააზრევს ერთ მშვენიერ დღეს ქალაქდზე გადავიტან ალბათ. ეს იქნება წიგნი, რომელშიც, როგორც ამბობენ, ძვლები უნდა ამტვრიო, რომ ტვინამდე დახვიდე, ამით ის მინდა გითხრა, რომ მე დავწერ ახალ „ქებას სისულელისას“, რომელშიც ბრიყვნი სიბრიყვეს ხედავენ მხოლოდ, მაგრამ ბრძნისთვის შეუმჩნეველი არ რჩება სიბრძნე, წინდახედულად შენიღბული და შეფარვით თქმული ავტორის მიერ. ერთი სიტყვით, მე ვიქცევი მეორე ერაზმად და, მისი მაგალითისამებრ, მრავლისმთქმელი და ჭკუისსასწავლი ლაყბობით დავმოდვრავ ხალხებს. და ამ ტრაქტატის ერთ-ერთ თავში, შვილო ჩემო, შენ ჰპოვებ ამომწურავ ახსნა-განმარტებას შენთვის საინტერესო საკითხზე; და მაშინ ცხადად წარმოიდგენ გენერალურ შტატებსა თუ სახალხო სათათბიროებს დაქვემდებარებული მინისტრების მდგომარეობას.

- აჰ, ბატონო აბატო! - წამოვიძახე მე, - რომ იცოდეთ, როგორ მეჩქარება მაგ წიგნის წაკითხვა! მაინც როდის დაწერთ?

- არ ვიცი, - მომიგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - და გამოგიტყდები, ასე მგონია, ვერასოდეს ვერ დავწერ მას. კაცი ბჭობს, ღმერთი იცინისო, გამიგონია. მომავალი იოტის ოდენადაც არ გვეკუთვნის ჩვენ და ეს გაურკვეველობა, რომელიც საერთოა ადამის ძეთა მთელი მოდგმისთვის, ჩემთვის უკიდურესობამდე მძაფრდება და განუჭვრეტელ უკუნეთში გადადის ხელმოცარულობათა უსასრულო წყების წყალობით. აი, რატომ არა მაქვს, შვილო ჩემო, იმის იმედი, რომ ოდესმე დავწერ ფაცეციების ამ მშვენიერ კრებულს. ახლა პოლიტიკური ტრაქტატის კითხვით არ შეგაწყენ თავს. გეტყვი მხოლოდ, როგორ დამებადა იდეა, ჩემს ნაოცნებარ წიგნში ერთ-ერთ თავად შემეტანა იმ მოხელეთა უმწეობისა და ზნედაცემულობის ამსახველი ფაცეცია, რომელთაც ხელისუფლების სათავეში მოქცევისას, მსახურებად დაიყენებს ხეპრე დემოსი, რა თქმა უნდა, თუ ეს სინამდვილედ იქცა ოდესმე, რასაც დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, ვინაიდან წინასწარმეტყველებას თავს ვარიდებ და მთლიანად იმ ქალწულებს ვუთმობ მას, რომლებსაც მკითხაობა გაუხდიათ ხელობად კუმელი, ირანელი თუ ტიბურტინელი სიბილების მსგავსად, quarum insigne virginitas est et virginitatis praemium divinatio[46], მაგრამ, მოდი, ჩვენი საუბრის საგანს

მივუბრუნდეთ ისევ. დაახლოებით ოცი წლის წინათ მე ვცხოვრობდი სახელოვან ქალაქ სეეზში, სადაც ბატონ ეპისკოპოსს ვემსახურებოდი წიგნთსაცავის მცველად.

ერთხელ, შემთხვევით, მოხეტიალე კომედიანტები გვეწვივნენ და არცთუ ურიგო ტრაგედია წარმოგვიდგინეს ბედელში. მე ვესწრებოდი ამ წარმოდგენას და ვიხილე რომის იმპერატორი, რომელსაც პარიკზე უფრო მეტი დაფნის ფოთოლი ჰქონდა ასხმული, ვიდრე ბურვაკის ბარკალს წმიდა ლავრენტის ბაზრობაზე. ის საეპისკოპოსო სავარძელში იჯდა, ხოლო მის მხარმარცხნივ და მარჯვნივ ორი მინისტრი წამოსკუპებულიყო დაბალ ტაბურეტებზე. მათ კარისკაცის სამოსი ეცვათ და ორდენები ებნათ მკერდზე. ეს ზვიადი ტრიუმვირატი სახელმწიფო საბჭოს წარმოადგენდა შემზარავად მხრჩოლავი ჭრაქების შუქზე. თათბირის დროს ერთ-ერთმა მინისტრმა მაყურებელთა წინაშე მოხაზა ბოლოჟამინდელი რესპუბლიკის კონსულთა სატირული პორტრეტი: გვიჩვენა, როგორი სიხარბით ესწრაფვიან უდღეური ძალაუფლებით სარგებლობას და მის ბოროტად გამოყენებას სახალხო კეთილდღეობის საზიანოდ, როგორი შურით შესცქერიან თავიანთ შემცვლელთ, რომლებშიც თავიანთ თანამოაზრეთა და თანამდგომთ ხედავენ მხოლოდ. ის ამბობდა: ძალაუფლება მისი მხოლოდ ერთ წელს გძრელებს, და რაკი ესმის, რომ კონსულად არ დაბერდება, კეთილს არ ნერგავს: ეშინია, და იცით რისი? -

ვაითუ მეორემ მოისთვლასო ნაყოფი მისი.

რადგან ყველა ჭამს, დასაბამით რადგან ესეა, ისიც ურცხვად მკის, რაც ხალხს ოფლით დაუთესია.

იცის, ყველაფერს აპატიებს მას მომავალი: ის წავა, მასზე უარესი მოვა მრავალი.[47]

და ეს ლექსი, შვილო ჩემო, რომლის სენტენციოზური სიზუსტე პიბრაკის[48] კუპლეტებს მოგვაგონებდა, თავისი აზრით, უდავოდ ჩრდილავდა მთელ დანარჩენ ტრაგედიას, ფრონდის მაღალფარდოვანი ფრივოლურობითა და დუკესა ლონგევილელის[49] ყაიდაზე გაფორმებული ჰეროიკული და სამიჯნურო სცენებით შერყვნილს (ტრაგედიაში ის ემილიას სახელით იყო გამოყვანილი). მე ვეცადე ზეპირად დამემახსოვრებინა ეს ლექსი და მეფიქრა მასზე. რადგან ზოგჯერ სცენისთვის განკუთვნილ თხზულებაშიც კი პოვებს კაცი მშვენიერ აზრებს. და რასაც ამ რვა სტრიქონში რომის რესპუბლიკის კონსულეებზე ამბობს პოეტი, თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების უდღეურ მინისტრებსაც ეხება უდავოდ.

ისინი უმწეონი არიან, შვილო ჩემო, რადგან სახალხო სათათბიროს ექვემდებარებიან მთლიანად, რომელსაც არც მტკიცე სახელმწიფო მოღვაწის ზვიადი ზრახვები გააჩნია, არც უმაქნისი მეფის მიამიტური სიბრიყვე. მინისტრი მხოლოდ მაშინაა დიდი, როცა, სიულის[50] მსგავსად, ჭკვიან მეფეს უდგას მხარში, ან როცა, რიშელიესავით, სახელმწიფოს თვითონ უდგება სათავეში ჭკუამოკლე მონარქის

ნაცვლად. ხოლო ვის ეპარება ეჭვი იმაში, რომ დემოსისტვის უცხო იქნება როგორც ანრი მეოთხის ჯიუტი სიფრთხილე, ისე ლუი მეცამეტის კურთხეული მოცალეობა. დავუშვათ თუნდაც, რომ მან იცის, რა სურს, მაგრამ, გარწმუნებ, ის მაინც არ ეცოდინება, როგორ შეიძლება აღსრულდეს მისი ნება, ან, საერთოდ, შესაძლებელია თუ არა მისი აღსრულება. სუსტ მბრძანებელს ცუდად ემორჩილებიან და მას ყველგან და ყველაფერში მხოლოდ გამცემლობა მოელანდება. დეპუტატები, რომელთაც ის წარგზავნის გენერალურ შტატებში, ათასგვარი ხრიკებითა და მანქანებით დაიცავენ მის ცთომას, მანამ, სანამ მისი სამართლიანი თუ უსამართლო ეჭვის წერა არ გახდებიან. ეს დეპუტატები მათი წარმომგზავნი ბრბოსის უსახო უნიჭობით აავსებენ გენერალურ შტატებს, სადაც ათას სისულელეს დაფქვავენ და გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენებენ მმართველებს იმით, რომ ფრიად ბუნდოვანი გადაწყვეტილებების განხორციელებას დააკისრებენ, რომელთა აზრი და მნიშვნელობა თვითონაც არ ეცოდინებათ. და მათ მინისტრებს, რომლებსაც ლეგენდარული ოიდიპოსივით როდი გაუღიმებს ბედი, სათითაოდ შთანთქავს ასთავიანი სფინქსი, ვის ენიგმასაც ისინი კი არა, თვითონ სფინქსიც ვერ გასცემს პასუხს.

მათი უმთავრესი უბედურება კი ის იქნება, რომ საკუთარ უმწეობასთან შერიგება მოუწევთ და მარტოოდენ ლაყბობა, მოქმედების ნაცვლად. ისინი ორატორებად იქცევიან, მაგრამ ძალზე უნიჭო ორატორებად, რადგან ნიჭი სინათლეა, სინათლე კი დამღუპველი იქნება მათთვის. ისინი იძულებულნი იქნებიან იყბედონ, მაგრამ ისე, რომ არაფერი თქვან და მათგან ყველაზე ნაკლებად ბრიყვს ყველაზე მეტი სიცრუისთვის გასწირავს ბედი. ამრიგად, ყველაზე ჭკვიანი ყველაზე მეტ ზიზღს დაიმსახურებს. ხოლო თუ მათში გამოერევა ორიოდე გაქნილი პოლიტიკოსი, რომელთაც შეეძლებათ მოლაპარაკებანი აწარმოონ, ფინანსები განაგონ და საქმენი მართონ, სულერთია, თავიანთ შესაძლებლობებს სინამდვილეში მაინც ვერ გამოიყენებენ, რადგანაც დრო არ ეყოფათ, დიად საქმეთა ეს აუცილებელი საფანელი.

ეს უმწეობა სასოს წარუკვეთს ღირსეულთ და, პირიქით, ფრთებს შეასხამს უღირსთა მზვაობას. ყოველი მხრიდან, ყოველი ხვრელიდან თავს წამოყოფენ უსუსური პატივმოყვარენი და უმაღლეს თანამდებობებზე აცოცდებიან. და რაკი პატიოსნება კაცის ბუნებრივი ნიშანი კი არა, მხოლოდ ხანგრძლივი ზრუნვითა და რუდუნებით აღზრდილი თვისებაა, სახელმწიფო ხაზინას მყისვე სვაავივით დააცხრება თავს მპარავთა და მექრთამეთა ლაშქარი. და ეს სიავე სულ უფრო და უფრო გაიზრდება და ფრთებს გამლის ათასგვარი აყალმაყალის წყალობით, რადგან სახალხო ხელისუფლებისას ძნელი იქნება დამალო რამე, და მრავლის ბრალი ჩირქს მოსცხებს ყველას.

რა თქმა უნდა, აქედან მე სრულიადაც არ გამომაქვს ის დასკვნა, შვილო ჩემო, რომ ხალხები მაშინ უფრო უბედური იქნებიან, ვიდრე ამჟამად. მე უწინაც არაერთხელ მითქვამს შენთვის, რომ არ ვიზიარებ მათ აზრს, ვინც ამტკიცებს, ხალხის

ბედი მთლიანად მეფესა და მის მინისტრებზეა დამოკიდებული. ხოლო ვინც კანონებში ხედავს საზოგადოების სიმდიდრისა თუ სიღატაკის წყაროს, ის მეტისმეტ მნიშვნელობას ანიჭებს მათ. მაგრამ კანონთა სიმრავლე საბედისწეროა ხალხისთვის და მე მეშინია, გენერალურმა შტატებმა ბოროტად არ გამოიყენონ კანონმდებლობითი ძალაუფლება.

როცა კოლენი და ჟანო[51] ცხვრებს მწყემსავენ და თან გაჰკვივან: „ვაიდა, მეფე რომ ვყოფილიყავ...“, ეგ კიდეც არაფერი, მაგრამ ჟანო რომ მეფედ დაჯდება, იმდენ კანონს გამოსცემს, რამდენიც იმპერატორ იუსტინიანესაც არ გამოუცია მთელი თავისი იმპერატორობის მანძილზე. აი, კიდეც ერთი მიზეზი, რაც ხელს მიშლის მივესალმო ჟანოს მეფობას. მაგრამ მეფეები და იმპერატორები ისე ცუდად მართავენ ხალხებს, რომ უარესს არც უნდა მოველოდეთ ალბათ, და საწყალ ჟანოსაც მეტისმეტად გაუჭირდება დამთხვეულობასა და სისასტიკეში გაეჯიბროს ამ ორ თუ სამგზის გვირგვინოსან მონარქებს, რომლებიც, წარღვნის დროიდან მოკიდებული, სისხლში ახრჩობენ სამყაროს და ნანგრევებად აქცევენ მას. ის კი არა, მისი სიბეცე და სიფიცხე იმდენს იზამს, ბოლოს და ბოლოს, რომ შეუძლებელს გახდის სახელმწიფოთა შორის დახლართული ურთიერთობების არსებობას, რომელთაც დიპლომატიური ურთიერთობები ჰქვიათ და სხვას არას ემსახურებიან, გარდა უსარგებლო და საბედისწერო ომების ხელოვნურად გაჩაღებისა. ხეპრე დემოსის მინისტრები, რომლებსაც გულს გაუწვრილებენ მიწყვი თავში რტყმით, პანდურის კვრითა და „აცე ვიროს“ ძახილით, და უფრო მეტი დამპალი ვაშლი და ლაყე კვერცხი მოხვდებათ თავში, ვიდრე ყველაზე სვედავსილ არლეკინს ბაზრობაზე გამართული წარმოდგენის დროს, ერთი წუთითაც ვერ მოიცლიან იმისთვის, რომ კაბინეტების სიმყუდროვეში საყოველთაო ხოცვა-ჟლეტა განუმზადონ ხალხებს, რათა შეინარჩუნონ ის, რასაც ევროპის წონასწორობა ჰქვია, სინამდვილეში კი დიპლომატთა კეთილდღეობის წყაროა მხოლოდ. მაშასადამე, მაშინ ბოლო მოეღება საგარეო პოლიტიკასაც და ეს იქნება უდიდესი ბედნიერება უბედური კაცობრიობისათვის.

ამ სიტყვებით ჩემი კეთილი მოძღვარი წამოდგა და ასე მომმართა: - ახლა კი შინ დაბრუნების დროა, შვილო ჩემო, რადგან ჩემი ბებერი ძვლები უკვე გრძნობენ ღამის სიგრილეს, რომლისგანაც ჩემი გაცვეთილი და ფარღალალა სამოსი ცუდად იფარავს მათ. ეგეც არ იყოს, თუ ამ ბჭის ქვეშ განვაგრძობთ ჯდომას, ვაითუ მწყრები დავუფეთოთ კატერინასა და ჟანეტას აშიკებს, რომლებიც სასიყვარულო განცხრომის მოლოდინში დაეხეტებიან აქ.

VIII. ბატონი მრჩევლები

იმ საღამოს მე და ჩემი კეთილი მოძღვარი „ჩვილი ბახუსის“ ფანჩატურში შევედით, სადაც კატერინა მემაქმანე, მაიმახი მედანე და მამაჩემი დაგვხვდნენ. სამივე ერთ მაგიდას მისხდომოდა. წინ ხელადით მოედგათ ღვინო და, ეტყობოდა, ბლომადაც ეყლურწათ, რადგან გვარიანად შეჭიკჭიკებული ჩანდნენ.

ჩვენთან ის იყო ჩატარდა არჩევნები - ქალაქის საბჭოს ოთხი მრჩევლიდან აირჩიეს ორი ახალი[52], - და მამაჩემი არჩევდა არჩევნების შედეგებს, თანახმად მისი ხელობისა და ორატორული ხელოვნებისა.

- უბედურება ისაა, - ამბობდა იგი, - რომ ეს მრჩევლები მედუქნეთა ამქარს კი არ ეკუთვნიან, არამედ მოსამართლეებისას, და მათ თანამდებობებზე ამტკიცებს მეფე და არა მოვაჭრეთა, ვთქვათ, პარიზელ მედუქნეთა კორპორაცია, რომლის მედროშეც მე გახლავართ. აი, მე რომ შემძლებოდა მათი არჩევა, მაშინ, მოგეცა ლხენა, ისინი საბაჟო გადასახადს გააუქმებდნენ მარილზე და ყველანი კმაყოფილნი დავრჩებოდით. მაგრამ, თუ ქვეყანა უკუსვლით არ მოძრაობს, კიბორჩხალების მსგავსად, მოვა დრო, როცა მრჩევლებს თვითონ მოვაჭრენი ამოირჩევენ.

- ჭემმარიტად, - კვერი დაუკრა ბ-ნმა აბატმა კუანიარმა. - მოვა დრო, როცა მრჩევლებს ქარგლები ამოირჩევენ თავიანთ შეგირდებთან ერთად.

- ნუ იტყვიტ ხოლმე რაღაც უცნაურს, ბატონო აბატო, - თქვა მამაჩემმა და თან შემფოთებით შეიჭმუნა შუბლი, - თუ მრჩევლთა არჩევნებში შეგირდებიც ჩაერევიან, მაშინ ხეირს აღარ უნდა მოველოდეთ მისგან. მე რომ შეგირდი ვიყავი, ერთი საფიქრალი მქონდა მხოლოდ: როგორ მივუჩოჩდე-მეთქი პატრონის დოვლათსა და მის მეუღლეს. მაგრამ მას შემდეგ, რაც თვითონ გავხდი საკუთარი დუქნისა და ცოლის პატრონი, საზოგადოების ინტერესების პატივისცემაც ვისწავლე, რადგან ისინი თანხვდებიან ჩემსას.

ლესტიურჟონმა, ჩვენმა მასპინძელმა, კიდევ ერთი ხელადა ღვინო შემოუმატა სუფრას. ეს იყო პატარა, მწითური კაცუნა, გაიძვერა და უხეში.

- რაც შეეხება ჩვენს ახალ მრჩევლებს, - თქვა მან და დოინჯი შემოიყარა, - მე მხოლოდ იმას ვისურვებდი, რომ მათ ძველებზე უარესად არ წაეყვანათ საქმე, თუმცა საზოგადოების ინტერესებში ვერც ისინი ერკვეოდნენ დიდად. როგორც მოგეხსენებათ, ოსტატო ლეონარ (ის მამაჩემს მიმართავდა), სკოლა, სადაც წმიდა იაკობის ქუჩის ღლაპები ანა-ბანას იზეპირებენ, ხის შენობაშია მოთავსებული, და თუ მათ კვესი და ბურბუშელა მოიგდეს ხელთ, მეტი კი არ უნდა, ჭიაკოკონასავით აბრიალდება. ამის შესახებ ბატონ მრჩევლებს ვაუწყე რატუმში. მე მგონია, ჩემი წერილი არ სცოდავდა ენის მხრივ, რადგან ექვს სუდ დავაწერინე სასამართლოს მწერალს, მრჩევლის სენაკში რომ ზის, ვალ-დე-გრასს ქვემოთ. მე ვამცნობდი ბატონ

მრჩევლებს ჩვენი პატარების მდგომარეობას, რომლებსაც სკოლაში წიწილებივით გამოხრუკვის საფრთხე ემუქრებათ დღემუდამ, რასაც, თუ დედების ჩვილ გულს მივიღებთ მხედველობაში, უთუოდ უნდა გაეწიოს ანგარიში. ბატონმა მრჩეველმა, რომელიც სკოლებს განაგებს, გასხეპილი თავაზიანობით მიპასუხა ზუსტად ერთი წლის თავზე, რომ მას დიდად აღელვებს საფრთხე, რომელიც წმიდა იაკობის ქუჩის პატარებს ემუქრება და, მისი თავიდან აცილების მიზნით, სახანძრო მილს უგზავნის ზემოხსენებულ მოსწავლეებს. „მეფის წყალობით, - დასძენდა იგი, - და მისი გამარჯვებების აღსანიშნავად, სკოლიდან ორას ნაბიჯზე აგებულია შადრევანი. ასე რომ, წყალი მანდვეა, ხოლო ბავშვები ორიოდ დღეში ისწავლიან სახანძრო მილის ხმარებას, რომელიც ქალაქმა უწყალობა მათ“. ეს წერილი რომ წავიკითხე, კინაღამ კედელს შევასკდი თავით. მყისვე ვალ-დე-გრასელ მწერალთან გავვარდი და შემდეგი შინაარსის წერილი ვუკარნახე: „მოწყალეო ხელმწიფე, ბატონო მრჩევლო! წმიდა იაკობის ქუჩაზე მდებარე სკოლაში ორასი ცეროდენა სწავლობს, რომელთაგანაც ყველაზე უფროსი შვიდი წლისაა მხოლოდ. თქვენც ნახეთ რაღა მეხანძრეები, სახანძრო მილს რომ სთავაზობთ. წაიღეთ უკან ეგ თქვენი მილი, ბატონო ჩემო, და ახალი შენობა აუგეთ სკოლას, ქვითა და კირით ნაშენი“.

ეს წერილი, წინანდელივით, ექვსი სუ დამიჯდა თავის ბეჭდიანად. მაგრამ ფულები წყალში როდი გადამიყრია; ოცი თვის შემდეგ, როგორც იქნა, ველირსე პასუხს, რომლითაც ჩემი მრჩეველი მამცნობდა, რომ წმიდა იაკობის ქუჩის პატარებს შეუძლიათ გულდამშვიდებით იყონ, რადგან ქალაქ პარიზის მრჩეველთა საბჭო თავის მაღალ ყურადღებას არ მოაკლებს მათ. როგორც იქნა, აქამდე მივიყვანე საქმე. მაგრამ თუ ახლა ჩემმა მრჩეველმა თავისი პოსტი დატოვა, ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყო და ხელახლა თორმეტი სუ გადავუხადო ვალ-დე-გრასელ მწერალს. ამიტომ, ოსტატო ლეონარ, თუმცა ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ რატუმში ჩვენ გვისხედან მოხელეები, რომლებიც არლეკინებად უფრო ვარგიან, ვიდრე მრჩევლებად, მაგრამ მაინც არ ვისურვებდი ამ ჩემი მეხანძრე მრჩევლის ადგილას სხვა, ახალი, მეხილა ვინმე.

- მე კი, - თქვა კატერინამ, - არაფერი გამახარებდა ისე, როგორც ჩვენი ყეყეჩი მსაჯულის მოძრობა, რომელიც ნებას რთავს ჟანეტა მუტრიბს წმიდა ბენედიქტე განრღვეულის ტაძრის წინ იყიალოს ყოველ საღამოს. ეს საფრთხობელაც თავისუფლად დაძრწის ქალაქში და პარიზის ყველა წუმპეში ამოსვრილ კაბის კალთებს დააფრიალებს. ქუჩებში თუ მოედნებზე გამოსვლის უფლება მხოლოდ ფაქიზად ჩაცმულ ქალიშვილებს უნდა ჰქონდეთ, რომლებსაც შეუძლიათ ღირსეულად წარუდგნენ ბრბოს.

- ეჰ, - ამოიხვნეშა მაიმახმა მედანემ, - მე კი მგონია, რომ ქუჩა ყველას ეკუთვნის, და ერთ მშვენიერ დღეს, ალაბთ, ჩვენი მასპინძლის - ლესტიურჟონის მაგალითისამებრ მივაკითხავ ვალ-დე-გრასელ მწერალს და ყველა საწყალი მეწვრილმანის სახელით ვთხოვ ერთი კარგი საჩივარი დამიწეროს მათ დასაცავად.

საკმარისია, ცოტად თუ ბევრად რიგიან ადგილას მივაგორო ჩემი ურიკა, რომ მყისვე პოლიციელი ამეტუზება წინ, ხოლო თუ ჩემი საზიდრის ირგვლივ რამდენიმე ლაქიამ ან მოახლემ შეიყარა თავი, მაშინვე საიდანღაც გამოტყვრება ეს აყლაყუდა და კანონის სახელით მიბრძანებს „გავიარო“. ხან მოვაჭრეთა მიერ ნაქირავებ ადგილას ვგდივარ, ხან ბატონი ლებორნის, მედანეთა გილდიის წევრის გვერდით. ხშირად, როცა იძულებული ვარ გზიდან ჩამოვეცალო რომელიმე ეპისკოპოსისა თუ პრინცის კარეტას, სასწრაფოდ ვებმები ხელნაში და გვერდზე ვაგორებ ჩემს ურიკას. კიდევ კარგი, თუ ლაქიებმა და მოახლეებმა არ ისარგებლეს ჩემი გაწამაწით და სანემსე, მაკრატელი ან ლამაზი შატელროული დანა არ ამწაპნეს გაჭირვებულს. ყელში ამომივიდა ეს ტირანია; ყელში ამომივიდა კაცთა და წესრიგის მცველთა უსამართლობა. ლამის ვიფეთქო ამბოხებულმა.

- ჩემი აზრით, ეს თქვენს კეთილშობილებას მოწმობს, - თქვა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა.

- რის კეთილშობილება, რა კეთილშობილება, ბატონო აბატო, - მიუგო მაიმახმა მედანემ, - მე ბუნებით შურისმაძიებელი კაცი ვარ და, გულდრძობით აღძრული, მეფის, მისი ხარჭებისა და მინისტრების წინააღმდეგ შეთხზულ სიმღერებს ვყიდი ჩუმ-ჩუმად. ურიკის შალითაში დასტობით მიწყვია ეს სიმღერები; ოღონდ თქვენ არ გამცეთ. მარტო ერთი სიმღერა მეფის თორმეტ დუდუკზე რად ღირს!

- მე თქვენ არ გაგცემთ, - მიუგო მამაჩემმა, - მე მგონია, კარგი სიმღერა ერთი ჭიქა ღვინო მაინც ღირს, თუ მეტი არა. კაი კაცი ხართ და სულითა და გულით გისურვებთ თქვენც გენახოთ მოგება, რადგანაც ჭამა ყველას უნდა, არა? მაგრამ თავად განსაჯეთ: ვინ მოითმენს იმას, რომ ქუჩა-ქუჩა მოხეტიალე მეწვრილმანენი კონკურენციას უწევდნენ დარბაისელ ვაჭრებს, რომლებსაც საკუთარი დუქნები აქვთ და გადასახადს უხდიან სახელმწიფოს, რადგან კანონსა და წესრიგს არა ეწინააღმდეგება რა ასე. ამ გუდამშიერმა ვაჭრუკანებმა კი თავი აიშვეს პირდაპირ. აი, შარშანაც ერთი მონრუჟელი ტეტია დაეყუდა ჩემი დუქნის წინ და - ერიჰა! - ორი სუთი ჩემზე იაფად არ დაუწყო გაყიდვა თავის საქონელს?! თანაც ეს ხეპრე ისე გაჰკიოდა, რომ ფანჯრებს ზრიალი გაჰქონდა დუქანში: „აბა, მტრედები, ხუთ სუდ, კაი მტრედები!“ ერთი-ორჯერ მაინც დავემუქრე ჩემი მახათით. თქვენც არ მომიკვდეთ; დგას ეს ბრიყვი და ერთსა და იმავეს მიმეორებს: ქუჩა მარტო შენი ხომ არ გგონიაო. მე, რასაკვირვეია, საჩივარი შევიტანე მოსამართლესთან. უშველა ღმერთმა; მართლად მცნო და თავიდან მომაშორა ეს თავხედი. არ ვიცი, მერე სად წავიდა, რა დაემართა, მაგრამ იმხელა ზარალი კი მომაყენა, რომ დღემდე ვერ მიპატიებია მისთვის. ვინაიდან როცა ვხედავდი, როგორ ყიდულობდნენ მისგან მტრედებს, და მერე, ვინ, კაცო? - ჩემი მუშტრები! - ბოლმისგან კინაღამ ნაღველა ჩამექცა და მერეც დიდხანს მაწვალებდა მელანქოლია. ნეტა ერთი თხემით ტერფამდე წებოწასმული მანახა და იმ დაბრაწული მტრედების ბურტყელში ამოგანგლული, რომლებსაც ჩემს

თვალწინ ყიდდა ეგ ტუტუცი, და მერე, ასე გაბუმბლული, ქუჩაში გამომაცვანინა, მისსავ საზიდარზე მიკრული.

- რა სასტიკი ხართ უპოვართა მიმართ, - ოსტატო ლეონარ, - თქვა მაიმახმა მედანემ. - აი, ეგ სისასტიკეა, სიცოცხლეს რომ უწამლავს საწყლებს.

- ბატონო მედანევ, - სიცილით მიმართა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - იცით, რას გეტყვით? თქვენც ადექით და სენტ-ინოსანის სამრევლოს რომელიმე იაფფასიან მწერალს სატირა დაუკვეთეთ ოსტატ ლეონარზე, მერე კი იმ სიმღერებთან ერთად გაყიდეთ იგი, რომელთაც „მეფე ლუის თორმეტ დუდუკს“ უწოდებს ხალხი. ჩვენი მეგობარი, დიახაც, იმსახურებს ასეთ გაკენწვლას, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც თითქმის მონაა, ტირანიის კი არა, თავისუფლების წინააღმდეგ ილაშქრებს მაინც. თქვენი სიტყვებიდან მე ის დასკვნა გამომაქვს, ძმებო, რომ ქალაქის მართვა არც ისე იოლი საქმეა თურმე, რადგან მრავალი სხვადასხვა, ხშირად თვით სრულიად საპირისპირო ინტერესების ურთიერთდაზავებასა და დაშოშმინებას მოითხოვს; რომ საზოგადოების კეთილდღეობას მრავალი კერძო უბედობა და ხელმოცარულობა უდევს საფუძვლად; და რომ, ბოლოს, ისიც დიდად საოცარია, ქალაქის კედლებში მომწყვდეული ადამიანები რატომ ერთმანეთს არ ჭამენ სულაც. ამ ბედნიერებას მხოლოდ მათ სიმხდალეს უნდა ვუმაძღლოდეთ. ქალაქის სიმშვიდე მოქალაქეთა სულმოკლეობას ემყარება მთლიანად, ერთმანეთის რომ ეშინიათ და ამიტომ გაურბიან ერთიმეორეს. ხოლო მონარქი, რომელიც შიშის ზარს სცემს ყველას, სიმშვიდისა და აუმღვრევლობის მთელი სიკეთის საიმედო მცველად ეგულებათ. რაც შეეხება თქვენს მრჩევლებს, ისინი იმდენად უმწეონი არიან, ძმებო, რომ არ შეუძლიათ რაიმე გვავნონ ან გვარგონ. მთელი მათი ღირსება მათ კვერთხშია და მათ პარიკში; მაშ, რაღად შფოთავთ იმის გამო, რომ მათ მეფე ნიშნავს და ისინი მის მაღალ მოხელეებად იწოდებიან, თუმცა არც ისე დიდი ხანია, რადგან, თუ გახსოვთ, ეს წოდება ჩვენმა აწ განსვენებულმა მეფემ უბოძა მათ. ისინი მეფის მეგობრები არიან და ხალხის მტრები, მაგრამ ამ მტრობას თითოეულისათვის ადვილად ასატანს ხდის აბსოლუტური თანასწორობა, რომლითაც ის ვრცელდება ყველა ჩვენგანზე. ესაა წვიმა, რომლის მხოლოდ ორიოდ წვეთი თუ დაგვეცემა ხანდახან თავზე. მაგრამ როცა დადგება დრო და თვითონ ხალხი აირჩევს მათ (როგორც ირჩევდა, მემატანის თქმით, მონარქიის დასაბამს), მაშინ ისინი თვითონ მოქალაქეთა შორის გაიჩენენ მტრებსა და მეგობრებს. თუ მათ ვაჭრები აირჩევენ, რომლებიც ქირასა და გადასახადს იხდიან, ისინი მეწვრილმანეებს დაუწყებენ დევნას, ხოლო თუ პირიქით მოხდა, მაშინ - ვაი, ვაჭრებს. შეგირდთა მიერ არჩეულნი ქარგლებს უტირებენ ყოფას, რომლებიც ურცხვად ყვლეფენ შეგირდებს. ეს იქნება განხეთქილებათა და აშლილობათა მუდმივი წყარო. ხოლო რატუმა ცემა-ტყეპის ასპარეზად გადაიქცევა, ვინაიდან თითოეული მრჩეველი მხოლოდ თავის ამომრჩეველთა ინტერესებს დაიცავს. მაგრამ, რაც არ უნდა ქნან, ვფიქრობ, მაინც ვერ მოგვანატრებენ ჩვენს ბითურ მრჩევლებს, რომლებიც სულ მეფეს შესცივინებენ თვალებში. მათი ამაო ფუსფუსი დიდად

გართობს და გაახალისებს ბრბოს, რომელიც მათში, როგორც გამადიდებელ სარკეში, თავის ბრიყვულ სიფათს შეიცნობს. ისინი ზომიერად ისარგებლებენ თავიანთი ზომიერი ძალაუფლებით. მდაბიოთაგან გამოსულნი, ვერც გაანათლებენ, ვერც ალაგმავენ ხალხს. მორჭმულთ შეაძრწუნებს მათი სიშლეგე, უპოვარნი კი სიმხდალეს დასწამებენ მათ, თუმცა სიმართლესთან უფრო ახლო იქნებოდა, თუ ერთნიც და მეორენიც აღიარებდნენ, რომ მათი უაზრო ყაყანი ბატების ყიყინსა ჰგავს. სხვაფრივ, ისინიც შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას, ისინიც იზრუნებენ საზოგადოების კეთილდღეობისთვის იმ საქმიანი უსაქმობითა და უმოქმედობით, რომელსაც ყველა ადვილად ეჩვევა, მაგრამ ძნელად თუ გადაეჩვევა ვინმე.

- ეჰ! - ამოიხვნეშა მამაჩემმა. - მართალს ბრძანებთ, ბატონო აბატო. აბა, დავლიოთ!

IX. მეცნიერება

იმ დღეს მე და ჩემი კეთილი მოძღვარი ახალ ხიდამდე მივედით, რომლის მოაჯირებს გასწვრივ ჩამწკრივებულ ფარდულებში ბუკინისტები სულის მარგებელ თხზულებებთან ერთად ნაირნაირ რომანებს სთავაზობენ მუშტრებს. აქ ორ სუდ შეგიძლიათ შეიძინოთ პროვინციელი ბიბლიოფილების მიერ დაფლეთილი და დალაქავებული მთელი „ასტრეა“ [53] და „დიდი კიროსი“ [54], „სიდამწერის მალამოსა“ და იეზუიტების ტრაქტატებთან ერთად. ჩემი კეთილი მოძღვარი ახალ ხიდზე ისე არ გაივლიდა, ერთი-ორი წიგნი მაინც რომ არ აეღო ხელში და არ გადაეფურცლა; ყიდვით კი, რასაკვირველია, არ ყიდულობდა, რადგან გახვრეტილი გროშიც არ ებადა; ხოლო თუ თავისი შარვლის ჯიბეში რაღაც ბედნიერი შემთხვევის წყალობით მაინც აღმოაჩენდა ხოლმე ორიოდ გროშს, კეთილგონივრული მომჭირნეობით ინახავდა მათ „ჩვილი ბახუსის“ პატრონისათვის. ეგეც არ იყოს, ის ნაკლებად იწუხებდა თავს ამქვეყნიურ სიკეთეთა მოხვეჭით და გულგრილად უყურებდა თვით შედევრებსაც. მისთვის სავსებით საკმარისი იყო, თვალის ერთი გადავლებით გასცნობოდა წიგნის რამდენიმე საუცხოო ადგილს, რომელთაც მათი არსის საოცარი წვდომით არჩევდა შემდეგ. გარდა ამისა, ეს ფარდულები იმითაც ხიბლავდნენ მას, რომ წიგნებს იქ ნამცხვრის საამო სუნი ასდიოდათ, ვინაიდან გვერდით ფუნთუშებით ვაჭრობდნენ. ასე რომ, ეს დიდი კაცი ერთდროულად ტკებოდა მისთვის თანაბრად სანუკვარი სამზარეულოსა და მეცნიერების სურნელით.

მან სათვალე მოირგო ცხვირზე და დინჯად აათვალიერ-ჩაათვალიერა დახლები იმ ბედნიერი სულის სრული კმაყოფილებით, რომელსაც ყველაფერი მომხიბლავად ეჩვენება, რადგან ყველაფერი მხოლოდ თავისი მომხიბლავი მხრით ირეკლება მასში.

- ტურნებროშ, შვილო ჩემო, - მითხრა მან, - ამ კეთილ კაცს დახლზე უწყევია იმ ნეტარი დროის წიგნები, როცა მათი ბეჭდვის საქმე ჯერ კიდევ აკვანში იწვა. მათში ჩვენი წინაპრების სიტლანქე თვლემს. აი, მონსტრელეს[55] ბარბაროსული ქრონიკა; მასზე ამბობდნენ, წიწაკასავით მწარეაო. აი, წმიდა მარგარიტას ორი თუ სამი ცხოვრება, რომლებსაც უწინ მელოგინე ქალებს ადებდნენ მუცელზე, რათა მშობიარობის ტკივილები შეემსუბუქებინათ მათთვის. ძნელი წარმოსადგენია, იმდენად ბრიყვი როგორ უნდა ყოფილიყო ხალხი, რომ მსგავსი სისულელები ეკითხა და ეწერა. მაგრამ აქ მწედ გვევლინება რელიგია, რომელიც გვასწავლის, სიბრიყვე კაცის თანდაყოლილი ნიშანიაო დასაბამითგან. და რაკი, ჩემდა საბედნიეროდ, ჭეშმარიტი რწმენის ნათელი არასდროს დამშრეტია, მაშინაც კი, როცა სარეცელზე თუ სუფრასთან ვცოდავდი, ამიტომ წინაპართა სიბრიყვე უფრო საცნაურია ჩემთვის, ვიდრე თანამედროვეთა სიბრძნე, რომელიც, მართალი გითხრა, თვალთმაქცური მგონია და მოჩვენებითი, ზუსტად ისეთი, როგორი სახითაც წარუდგება ის მომავალ საუკუნეებს, რადგან კაცი თავისი არსით სხვა არა არის რა, თუ არა ბრიყვი ცხოველი და პროგრესი მისი სულისა მისი მუდმივი ბორგვის ფუჭი შედეგია მხოლოდ. აი, რატომაა, შვილო ჩემო, რომ მე ეჭვის თვალთ ვუცქერი იმას, რასაც ისინი მეცნიერებასა და ფილოსოფიას უწოდებენ, და რაც, ჩემი ღრმა რწმენით, მხოლოდ მცდარი წარმოდგენები თუ მაცთური ხატებია და, გარკვეული აზრით, - კაცთა სულებზე სატანის საბედისწერო ზემოქმედების ნაყოფი. შენ, რასაკვირველია, გესმის, რომ მე ნაკლებად მწამს სატანის მანქანება, რომლითაც ასე აფრთხოვენ და აშინებენ მდაბიოთ. მე სავსებით ვიზიარებ წმიდა მამების აზრს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ცთუნება თვით ჩვენშია და თვითონვე ვართ ჩვენი თავის დემონებიცა და ბოროტი სულნიც. მაგრამ ვგმობ ბატონ დეკარტსა და მის კოლეგებს, რომლებიც, მისი მაგალითისამებრ, ცდილობდნენ ბუნების შემეცნებაში სიცოცხლის პრინციპები და ქცევის წესები აღმოეჩინათ. რადგან, ბოლოს და ბოლოს, რა არის ბუნების ეს შემეცნება, შვილო ჩემო, თუ არა ჩვენი გრძნობების ფუჭი ფანტაზია, ან რას მატებს მას მეცნიერება მთელი თავისი სწავლულებით, გასენდიდან[56] (ხოლო ვინ იტყვის „ვირი იყო“ მასზე?), დეკარტიდან და მისი მოწაფეებიდან მოყოლებული, ვიდრე ჩვენს ბრიყვ ფონტენელამდე?[57] სათვალეს, შვილო ჩემო, მხოლოდ სათვალეს, ზუსტად ისეთს, როგორსაც მე ვირგებ ცხვირზე. რას წარმოადგენენ სინამდვილეში მთელი ეს ჭოგრიტები და მიკროსკოპები, რომლებითაც ასე იკვებხიან, თუ არა იმავე სათვალეებს, ოღონდ ჩემსაზე უფრო სრულქმნილთ? ჰო, მართლა, ეს ჩემი სათვალე შარშან წმიდა ლავრენტის ბაზრობაზე ვიყიდე ერთი ოპტიკოსისგან, მაგრამ, საუბედუროდ, მარცხენა შუშა უკვე გამიტყდა; კიდევ კარგი, რომ სწორედ მარცხენა თვალთ ვხედავ უკეთ. ეს ამ ზამთარს მოხდა, როცა ჩვენმა მაიმახმა მედანემ, რომელსაც მოეჩვენა, რომ მე კატერინა მემაქმანეს ვეხვეოდი ჩუმად, ტაბურეტი მთხლიშა თავში, რადგან, მოგეხსენება, ჯერ ისეც რა ტლანქია და გაუთლელი და მაშინ ხომ სულ მთლად გადარია ეჭვმა. დიახ, ტურნებროშ, შვილო ჩემო, რას წარმოადგენენ ეს ინსტრუმენტები, რომლებითაც სწავლულნი ტენიან თავიანთ ობსერვატორიებსა და კაბინეტებს? რას წარმოადგენენ მთელი ეს

ჭოგრიტები, ბუსოლები, ასტროლაბიები, თუ არა დამხმარე საშუალებებს. რომლებითაც ჩვენი გრძნობების ილუზიებს ვზრდით და რომლებითაც ბუნებასთან ჩვენი ურთიერთობის გაღრმავებასა და გამრავალფეროვნებას ვაპირებთ, მაგრამ ნაცვლად ამისა, ჩვენს ფატალურ უვიცობას ვაღრმავებთ მხოლოდ. ჩვენგან ყველაზე გაბრძნობილნი უვიცთაგან მხოლოდ იმ ხანგრძლივი რუდუნებით აღზრდილი უნართი განირჩევიან, რომლის წყალობითაც ისინი სხვებზე უკეთ იტყუებენ თავს რთული და მრავალრიცხოვანი ილუზიებით. ისინი მრავალწახნაგოვანი ტოპაზით აკვირდებიან სამყაროს, ნაცვლად იმისა, რომ, დედაშენის - ამ ჭეშმარიტად ღირსეული მანდილოსნის მაგალითისამებრ, უშუალოდ საკუთარი, ღვთივბოძებული თვალთ უმზერდნენ მას. მაგრამ თვალი თვალია, შეიარაღებულიცა და შეუიარაღებელიც. ვინაიდან, როცა სივრცის საზომ ხელსაწყოებს იყენებენ, ამით მისი განზომილება არ იცვლება; არც წონა იცვლება ზეგრძნობიარე საწონების გამოყენებით. მაგრამ ისინი დაჟინებით მიიჩნევენ რეალურად მათ მიერ აღმოჩენილ ყველა არარეალურ სიახლეს და ამით ახალი ილუზიების ტყვეობაში ექცევიან. ესაა მათი თავი და ბოლო; და რა გასაკვირია, რომ ის, რასაც ისინი ბუნების საიდუმლოებათა შეცნობას უწოდებენ, მე ფანტასმაგორიათა პროგრესად მეჩვენება მხოლოდ. კიდევ კარგი, ჩვენი უწმიდესი სარწმუნოების ჭეშმარიტებაში მაინც რომ არ მეპარება ეჭვი, შვილო ჩემო, თორემ რაღა დამრჩებოდა უსაგნოდ შთენილს, გარდა იმისა, რომ აი, ამ ხიდიდანვე ავწეულიყავ და სენაში მესკუპა თავით, ამ ჩვენს მღვრიე მდინარეში, რომელსაც არა ერთი და ორი დამხრჩვალნი ჩამოუტარებია აქ, ან კატერინა მემაქმანის მკლავებში მემია თავდავიწყება, რასაც მხოლოდ იქ პოვებს, ვინც მას დაემებს, მაგრამ რაც არ ეკადრება ჩემი ხარისხის და, განსაკუთრებით, ჩემი ასაკის კაცს.

ასე ლაპარაკობდა ჩემი კეთილი მოძღვარი ახალი ხიდის პირველი, მარცხენა თაღის წინ, თუ დოფინის ქუჩას დავისამხრისებთ, და მისი სიტყვები შიშის ზარს სცემდნენ წიგნით მოვაჭრეს, რომელსაც მსახვრალი ეგონა იგი. უცებ ძველისძველ გეომეტრიას დასტაცა ხელი, სებასტიან ლეკლერკის[58] საკმაოდ უზადრუკი ფიგურებით შემკულს.

- თუმცა, - განაგრძო მან, - ქრისტიანი რომ არ ვიყო და კათოლიკე, წყალში დახრჩობის ან სიძვაში თავდავიწყების ნაცვლად, ალბათ, მათემატიკის შესწავლას მოვკიდებდი ხელს, რომელშიც სული ყველაზე სამხევ საზრდელს პოულობს, სახელდობრ, უწყვეტობასა და თანმიმდევრობას. და მე ვაღიარებ, რომ ეს პატარა წიგნი გარკვეულ პატივისცემასაც კი მინერგავს ადამიანის გენიის მიმართ.

ამ სიტყვებით მან ისე ხარბად გადაშალა სებასტიან ლე კლერკის სახელმძღვანელო სამკუთხედებისადმი მიძღვნილ თავზე, რომ, ცოტა გაწყდა, კინალამ შუა გახია იგი. მაგრამ მალე ზიზღით მიაგდო გვერდზე.

- ეპ, - წაიბუტბუტა მან, - რიცხვები დროს ექვემდებარებიან, ხაზები - სივრცეს, და ესეც მხოლოდ ცთომია და წრიალი სულისა. კაცის გარეშე არ არსებობს გეომეტრია, არც, საერთოდ, მათემატიკა და, საბოლოო ჯამში, ვერც ეს მეცნიერება გვიხსნის საკუთარი თავის ტყვეობისგან, რაგინდ ეფექტურადაც არ უნდა იკერებდეს დამოუკიდებელი მეცნიერების სახელს.

ამ სიტყვებით მან ზურგი აქცია აწ უკვე დამშვიდებულ ბუკინისტს და ხმამაღლა ამოიოხრა.

- აპ, ტურნებროშ, შვილო ჩემო, - თქვა მან, - ხომ ხედავ, როგორ ვიტანჯები ბოროტისაგან, რომელსაც თვითონ ჩავუვარდი ხახაში, როგორ ვიწვი და ვიდაგვი ამ სახმილმოდებულ ტუნუკაში, რომლითაც თვითონ შევიმოსე და შევიმკე თავი.

„ტუნუკა“ ჰიპერბოლა გახლდათ, თორემ აბა რა ტუნუკა ეთქმოდა მთლად გაცვეთილსა და გახუნებულ პალეკარტს, რომელსაც სამად სამი ღილი შერჩენოდა მხოლოდ. მაგრამ სამი ღილი რომ სამი ღილია, ისიც მუდამ არეულად ჰქონდა შეკრული და როცა ამის მიზეზს ჰკითხავდნენ, სიცილით მიუგებდა ხოლმე - ეს ჩვენი ქალაქის სიმბოლოაო, სიძვით აღრეულისა და გადარეულის.

ის გულმხურვალედ განაგრძობდა: - მე მძულს მეცნიერება იმიტომ, რომ ვნებიანად მიყვარდა იგი. ასე მემრუშენი აგინებენ ქალებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისე ლამაზები არ არიან, როგორც ოცნებებში ეხატებოდნენ. მე მწყუროდა ყოვლის შეცნობა და დღეს ცოდვილ სიშლეგეს დავტირი ჩემსას. ბედნიერია, - დასძინა მან, - აპ, რაოდენ ბედნიერია ეს კეთილი ხალხი, რომელიც ამ თვალთმაქცს შემორტყმია გარს.

და მან ხელით მიჩვენა ლაქიების, პირისფარეშთა და წმიდა ნიკოლას პორტის მტვირთავთა ბრბო, ვიწრო წრედ რომ შემორტყმოდა მოხეტიალე თვალთმაქცს, რომელიც წარმოდგენას მართავდა თავის შეგირდთან ერთად.

- ხედავ, ტურნებროშ, - მითხრა მოძღვარმა, - რა გულიანად ხარხარებენ ისინი, როცა ერთი ბრიყვი წიხლით უტევენ მეორის დუნდულს. მართლაცდა, კაცმა რომ თქვას, ამის უკეთესს რას ნახავს თვალი, მაგრამ ამ სანახაობას მედიტაცია მიმღვრევს და მიწამლავს მე, რადგან, როცა ამ წიხლის არსზე ფიქრობ და ბევრი სხვა რამისაც, საბოლოოდ გეკარგება სიცილის ხალისი. როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანს, მე მმართვებდა, თავის დროზე შემეცნო, რამდენ ცბიერებას იმარხავდა ერთი წარმართის სიტყვები: „ნეტარ არს, რომელმან შეიცნო მიზეზი“; მე მმართვებდა წმიდა უმეცრებით მომეზღუდა თავი, როგორც ძეძვით - კეთილად მსხმოიარე ვენახი, და ასე დამეცვა ჩემი პირველქმნილი უმანკოება. მაშინ მეც გავიხარებდი, მაგრამ ამ მონდორის[59] ტლანქი ჟესტებით კი არა (ახალხიდელი მოლიერი როგორ გამართობდა, როცა თავქარიანად მეჩვენება თვითონ ნამდვილიც). ჩემი წალკოტის ხავერდოვანი ბალახით, და ჩემი ვაშლის ხეების ყვავილობასა და მსხმოიარობაში ოსანას

ვუგალობებდი უფალს. მაგრამ, ვაი, რომ ცნობისწადილმა წამძლია, შვილო; წიგნებთან და სწავლულებთან საუბრებმა წარმიღეს სულის მშვიდობა, სიწმიდე და უბრალოთა გულუბრყვილობა, რომელიც მით უფრო საოცარია, რომ არც ფუნდუკებში იცვლება და არც ხანაგებში. მაგალითისთვის ჩვენს მაიმახ მედანეს დაგისახელებ და, თუ მკრეხელობაში არ ჩამომერთმევა ამის თქმა, მამაშენსაც, რომელმაც დღემდე შეინარჩუნა უმანკობა, მიუხედავად იმისა, რომ გვარიანი მემრუშეა და მემთვრალე. მაგრამ სულ სხვაგვარია ბედი მისი, ვინც დღემუდამ წიგნებსა და ხელნაწერებს ჩაჰკირკიტებდა. მის სულში სამუდამოდ ისადგურებენ ზვიადი ტკივილები და ამაყი სევდა.

მაგრამ აქ დაფდაფების ხმამ დაფარა ჩემი კეთილი მოძღვრის სიტყვები...

X. არმია

ამრიგად, ჩვენ ისევ ახალ ხიდზე ვიდექით, როცა დაფდაფების ხმა მოგვესმა: რეკრუტებს აგროვებდნენ არმიისათვის. სერჟანტ-რეკრუტორს დოინჯი შემოეყარა და ამაყად მიუძლოდა წინ თორმეტ ჯარისკაცს, რომლებსაც ფუნთუშები და სოსისები აეგოთ ხიშტებზე. ქუჩის ბიჭები და მათხოვრები ვიწრო წრედ შემორტყმოდნენ და პირდაღებულნი შეჰყურებდნენ მათ მეთაურს.

მან ულვაშები გადაიგრიხა და ხმამალა წაიკითხა მოწოდება.

- ნუ მოვუსმენთ, - მითხრა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - ტყუილუბრალოდ დავკარგავთ დროს. ეს სერჟანტი მეფის სახელით ლაპარაკობს და ვერაფერს იტყვის ისეთს, გულიანად რომ გაგვაცინოს. ვისაც ამ საგანზე მართლა მახვილგონივრული ლაყბობის მოსმენა სურს, ერთ-ერთმა დუქანს უნდა მიაშუროს კავეულობის სანაპიროზე, სადაც ეს გაიძვერები პირდაპირ ენად იკრიფებიან და თავბრუს ასხამენ ლაქიებსა და სოფლელ გაგრიებს. რა დამავიწყებს ერთი ასეთი კაცთა ხორციით მოვაჭრის ჭეშმარიტად განსაცვიფრებელ სიტყვებს, რომლებიც ჯერ კიდევ ჩემს ჯეელობაში მოვისმინე, ჩვენი აწ განსვენებული ხელმწიფოს დროს. მწირთა უბანში ყიდულობდა თავის საქონელს, რათა შემდეგ კოლონიებში გაეგზავნა იგი. ეს უბანი აქედანაც კარგად ჩანს, შვილო ჩემო. „ბიჭებო, - ამბობდა იგი, - თქვენ, ალბათ, ბევრი რამ გასმენიათ სიუხვის ალთქმული ქვეყნის შესახებ. თუ ამ ქვეყანაში მოხვედრა გასურთ, ინდოეთს უნდა გაემგზავროთ აუცილებლად. აბა იქ არის, რაც არის! რომელი ერთი ჩამოვთვალო: ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარგალიტი თუ ალმასები? მათ იქ ქუჩების მოსაკირწყლავად იყენებენ. დაიხარეთ და აკრიფეთ, რამდენიც გნებავთ; თუმცა დახრაც არ დაგჭირდებათ: ველურები თვითონ აგიკრეფენ. მე უკვე აღარაფერს ვამბობ ყავის, ლიმონების, ბროწეულების, ფორთოხლების, ანანასებისა და სხვა ათასი

საუცხოო ხილის შესახებ, რომლებითაც ხეები თავისთავად იხუნძლებიან, უშრომლად და უწვალებლად, როგორც მიწიერ სამოთხეში. ჩემს წინ რომ ქალები იდგნენ, ან გოგო-ბიჭები, ამაზე კიდევ გავაგრძელებდი სიტყვას, მაგრამ მე ხომ ვაჟკაცებთან მაქვს საქმე?!“ აღარ გავიმეორებ ყველაფერს, რაც მან იქ თქვა დიდებისათვის, მაგრამ მერწმუნე, ისე დამაჯერებლად ლაპარაკობდა, რომ არ დაუვარდებოდა თვით დემოსთენეს, ხოლო მჭევრმეტყველებით ციცერონსაც კი აღემატა. მისი სიტყვებით თავბრუდასხმული ხუთი თუ ექვსი სვედავსილი ბოგანო იქვე ჩაეწერა არმიში. მათ ჭაობებში უკრეს თავი, სადაც, ალბათ, ყვითელი ციებ-ცხელებით დაცხოცნენ. ასეთია მჭევრმეტყველების - ამ ჭეშმარიტად საბედისწერო იარაღის ძალა, ასეთია ხელოვნების ძალმორჭმულება, რომელიც, მიუხედავად იმისა, კეთილს ებრძვის თუ ბოროტს, თანაბრად წინააღმდეგომელია მუდამ. და შენ, ტურნებრომ, გულმხურვალედ უნდა ჰმადლობდე უფალს, რომელმაც არაფრის ნიჭი არ მოგცა, თორემ ხომ შეიძლებოდა ერთ მშვენიერ დღეს ღვთის რისხვად მოვლენოდი ხალხს. უფლის რჩეულთა უპირველესი ნიშანი მათი გონებადახშულობაა. საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი იმაში, რომ ცოცხალი გონება, რომლითაც ცამ დამაჯილდოვა, ჩემი სიმშვიდის მარადიული წარმწყმედია როგორც ამქვეყნად, ისე მომავალ სიცოცხლეშიც. მაგრამ შენ მაშინ თქვი, რა იქნებოდა, თავი რომ ცეზარის აზრებით მქონოდა გამოტენილი და მკერდში მისი გული მდგომოდა. ჩემი ავხორცობა ვედარ გაარჩევდა მამრსა და მდედრს, ვერც სიბრალოლი გაეკარებოდა ჩემს გულს. ჩემს ქვეყანაში და მის გარეთაც მე დავანთებდი ომის უმრეტ ხანძრებს. კიდევ კარგი, რომ ეგ დიდი ცეზარი კეთილშობილი და მართლად გამკითხე კაცი იყო. და ის ღირსეულად დაეცა თავისი ქველი მკვლელების ხელით. ჰოი, მარტის იდეების დღეო, სამარადისოდ წყეულო დღეო, როცა თავისუფლებისმოყვარე ბრუტიანებმა დაამხეს ეს გრძნეული ურჩხული! მე თავს ღირსად ვთვლი ვენერასთან - დედამისთან ერთად დავიტირო ღვთაებრივი იულიუსი, და თუ ურჩხულს ვუწოდებ მას, მხოლოდ სინაზით და სიყვარულით, რადგან მისი მტკიცე, ზომიერებით თავმოზღუდული სულისათვის უცხო იყო რომელიც გნებავთ უკიდურესობა, ძალაუფლების უსაზღვრო ტრფიალის გარდა. მას ჰქონდა რტიმისა და ზომიერების ბუნებით თანდაყოლილი გრძნობა. ყმაწვილკაცობაში თანაბარი გატაცებით იწაფავდა თავს სიძვასა და გრამატიკაში. ის ორატორი იყო და მისი მშვენება უთუოდ დიდად არბილებდა და ანელებდა მის სიტყვებში განზრახ გამოჩინებულ სიმშრალეს. მას უყვარდა კლეოპატრა იმ გეომეტრიული სიზუსტით, რომლითაც ყველა თავის ჩანაფიქრს ახორციელებდა ხოლმე. მის თხზულებებსა და მის საქმეებს ნათელი გენიის ბეჭედი აზის. ის მშვიდობის მომხრე იყო და მეგობარი თვით ომის დროსაც. არ ყოფილა სამყაროს ჰარმონიით უფრო გულსავსე კაცი, არც უფრო დიდი კანონმდებელი, რადგან სწორედ მან მისცა დღევანდელი სახე სამყაროს, და ჩვენ, ველურნი და ბარბაროსნი, დღესაც მისი დიდებისა და ძლიერების ჩრდილს ვეყუჩებით. ხომ ხედავ, შვილო ჩემო, რომ მისთვის არ მშურს არც ხობა და არც სიყვარული. მხედართმთავარი, დიქტატორი და უმაღლესი ქურუმი ის თავისი მშვენიერი ხელებით ძერწავდა სამყაროს. მაგრამ, მე რომ მე ვარ, - მჭევრმეტყველების ყოფილი

მასწავლებელი, საოპერო მომღერლის მდივანი, სეეზელი ეპისკოპოსის ბიბლიოთეკარი, სენტ-ინოსანის სასაფლაოს მწერალი, მამიშენის ერთადერთი ვაჟის მოძღვარი და, გარდა ამისა, იშვიათ ხელნაწერთა საუცხოო კატალოგის შემდგენი და რამდენიმე პასკვილისა (რომლებზეც, უმჯობესია, თუ არას ვიტყვით) და შესაფუთ ქაღალდზე დაწერილი, მაგრამ გამომცემლების მიერ დაწუნებული მაქსიმების ავტორი, - ვიმეორებ, მე რომ მე ვარ, ჩემს სისაწყლესა და სიბეჩავეს დიდი ცეზარის სიცოცხლეზე არ გავცვლიდი მაინც. ძალზე ძვირად დაუჯდებოდა ეს ჩემს სიწმიდეს. მე მირჩევნია, ისევ ერთი ყარიბი ვინმე ვიყო (და ვარ კიდევ), უპოვარი და მიუსაფარი, ვიდრე მწვერვალებს მოვევლო თავზე და ახალი მიზნისკენ წარვმართო კაცობრიობა სისხლიანი გზებით.

ეს ყბედი სერჟანტი, რომელიც უპოვართ დღეში თითო სუს აღუთქვამს, ხორცსა და პურთან ერთად, მე ომისა და არმიის არსზე მაფიქრებს, შვილო ჩემო. სად არ ვთრეულვარ, რა არ ვყოფილვარ, მაგრამ ჯარში არასდროს მიმსახურნია მაინც. რადგან არმია ყოველთვის ზიზღსა და ძრწოლას მგვრიდა, მასში მონობის სრული სუფევით, ყალბი დიდებითა და სისასტიკით, რომლებიც განუყრელნი არიან მისგან. ხოლო ჩემს თვინიერ ზნეს, თავისუფლებისაკენ ჩემს ჭეშმარიტად დაუოკებელ ლტოლვასა და ჩემს სულს, რომლისთვისაც ჯერ დიდება რაა საერთოდ და იარაღის დიდება რა უნდა იყოს, არა ეწინააღმდეგება რა ასე. მე უკვე აღარაფერს ვამბობ ჩემს ვნებიან სიყვარულზე მედიტაციისადმი, რომლისთვისაც აუტანელი იქნებოდა ხმლის ქნევა და თოფის გრიალი. შენ, ალბათ, გესმის, რომ რაკი ცეზარის დიდებაზე უარი ვთქვი, არც ტულიპად[60] თუ ბრენ-დ ამურად[61] ვისურვებდი ყოფნას. და მე არ ვძალავ, შვილო ჩემო, რომ სამხედრო სამსახური ყველაზე საზარელ ჭირად მიმაჩნია ცივილიზებული ხალხებისათვის.

ეს გრძნობა ფილოსოფოსის გრძნობაა, და მაშასადამე, არ უნდა მოველოდეთ, რომ მას ოდესმე გაიზიარებს ბრბო. მართლაც, მეფეები და რესპუბლიკები ყოველთვის შეძლებენ იმდენი ჯარისკაცის გამოყვანას, რამდენსაც მათი ადღუმები მოითხოვენ, ანდა ომები. ბატონ ბლეზოს დუქანში „წმიდა კატერინას ხატი“ მე მიკითხავს მაკიაველის[62] ტრაქტატები, პერგამენტის მშვენიერ ყდებში ჩასმულნი; ისინი იმსახურებენ მათ, ამ მშვენიერ ყდებს, შვილო ჩემო; და მე უსაზღვრო მოწიწებას განვიცდი ამ ფლორენციელის მიმართ, რომელმაც სახელმწიფო მოღვაწეთა პოლიტიკას საბოლოოდ გამოაცალა სამართლიანობის საფუძველი, რაზედაც მათ არც აუგიათ არასდროს რამე, საქვეყნოდ ცნობილ ბოროტმოქმედებათა გარდა. ამ დიდ კაცს, რომელიც სევდით უყურებდა თავის სამშობლოს, დაქირავებულ ჯარისკაცთა საპარპაშოდ ქცეულს, პირველად აღედრა აზრი ნაციონალურ და პატრიოტულ არმიათა შექმნის შესახებ. თავის ერთ-ერთ თხზულებაში ის ამბობს, რომ, სადაც სამართალია, ყველა მოქალაქე სამშობლოს უშიშროებისთვის უნდა ზრუნავდეს და ჯარისკაცის ფორმა უნდა ეცვასო ყველას. იმავე დუქანში ისიც მსმენია, როგორ იცავდა ამ იდეას ბატონი რომანი, რომელიც, როგორც მოგეხსენება, პირდაპირ ზედ

აკვდება სახელმწიფოს უფლებებს და არც მოისვენებს მანამ, სანამ ყველა კერძო ინტერესი მტლად არ დაედება საზოგადოების ინტერესებს. მაშ ასე, მაკიაველისა და ბატონ რომანს სურთ ყველანი ჯარისკაცები ვიყოს, რაკი მოქალაქენი ვართ. მე მათსავით არ მოვყვები იმის მტკიცებას, რამდენად სამართლიანია ეს, მაგრამ არც იმას ვიტყვი, ეს უსამართლოა-მეთქი, მხოლოდ იმიტომ, რომ სამართლიანისა და უსამართლოს გარჩევა ისეთი საკითხია, რომელსაც მხოლოდ სოფისტი თუ მოჰკიდებს ხელს.

- როგორ, ძვირფასო მოძღვარო! - წამოვიძახე მაშინ მწარედ განცვიფრებულმა, - ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ სამართლიანობა სოფისტის არგუმენტებზეა დამოკიდებული და ჩვენი სიმართლისა თუ სიმრუდის გარჩევა უტიფარ ყბედს ხელეწიფება მხოლოდ? ეს მაქსიმა ენითუთქმელად მაძრწუნებს მე.

- ტურნებროშ, შვილო ჩემო, - მომიგო აბატმა კუანიარმა, - ნუ დაივიწყებ, რომ მე ვგულისხმობ ადამიანურ სამართლიანობას, რომელიც არათუ ემსგავსება და ენათესავება ღვთაებრივს, პირიქით, თავისი არსით, ეწინააღმდეგება კიდეც მას. სამართლიანობისა თუ უსამართლობის ცნებას კაცნი მხოლოდ მჭევრმეტყველების მეოხებით ადგენენ, რომელსაც თანაბრად მოეპოვება როგორც დამამტკიცებელი, ისე უარმყოფელი არგუმენტები. იქნებ შენ გასურს, შვილო ჩემო, მხოლოდ გრძნობაზე დააფუძნო სამართლიანობა? მაგრამ, ფრთხილად! ამ საფუძველზე მხოლოდ პატარა, მყუდრო კერას თუ დააფუძნებ, ევანდრეს[63] ქოხისა თუ ფილემონისა და ბაკვიდას[64] სადგომის მსგავსს. კანონთა სასახლე და სახელმწიფო დაწესებულებათა ციხე-კოშკები კი სულ სხვა საფუძველს მოითხოვენ, სულ სხვა საძირკველს. მიამიტი ბუნება ვერ შეძლებდა მარტოს ეტვირთა ასერიგად უსწორო ტვირთი; მათი მძიმე და სქელი კედლები ძველთუძველესი სიცრუისა და სიყალბის ურყევ საძირკველზე ამოჰყავს კანონმდებელთა, მსაჯულთა და მონარქთა ცივ და სისხლიან ხელებს.

სიბრიყვეა, შვილო ჩემო, ჩხრეკა იმისა, სამართლიანია თუ არა ესა თუ ის კანონი; იგივე ითქმის სამხედრო სამსახურისა და სხვა დაწესებულებათა მიმართ, რომლებზეც ვერ იტყვი კეთილნი არიანო თავისი არსით ან უკუთურნი, რადგან არ არის არსი გარეშე უფლისა. და შენ გმართებს თავი არილო ამ სიტყვიერი მონობის უღელს, რომელშიც გასაოცარი მორჩილებით ებმება ხალხი. იცოდე, სიტყვას, „სამართლიანი“ არავითარი აზრი არა აქვს. ასეა ყველგან და ყველაფერში, თეოლოგიის გარდა, სადაც ის შემზარავ ექსპრესულობას იძენს. ისიც იცოდე, როცა ბატონი რომანი ამტკიცებს, მონარქს უნდა ვმსახურებდეთო, მისი პირით სოფისტი ღაღადებს მხოლოდ. მაგრამ, მე მგონია, თუ ერთ მშვენიერ დღეს მონარქი თავის ქვეშევრდომებს უბრძანებს, ყველანი ჯარისკაცებად იქეცითო, ისინი, მორჩილებას რომ თავი ვანებოთ, ხალისით აღასრულებენ მის ბრძანებას. მე შევნიშნე, რომ კაცს, ბუნებით, ყველაზე მეტად სამხედრო საქმე და სამსახური უყვარს, რომლისკენაც მიქცეულია მთელი თავისი გემოვნებითა და ინსტინქტებით, ხოლო ყველა მათგანი როდია ქველი და კეთილი. და, იშვიათ გამონაკლისთა გარდა, რომელთა რიცხვს მეც

ვეკუთვნი, კაცი შეიძლება განსაზღვრულ იქნეს, როგორც თოფიანი ცხოველი. გამოწვიპეთ მუნდირში, მიეცით მსგავსთან წაკიდების იმედი, და ის სავსებით კმაყოფილი იქნება. ამიტომ, რომ სამხედრო სამსახური ყველაზე კეთილშობილურ საქმიანობად მიგვაჩნია, რაც, გარკვეული აზრით, შესაძლოა, მართალიც იყოს, რამეთუ ის უძველესი საქმიანობაა, და მას პირველყოფილი ადამიანი მისდევდა უკვე. ეგეც არ იყოს, სამხედრო საქმე იმითაც შეჭფერის კაცის ბუნებას, რომ ფიქრსა და აზროვნებას არ საჭიროებს, ხოლო ჩვენ აზროვნებისთვის როდი ვართ შექმნილნი.

აზროვნება სნეულებაა, რომლითაც, საბედნიეროდ, ძალზე ცოტანი ხდებიან ავად, რადგანაც მისი ეპიდემია კაცთა მოდგმის მოსპობასა და გადაშენებას გამოიწვევდა უთუოდ. ჯარისკაცები ჯოგად ცხოვრობენ, კაცი კი საზოგადოებრივი ცხოველია. ისინი ატარებენ მოცისფრო-მოთეთრო, მოცისფრო-მოწითალო, მოცისფრო-მორუხო მუნდირებს, ბაფთებს, კოკარდებს და პლიუმაჟებს, რომლითაც ისე აწონებენ თავს ქალიშვილებს, როგორც მამალი - დედლებს. ისინი ხალისით მიდიან საომრად და სამოროდიოროდ, კაცი კი ბუნებით მპარავია, მრუში, ყოვლისმნგრეველი და უადრესად პატივმოყვარე. სწორედ ეს პატივმოყვარეობა აიძულებს ჩვენს თანამემამულეებს მიწყვი იარაღისკენ ეჭიროთ თვალი. და ჩვენ შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ კაცთა თვალში მხოლოდ სამხედრო დიდებაა შარავანდედით მოსილი. საკმარისია ისტორიკოსთა თხზულებებს გადახედო და დარწმუნდები, რომ ეს ასეა სწორედ. ტულიუს არავინ დაძრახავს იმისთვის, სიბრძნისმოყვარეობით რომ ვერ აღემატა ტიტუს ლივიუსს.

XI. არმია

(გაგრძელება) ჩემმა კეთილმა მოძღვარმა ასე განაგრძო სიტყვა: - არც ის უნდა დავივიწყოთ, შვილო ჩემო, რომ ჟამთა სრბოლაში ერთმანეთს უწყვეტი ჯაჭვით გადაჯაჭვული კაცნი, რომელთაც მის მხოლოდ რამდენიმე რგოლზე თუ მიუწვდებათ თვალი, კეთილშობილურობის ცნებას მიაწერენ მრავალ ჩვეულებას, წარმომავლობით მდაბალსა და ბარბაროსულს. მათ პატივმოყვარეობას მათივე უმეცრება ასაზრდოებს. ისინი ძველთუძველეს უბედობებზე აფუძნებენ თავიანთ დიდებას, ხოლო საჭურვლის განდიდება იმ წინაისტორიულ დროთა ველურობისაგან იღებს დასაბამს, რომელთა ხსოვნა მხოლოდ ბიბლიამ და პოეტებმა შემოგვინახეს. მართლაცდა, რას წარმოადგენს სინამდვილეში ეს სამხედრო კატსა, ასე ზვიადად რომ დაგვყურებს თავს, გაყინული და გახევებული? - მხოლოდ და მხოლოდ გადაგვარებულ ნაშთსა და ნამუსრევს იმ უბადრუკ, პირველყოფილ მონადირეთა, რომელნიც ისე დაგვიხატა პოეტმა ლუკრეციუსმა, რომ არ იცი, კაცთა ნათესავებად მიიჩნიო ისინი თუ ნადირებად. განა საოცარი არაა, ტურნებროშ, შვილო ჩემო, რომ ომი და ნადირობა,

რომელთა ოდენ გახსენებაც კი სირცხვილითა და სინიდისის ქენჯნით უნდა გვავესებდეს, რადგანაც ჩვენი ბუნების სიმდაბლესა და მასში ფესვადგმულ ბოროტებას გვაგონებს, პირიქით, კაცთა მზავობის წყაროდ იქცნენ; რომ ქრისტიანი ხალხები დღესაც პატივს სცემენ ყასბისა და ჯალათის ხელობას, როცა ის მემკვიდრეობით გადადის თაობიდან თაობაზე, დაბოლოს, განათლებულ ერებში საგვარეულოთა კეთილშობილება, თუ შეიძლება ასე ითქვას, მათ სისხლში დაგროვილ მკვლელობათა და ბოროტმოქმედებათა რაოდენობით იზომება მხოლოდ და მხოლოდ?

- კი მაგრამ, ბატონო აბატო, - ვკითხე ჩემს კეთილ მოძღვარს, - იქნებ სამხედრო საქმეს იმიტომ მიიჩნევენ პატივის ღირსად, რომ თან ათასი ხიფათი და ფათერაკი ახლავს, რომლებსაც მხოლოდ მხნეობითა და შემართებით თუ დასძლევს კაცი?

- შვილო ჩემო, - მომიგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - კაცთა კეთილშობილება მართლაც მათ საქმიანობასთან დაკავშირებული საფრთხით რომ იზომებოდეს, მაშინ გლეხებსა და მოჯამაგირეებს მივიჩნევდი კეთილშობილების ნიმუშად, რადგან მათ დღემუდამ სიკვდილი ელით შიმშილითა და დაქანცულობით. საფრთხე, რომელიც ჯარისკაცებსა და მხედართმთავრებს ემქურება, არც ისე დიდია და ხანგრძლივი: მხოლოდ რამდენიმე საათი მთელი სიცოცხლის მანძილზე და თანაც ყველაფერი იმაზე ჰკიდია, წარბშეუხრელად შეხვდები თუ არა ტყვიებისა და ჭურვების წივილს, რომლებიც უფრო ნაკლები სიზუსტით ურტყამენ მიზანს, ვიდრე სილატაკე. მეტისმეტად თავქარიანი და პატივმოყვარე უნდა იყო, რომ ჯარისკაცის ღვაწლი უფრო მაღლა დააყენო, ვიდრე მხვნელ-მთესველისა და ომის გრიალი არჩიო თავთავთა შრიალს.

- ბატონო აბატო, - კვლავ ვკადრე კითხვა, - კი მაგრამ, ჯარისკაცები ხომ აუცილებელნი არიან სახელმწიფოს უშიშროებისთვის, და განა ჩვენ იმათი მადლიერნი არ უნდა ვიყოთ, ვისაც ამდენი სარგებელი მოაქვს ხალხისთვის?

- მართალი გითხრა, შვილო ჩემო, ომი აუცილებელია კაცის ბუნებისათვის. წარმოუდგენელია ხალხი, რომელიც არ ომობდეს, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კაცისმკვლელთაგან, მძარცველთა და გულმხეცთაგან არ შედგებოდეს. ასევე, ბევრიც იფიქრო, ვერ წარმოიდგენ მონარქს, უზურპატორი რომ არ იყოს ცოტათი მაინც. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას დაგმობდნენ და შეაჩვენებდნენ, როგორც დიდების არაფრად ჩამგდებს. მაშასადამე, ომი აუცილებელია კაცისთვის; ეს მისთვის უფრო ბუნებრივია, ვიდრე მშვიდობა, რომელიც მხოლოდ ინტერვალთა ერთ ომსა და მეორეს შორის. ამიტომაც, რომ მონარქები სრულიად უბადრუკი საბაბით, ხანდახან კი - უსაბაბოდაც, ერთმანეთის წინააღმდეგ გზავნიან ლაშქრებს. ისინი თავიანთ ღირსებას იმოწმებენ და იმიზეზებენ, რომელიც განსაცვიფრებლად ფაქიზია და ზეგრძნობიერი. საკმარისია ერთი შეხვევა, რათა ზედ ისეთი ლაქა დააჩნდეს,

რომელსაც ველარაფერი ჩამორეცხს, ათი, ოცი, ოცდაათი, ასი ათასი კაცის სისხლს გარდა, გააჩნია, ვინ რამდენის გამოყვანას შეძლებს. მაგრამ, ღმერთო შეგცოდდე და, კი არ მესმის როგორ უნდა გაასპეტაკოს მონარქის ღირსება ამ სვედავსილთა სისხლმა. და აქ რწმუნდები, რომ ყველაფერი ეს ცარიელი, აზრისგან დაცლილი და დაწრეტილი სიტყვებია მხოლოდ; თუმცა ხალხი ერთმანეთს ხოცავს მათი გულისთვის. მაგრამ ყველაზე საოცარი მაინც ისაა, რომ მონარქი სახელსა და დიდებას იხვეჭს სხვისი მიწების მიტაცებით და ბოროტმოქმედებას, რისთვისაც ვინმე თავზეხელაღებულ ვიგინდარას სიკვდილით დასჯიდნენ უთუოდ, გუნდრუკს უკმევინ კაცნი, როცა მას გაუგონარი გულმხეცობით სჩადის მონარქი დაქირავებულ ჯარისკაცთა დახმარებით.

ამ სიტყვებით ჩემმა კეთილმა მოძღვარმა სათუთუნე ამოიღო ჯიბიდან და შიგ ჩარჩენილი ერთადერთი მწიკვი ბურნუთი შეიყარა ცხვირში.

- ბატონო აბატო, - ვკითხე მე, - მაგრამ ხომ არის სამართლიანი ომებიც, რომლებიც სიმართლის აღდგენასა და დამკვიდრებას ისახავენ მიზნად?

- ტურნებრომ, შვილო ჩემო, - მომიგო მან, - განათლებულმა ხალხებმა უკიდურესობამდე მიიყვანეს ომების უსამართლობა და აბსოლუტური უტიფრობითა და ურჯულობით შემოსეს ისინი. პირველყოფილი ტომები ნოყიერ მიწებზე დასამკვიდრებლად ეომებოდნენ ერთმანეთს. ასე დაიმკვიდრეს ისრაელიტებმა ქანაანის მხარე. შიმშილი იყო მათი აღმძვრელი. ცივილიზაციის ზრდამ კი კოლონიებისა და ფაქტორიების ფლობის წყაროდ აქცია ომები, როგორც ესპანეთის, ჰოლანდიის, ინგლისისა და საფრანგეთის მაგალითები მოწმობენ ამას. დასასრულ, თითებზე როდია ჩამოსათვლელი იმ მეფეთა და იმპერატორთა რიცხვი, რომლებიც ყოვლად უმიზეზოდ, მხოლოდ დაპყრობის გულისათვის იპყრობდნენ ქვეყნებს და სრულიად უსარგებლოდ არბევდნენ და ანგრევდნენ მათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ თავიანთი გამარჯვებების აღსანიშნავად ზოგჯერ პირამიდებსა და ტრიუმფალურ თაღებსაც აგებდნენ იქ. ომების ასე ბოროტად გამოყენება ყველაზე დიდი სიბილწე და მკრეხელობაა, რადგან ორში ერთს გვაფიქრებინებს უნებურ: ან მეცნიერებისა და კულტურის პროგრესთან ერთად თანდათან უფრო ავდებიან და შმაგდებიან კაცნი, ანდა (რაც სიმართლესთან უფრო ახლოა), რაკი ომი ბუნებრივი მოთხოვნილებაა კაცისა, ისინი ომობენ მხოლოდ იმიტომ, რომ იომონ, მაშინაც კი, როცა ომს არავითარი აზრი არა აქვს.

ეს აზრია, ასე რომ მამღვრევს და მაშფოთებს, რადგან თუ ჩემში დიდია რამე, მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული მოყვასთა მიმართ. ხოლო ჩემი სათუთუნის სიცარიელე, ტურნებრომ, შვილო ჩემო, უარეს ჭირს მისართავს ჭირზე, რადგან თუთუნი ჩემი აქილევსის ქუსლია: მისი წყალობით უფრო მძაფრად განვიცდი ჩემს სილატაკეს.

ამ ინტიმური სისუსტისგან რომ მიმექცია მისი აზრი და თანაც მის სიბრძნეს ვზიარებოდი, ვკითხე: როგორ გგონიათ, განა ყველა ომზე უფრო ბილწი და ამაზრზენი შინა ომი არ არის-მეთქი?

- ის მართლაც ბილწია, შვილო ჩემო, - მომიგო მან, - მაგრამ არც ისე უაზრო, როგორც შენ ფიქრობ, ვინაიდან, როცა მოქალაქენი ერთმანეთს აემლებიან, მათ უფრო ნათლად ესმით, რატომ ებრძვიან ერთიმეორეს, ვიდრე მაშინ, როცა უცხო თესლზე მიდიან საომრად. ამბოხებებსა და შინააშლილობებს უპირატესად ხალხის უკიდურესი სილატაკე და სრული სასოწარკვეთილება იწვევს. ამიტომ სამოქალაქო ომია ღარიბ-ღატაკთა ერთადერთი გამოსავალი, რომლის წყალობითაც ისინი თავიანთ ხვედრს იმსუბუქებენ და ხანდახან, ასე გასინჯე, ძალაუფლებასაც კი იგდებენ ხელში. მაგრამ ისიც უნდა იცოდე, შვილო ჩემო, რომ რაც უფრო უპოვარნი არიან მეამბოხენი და, მაშასადამე, უფრო მართალნიც, მით უფრო მცირე შანსი რჩებათ გამარჯვებისა. რადგან დამშეულთ, გამოთავყვანებულთ და მხოლოდ საკუთარი სიშმაგით აღჭურვილთ არ გააჩნიათ არც დიდი და გაცნობიერებული მიზნები, არც მათი განხორციელებისთვის საჭირო შორსმჭვრეტელობა; ასე რომ, მონარქი ადვილად ახრჩობს სისხლში მათ ამბოხებებს. უფრო ძნელია კეთილშობილთა ჯანყის ჩაქრობა, რომელიც ჭეშმარიტად ზიზღის ღირსია, რადგან აუცილებლობით არაა ნაკარნახევი.

საბოლოო ჯამში კი, შვილო, ჩემო, როგორც შინა, ისე გარე ომიც ბილწია და ჩემთვის ეგზომ სამუღველი ბოროტით სავსე.

XII. არმია

(გაგრძელება და დასასრული) - შვილო ჩემო, - დასძინა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - ახლა გიჩვენებ, როგორ ითავსებს ამ საწყალი, მეფისთვის თავგადადებული ჯარისკაცების ხელობა ერთდროულად კაცის სირცხვილს და მის დიდებას. მართლაც, ომი უკუ გვაბრუნებს და ჩვენთვის ეგზომ ბუნებრივი სიმხეცისკენ მიგვაქცევს ისევ. ის შედეგია გულმხეცობისა, რომელიც მხეცებს გვამსგავსებს და გვანათესავებს; მე ვგულისხმობ არა მარტო ლომებსა და მამლებს, რომლებიც ასეთი ამპარტავნობით ამჟღავნებენ მას, არამედ ნაირ-ნაირ ჩიტებსაც, როგორც, მაგალითად, ჩხუბისთავ ჩხიკვებსა თუ წიწკანებს, და თვით მწერებს, ვთქვათ, კრაზანებს და ჭიანჭველებს, რომლებიც ისეთი გააფთრებით იბრძვიან, როგორითაც არ უბრძოლიათ თვით რომაელებს. ომის მიზეზი კი ერთი აქვს კაცსაც და მხეცსაც. თუ იბრძვის, ერთიცა და მეორეც, ნადავლის წართმევის ან დანარჩუნების, ბუდისა თუ ბუნაგის დაცვის, ან კიდევ ძუს დაუფლებისთვის იბრძვის. ამ მხრივ მათ შორის სრული მსგავსებაა და საბინელ ასულთა მოტაცება

წყლის ორი წვეთივით წააგავს ხარირმების ჭიდილს, რომლებიც დამლამობით საკუთარი სისხლით რწყავენ უსიერ ტევრებს. ოღონდ ეგაა, ჩვენ შევძელით ღირსების ცნებით შეგველამაზებინა ეს მდაბალი და ბუნებრივი ინსტინქტები, რომლებსაც განურჩევლად ვაკერებთ მას. და თუ დღეს გვგონია, რომ კეთილშობილური მიზნებისთვის ვიბრძვით, ეს კეთილშობილება ჩვენი წარმოდგენების ბუნდოვანებას ემყარება მხოლოდ. რაც უფრო მარტივია, ნათელი და ცხადი ომის მიზანი, მით უფრო ბილწი და ამაზრზენია ომი. ხოლო თუ ადამიანები მართლა იქამდე მივიდნენ, რომ ღირსების გულისათვის ჟლეტენ ერთმანეთს, აღვირახსნილობის მწვერვალისთვის მიუღწევიათ და ეგაა, შვილო ჩემო. ჩვენ სისასტიკით აღვემატეთ სისხლისმსმელ მხეცებს, რადგან მხეცები არარსებით მიზეზთა გამო არ ერჩიან ერთიმეორეს. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ადამიანები უფრო ბოროტნი და არაბუნებრივნი არიან თავიანთ ომში, ვიდრე კუროები და ჭიანჭველები - მათსაში. მაგრამ საქმე მართლ ამაში როდია; არმია სიკვდილის თესვისთვის როდი მეზიზღება იმდენად, რამდენადაც სიბრიყვისა და უმეცრებისთვის, რომლებიც მუდამ თან სდევნენ მას. ხელოვნებას არ ჰყავს უფრო დაუძინებელი მტერი, ვიდრე დაქირავებული თუ მოხალისე რაზმების ბელადი, რომელიც უმეტესწილად თავისი ჯარისკაცებივით უვიცია. საკუთარი ნების თავზე ძალით მოხვევის ბარბაროსული ჩვევა ჯარისკაცს სავსებით უზშობს მჭევრმეტყველების უნარს, რომელსაც მხოლოდ ადამიანთა დარწმუნების საჭიროება ავითარებს ჩვენში. ამიტომაც, რომ ჯარისკაცი თავს ნებას აძლევს ზიზღით უყურებდეს სიტყვასა და ცოდნას. მახსოვს, როცა სეეზში ბატონ ეპისკოპოსს ვემსახურებოდი წიგნთსაცავის მცველად, ერთ ბებერ პოლკოვნიკს ვიცნობდი, სამხედრო სამსახურში გაჭაღარავებულს. მას გულადი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი და დიდად ამაყობდა ფართო ნაიარევით, რომელიც მთელ სიგრძეზე უსერავდა სახეს. ეს იყო თავზეხელაღებული შლეგი, რომელსაც არა ერთი და ორი კაცისთვის დაეზნელებინა მზე, არა ერთი და ორი მონაზვნისთვის აეხადა ნამუსი, თუმცა არა ბოროტი ზრახვით. მას საკმაოდ კარგად ესმოდა სამხედრო საქმე და მკაცრად ადევნებდა თვალყურს თავისი პოლკის გამართულობას; ამიტომ მისი ბიჭები ყველაზე უკეთ გამოდიოდნენ ალღუმებზე. ერთი სიტყვით, ეს იყო გულდია კაცი, ნაღდი ძმაკაცი და სასიამოვნო თანამეინახე, რაც არაერთგზის მიგრძენია და განმიცდია „თეთრი ცხენის“ დუქანში, სადაც ერთად ვსვამდით ხოლმე. ერთ საღამოს პოლკის მეცადინეობაზე გავაცილე (თუმცა, რა გასაკვირია, ჩვენ ხომ ძმაკაცები ვიყავით). იმ ღამეს ვარსკვლავების მიხედვით გარემოში გზის გაგნებას ასწავლიდა თავის ჯარისკაცებს. მან ჯერ ბატონ დე ლუფუას[65] ბრძანება წაიკითხა ამ საკითხთან დაკავშირებით, და რაკი ოცდაათი წლის განმავლობაში ზეპირად იმეორებდა მას, ამიტომ თავიდან ბოლომდე სხაპასხუპით ჩაიკითხა „მამაო ჩვენოსა“ თუ „გიხაროდენ, ქალწულოს“ მსგავსად. მერე განაცხადა, რომ ჯარისკაცმა, უპირველეს ყოვლისა, პოლარული ვარსკვლავი უნდა მოძებნოს ცაზე, რამდენადაც ის უძრავია სხვა ვარსკვლავთა მიმართ, რომელნიც მის ირგვლივ ბრუნავენ საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით. მაგრამ თვითონაც არ ესმოდა ნათლად, რას ამბობდა; რადგან, ორჯერ თუ სამჯერ რომ გაიმეორა ერთი და იგივე ფრაზა საკმაოდ

მბრძანებლური ტონით, ის ჩემსკენ გადმოიხარა და წამჩურჩულა: - დალახვროს ღმერთმა! ახატო, მიჩვენეთ რაღა ეს ჩათლახი პოლარული ვარსკვლავი. ეშმაკმა წამიღოს, თუ ვარჩევდე ნამწვების ამ ქაოსში, რომლებიც თითქოს ლოთებს მიმოუფანტავთ ცაზე.

მე მოკლედ ავუხსენი, როგორ უნდა მოეძებნა პოლარული ვარსკვლავი და თითოთ ვუჩვენე იგი.

- ოჰო! - წამოიძახა მან, - უყურე, სად ამძვრალა ეგ ბოზი, ეგა! აქედან, სადაც ჩვენ ვდგავართ, ისე ვერც კი შეხედავს კაცი, რომ კისერი არ იღრძოს.

და მან იქვე უბრძანა თავის ოფიცრებს, ჯარისკაცები ორმოცდაათი ნაბიჯით დაეწიათ უკან, რათა მათ უკეთ შეეხედათ პოლარული ვარსკვლავისათვის.

არ ვაჭარბებ, შვილო ჩემო, და ალბათ, დამეთანხმები, რომ ამ ქარქაშოსანს საკმაოდ გულუბრყვილო წარმოდგენა ჰქონდა სამყაროს აგებულებასა და, კერძოდ, ვარსკვლავთა პარალაქსებზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეფის მრავალი ორდენი უმშვენებდა მკერდს და უფრო მეტი პატივისცემით სარგებლობდა სახელმწიფოში, ვიდრე ბრძენთა ბრძენი ქურუმი. აი, სწორედ ამ სიტლანქეს ვერ ვიტან მე მხედრიონისას.

აქ ჩემი კეთილი მოძღვარი სულის მოსაბრუნებლად შეჩერდა, და მე ვკითხე მას: როგორ გგონიათ, მიუხედავად მაგ პოლკოვნიკის სიბრიყვისა, ომების მოგება მაინც ხომ დიდ ჭკუასა და გამჭრიახობას მოითხოვს-მეთქი? მან მიპასუხა: - ტურნებროშ, შვილო ჩემო, თუ გაითვალისწინებ, რამხელა სიძნელესთანაა დაკავშირებული ლაშქრის შეყრა და მისი გაძლოლა, რამდენი რამის ცოდნას მოითხოვს შეტევა თუ თავდაცვა, რამხელა გამჭრიახობა სჭირდება ბრძოლის ველზე ჯარის ნაწილების განლაგებას და მათი ურთიერთშეთანხმებული მოქმედების უზრუნველყოფას, უნდა აღიარო, რომ მხოლოდ ზეადამიანურ გენიას, სწორედ ისეთს, როგორც იყო ცეზარის გენია, ძალუძს თავი გაართვას მთელ ამ სიძნელეს და პირდაპირ განცვიფრება გიპყრობს, როცა შეგიძლია ჩამოთვალო პიროვნებები, რომლებიც თავის თავში აერთიანებდნენ ჭეშმარიტი მხედართმთავრის ყველა თვისებას. დიდი მხედრათმთავარი კარგად იცნობს არა მარტო ქვეყნის ადგილმდებარეობას და მის ხასიათს, არამედ მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებისა და მოსაქმეობის თავისებურებებსაც. მისი მეხსიერება უმნიშვნელო წვრილმანთა უსასრულო სიმრავლეს ინახავს, რომელთაგანც ის ფართო და ნათელ წარმოდგენებს აყალიბებს შემდეგ. მას შეუძლია წამიერი შთაგონების წყალობით ელვისებურად შეცვალოს ბრძოლის გეგმა, მის მიერ წინასწარ დასახული და დეტალურად დასაბუთებული. ის, ერთდროულად, ფრთხილია და შეუდრეკელი. მისი აზრი ხან თხუნელას ყრუ სიზნანტით მიიკვლევს გზას, ხან არწივივით იჭრება ცაში. ყველაფერი ეს ნამდვილია და ჭეშმარიტი. მაგრამ დაფიქრდი, შვილო ჩემო, როცა ორი არმია ეჯახება ერთიმეორეს, ერთი მათგანი უნდა დამარცხდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ

ბრძოლის ველიდან მეორე გამარჯვებული გამოვა, თუნდაც მის სარდალს ჭეშმარიტი მხედართმთავრის არა ეცხოს რა. არიან დიდი მხედართმთავრები, ყოველ შემთხვევაში, მე მინდა იყვნენ; არიან იღბლიანნი და სვებედნიერნიც. მაგრამ რა ვქნათ, როგორ გამოვყოთ ამ გონებაშიუწვდომელ შეტაკებაში ხელოვნებისეული - ბედისა და შემთხვევისეულისაგან? თუმცა შენ საუბრის თემას გადამახვევინე, ტურნებრომ, შვილო ჩემო. მე მინდოდა მეჩვენებინა შენთვის, რომ ომი დღეს კაცობრიობის სირცხვილია, თუმცა ოდესღაც კი ამაღლებდა მას. აუცილებლობის ძალით სახელმწიფოებს თავსმოხვეული, ის იყო დიდი აღმზრდელი კაცთა მოდგმისა. მისი წყალობით აღიზარდნენ კაცის სულში ის სიქველენი, რომლებითაც იქმნებიან და შენდებიან სახელმწიფონი. ომმა ასწავლა ადამიანებს თმენა, სიმტკიცე, საფრთხის ზიზღი და თავდადება. ზუსტად იმ დღეს, როცა ჩვენმა წინაპრებმა ერთ ადგილას მიზიდეს ლოდები და ზღუდე მოავლეს მას, რათა ზღუდის შიგნით თავმეფარებულთ თავიანთი ქალები და ხარები დაეცვათ, დაიბადა ადამიანთა საზოგადოება და დასაბამი მიეცა ხელოსნობის განვითარებას. ყველა სიკეთე, რასაც დღეს ვფლობთ, - მამული, მშობლიური ქალაქი, წმიდა Urbs[66], ღმერთებზე მეტად რომ ეთაყვანებოდნენ რომაელნი, ომის პირმშოა.

პირველი ქალაქი გალავნიან ციხესიმაგრეს წარმოადგენდა. ამ ტლანქსა და სისხლიან სიმაგრეში დაირწა პირველად ზვიად კანონთა, ნატიფ ხელოვნებათა, მეცნიერებათა და სიბრძნის აკვანი. ამიტომ იწოდა ჭეშმარიტმა ღმერთმა ომიანობის ღმერთის სახელი.

მაგრამ ყველაფერ ამას იმიტომ კი არ გეუბნები, ტურნებრომ, შვილო ჩემო, რომ ჯარისკაცად ჩაეწერო ამ ყბედ სერჟანტთან და გმირად გახდომის სურვილით აღძრულმა საშუალოდ სამოცი როზგი დაიკრა ყოველდღე.

საქმე ისაა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ომი მემკვიდრეობით სნეულებად, ველური ყოფისკენ მახინჯი ლტოლვის გამოხატულებად და დამნაშავეობრივ ინფანტილიზმად იქცა. ჩვენი დროის მონარქები და, განსაკუთრებით, ჩვენი აწ განსვენებული მეფე სამარადისო სირცხვილს მოიხვეჭენ იმით, რომ თამაშად და სასახლის კარის თავშესაქცევ სანახაობად აქციეს ომი. და მე სევდით მევსება გული, როცა ვფიქრობ, რომ ვერ მოვესწრები ამ წინასწარ განპირობებული ხოცვა-ჟლეტის დასასრულს.

რაც შეეხება მერმისს, განუჭვრეტელ მერმისს, ნება მიბოძე, შვილო, ჩემი სულის უპირველეს ნიშანთა - თვინიერებისა და სამართლიანობის შესატყვისი სახით წარმოგიდგინო იგი. მერმისი ჩვენი ოცნებების მყუდრო ხანაგაა, სადაც, როგორც უტოპიაში, ბრძენი ხალხით აგებს თავის ნააზრევს და ოცნებით ნალოლიავენს. მე მინდა მწამდეს, რომ დადგება დრო, როცა ხალხები თვინიერი სათნოებითა და სიქველეთით შეიმოსენ სულს. საომარი ძლიერების უწყვეტი ზრდა გვანიშნებს, რომ უკვე შერიჟრაჟდა შორეული დღე, რომელიც საყოველთაო მშვიდობის ნათელს

მოჰფენს სამყაროს. არმიები განუწყვეტლივ იზრდებიან როგორც ძლიერების მხრივ, ისე რიცხოვნობრივად. ერთ მშვენიერ დღეს ისინი მთელ ხალხებს შთანთქავენ და მაშინ ეს გველემში თავისთავად ნაყოფანებას გადაჰყვება თან: გაიბერება და ერთბაშად გასკდება მერე.

XIII. აკადემია

იმ დღეს ჩვენ შევიტყვეთ, რომ სეეზის ეპისკოპოსი საფრანგეთის აკადემიის წევრად აერჩიათ. ოცი წლის წინათ მან ხოტბა შეასხა წმიდა მაკლუს და სწორედ ეს პანეგირიკი იქნა ცნობილი უმაღლესი ჯილდოს ღირსად. მე ეჭვი არ მეპარება მის ღირსებაში, რადგან ბ-ნმა აბატმა კუანიარმა, ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, ცოტა როდი იწვალა მასზე, ვიდრე ქ-ნ ბაილივის მოახლესთან ერთად დატოვებდა საეპისკოპოსოს. ბ-ნი ეპისკოპოსი ნორმანდიის ერთი ყველაზე ძველი და წარჩინებული გვარის შთამომავალი გახლდათ. მისი ღვთისმოსაობა, მისი საჯინიზო და მისი მარანი მთელს სამეფოში იყო განთქმული. ხოლო მისი ღვიძლი ძმისწული, ისიც ეპისკოპოსი, საეკლესიო ბენეფიციების გუჯრებს განაგებდა. მისი არჩევა არავის გაჰკვირვებია. პირიქით, ყველა მოწონებით შეხვდა იმ ვაჟბატონების გარდა, რომლებიც დღედაღამ პროკოპის ყავახანაში[67] სხედან და ყველაფერს მასხრად იგდებენ. ისინი ფრონდიორები არიან.

ჩემმა კეთილმა მოძღვარმა მსუბუქად გაკენწლა მათი ოპოზიციური განწყობილება.

- რაზე წუწუნებს ბატონი დიუკლო?[68] - თქვა მან, - გუშინდელმა დღემ ის ბატონ ეპისკოპოსს გაუსწორა, რომელსაც საუცხოო ამაღა და მთელს სამეფოში საუკეთესო მწევარ-მეძებრები ჰყავს. რადგან, წესდების თანახმად, აკადემიკოსები თანასწორნი არიან ერთმანეთს შორის. მართალია, ეს სატურნალიების თავხედური თანასწორობაა, რომელიც მაშინვე ქრება, როგორც კი სხდომა მუშაობას ამთავრებს და ბატონი ეპისკოპოსი საკუთარ კარეტაში ჯდება, თანაც ისე მძიმედ, თითქოს ნიშნს უგებდეს ბატონ დიუკლოს: მარტომ ზილეო ქუჩის ტალახი. მაგრამ თუ ბატონ დიუკლოს არა სურს თავი გაუყადროს ბატონ ეპისკოპოსს, რაღას ეჩრება აკადემიკოსთა ორდენში? რატომ კასრში არ ზის დიოგენესავით, ან, ჩემსავით, - მწერლის სენაკში სენტ-ინოსანის სასაფლაოზე? რადგან მხოლოდ კასრსა თუ სენაკში გრძნობ მთელი სისავსით ამქვეყნიური დიდებისა და სიდიადის ამაოებას, მხოლოდ იქ ხარ ჭემმარიტი მეფეთ-მეფე და მბრძანებელი. ბედნიერია, ვინც აკადემიაზე არ ამყარებს თავის იმედებს! ბედნიერია, ვინც დათრგუნა სურვილები და გულისთქმანი, ვინც შეიცნო საგანთა და ნივთთა მთელი ამაოება! ბედნიერია, ვისაც სწორად უჩანს აკადემიკოსობაცა და არაკადემიკოსობაც! არაფერს ძალუმს აამღვრიოს მარტოსულის

ჩემი სიცოცხლე. კურთხეული თავისუფლება მიწყვივ თანა სდევს მას. ჩრდილში მდგარი გულმხურვალედ ადიდებს სიბრძნეს და მუზები ღიმილს აფრქვევენ თავს, როგორც მათი მადლით ცხებულს, მათ ზიარებულს.

ასე ლაპარაკობდა ჩემი კეთილი მოძღვარი და მე აღტაცებაში მოვყავდი უმანკო ენთუზიაზმს, რომელიც გამოკრთოდა მის ხმაში და მის თვალებში. მაგრამ ჭაბუკური დაუდგრომლობა არ მასვენებდა; მე მინდოდა ვინმესთვის დამეჭირა მხარი, ბრძოლაში ჩავბმულიყავი და ჩემი სიმჰათია ან ანტიჰათია გამომეთქვა აკადემიის მიმართ.

- ბატონო აბატო, - ვკითხე მე, - თუ აკადემიის უმაღლესი მოვალეობა თავის კედლებში სახელმწიფოს უკეთეს ბრძენკაცთა მიზიდვაა, მაშინ როგორღა აირჩია თავის წევრად გუჯრისმცველი ეპისკოპოსის ბიძა?

- შვილო ჩემო, - მშვიდად მომიგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - თუ ბატონი ეპისკოპოსი ასე მკაცრია ქადაგებისას, ასე ზრდილი და თავაზიანი ცხოვრებაში, თითოთ საჩვენებელი პრელატათავის და თუ, ბოლოს, ავტორია წმიდა მაკლუს ასე მშვენიერი საგალობლისა, რომლის შესავალი (სადაც მოთხრობილია, როგორ კურნავდა საფრანგეთის მეფე სურავანდით სნეულთ) საყოველთაო აღტაცებას იწვევს, - ნუთუ შენ მხოლოდ იმიტომ არ მიგაჩნია აკადემიის წევრობის ღირსად, რომ იმდენადვე გავლენიანი ძმისწული ჰყავს, რამდენადაც გაქნილი? არა და არა. ჭეშმარიტად ბარბაროსობა იქნებოდა მისი ასე უღმრთოდ გაწირვა მარტოოდენ დიდი გვარის შვილობისათვის. და აკადემიამ არ გასწირა იგი. ეს თავისთავად დიდსულოვანი ჟესტია, შვილო ჩემო.

მე გავბედე სიტყვა შემებრუნებინა მისთვის; ჭაბუკურმა სიფიცხემ გამაბედვინა.

- ბატონო აბატო, - ვთქვი მე, - ნება მიბოძეთ არ დავეთანხმო თქვენს არგუმენტებს. მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ბატონმა ეპისკოპოსმა თავისი დამყოლი ხასიათის წყალობით მოიხვეჭა სახელი, და თუ რამე გვაცვიფრებს მასში, მხოლოდ და მხოლოდ სხვადასხვა პარტიებთან შეგუების ჭეშმარიტად უებრო უნარი. ისიც ცნობილია, რომ ის დიდხანს ლერწამივით ირხეოდა იეზუიტებსა და იანსენისტებს შუა და თანაც ქრისტიანული გულმოწყალების ვარდებით აცხოველებდა თავის ფერმკრთალ და სისხლნაკლულ სიფრთხილეს. მას ჰგონია, დიდ დამსახურებად მიეთვლება ის, რომ ყველა მოიმადლიერა, ყველას გული მოინადირა, ხოლო თავის ერთადერთ დანიშნულებად საკუთარ სამფლობელოთა ზრდა მიაჩნია მხოლოდ. ასე რომ, არა თავისი დიდსულოვნების, არა თავისი დიდი ინტელექტის წყალობით მოიპოვა მან მეფის ბრწყინვალე პროტექტოთა ხმები. რადგან, თუ არ ჩავთვლით წმიდა მაკლუს საგალობელს, რომელიც (როგორც საქვეყნოდ ცნობილია) მხოლოდ იმდენად ეკუთვნის მას, რამდენადაც მისი წაკითხვით შეიწუხა თავი, ეს უწყინარი ეპისკოპოსი მთელი სიცოცხლის მანძილზე თავისი ვიკარების უბადრუკი ქადაგებებით

კმაყოფილდებოდა, და თუ მაინც იქცევდა ყურადღებას, ამას თავის ზრდილობასა და გასხვილ თავაზიანობას უნდა უმაღლოდეს მხოლოდ. მაგრამ ნუთუ ეს თვისებები საკმაოა უკვდავებისთვის?

- ტურნებრომ, - ალერსით მიპასუხა ბ-ნმა აბატმა კუანიარმა, - შენს სიტყვებში გამოსჭვივის გულუბრყვილობა, რომელიც თითქოს დედის რძესთან ერთად შეიწოვე და მე წინასწარ შემიძლია ვთქვა, რომ კიდევ დიდხანს შეინარჩუნებ ამ პირველქმნილ უმანკობას. მაგრამ შენს მოძღვარს კი არ ამწუხრებს, ახარებს ეგ. ოღონდ უმანკობამ უსამართლოდ არ უნდა გაქციოს; ისიც საკმარისია, თუ უვიცად გატარებს დიდხანს. უკვდავება, რომელიც ბატონ ეპისკოპოსს მიენიჭა, არც ბოსიუეს წილხვედრი უკვდავებაა, არც ბელზანსისა[69]. ის განცვიფრებულ ხალხთა გულებში კი არაა ჩაწერილი, არამედ სქელტანიან დავთარში, ხოლო შენ უნდა გესმოდეს, შვილო, რომ ქალაქის დაფნით არ დაფნიან ღირსეულ შუბლებს.

თუ ამ ორმოც უკვდავს შორის ზოგიერთი უფრო ზრდილია, ვიდრე ზეგარდმო ნიჭით ცხებული, რა ვუყოთ მერე? აკადემიაში უნიჭობა ზეიმობს, მაგრამ განა მართო აკადემიაში? უნიჭობა თავის სტიქიაში გრძნობს თავს პარლამენტებსა თუ სამეფო სათათბიროებში, სადაც, კანონით, ყველაზე ნაკლები ხმა უნდა ჰქონდეს. მართლაცდა, კაცმა რომ თქვას, ვითომ რა დიდი რამე უნდა ლექსიკონის შედგენას, რომელიც მართლმეტყველების დამკვიდრებას ისახავს მიზნად, მაგრამ მხოლოდ ის შეუძლია, რომ კუდში მისდევდეს მას, უმისოდაც დამკვიდრებულს.

აკადემისტები, ანუ აკადემიკოსები იმ მიზნით იქნენ შემოღებულნი, რომ სიტყვათა მართებული ხმარება დაემკვიდრებინათ მეტყველებაში და მოძველებული და კუთხური გამოთქმებით დანაგვიანებისაგან დაეცვათ ენა, რათა ფრანგულ მიწას აღარ ეშვა ახალი რაბლე თუ ახალი მონტენი, რომლებიც პროვინციალიზმებითა და ვულგარიზმებით ყარან პირდაპირ. ამიტომ ერთად შეყარეს მაღალნიჭიერი სწავლულნი, რომელთაც ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი სიტყვათა მართებული ხმარების წესები და მწერლები, რომლებსაც თავად არ აწყენდათ ამ წესების სწავლა. ჯერ შიშობდნენ, ვაითუ ამ ჭრელმა კომპანიამ დესპოტურად გადააკეთოსო მთელი ფრანგული ენა, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რაოდენ უსაფუძვლო იყო მათი შიში, რადგან აკადემიკოსები არათუ არ აპირებდნენ ყოველდღიური მეტყველების წესების შეცვლას, პირიქით, თვითონ მისდევდნენ მათ. მიუხედავად მათი წინააღმდეგობისა, ყველა ჯიუტად იმეორებდა მაინც: „მე ვკეტავ კარს.“

კომპანია დაშოშმინდა და მალე მთელი მისი საქმიანობა სქელტანიან ლექსიკონებში მეტყველების ნაწილთა სახეცვლილებების აღნუსხვით შემოიფარგლა. უკვდავთა ერთადერთი საზრუნავი ესაა დღესაც. საქმისგან რომ მოიცლიან, ისინი თბილად ჭუჭუკებენ ერთმანეთში. ამისთვის მათ ესაჭიროებათ ზრდილი, ადვილი, სასიამოვნო და საზოგადოებაში გამოსული კოლეგები. ხოლო ზეგარდმო ნიჭით

ცხებული ყოველთვის როდი აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს. გენია ხშირად უკარებაა და უკმეხი. მისთვის უცხოა ქვე-ქვე ძრომა. აკადემიამ შეძლო გვერდი აევლო დეკარტისა და პასკალისთვის. მაგრამ ვინ იტყვის, რომ მას შეეძლო ასევე შეუმჩნევლად აევლო გვერდი ბატონი გოდოს[70], ბატონი კონრარის[71], ან სხვა, მათსავით ფრთხილი, მორჩილი და მომყოლი გონებისათვის?

- ეჰ, - ამოვიოხრე მე, - როგორც ჩანს, აკადემია ღვთაებრივ ზეკაცთა სენატი როდია, ან უკვდავთა საბჭო თუ პოეზიისა და მჭევრმეტყველების უზენაესი არეოპაგი.

- ვაი, რომ არაა, შვილო ჩემო. ესაა კომპანია, რომელიც ზრდილობის წარმოებას მისდევს და ამით იხვეჭს პოპულარობას უცხოელების და, განსაკუთრებით, მოსკოველების თვალში. შენ ვერ წარმოიდგენ, შვილო ჩემო, რა მოწიწებით უყურებენ საფრანგეთის აკადემიას გერმანელი ბარონები, რუსეთის არმიის პოლკოვნიკები და ინგლისელი ლორდები. ამ ევროპელებს ვერც კი წარმოუდგენით ჩვენს აკადემიკოსებსა და ჩვენს მროკავ დიაცებზე უფრო მაღალი და სრულქმნილი არსებები. მე ვიცნობდი ერთ სარმატელ პრინცესას, საოცრად ლამაზს, რომელიც პარიზში გავლით ყოფნისას ატეხილივით დაეძებდა აკადემიკოსს (ნებისმიერს, შვილო ჩემო!), რათა თავისი უმანკოება მიეძღვნა მისთვის.

- მაგრამ, თუ ასეა, - წამოვიძახე მაშინ, - რატომ არ უფრთხიან აკადემიკოსები ჩირქი მოსცხონ თავიანთ აკადემიურ ღირსებას ავი არჩევნით, რასაც ასე კიცხავენ ჩვენში?

- კარგი ერთი, ტურნებროშ, შვილო ჩემო! - მომიგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - ნუ ვიტყვით ავს ავ არჩევანზე. ჯერ ერთი, ყველაფერი, რასაც კაცი ქმნის და აკეთებს, მნიშვნელოვანწილად შემთხვევითობითაა განპირობებული, ხოლო შემთხვევითობა, თუ კარგად დაუფიქრდები, უფლის კვალია დედამიწაზე და ერთადერთი გზა, რომლითაც მისი განგება თავის სიცხადესა და ჭეშმარიტებას გვივლენს. რადგან შენ, ალბათ, გესმის, შვილო ჩემო, რომ ის, რასაც უაზრო შემთხვევითობასა და ბედის ტრიალს უწოდებენ, სინამდვილეში სხვა არა არის რა, თუ არა სამაგიერო, რომელსაც ღვთაებრივი სიბრძნე ნიშნის მოგებით უხდის ცრუბრძენტა ბჭობასა და თათბირს. და მეორეც, ყველა თავყრილობას მართებს თავისი მიუზღას ჟინიანობასა და ფანტაზიას. აბსოლუტურად კეთილგონივრული საზოგადოება აბსოლუტურად აუტანელი იქნებოდა ამავე დროს და სამართლიანობის ცივ უღელქვეშ აღმოხდებოდა სული. მისთვის დაფარული დარჩებოდა საკუთარი თავისუფლება და ძლიერებაც, დროდადრო რომ არ ეძლეოდეს შესაძლებლობა თავხედური გამოწვევით დაემუქროს საზოგადოებრივ აზრსა და კეთილგონიერებას. თავიანთ ჟინს აყოლილი ძლიერნი ამა სოფლისანი მიუტევებელი ცოდვით როდი იმძიმებენ სულს; და თუ არავის აცვიფრებს თურქეთის სულთნისა თუ ლამაზი დიაცების ჟინიანობა, აკადემიკოსებმა რა დააშავეს ვითომ?

არა ერთი და ორი ურთიერთმოპირისპირე ვნების ერთობლივი მოქმედება განაპირობებს ავ არჩევანს, რომელიც ასე აღელვებს ბრბოს. მაგრამ რა ვქნათ, თუ კეთილ ხალხს სიამოვნებს არარაობის ამაღლება და აკადემიკოსობის ბოდება მისთვის? ასე დავითის ღმერთს ამოჰყავს გლახაკი სკორედან: „Erigen de stercore pauperem, ut colloquet eum cum principibus. cum principibus populi sui“[72]. ამ არაჩვეულებრივ ამაღლებას განცვიფრებაში მოჰყავს ხალხი, ხოლო ამმაღლებელნი უთუოდ მისტიური და მრისხანე ძალით მოსილად უნდა გრძნობდნენ თავს. მართლაც, არ იტყვიტ მის ნეტარებას, ვისაც მწვირედან ამოჰყავს საპყარი სული, მაშინ, როდესაც ჩრდილში ტოვებს აზრთა მპყრობელს? ეს ხომ იმას ნიშნავს, ერთი ყლუპით გადაჰკრა უცხოდ ნაზავი სასმელი დაკმაყოფილებული გულმოწყალებისა და დამცხრალი შურისა; ეს ხომ იმას ნიშნავს, დაიტკბო გრძნობები და მოუფონო მთელს შენს არსებას! და შენ გსურს აკადემიკოსები თავს იკავებდნენ ამ სასმელისგან?! ჰე, ჰე!..

ისიც უნდა იცოდე, შვილო ჩემო, რომ, როცა აკადემიკოსები ამ აკადემიურ განცხრომას ეძლევიან, ყოველთვის თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებენ. მარტოდენ დიდ ადამიანთაგან შემდგარი საზოგადოება ძალზე მცირერიცხოვანი და მოსაწყენი იქნებოდა. დიდი ადამიანები ვერ იტანენ ერთიმეორეს. ღმერთმა გონებამახვილობის ნიჭი არ უბოძა მათ. ამიტომ ხალისით ერევიან ჩია კაცუნებს და თავს იქცევენ ამით. მცირენი იგებენ მეზობლობით, დიდნი - შედარებით; არც მწვადი იწვის და არც შამფური; საოცარი მხოლოდ ისაა, რა დახვეწილი მანქანებით ახერხებს აკადემია ავტორიტეტი მოუხვეჭოს თავის ზოგიერთ წევრს, ავტორიტეტი, რომელსაც სხვების წყალობით ეზიარა თავად. ესაა ისეთ მნათობთა ხომლი, რომელშიაც თითოეული მათგანი ბრწყინავს, საკუთარი თუ არა, ნასესხები სინათლით მაინც.

მეტსაც გეტყვი; ავი არჩევანი პირდაპირ აუცილებელია ამ საზოგადოების არსებობისთვის. ის რომ სისუსტეს არ იჩენდეს ან შეცდომებს არ უშვებდეს თავის არჩევნებში, ის რომ თავს არ იკატუნებდეს ხოლმე, ვითომ განუსჯელად ვიქცევიო, მერწმუნე, ისეთი ზიზღის საგნად იქცეოდა მალე, რომელიც შეუძლებელს გახდიდა მის არსებობას. სიტყვიერების რესპუბლიკაში ის იქნებოდა ერთგვარი ტრიბუნალი ბრალდებულთათვის: მუდამ უცოდველი და მართლად გამკითხე, ლაფს დაისხამდა თავზე. წარმოგიდგენია, რამხელა შეურაცხყოფა იქნებოდა აკადემიის მიერ უარყოფილთათვის, მხოლოდ ყველაზე ღირსეულთ რომ ირჩევდეს თავის წევრად? რიშელიეს ასული[73] რამდენადმე თავქარიანის შთაბეჭდილებას უნდა ტოვებდეს, რათა მეტისმეტად თავხედი არ ეჩვენოს ხალხს. მისი ხსნა მის დამთხვეულობაშია; მისი უსამართლობა უმანკოებად სალდება და რაკი მისი ჟინიანობის ამბავი ვიცით, აღარ გვწყინს ხოლმე, როცა ჩვენს კანდიდატურას იწუნებს. შეცდომა მისთვის ზოგჯერ ისე ხელსაყრელია, რომ ხშირად, ყველა გარეგნული ნიშნის მიუხედავად, მიფიქრია, განზრახ ხომ არ ცდება-მეთქი. რა განსაცვიფრებელ მანქანებას მიმართავს

ხოლმე დაწუნებულ კანდიდატთა თავმოყვარეობის სათნევად. მისი არჩევანი ხშირად პირში ბურთსა სჩრის შურს. და სწორედ ამ ყასიდ შეცდომებში უნდა ვჭვრეტდეთ და ვაფასებდეთ მის ჭეშმარიტ სიბრძნეს.

XIV. მეამბოხენი

იმ დღეს მე და ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, ჩვეულებისამებრ, ბ-ნი ბლენოს დუქანში შევიარეთ, სადაც სახელგანთქმული ბ-ნი როკსტრონგი დაგვხვდა. კიბის უკანასკნელ საფეხურზე შემდგარიყო და გულმოდგინედ ქექავდა ძველ წიგნებს, რომლებზედაც სული ელეოდა პირდაპირ. ვინაიდან, როგორც ცნობილია, თავისი მშფოთვარე სიცოცხლის მიუხედავად, ძალიან უყვარდა იშვიათი წიგნებისა და ნატიფი გრაფიურების გროვება.

ბ-ნი როკსტრონგს ინგლისის პარლამენტმა სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა მონმუთის[74] შეთქმულებაში მონაწილეობისთვის; მაშინ ის საფრანგეთში გადმოსახლდა, საიდანაც თავისი სამშობლოს გაზეთებში უწყვეტ ნაკადად აგზავნიდა სხვადასხვა ხასიათის სტატიებს. როგორც ყოველთვის, ჩემი კეთილი მოძღვარი ახლაც მერხზე ჩამოჯდა და ქვემოდან ახედა ბატონ როკსტრონგს, რომელიც ციყვივით მარდად დახტოდა კიბეზე. დროს ვერ წაელო სიმარდე და სიმარჯვე მისთვის.

- მაღლობა ღმერთს, - თქვა აბატმა, - მე ვხედავ, ბატონო მეამბოხევ, რომ მშვენივრად გრძნობთ თავს და კვლავ ახალგაზრდულად გამოიყურებით.

ბ-ნმა როკსტრონგმა ჩემი კეთილი მოძღვრისაკენ იბრუნა პირი. ცეცხლოვანი თვალები ასხივოსნებდნენ მის ნაღვლიან სახეს.

- კი მაგრამ, - იკითხა მან, - რატომ მიწოდებთ მეამბოხეს, სქელო აბატო?

- რატომ და იმიტომ, ბატონო როკსტრონგ, რომ თქვენ დამარცხება განიცადეთ. დამარცხებული მეამბოხეა. გამარჯვებულნი არასოდეს არ არიან მეამბოხენი.

- რაში გჭირდებათ ეგ ბილწი ცინიზმი, აბატო?

- მომითმინეთ, ბატონო როკსტრონგ! ეს აფორიზმი მე კი არა, დიდ კაცს ეკუთვნის: ის იულიუს სკალიგერის[75] თხზულებაში ამოვიკითხე.

- მერე რა, აბატო! ეს თხზულება ბინძური თხზულებაა, აფორიზმი კი - ბილწი. ჩვენი დამარცხება, რომელიც მონმუთის მერყეობამ და სისუსტემ განაპირობა, რაც

სიცოცხლის ფასად დაუჯდა მას, ოდნავადაც არ ამცირებს ჩვენი საქმის სიმართლეს. პატიოსანი ხალხი, გაიძვერათაგან ძლეული, პატიოსნებას არ კარგავს მაინც.

- ბატონო როკსტრონგ, რომ იცოდეთ, როგორი სევდით მევსება გული, როცა თქვენ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეში ერთმანეთისგან ასხვავებთ გაიძვერსა და პატიოსან ხალხს. ეს მარტივი ტერმინები მხოლოდ კეთილისა და ბოროტის აღმნიშვნელად თუ გამოდგება იმ ბრძოლაში, რომელშიც, ცათა შინა, შესაქმემდე შეეხებენ ერთურთს ანგელოსები და რომელსაც არაჩვეულებრივი მძვინვარებით უმღერა თქვენმა თანამემამულემ ჯონ მილტონმა[76]. მაგრამ ამ ჩვენს პლანეტაზე მოწინააღმდეგე მხარეები არასოდეს არ არიან ისე მკვეთრად გამიჯნულნი და გათავისთავადებულნი, რომ კაცმა მიუდგომლად და მიუკერძოებლად შეძლოს წმიდათა ლაშქრის გარჩევა უწმიდურთა ლაშქრისაგან ან, უბრალოდ, ერთმანეთისაგან განასხვავოს მართალი და მრუდი. ასე რომ, მხოლოდ წარმატებაა საქმის სიმართლის ერთადერთი საზომი. მე თქვენ გალიზიანებთ, ბატონო როკსტრონგ, იმიტომ, რომ მეამბოხეს ვუწოდებ ძლეულს. მაგრამ, მითხარით, თქვენ რომ ძალაუფლება გეგდოთ ხელთ, მოითმენდით ამბოხსა და მეამბოხეებს?

- აბატო, გესმით კია, რას ამბობთ? მე ყოველთვის ერთი სული მქონდა, როდის გადავალ-მეთქი ძლეულთა მხარეზე.

- მართალს ბრძანებთ, ბატონო როკსტრონგ; თქვენ, ბუნებით, სახელმწიფოს დაუძინებელი მტერი ბრძანდებით. თქვენ ჩამყაყდით მაგ თქვენს მტრობაში და ამაში დამნაშავეა თქვენი გენია, რომელიც ტკბება ნანგრევებით და ერთობა ნგრევით.

- მერედა, მაგას დანაშაულად მითვლით, აბატო?!

- ბატონო როკსტრონგ, მე რომ სახელმწიფო მოღვაწე ვიყო, ანდა მონარქის მეგობარი, ბატონი რომანის მსგავსად, უდიდეს დამნაშავედ მიგიჩნევდით უთუოდ. მაგრამ არც ისეთი გულმხურვალე აღმსარებელი გახლავართ პოლიტიკის კულტისა, რომ თქვენმა შეთქმულებებმა შემადრწუნოს. ანდა თქვენმა ამბოხებებმა, რომლებსაც მითქმა-მოთქმის წყარო უფრო ეთქმის, ვიდრე ბოროტებისა.

- აბატო, თქვენ ზნედაცემული კაცი ბრძანდებით.

- ნუ დამძრახავთ მაგის გულისთვის, ბატონო როკსტრონგ, რადგან მხოლოდ ზნედაცემულობა ავითარებს ადამიანში შემწყნარებლობას.

- რას ვაქნევ მაგ თქვენს შემწყნარებლობას, ჩემო სქელო აბატო, თუ მას თანაბრად გვინაწილებთ მეც - მსხვერპლსა - და ბოროტმოქმედ პარლამენტარებსაც, რომლებმაც ასე უსამართლოდ გამწირეს.

- ოჰო, თქვენ ლიზდიც ბრძანებულხართ, ბატონო როკსტრონგ! რაო, ლორდებმა უსამართლოდ გამწირესო?!

- ნუთუ ეჭვი გეპარებათ, სქელო აბატო?

- არა, ბატონო როკსტრონგ, თქვენ ლორდ-კანცლერის ჭეშმარიტად ბრიყვული საბრალმდებლო დასკვნის საფუძველზე გაგასამართლეს, მხოლოდ იმის გულისთვის, რომ პასკვილების დასტა გიპოვნეს, რომელთაგან, ცალკე აღებული, არც ერთი არ უნდა იდევნებოდეს ინგლისის კანონების მიერ. მართალია ისიც, რომ ქვეყანაში, სადაც კაცს ყველაფრის ჯღაბნის ნება ეძლევა, თქვენ დაისაჯეთ რამდენიმე აბეზარი სტატიისათვის. მართალია ისიც, რომ თქვენმა გასამართლებამ რამდენადმე უცნაური და უჩვეულო ფორმა მიიღო, რომლის ზვიადი პირმოთნეობა ცუდად მალავდა შეუძლებლობას თქვენთვის კანონიერი გზით განაჩენის გამოტანისას. მართალია ისიც, რომ ლორდები, რომლებმაც თქვენ გაგასამართლეს, დაინტერესებულნი იყვნენ თქვენი თავიდან მოცილებით, რადგან მონმუთისა და თქვენი გამარჯვება პარლამენტის სავარძლებიდან წამოჰყრიდა მათ. მართალია ისიც, რომ თქვენი განაჩენი წინასწარ იქნა გამოტანილი სახელმწიფო სათათბიროში. მართალია ისიც, რომ თქვენ გაქცევით დააღწიეთ თავი ტანჯვა-წამებას, შესაძლოა, არც ისე დიდს, მაგრამ მაინც შემზარავს, რადგან სამუდამო პატიმრობა - შემზარავი განაჩენია მისთვისაც კი, ვისაც სრული საფუძველი აქვს მალე ელოდეს თავის დაძვრენას. მაგრამ ეს არც სამართლიანობაა, არც უსამართლობა. თქვენ სახელმწიფოს ინტერესებისთვის გაგასამართლეს. ეს კი ფრიად საპატიოა. არა ერთი და ორი ლორდი, რომელმაც ხელი მოაწერა თქვენს განაჩენს, ოცი წლის წინათ თქვენთან ერთად მონაწილეობდა შეთქმულებაში. თქვენი დანაშაული იმაში მდგომარეობდა, რომ შიშს უნერგავდით ხელისუფალთ, ეს კი მიუტევებელი დანაშაულია, ბატონო ჩემო. მინისტრები და მათი მეგობრები ერთხმად გაჰკვივან - სამშობლო საფრთხეშიაო, როცა მათ ინტერესებსა და კეთილდღეობას რამე ემუქრება. მათ ჰგონიათ, სახელმწიფო ჩვენითა დგასო, რადგან მეტწილად ანგარნი და თავცარიელნი არიან. მაგრამ მაინც ნუ დავწამებთ მათ ბოროტებას. ისინიც კაცნი არიან, რაც საკმაოდ კარგადა ხსნის ამ უბადრუკი ბატისტვინების სიყვეყჩესა და სიძუნწეს. მაგრამ ვის უპირისპირებთ მათ, ბატონო როკსტრონგ? სხვებს - მათსავით უნიჭოებს, უფრო დამშეულთ და, მაშასადამე, უფრო ხარბთაც. ლონდონელები მათაც უდრტვინველად აიტანდნენ, როგორც მანამდე - მათ წინამორბედთ. ისინი თქვენს გამარჯვებას ან დამარცხებას უცდიდნენ, რათა ან თქვენი მხარე დაეჭირათ, ან თქვენი მტრების, რითაც ერთხელ კიდევ ცხადყვეს თავიანთი ბრძნული შორსმჭვრეტელობა. ხალხი საოცრად ფრთხილია და წინდახედული, როცა ხედავს, რომ პატრონის შეცვლით არც იგებს და არც აგებს რამეს.

ასე ლაპარაკობდა აბატი კუანიარი, ხოლო ბ-ნმა როკსტრონგმა კიბის თავიდან ანთებული სახითა და თავისი პარიკივით წითლად მოელვარე თვალებით მრისხანედ გადმოხედა ჩემს კეთილ მოძღვარს და ხელების ქნევით უყვილა: - აბატო, მე მესმის მპარავთა და სამინისტროებისა თუ პარლამენტის ყველა ჯურის გაიძვერათა, მაგრამ არ მესმის თქვენი, აგრე უანგაროდ, მარტოოდენ ბოროტებით აღძრული რომ იცავთ

იმ მაქსიმუმს, რომლებსაც მხოლოდ გამორჩენის მიზნით მიმართავენ ისინი. როგორც ჩანს, თქვენ მათზე ბოროტი ხართ, რახან ანგარება არ გალაპარაკებთ. თქვენ მე მაშტერებთ, აბატო!

- ეს იმას ნიშნავს, რომ მე ფილოსოფოსი ვარ; - მშვიდად მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - რას იზამ, ჭეშმარიტ ბრძენთა ბუნება ყოველთვის აღიზიანებდა ადამიანებს. სოკრატეს რომ თავი ვანებოთ, რომელიც სოფისტი იყო მხოლოდ, ანაქსაგორას[77] ამის უბრწყინვალესი მაგალითი. ისტორია გვიმოწმებს, რომ მაღლად მხედთ ზიზღით უყურებდნენ ყველგან და ყოველთვის. თქვენ გგონიათ, ბატონო როკსტრონგ, რომ დიდად განსხვავდებით თქვენი მტრებისგან, და იმდენადვე სასურველი ხართ კაცთათვის, რამდენადაც ისინი - საძულველნი. ნება მიბოძეთ გკადროთ, რომ ეს წმინდა წყლის შეცდომაა, თქვენი ამპარტავნობისა და მზვარობის ნაყოფი. სინამდვილეში, ყველაფრით თქვენს მსაჯულებს ჰგავხართ, ყველა კაცური ვნებითა და ყველა სისუსტით. ხოლო თუ მრავალ მათგანზე უფრო პატიოსანი ბრძანდებით და უებროდ გონებამახვილი, სამაგიეროდ იმდენ ზიზღსა და განხეთქილების თესლს იმარხავთ სულში, რამდენსაც ვერ მოითმენენ ვერც ერთ ცივილიზებულ სახელმწიფოში. მეგაზეთის ხელობამ, რასაც ასე სრულყოფილად დაეუფლეთ, უკიდურესად დახვეწა თქვენი სულის მიდრეკილება მიკერძოებისაკენ და გაგამრუდათ, თვითონ მსხვერპლი სიმრუდისა და უსამართლობის. ვიცი, ჩემი სიტყვები განხეთქილებას ჩამოაგდებს არა მარტო ჩემსა და თქვენს, არამედ ჩემსა და თქვენს მტრებს შორისაც; ისიც ვიცი, რომ ბენეფიციების გამრიგე არასოდეს მომაშავებს შემოსავლიან მონასტერს. მაგრამ მე აზროვნების თავისუფლება მირჩევნია ვრცელ სააბატოსა და მსუქან მრევლს. ყველა ავიმხედრე, ყველა გადავიკიდე, მაგრამ თავს არ ვუღალატე, სულის სიმშვიდეს ვუმსხვერპლე ყოველი და, მწამს, უდრტვინველად შევხვდები აღსასრულს.

- აბატო, - გაეცინა ბატონ როკსტრონგს, - მე თქვენ მოგიტევებთ, იმიტომ რომ, ცოტა არ იყოს, ჭკუაზე შეშლილი მგონიხართ, რადგან ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავთ გაიძვერებას და პატიოსან ხალხს შორის და ერთი არშინით ზომავთ როგორც თავისუფალ რეჟიმს, ისე დესპორტურ და უსამართლო მმართველობასაც. მთვარეულს რომ იტყვიან, სწორედ ისა ხართ, ოღონდ თავისებური.

- ბატონო როკსტრონგ, - თქვა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - წამო, თითო ხელადა ვხუხოთ „ჩვილ ბახუსში“ და სმაში გეტყვი, რატომ მიმაჩნია სწორად რომელიც გნებავთ მმართველობა და რად არ მადარდებს მთავრობათა ცვლა.

- სიამოვნებით, მიუგო, ბ-ნმა როკსტრონგმა, - რა სჯობს თქვენისთანა დამთხვეულთან სმას!

ის მკვერცხლად ჩამოხტა კიბიდან და სამივემ დუქნისაკენ გავწიეთ.

XV. სახელმწიფო გადატრიალებანი

ბ-ნი როკსტრონგი ჭკვიანი კაცი იყო და ამიტომ მალე გაუარა სიბრაზემ, ჩემი კეთილი მოძღვრის გულწრფელობით გამოწვეულმა. როცა „ჩვილი ბახუსის“ პატრონმა სავსე ხელადა შემოდგა სუფრაზე, პამფლეტისტმა ჭიქა ასწია და ჩემი კეთილი მოძღვრის სადღეგრძელო შესვა, რომელსაც ხუმრობით გაიმძვრა, მძარცველთა ძმაკაცი, ტირანიის ბურჯი და ბებერი ქოფაკი უწოდა. ჩემმა კეთილმა მოძღვარმა ასეთივე გასხეპილი თავაზიანობით უპასუხა და შემოგვთავაზა მისი სახით გვედღეგრძელებინა კაცი, რომელმაც ბოლომდე შეინარჩუნა თავისი ბუნებრივი ზნე, ფილოსოფიით შეურყვნელი და შეუმღვრეველი.

- რაც შემეხება მე, - დასძინა მან, - მშვენივრად მესმის, რომ ჩემი სული მთლიანად მედიტაციებითაა გაფუჭებული. და, რადგან კაცის ბუნებისთვის უცხოა ცოტად თუ ბევრად ღრმა აზროვნება, ამიტომაც ვაღიარებ, რომ ჩემი მიდრეკილება აზროვნებისკენ ფრიად ბრიყვული თვისებაა, რაკილა აბსოლუტურად უვარგის მხდის მოქმედებისთვის, ვინაიდან მოქმედება შეხედულებათა შეზღუდულობასა და აზრის სიმწირეს მოითხოვს. თქვენ თვითონაც განცვიფრებული დარჩებოდით, ბატონო როკსტრონგ, რომ შეგეძლოთ წარმოდგენა გენიოსთა უბადრუკი ჭკუამოკლეობისა, რომლითაც მათ შეძრეს სამყარო. დამპყრობელნი და სახელმწიფო მოღვაწენი, სახეს რომ უცვლიდნენ მიწას, არასოდეს დაფიქრებულან არსთა ბუნებაზე, რომელთაც თავის ნებაზე ათამაშებდნენ მუდამ. ისინი მთლიანად იკეტებოდნენ თავიანთი ვრცელი გეგმების სივიწროვეში და მათგან ყველაზე გაბრძნობილთა მზერაც კი საგანთა უბადრუკ სიმრავლეს თუ მოიცავდა მხოლოდ. ახლა ავიღოთ ისეთი კაცი, როგორც მე ვარ, ბატონო როკსტრონგ; მე ვერც ინდოეთის დაპყრობას შევძლებდი, მაკედონელის მსგავსად, ვერც რომელიმე სახელმწიფოს დაარსებას და მის მართვას, ვერც, უფრო ფართოდ, იმ მაღალ მიზანდასახულობათათვის ბრძოლას, რომელნიც ასე აცთუნებენ ბობოქარ სულთა მზვაობას. პირველი ნაბიჯისთანავე მედიტაცია გადამელობებოდა წინ და თითოეული ჩემი მოძრაობა სავსაო საბაზს მომცემდა იმისათვის, რომ შევმდგარიყავ.

მერე ჩემსკენ იბრუნა პირი და ამოიოხრა: - აზროვნება უკურნებელი სენია მართლაც. ღმერთმა გიხსნას, ტურნებრომ, შვილო ჩემო, მისგან, როგორც იხსნა დიდ წმიდანთა და მათი სულები, ვისაც უტკბილესი სიყვარულით დამზერს ზემოდან და სამარადისო დიდებისთვის ამზადებს. ვინც ცოტას ფიქრობს, ან სულაც არ ფიქრობს, ბედნიერად იგვარებს საქმეს, როგორც აქ, ისე საიქიოსაც, ხოლო მაღლად მხედს მიწვივ წარწყმედის საფრთხე ემუქრება, ხორცისა და სულის წარწყმედის, იმდენ ბოროტს იმარხავს აზრი. ძრწოლით იგონებდე, შვილო ჩემო, მუდამ, რომ დაბადების გველი უხუცესია ფილოსოფოსთა შორის და მათი უცვლელი მთავარი.

ბ-ნმა აბატმა კუანიარმა ხარბად მოსვა ღვინო და თითქმის ჩურჩულით განაგრძო: - ამიტომ, ჩემი სულის სახსნელად, ერთი რამ მაინც არ გამიხდია გონებით წვდომის საგნად; და ეს ერთი რამ კათოლიკური სარწმუნოების ჭეშმარიტებაა. საუბედუროდ, გულმოდგინედ ვჩხრეკდი კაცთა ქცევასა და ქალაქის ზნეს. ამიტომ არა ვარ ღირსი, სანჩო პანსას მსგავსად კუნძული ვმართო.

- მადლობა ღმერთს, - სიცილით გააწყვეტინა ბ-ნმა როკსტრონგმა, - თორემ ეგ თქვენი კუნძული მალე ავაზაკთა და შარაგზის ყაჩაღთა ქვაბად იქცეოდა, სადაც ბრალეულნი გაასამართლებდნენ უბრალოთ, თუკი ამ უკანასკნელთათვის შემთხვევით მაინც დარჩებოდა ადგილი იქ.

- მეც ასე ვფიქრობ, ბატონო როკსტრონგ, მეც ასე ვფიქრობ; - სიტყვა ჩამოართვა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა. - მე რომ ახალი ბარატარიის[78] გუბერნატორად დავესვით, მისი მოსახლეობის მორალი მართლაც ისეთი იქნებოდა, როგორც თქვენ ბრძანეთ. თქვენ ერთის მოსმით დაგვიხატეთ ახლა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს უტყუარი სურათი. მე მესმის, რომ ჩემი სხვებზე უკეთესი ვერ იქნებოდა. რადგან ილუზიებით დაბინდული მზერით როდი აღვიქვამ კაცთა ბუნებას და, რომ არ შევიძულო ისინი, ამიტომ ზიზღით ვუყურებ მათ. თუმცა, ამ ზიზღში მთელს ჩემს სინაზეს ვაქსოვ, ბატონო როკსტრონგ. მაგრამ ამაოდ, ისინი მაინც უმადურნი არიან. მათ სურთ ზიზღს კი არა, სიძულვილს უნერგავდნენ კაცს. ისინი ცოფდებიან, როცა მათ მიმართ გამოთქვამ ყველაზე რბილს, ყველაზე კურთხეულს, ყველაზე თბილსა და კეთილს, ყველაზე ადამიანურს იმ გრძნობათაგან, რომელთაც ისინი აღგვიძრავენ: ზიზღს. მაშინ, როდესაც ორმხრივი ზიზღი - მშვიდობის საწინდარია დედამიწაზე; მართლაც, ადამიანები რომ გულწრფელი ზიზღით ემსჭვალვოდნენ ერთიმეორეს, აღარასოდეს აღიძვროდნენ ბოროტებისთვის და სიამტკბილობით იცხოვრებდნენ ამქვეყნად. თუ ცივილიზებული საზოგადოება უბედურია, უბედურია იმიტომ, რომ მის წევრებს გადაჭარბებული წარმოდგენა აქვთ თავიანთ თავზე და სათუთად ზრდიან საკუთარი ღირსების გრძნობას, ამ ჭეშმარიტად უძლებ ურჩხულს როგორც ხორცის, ისე სულის საუბედუროდ. სწორედ ეს გრძნობაა მათი მზვაობისა და სისასტიკის წყარო, ხოლო მე მძაგს ამპარტავნება, რომელიც თავისი თავისა და თავისი მსგავსის პატივისცემას ავალებს კაცს, თითქოს ადამის შთამომავალთაგან ერთი მაინც იყოს პატივისცემის ღირსი. ცხოველი, რომელიც ჭამს, სვამს (ჰო, მართლა, ღვინო მასვით, კაცო!) და სასიყვარულო განცხრომას ეძლევა, მართლაც რომ საცოდავია, თუმცა, შესაძლოა, საინტერესო და, ზოგჯერ, სასიამოვნოც კი. მაგრამ მისი პატივისცემა აბსოლუტური უაზრობაა, ბარბაროსული ცრურწმენის ნაშთი. ესაა დასაბამი ყველა უბედურებისა, რომელიც დღეს გვატყდება თავს და კერპთაყვანისმცემლობის უსაზიზღრესი გამოვლენა. და თუ გვსურს უფრო აუმიღვრეველი არსებობა უზრუნველყოთ კაცთათვის, საკუთარი არარაობის შეგნება უნდა დავუბრუნოთ მათ. ისინი ბედნიერნი იქნებიან, როცა შეიცნობენ თავიანთ ჭეშმარიტ რაობას და ზიზღით განიმსჭვალებიან ერთუროთის

მიმართ, ყოვლისმომცველი ზიზღით, რომლისგანაც ვერვინ გაბედავს გამორიცხოს თავისი თავი.

ბ-ნმა როკსტრონგმა მხრები აიჩეჩა.

- თქვენ ღორი ხართ, ჩემო სქელო აბატო, - თქვა მან.

- გმადლობთ ქათინაურისთვის, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - მე კაცი ვარ მხოლოდ და მხოლოდ და მწვავედ განვიცდი იმას, რომ ჩემშიც ბუდობს ჩემთვის ეგზომ საძულველი მზვარობისა და ქედმაღლობის თესლი, რომელიც ორთაბრძოლებისა და ომებისთვის აღძრავს ადამიანებს. არის წუთები, ბატონო როკსტრონგ, როცა მზად ვარ თავი დავდო ჩემი მრწამსისთვის (რაც დიდი სიმღევე იქნებოდა უთუოდ), რადგან ვინ მეტყვის, ბოლოს და ბოლოს, რომ მე თქვენზე უკეთ ვმსჯელობ, ხოლო თქვენი მსჯელობა ხომ ღმერთს არ უქნია. ერთიც დამისხით!

ბ-ნმა როკსტრონგმა თავაზიანად აუვსო სასმისი ჩემს კეთილ მოძღვარს.

- აბატო, - თქვა მან, - თქვენ შემლილი ხართ, მაგრამ მე თქვენ მოძწონხართ და ვისურვებდი გამეგო, რას გმობთ მაინც ჩემს საზოგადოებრივ საქმიანობაში, რატომ ილაშქრებთ ჩემს წინააღმდეგ და რად უჭერთ მხარს ჩემს მტრებს - ტირანებს, ყალბისმქმნელებს, მძარცველებსა და მექრთამე მსაჯულებს?

- ბატონო როკსტრონგ, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ, მრავალმოწყალე მიუდგომლობით თქვენზე, თქვენს მეგობრებსა და თქვენს მტრებზედაც განვაგრძო ეს უთვინიერესი გრძნობა, ერთადერთს რომ ძალუმს ბოლო მოუღოს განხეთქილებებს და გვაზიაროს აუძღვრეველობას. ნება მიბოძეთ, არც ერთნი აღვამაღლო იმდენად და არც მეორენი, რომ კანონის მიერ დევნის ღირსად მივიჩნიო ისინი და ას-ას ვერცხლად შევაფასო მათი თავები. რასაც არ უნდა შვრებოდნენ, კაცნი უმანკო ყრმებად რჩებიან მაინც, და მე თქვენი მსაჯულის - ბატონ ლორდ-კანცლერისთვის მიმინდვია, ციცერონივით შერისხოს და შეაჩვენოს სახელმწიფო დამნაშავენი. მე ნაკლებ სიამოვნებას მანიჭებს კატილინას წინააღმდეგ მიმართული სიტყვების[79] სმენა, ვისი პირიდანაც არ უნდა ამოდიოდნენ ისინი. მე მხოლოდ იმას ვწუხვარ, რომ ისეთი კაცი, როგორც თქვენ ხართ, მმართველობის ფორმის შეცვლას ალევს მთელ თავის დროსა და ენერჯიას. რადგან ესაა ყველაზე ფუჭი და ამაო საქმე, რომელსაც შეიძლება მისდევდეს კაცი, ხოლო ხელისუფალთა წინააღმდეგ ბრძოლა აბსოლუტური უაზრობაა, თუ, რა თქმა უნდა, არსებობის სახსარს არ გაძლევთ და გზის გაკაფვაში არ გიწყობთ ხელს. ერთიც დამისხით! მართლაც, სახელმწიფო წყობილების ერთი დაკვრით შეცვლა, თქვენ რომ აპირებთ, ბატონო როკსტრონგ, სხვა არა არის რა, თუ არა კაცთა უბრალო ცვლა, ხოლო ისინი ერთმანეთს ჰგვანან სავსებით, ყოველი მათგანი თანაბრად კეთილია, მაგრამ მხოლოდ ნახევრად, ან ნახევრად ბოროტი. ასე რომ, ორი თუ სამი ასეული მინისტრის, პროვინციათა გუბერნატორის, ხაზინადარისა და სასამართლოს

თავმჯდომარის შეცვლა ორი თუ სამი ასეული ახლით - არაფერს არ ნიშნავს, გარდა პოლისა და ქსავიეს ადგილზე ფილიპესა და ბარნაბას დასმისა. ხოლო თუ თქვენ იმედოვნებთ, რომ მათი შეცვლით ცხოვრების პირობებიც შეიცვლება, ამოდ იმედოვნებთ, ბატონო როკსტრონგ, რადგან მაგ პირობებს მინისტრები კი არ განაპირობებენ, ეს გლახაკნი და არარანი, არამედ მიწა და მისი ნაყოფნი, ვაჭრობა და მრეწველობა, მოქალაქეთა სიმარჯვე და გამჭრიახობა, ერთი სიტყვით, ათასი სხვადასხვა გარემოება, რომლებიც არც მონარქზე არიან დამოკიდებულნი და არც მისი უგვირგვინესობის მოხელეებზე.

ბ-ნმა როკსტრონგმა მკვეთრად გააწყვეტინა ჩემს კეთილ მოძღვარს.

- კი მაგრამ, - იყვირა მან, - რატომ არ გესმით, ჩემო სქელო აბატო, რომ ვაჭრობაცა და მრეწველობაც სახელმწიფო მმართველობის ფორმაზეა დამოკიდებული და ფინანსთა სიმტკიცესაც მხოლოდ თავისუფალი წყობილება განაპირობებს?*

- თავისუფლება - შეესიტყვა ბ-ნი აბატი კუანიარი, - მოქალაქეთა კეთილდღეობის შედეგია. ისინი მაშინვე აიშვებენ თავს, როგორც კი იგრძნობენ, უკვე შეგვიძლია თავისუფალნი ვიყოთო. ხალხები იმდენად თავისუფლდებიან, რამდენადაც შეუძლიათ ისარგებლონ თავისუფლებით, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ისინი დაჟინებით მოითხოვენ დაწესებულებებს, რომლებიც ბრძოლით მოპოვებულ უფლებებს შეუნარჩუნებენ მათ.

ყოველგვარი თავისუფლება თვით ხალხისა და სახალხო მოძრაობისაგან იღებს დასაბამს. მათი ნებისმიერი, თვით უნებლიე მოძრაობაც კი მეყსეულად აფართოებს ფორმას, რომელსაც სახელმწიფო იღებს და მერე თავს ახვევს ხალხს. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ, რაგინდ ბილწიც არ უნდა იყოს ტირანია, თუ არსებობს, მხოლოდ აუცილებლობის ძალით არსებობს და მმართველობის დესპოტური ფორმა სხვა არა არის რა, თუ არა ვიწრო გარსი, რომელიც ძალზე სუსტსა და უსუსურ სხეულს არტყია გარს. და განა ცხადი არ არის თქვენთვის, რომ ეგრეთ წოდებული სახელმწიფო წყობილება ხალხისთვის იგივეა, რაც პირუტყვისთვის ტყავი, რომელიც სხეულის აღნაგობას კი ამჟღავნებს, მაგრამ სრულიადაც არ განაპირობებს მას.

თქვენ კი ყველაფერს ამ ტყავს აბრალეხთ და სრულიად ივიწყებთ შიგანს, რაც იმის მაჩვენებელია, ბატონო როკსტრონგ, რომ ძალზე სუსტად ერკვევით ნატურფილოსოფიის არსში.

- ასე რომ, თქვენ ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავთ თავისუფალ წყობილებასა და დესპოტურ მმართველობას შორის და ერთიცა და მეორეც თქვენთვის, ჩემო სქელო აბატო, მხოლოდ პირუტყვის ტყავია და სხვა არაფერი. თქვენ ისიც კი არ გესმით, რომ მონარქის ხელგაშლილობამ და მინისტრთა სიხარბემ,

რომლებიც უსაშველოდ ადიდებენ გადასახადებს, შეიძლება დალუპვის პირას მიიყვანოს მიწათმოქმედება და ძირი გამოუთხაროს ვაჭრობას.

- ბატონო როკსტრონგ, ერთი და იმავე ქვეყნისათვის ერთსა და იმავე დროს მმართველობის მართოდენ ერთი ფორმაა შესაძლებელი, ისევე, როგორც პირუტყვს მხოლოდ ერთი ტყავი შეიძლება ჰქონდეს. ამიტომ, მოდი, დროს მივანდოთ მმართველობის ფორმათა და კანონთა ცვლა, რადგან, ერთის თქმისა არ იყოს, დრო მართლაც მოარული და სამართლიანი კაცია, რომელიც მრავალმოწყალე და მოუღლეელი ზღაზღნივით ასწორებს ყოველს.

- კი მაგრამ, რატომ გგონიათ, ჩემო სქელო აბატო, რომ არ უნდა მივეხმაროთ მაგ მიხრწნილ ბერიკაცს, რომელსაც ცელი უპყრია ხელთ, საათის თავზე წამოსკუპულს? რატომ გგონიათ, რომ ისეთმა რევოლუციებმა, როგორიც ინგლისისა იყო ანდა ნიდერლანდებისა, უშედეგოდ ჩაიარეს ხალხებისათვის? რატომ? ანაფორას კი არა, მწვანე ჩაჩს უნდა ატარებდეთ, ბებერო შლეგო!

- რევოლუციებს, - შეესიტყვა ჩემი კეთილი მოძღვარი, - იმიტომ ახდენენ, რომ უკვე მოხვეჭილი სიკეთენი შეინარჩუნონ და არა ახალთა მოხვეჭის მიზნით. ჭემმარიტად სიგიჟეა თქვენის მხრივ და ხალხების მხრივაც, ბატონო როკსტრონგ, ესოდენ დიდ იმედებს რომ ამყარებთ მონარქთა დამხობაზე. ხალხები დროდადრო ჯანყდებიან, რათა თავიანთი უფლებები შეინარჩუნონ, როცა მათი დაკარგვის საფრთხე ემუქრებათ. მაგრამ ამ გზით ვერასოდეს ვერ იხვეჭენ ახალ უფლებებს. ისინი ალთქმებით კმაყოფილდებიან მხოლოდ. პირდაპირ საოცარია, ბატონო როკსტრონგ, რა უყოყმანოდ წირავს ხალხი თავს მართოდენ ცარიელი, აზრისგან დაცლილი და დაწრეტილი სიტყვებისათვის. ეს ჯერ კიდევ აიაქსმა[80] შენიშნა თავის დროს: „ყმაწვილს მეგონა, - ათქმევინებს მას პოეტი, - საქმე იყო სიტყვაზე მძლავრი, დღეს კი ვრწმუნდები, რომ პირიქით ყოფილა თურმე“. ასე ამბობდა აიაქსი, ოილეოსის ძე. წყურვილი მახრჩობს, ბატონო როკსტრონგ!

XVI. ისტორია

ბ-ნმა რომანმა ექვსი ტომი დააწყო დახლზე.

- ბატონო ბლეზო, - თქვა მან, - გთხოვთ სახლში გამომიგზავნოთ ეს წიგნები. აქაა „დედა და შვილი“, „მოგონებები საფრანგეთის სამეფო კარზე“ და „რიშელიეს ანდერძი“. დიდად დამავალბთ, თუ თქვენით დაუმატებთ ახლად მიღებულ ისტორიულ ლიტერატურას და, განსაკუთრებით, შრომებს, რომლებშიც

მიმოხილულია საფრანგეთის ისტორია ანრი მეოთხის გარდაცვალების შემდეგ. ეს თხზულებანი ყველაზე მეტად მაინტერესებს.

- ბარაქალა, ბატონო ჩემო, - თქვა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა. - ისტორიულ თხზულებათა ფურცლები ათასი უმნიშვნელო წვრილმანითაა აჭრელებული, რომელთაც ძალუმთ მიამიტი კაცის შექცევა და რომლებშიაც, ალბათ, არც ისე მცირეა კურიოზული ანეკდოტების რიცხვი.

- ბატონო აბატო, - მიუგო ბ-ნმა რომანმა, - მე ისტორიკოსთა თხზულებებში ფრივოლურ გასართობებს როდი ვეძებ. ისტორია ბრძენი მოძღვარია და მე სასოწარკვეთილება მიპყრობს, როცა ვავლენ და ვააშკარავებ, რომ მასში თითქმის იმდენია ყალბი და რიოში, რამდენიც ჭეშმარიტება. მე ვსწავლობ ხალხთა ქცევას მათი მოძრაობის გათვალისწინებით, მე ისტორიაში მმართველობის პრინციპებს ვეძებ.

- ვიცი, ვიცი, ბატონო ჩემო, - თქვა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - მეც წამიკითხავს თქვენი სახელგანთქმული ტრაქტატი „მონარქიისათვის“, საიდანაც ჩანს, რომ პოლიტიკის ცნება ისტორიულ თხზულებათაგან გამოგყავთ მხოლოდ.

- ასე რომ, - თქვა ბ-ნმა რომანმა, - მონარქებსა და მინისტრებს მე პირველმა მივეცი წესები, რომელთაგან გადახვევაც კრახის ფასად დაუჯდება მათ.

- აკი მიტომაც ხართ წარმოდგენილი, ბატონო ჩემო, თქვენი თხზულების თავფურცელზე მინერვას სახით, რომელიც სარკეს სთავაზობს ჭაბუკ მეფეს, ხოლო პირადად თქვენ ამ სარკეს გაწვდით მუზა კლიო[81], ბიუსტებითა და სურათებით მორთული კაბინეტის კედლიდან რომ დაგყურებთ თავს. მაგრამ ნება მიბოძეთ გითხრათ, ბატონო ჩემო, რომ ეს მუზა ყალბის მროშავია და მრუდ სარკეს გიწვდით თქვენ. ისტორიაში ჭეშმარიტება სანთლით საძებნია და ეჭვს არ იწვევენ მხოლოდ ის ფაქტები, რომლებმაც ერთადერთი წყაროს წყალობით მოაღწიეს ჩვენამდე. ისტორიკოსები მიწვივ ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან ერთი და იმავე ფაქტის გადმოცემისას. მეტსაც გეტყვით, ჩვენ ვხედავთ, რომ თავის ორ თხზულებაში - „სიმველენი“ და „იუდეველთა ომი“ იოსებ ფლავიუსი სულ სხვადასხვა სახით გადმოგვცემს ერთსა და იმავე ამბავს. ტიტუს ლივიუსი მხოლოდ მეზღაპრეა, ტაციტუსი კი, თქვენი სათაყვანებელი ტაციტუსი, ურიცხვ ცრუპენტელად მიმაჩნია, ზვიადი თვითკმაყოფილებით რომ დასცინის ყველაფერს. ისევ თუკიდიდეს ვენაცვალე, პოლიბიოსსა და გვიჩარდინისთან[82] ერთად. რაც შეეხება ჩვენს მეზერეს[83], ისევე როგორც ვილარესა[84] თუ აბატ ველის[85], მათ თვითონაც არ უწყიან, რას ჩმახვენ და მიედ-მოედებიან. მაგრამ მე ისტორიკოსებს ვესხმი თავს, თუმცა უფრო მართებული იქნებოდა ისტორიას ვუტევდე თვითონ.

მართლაც, რა არის ისტორია? დიდაქტიკურ იგავთა კრებული ან თხრობისა და ყბედობის მჭევრმეტყველური ნაზავი, იმის მიხედვით, თუ ვინ წერს მას, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი თუ რიტორი. მასში არც ისე იშვიათად ვხვდებით

ხოლმე მჭევრმეტყველების საუცხოო ნიმუშებს, მაგრამ მჭევრმეტყველების გვერდით ამაოდ დავუწყებთ ძებნას ჭეშმარიტებას, რადგანაც ჭეშმარიტება მოვლენათა შორის აუცილებელ ურთიერთკავშირთა გამოვლენაში მდგომარეობს, ხოლო ისტორიკოსს ნაკლებად ხელეწიფება ამ ურთიერთკავშირთა დადგენა, ვინაიდან არ შეუძლია თავიდან ბოლომდე გასდიოს გონების თვალთ მიზეზთა და შედეგთა ჯაჭვს. საგულისხმოა, რომ ყოველთვის, როცა ისტორიული მოვლენის მიზეზს ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი არ წარმოადგენს, ისტორია ვერ ამჩნევს მას. და რაკი ისტორიული მოვლენები მიჯრით მიჰყვებიან არაისტორიულთ, ამიტომ ისტორიულ თხზულებებში ისინი ბუნებრივი თანმიმდევრობით კი არ მისდევენ ერთმანეთს, არამედ რიტორიკის ხელოვნური ხერხებით გადადიან ერთიმეორეში. ისიც საგულისხმოა, რომ განსხვავება ისტორიული და არაისტორიული მნიშვნელობის მოვლენებს შორის სავსებით თვითნებურია და სუბიექტური. აქედან გამომდინარე, ისტორია ცრუ მეცნიერებაა და, თავისი არასრულქმნილების წყალობით, ბუნდოვანების ბურუსში ცთომილივით მოხეტიალე. მისთვის მიწყივ უცხო იქნება უწყვეტობა და მწყობრი თანმიმდევრობა, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია ჭეშმარიტი შემეცნება. ამრიგად, თქვენ ხედავთ, რომ ამა თუ იმ ხალხის მატანის მიხედვით შეუძლებელია მერმისის წინასწარ ჭვრეტა, ხოლო მეცნიერის არსებითი ნიშანი სწორედ წინასწარმეტყველების უნარი გახლავთ, როგორც ეს ჩანს ცხრლებიდან, სადაც წინასწარ გამოთვლილია მთვარის ფაზები, ზღვის მიქცევ-მოქცევანი და მზის დაბნელებანი, მაშინ, როდესაც რევოლუციები და ომები არავითარ გამოთვლას არ ექვემდებარებიან.

ბ-ნმა რომანმა შეახსენა ბ-ნ აბატ კუანიარს, რომ ის მეტს არც მოითხოვს ისტორიისაგან. რა ვუყოთ, რომ მისი ცნობები ხშირად ნაკლებ სარწმუნოა, არაზუსტი და ყალბნარევი, ისინი მაინც ფასდაუდებელნი არიან მისთვის, რადგან ადამიანია მათი საგანი.

- მე ვიცი, - დასძინა მან, - რამდენ ცრუ არაკსა და არნახულ ამბავს გადმოგვცემენ ხალხთა ანალები. მაგრამ, მიზეზთა და შედეგთა არაბუნებრივი თანმიმდევრობის მიუხედავად, მაინც ვჭვრეტ მათში ერთიან ჩანაფიქრს, რომელიც ნგრეული ტაძრების ნახევრად ნამარხ ნამუსრევთა მსგავსად, ალაგ-ალაგ უჩინარდება, ალაგ-ალაგ კვლავ საჩინო ხდება თვალისთვის. მარტო ეს რად ღირს, ბატონო აბატო, მარტო ეს რად ღირს?! ვიმედოვნებ, დადგება დრო, როცა ისტორია, უხვი მასალისა და მკაცრი მეთოდის წყალობით, ზუსტი მეცნიერების სახელს მოიხვეჭს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარად.

- ამაოდ იმედოვნებთ, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა; - მე მგონია, პირიქით, მემუარების, ეპისტოლეებისა და საარქივო მასალების განუწყვეტლივ ზრდადი სიმრავლე მხოლოდ გაართულებს მომავალი ისტორიკოსის შრომას. ბატონი ელუორდი, რომელმაც მთელი სიცოცხლე ინგლისის რევოლუციის შესწავლას შესწირა, გვარწმუნებს, რომ კაცის სიცოცხლე არ ეყოფა თუნდაც ნახევრის წაკითხვას

მისას, რაც იმ არეულ დროს დაიწერა. ამასთან დაკავშირებით მაგონდება ერთი ლეგენდა, რომელიც ბატონმა აბატმა ბლანშემ მიაშობ და რომელსაც ახლა მე გაიმბობთ, იმ სახით, როგორც შემორჩა ჩემს მეხსიერებას; მაგრამ ვწუხვარ, რომ თვითონ ბატონი ბლანშე, ჩემი ენაწყლიანი მეგობარი, არ გაიმბობთ მას.

აი, ეს ლეგენდაც: როცა ახალგაზრდა უფლისწულმა ზემირმა მამამისი შეცვალა სპარსეთის ტახტზე, მან უხმო თავის ბრძანებამიუთხრობელი საბრძანებლის ყველა აკადემიკოსს და, რა ეახლნენ, ასე მიმართა მათ: - ბრძენთა ბრძენი ზები, ჩემი მოძღვარი, მეტყოდა ხოლმე, მბრძანებელნი არც ისე ხშირად დაუშვებდნენ შეცდომებს, წარსულის გაკვეთილებით რომ იშუქებდნენო გზას. ამიტომ გადავწყვიტე ხალხთა ანალების შესწავლა. გიბრძანებთ, შეადგინოთ მსოფლიო ისტორია და არა გამოტოვოთ რა, რათა სრულყოთ იგი.

სწავლულთ სურვილის შესრულება აღუთქვეს მბრძანებელს. მერე თავიანთ სენაკებს მიაშურეს და დაუყოვნებლივ შეუდგნენ საქმეს. ოცი წლის შემდეგ თორმეტი აქლემ-კიდებულთ ეახლნენ მეფეს. თითოეულ აქლემს ხუთასი ტომი ეკიდა კუზზე. აკადემიის მდივანი ქვე-განერთხა ტახტის წინაშე და ასე მიმართა თავის მბრძანებელს: - მეუფეო, თქვენს აკადემიკოსებს პატივი აქვთ ფერხთით დაგიდონ მსოფლიო ისტორია, გასრულებული თქვენი უდიდებულესობის ბრძანებისამებრ. ის ექვსი ათასი ტომისაგან შედგება და მოიცავს ყველაფერს, რაზეც ხელი მიგვიწვდებოდა და რაც ხალხთა ზნე-ჩვეულებებს შეეხება და სახელმწიფოთა ბედს. ჩვენ მასში ჩავრთეთ ძველთუძველესი ქრონიკები, რომლებმაც, საბედნიეროდ, სრული სახით მოაღწიეს ჩვენამდე და ვრცელი გეოგრაფიული, ქრონოლოგიური და გენეალოგიური შენიშვნები დავურთეთ მათ. მარტო შესავალი ერთი აქლემის ტვირთს შეადგენს, ხოლო დამატებანი ძლივძლივობით იტვირთა მეორემ.

მეფემ მიუგო: - გმადლობთ გულმოდგინებისთვის, ჩემო სწავლულნო. მაგრამ რა ვქნა, რომ წუთითაც ვერ ვწყდები სახელმწიფო საქმეებს და, ეგეც არ იყოს, ვიდრე თქვენ ოფლს ღვრიდით, მე სიბერე მეწვია უკვე. დიახ, ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე, როგორც ბრძანებს სპარსი პოეტი, და თუ დავუშვებთ, რომ მიხრწნილებამდე მიწერია სიცოცხლე, მაინც სიშლეგედ მიმაჩნია იმაზე ფიქრი, რომ ბოლომდე შევძლებ ამსიგრძე ისტორიის წაკითხვას. ჩვენ მას სამეფო არქივში მივუჩინებ ბინას, თქვენ კი კეთილინებეთ და ახალი, უფრო მოკლე ისტორია შემიდგინეთ, რადგან მოკლეა კაცის სიცოცხლე.

სპარსეთის აკადემიკოსებმა ოც წელიწადს კიდევ იშრომეს. მერე ათასხუთასი ტომი მიართვეს პატრონს, ამჯერად მხოლოდ სამი აქლემით.

- მეუფეო, - თქვა მუდმივმა მდივანმა, - აი, ჩვენი ახალი შრომაც. ვფიქრობთ, არსებითი არა გამოგვიტოვებია რა.

- შესაძლოა, - მიუგო მეფემ, - მაგრამ მე არც მაგის საკითხავად მცალია. რაღა დროს ჩემი განსწავლაა? სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელი სიბერე. ერთხელაც შემიმოკლეთ, მხოლოდ ჩქარა, რაც შეიძლება ჩქარა!

ისინი ისე ჩქარობდნენ რომ უკვე ათი წლის შემდეგ ხელახლა ეახლნენ პატრონს; უკან უასაკო სპილო მოსდევდათ, რომელსაც მხოლოდ ხუთასი ტომი ეკიდა ზურგზე.

- ვიმედოვნებ, ამჯერად მაინც დაგაკმაყოფილებთ ჩვენი სიმოკლე, - თქვა მუდმივმა მდივანმა.

- ვაი, რომ არა, - მიუგო მეფემ, - ცალი ფეხი სამარეში მიდგას უკვე. შემიმოკლეთ, შემიმოკლეთ-მეთქი, ასჯერ, ათასჯერ, თუ გსურთ თქვენმა მეუფემ სიკვდილის წინ მაინც შეიმეცნოს ისტორია კაცთა მოდგმისა.

ხუთი წლის შემდეგ მუდმივი მდივანი კვლავ გამოჩნდა სასახლის კარზე. ძლივს მოლასლასებდა, ყავარჯნებს დაყრდნობილი, და თან აღვირით მოათრევდა ტანმორჩილ ჩოჩორს, რომელიც უშველებელ ტომს მოაჩაქჩაქებდა.

- იჩქარეთ, წასჩურჩულა მას კარისკაცმა, - ხელმწიფე კვდება.

მეფე მართლაც სიკვდილს ებრძოდა. მან ჩამქრალი მზერა მიაპყრო აკადემიკოსსა და მის უზარმაზარ წიგნს და ამოიხრიალა: - მაშ, ისე ვკვდები, რომ ვერ შევიმეცნებ ისტორიას კაცთა მოდგმისა?!

- მეუფეო, - მიუგო სწავლულმა, თვითონაც თითქმის მომაკვდავმა, - თუ გნებავთ, სამი სიტყვით, სამად-სამი სიტყვით გადმოგცემთ ამ წიგნის არსს: იშვნენ, იტანჯნენ, მიიცვალნენ.

ასე შეიმეცნა სულთმობრძავმა სპარსეთის მეფემ ისტორია კაცთა მოდგმისა.

XVII. ბატონი ნიკოდემი

ვიდრე ბ-ნი ბლეზოს დუქანში კიბის თავზე ამძვრალი ჩემი კეთილი მოძღვარი კასიოდორეს[86] კითხვით იქცევდა თავს, დარბაისელმა, მრისხანედ მზირალმა მოხუცმა შემოაღო კარი და პირდაპირ ბ-ნ ბლეზოს მიაშურა, რომელიც ღიმილით დასჩერებოდა დახლს.

- ბატონო ჩემო, - მიმართა მას მოხუცებულმა, - თქვენ წიგნით მოვაჭრე ბრძანდებით, თანაც ნაფიცი და, მაშასადამე, ზნესრულ კაცად უნდა მიმაჩნდეთ, არა?

თქვენ კი ვიტრინაში გამოგიფენიათ რონსარის ტომი, ზუსტად თავფურცელზე გადაშლილი, რომელზედაც შიშველი დიაცია გამოსახული, უხამსობის ეს ჭეშმარიტი სიმბოლო.

- მომიტევეთ, ბატონო ჩემო, - უწყინრად მიუგო ბ-ნმა ბლუზომ, - ეს ფრონტისპისი ლეონარ გოტიეს ეკუთვნის, რომელიც ფრიად დახვეწილ გრავიორად ითვლებოდა თავის დროს.

- რაში მეკითხება, - გააწყვეტინა მოხუცმა, - როგორი გრავიორი იყო იგი. მთავარი ისა, რომ სიშიშველეს ხატავს. ამ დედიშობილა დიაცს არაფერი მოსავს, საკუთარი ვარჯების გარდა, და მე ვწუხვარ, დიდად ვწუხვარ, ბატონო ჩემო, რომ ისეთი დარბაისელი და წინდახედული კაცი, როგორიც თქვენ ჩანდით ჩემს თვალში, ამ უხამსობით უმასპინძლდება წმიდა იაკობის ქუჩაზე მოყიალე ყმაწვილკაცების მზერას. კარგს იზამდით, თუ ახლავე დაწვავდით, ღირსი მამის გარასის მაგალითისამებრ, რომელმაც მთელი ქონება იმას გადაადგო, რომ ათასობით ყიდულობდა ქრისტიანული ეკლესიის კეთილზნეობისათვის მავნე თხზულებებს, რათა ცეცხლისთვის მიეცა ისინი; და, თუ არ დაწვავდით, დახლის ქვეშ მაინც შეგეგდოთ, სადაც, ვშიშობ, ბლომად გიწყვიათ წიგნები, რომლებიც თავისი შინაარსითა და სამკაულებით გარყვნილებისთვის აღძრავენ მკითხველს.

ბ-ნი ბლუზო ჭარხალივით წამოწითლდა სახეზე და თქვა, რომ ეს უსამართლო ბრალდებაა და მისთვის მით უფრო გულსატკენი, რომ პატიოსანი კაცისგან ისმენს მას.

- იძულებული ვარ, - გააწყვეტინა მოხუცმა, - ჩემი ვინაობა გაგიმჟღავნოთ. თქვენს წინაშე დგას ბატონი ნიკოდემი, უბიწოების საზოგადოების პრეზიდენტი. უბიწოების გადასარჩენად აღძრულმა, გადავწყვიტე ამ მხრივ თვით ბატონი პოლიციის უფროსის განკარგულებანიც კი მოვიტოვო უკან. პარლამენტის თორმეტი მრჩევლისა და ჩვენი მთავარი სამრევლოების ორასი მნათეს დახმარებით მე ვფარავ და ვაუვნებლებ საზოგადოებრივ ადგილებში - ქუჩებში, ფოლორცებში, ჩიხებში, პარკებში, სანაპიროებზე, ბულვარებსა და მოედნებზე წამოჭიმული სტატუების სიშიშველეს. თუმცა უმანკოების დამკვიდრებას მარტო ქუჩებში როდი ვჯერდები; მე ვცდილობ სალონებში, კაბინეტებსა და საწოლ ოთახებშიც გავამეფო იგი, სადაც იშვიათად პოულობს თავშესაფარს. პატივი მაქვს მოგახსენოთ, ბატონო ჩემო, რომ ჩემს მიერ დაარსებულმა საზოგადოებამ ფრიად ორიგინალური მზითევი გაუმზადა ახალშეუღლებულთ; ამ მზითევიში, სხვათა შორის, გრძელი და განიერი ხალათებიც შედის ვიწრო ჭრილითურთ, რათა ახალგაზრდა მეუღლეებმა უმანკოდ აღასრულონ ნება უფლისა, რომელსაც სურს ადამიანები თანაყოფის გზით მრავლდებოდნენ. ხოლო მომხიბლაობა კეთილად რომ ერწყმოდეს (თუ შეიძლება ასე ითქვას) კეთილზნეობას, ამ ჭრილებს ნატიფი ნაყმი მოვავლეთ გარს. მე ვამაყობ იმით, რომ ავტორი ვარ ამ ინტიმური ტანისამოსისა, რომელიც ასერიგად უწყობს ხელს

ახალშეუღლებულთა წყვილის ახალ სარად და ახალ ტობიად[87] ქცევასა და ქორწინების მისტერიის განწმენდას მასთან კაცთა საუბედუროდ წილნაყარი სიბილწისაგან.

კასიოდორეში თავჩარგულმა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, რომელიც ამ საუბარს ჩუმი უგდებდა ყურს, მთელი სერიოზულობით განაცხადა კიბის თავიდან, რომ აღტაცებულია ამ ბრწყინვალე გამოგონებით და რომ მას კიდევ უფრო ბრწყინვალე აზრმა გაუელვა თავში.

- კარგი იქნებოდა, - თქვა მან, - ახალშეუღლებულთათვის თანაყოფამდე კუპრივით შავი საცხებელი წაგვესვა ტანზე და ფეხსაცმლის ზედაპირივით გაგვეპრიალებინა მათი კანი, რათა ავხორცობის ცოდვით შემოსილი სიტკბოება ჩაგვემწარებინა მათთვის და დაუძლეველი დაბრკოლება დაგვეხვედრებინა ალერსის, ხვევნა-კოცნისა და განცხრომისათვის, რომელთაც, ჩვეულებრივ, სარეცელზე ეძლევიან შეყვარებულნი.

ამ სიტყვებზე ბ-ნმა ნიკოდემმა ცერად ახედა კიბეზე შემდგარ ჩემს კეთილ მოძღვარს, ვისმა გამომეტყველებამ აგრძნობინა, აშკარად დამცინისო.

- ბატონო აბატო, - შეკავებული აღშფოთებით მიუგო მან, - მე შემემლო შემენდო თქვენთვის, მარტო მე რომ მიგდებდეთ მასხრად; მაგრამ თქვენ უმანკოებასა და კეთილზნეობასაც დასცინით ჩემთან ერთად. ამას კი ველარ გაპატიებთ. ყიამყრალთა ავციობის მიუხედავად, ჩემ მიერ დაარსებულმა საზოგადოებამ არა ერთი და ორი დიდი და სასარგებლო საქმე წამოიწყო და კეთილად დააგვირგვინა კიდევ. იცინეთ, ბატონო ჩემო, იცინეთ! ჩვენ კი სეფე პარკებში ლელვისა თუ ვაზის ექვსასი ფოთოლი ავაფარეთ უკვე შიშველ სტატუებს.

- ყოჩაღ, ბატონო ჩემო, ყოჩაღ, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა და თან სათვალე შეისწორა, - თუ ასე გაგრძელდა, მალე ყველა ჩვენი სტატუა ხშირი ფოთლებით შეიფოთლება. მაგრამ (რაკი საგნებში იმ აზრსა ვდებთ, რასაც ისინი აღძრავენ ჩვენში), ვაზისა და ლელვის ფოთლებს რომ აფარებთ შიშველ სტატუებს, ყოვლად უშვერი შინაარსით ავსებთ ამ უწყინარ ფოთლებს: კაცი ისე ველარ შეავლებს თვალს ვერც ვაზს და ვერც ლელვს, რომ მყისვე რაიმე უხამსობა არ წარმოიდგინოს, ხოლო უმანკო ხეების ასე გაბახება დიდი ცოდვაა, ბატონო ჩემო. ნება მიბოძეთ ისიც გითხრათ, რომ კაცისთვის ფრიად სახიფათოა თქვენებრი ზიზლით ემსჭვალვოდეს ყველაფერს, რასაც ძალუმს ამღვრევდეს და აღელვებდეს ხორცს; რადგან თქვენ გავიწყდებათ, რომ, თუ რომელიმე ხატს შეუძლია აცთუნოს ვინმე, მაშინ თითოეული ჩვენგანი, ვინც თავის თავში ატარებს ამ ხატის დედანს, თავის თავს უნდა აცთუნებდეს, თუ, რა თქმა უნდა, საჭურისი არ არის, რისი ოდენ გაფიქრებაც კი საზარელია.

- ბატონო ჩემო, - გააწყვეტინა გაალმასებულმა მხცოვანმა ნიკოდემმა, - თქვენი სიტყვები მოწმობენ, რომ დიდი გარყვნილი და დამთხვეული ვინმე ბრძანდებით.

- ბატონო ჩემო, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - მე ქრისტიანი ვარ, ხოლო რაც შეეხება გარყვნილებას, თვითონ განსაჯეთ, მაგის თავი სადა აქვს იმას, ვინც დღემუდამ წელებზე ფეხს იდგამს, რათა პურის, ღვინისა და თამბაქოს ფული იშოვოს როგორმე? კაცი, რომელსაც თქვენ ხედავთ ახლა, არ იცნობს სხვა ორგიებს, მედიტაციის ჩუმი ორგიების გარდა და ერთადერთი ნადიმი, სადაც ის ილხენს, მუზების ნადიმი გახლავთ. მაგრამ, მართალი გითხრათ, მკრეხელობად მიმაჩნია იმისი გულმოდგინება, ვინც ცდილობს კრძალვით აღემატოს თვით კათოლიკური ეკლესიის მოძღვრებას, რომელიც, ამ მხრივ, თითქმის შეუზღუდავ თავისუფლებას უტოვებს თავის წევრებს და ხშირად დათმობაზე მიდის ხალხების ზნე-ჩვეულებათა და ცრურწმენათა წინაშე. თქვენ, ალბათ, კალვინისტი[88] და ხატომმუსვრელ ჰერეტიკოსთა[89] სექტის წევრი ბრძანდებით. რადგან, ვინ შეძლებს იმის მტკიცებას, რომ თქვენი მძვინვარება, ბოლოს და ბოლოს, აუტო-და-ფეს არ მოუწყობს უფლისა და წმიდანთა ხატებს, რომელთა ნაკვთებშიც თქვენთვის ეგზომ საძულველი ადამიანურობა გამოკრთის? ეგ თქვენი სიტყვები - უმანკოება, უბიწობა, კეთილზნეობა, რომელთაც ასე უხვად აფრქვევთ, არავითარ ზუსტ, მყარსა და განსაზღვრულ აზრს არ შეიცავენ. მხოლოდ ჩვევასა და გრძნობას ძალუმს ყველაზე სრულად, ყველაზე მართებულად მათი განსაზღვრა; მხოლოდ პოეტებს, მხატვრებსა და ლამაზ ქალებს შეუძლიათ მათ ინტიმურ არსში ჩაწვდომა. თქვენ კი პროკურორთა ხროვას მოუხმობთ მსაჯულებად გრაციათა და განცხრომათა ზედა!

- თქვენ ცდებით, ბატონო ჩემო, - შეესიტყვა მხცოვანი ნიკოდემი, - ჩვენ გრაციებსა და სიცილს როდი ვებრძვით, ან უფლისა თუ კეთილმოღვაწეთა ხატებს. თქვენ სრულიად უმიზეზოდ გვესხმით თავს. ჩემ მიერ დაარსებული საზოგადოება კეთილშობილ კაცთაგან შედგება, რომელთაც სურთ უხამს ხატებსა და სპექტაკლებს განარიდონ ჩვენი შვილები. იქნებ თქვენ გინდათ, ბატონო აბატო, რომ ჩვენი ყრმები ყოველ ნაბიჯზე მაცთურის მახეს აწყდებოდნენ ქუჩებში?

- აჰ, ბატონო ჩემო, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - ადამიანი, დიახაც, ხშირად უნდა ხვდებოდეს საცთურს. ასეთია ადამიანისა და ქრისტიანის ხვედრი მიწაზე. ხოლო ყველაზე საშინელი საცთური თვით ჩვენშია, არა ჩვენს გარეთ. და თქვენ ამდენ დროსა და ენერგიას აღარ შეაღწევდით გამოფენიდან შიშველ დიაცთა ორიოდე გამოსახულების მოხსნას, ჩემსავით რომ ჩაჰკირკიტებთ წმიდა მეუღბნოეთა ცხოვრებას. თქვენ ნახავდით მაშინ, რომ, თავიანთ შემზარავ განმარტოებაშიც კი, ყოველგვარ ნაკვეთ თუ ნახატ ხატებს განრინებულნი, ძაძის ტარებით გატანჯულნი, გამუდმებული თვითგვემით ხორცგანრღვეულნი და მარხულობით გამოთაყვანებულნი, - ეს განდეგილნი ავზნიანებივით იკრუნჩხებოდნენ ეკლის სარეცლებზე, ძვლების ტვინამდე განწონილნი ხორციელ ვნებათა და გულისთქმათა ნესტრით. თავიანთ უბადრუკ სენაკებში ისინი ჭვრეტდნენ

ათასგზის უფრო უხამს სურათებს, ვიდრე ბატონი ბლეზოს ვიტრინაში გამოფენილი ეს უმანკო ალევორიაა, რომელმაც ასე შეგადრწუნათ. ეშმაკი (ანუ, როგორც თავხედნი და თავგასულნი ამბობენ, ბუნება) შეუდარებლად უფრო დიდი ოსტატია ორგების ხატვისა, ვიდრე თვით ჯულიო რომანო[90]. პოზებისა და მოძრაობების ექსპრესულობითა და ფერთა სიცხოვლით ის უკან იტოვებს ყველა იტალიელსა თუ ფლანდრიელ მეტრს. რას დააკლებთ თქვენ ამ მწველ და მცხუნვარე ხატებს?! ის, რაც ასე გძრავთ და გაძრწუნებთ, მათთან შედარებით წმიდა წყლის სუროგატია მხოლოდ და თქვენის მხრივ უფრო გონივრული იქნებოდა ბატონი პოლიციის უფროსისათვის მიგენდოთ საზოგადოებრივი ზნეობის სიწმინდეზე ზრუნვა. თქვენი სისპეტაკე ქვემარტად მაცვიფრებს მე; მაგრამ იცით კია, რა არის ადამიანი, რა არის ადამიანთა საზოგადოება და როგორ ბობოქრობს ხორცი დიდ ქალაქში? ო, გულუბრყვილო ბერიკაცებო, ამ სიბილწით სავსე სოდომ-გომორში, სადაც ბოლომდე აწეული ფარდების მიღმა თვალისმომჭრელად ელვარებენ მეძავთა მხრები, ხოლო ქუჩებში თუ მოედნებზე, მეტისმეტი სივიწროვისგან სხეულები ერთმანეთს ეხლებიან და მეყსეულად ენთებიან ვნებით, - ასე ხმამაღლა რომ გმინავთ და გოდებთ წიგნით მოვაჭრეთა ვიტრინებში გამოფენილი ორიოდე უხამსი სურათის გამო და თვით სამეფო პარლამენტს აშფოთებთ თქვენი ჩივილით, მაშინ, როდესაც ვნებიანი ასულები ბალზე ბარძაყებს უშიშვლებენ გარშემოჯარულ ყმაწვილკაცებს, რომლებსაც, სხვათა შორის, სავსებით ბუნებრივ და ჩვეულებრივ ჟესტად ეჩვენებათ ეს.

ასე ლაპარაკობდა ჩემი კეთილი მოძღვარი კიბის თავიდან, ხოლო ბ-ნი ნიკოდემი ყურებს იცობდა და გაკვირდა, ცინიკოსი ხართო, აბატო.

- ცაო! - გმინავდა იგი, - რა შეიძლება იყოს შიშველ დიაცზე ამაზრზენი და რამდენად ურცხვი უნდა იყოს ეს აბატი, ასე ადვილად რომ ურიგდება გარყვნილებას, რომელიც დაღუპვისკენ მიაქანებს ქვეყანას. რადგან მხოლოდ კეთილზნეობაშია ხალხების ხსნა!

- მართალს ბრძანებთ, ბატონო ჩემო, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - ხალხების ძალა მართლაც მათ კეთილზნეობაშია; მაგრამ ეს გულისხმობს შეხედულებათა, გრძნობათა და მისწრაფებათა ერთიანობას, ისევე როგორც ერთსულოვან მორჩილებას კანონთა მიმართ, და არა ყოვლად უბადრუკ და უმნიშვნელო წვრილმანებს, რომლებიც ასე გაღელვებენ, ბატონო ჩემო. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ უმანკოება, თუ ის ზეგარდმო ნიჭი არ არის, აბსოლუტური უაზრობაა, ხოლო პირქუში სისპეტაკე, ასე რომ აუტროვებიხართ, საკმაოდ სასაცილო სპექტაკლია, ბატონო ნიკოდემ და, ცოტა არ იყოს, უხამსიც.

მაგრამ ბ-ნი ნიკოდემი უკვე თავქუდმოგლეჯილი გავარდა გარეთ.

XVIII. მართლმსაჯულება

ბატონი აბატი კუანიარი, რომელიც ჭეშმარიტად ღირსი იყო ყოველდღე პრიტანეიონში[91] ესადილა მადლიერი სამშობლოს ხარჯზე, პურის ფულს იმით შოულობდა, რომ წერილებს უწერდა მოახლეებს თავის სენაკში სენტ-ინოსანის სასაფლაოზე. ერთ მშვენიერ დღეს მის კლიენტებს შორის აღმოჩნდა ერთი პორტუგალიელი ბანოვანი, რომელიც საფრანგეთში მოგზაურობდა თავისი ზანგი მსახურის თანხლებით. მან ორი წერილი დააწერინა აბატს: ქმრისათვის და საყვარლისათვის; პირველში სპილენძის შაურიანი მისცა, მეორეში კი ოქროს ექვს ლივრიანი ეკიუ. ეს იყო ერთადერთი ეკიუ, რომელიც ჩემს კეთილ მოძღვარს ჩაუვარდა ხელში ივანობის შემდეგ, და რაკი ბუნებით გულუხვი და ხელგამლილი კაცი იყო, მაშინვე „ოქროს ვაშლში“ წამიყვანა: ესაა პატარა დუქანი გრევის სანაპიროზე, რატუმის მახლობლად, სადაც შუშხუნა ღვინითა და საუცხოო სოსისებით უმასპინძლებიან მუშტრებს. ამიტომაც, რომ ბითუმად მოვაჭრენი, რომელნიც გარეუბნებში ტონობით ყიდულობენ ხილს, ნაშუადღევს, გარიგების შემდეგ, მუდამ აქ იყრიან თავს. გაზაფხული იდგა და სასიამოვნო იყო სუფთა ჰაერზე ჯდომა. ჩემმა კეთილმა მოძღვარმა ზედ ფლატის პირს აირჩია მაგიდა; ვსადილობდით და თან წყალზე მენავეთა ნიჩბების მხიარულ ტლაშუნს ვუგდებდით ყურს. გრილი ნიავი გვცემდა სახეში და ჩვენ ბედნიერნი ვიყავით ამ ლურჯი და კრიალა ცის ქვეშ. მერე, ის იყო, შემწვარ ქაშაყს დავარჯეთ ჩანგლები, რომ ბრბოს ღრიანცელი და ცხენების თქარათქური მოგვესმა და გზისაკენ გვაბრუნებინა პირი.

მეზობელ მაგიდას ერთი ჩია, შავტუხა ბერიკაცი უჯდა. ჩვენი ცნობისმოყვარეობა რომ შენიშნა, თავაზიანი ღიმილით მოგვმართა: - ბევრი არაფერი, ბატონებო! ერთი სვედავსილი მოახლე მიჰყავთ ჩამოსახრჩობად, რომელმაც მაქმანიანი მანდილი მოჰპარა თავის ქალბატონს.

სიტყვის დამთავრება ვერც კი მოასწრო, რომ ჩვენ მართლაც შევნიშნეთ ფორანი, რომელსაც აქეთ-იქიდან ცხენოსანი ბადრაგები მიჰყვებოდნენ და რომლის ძარაზეც საკმაოდ სანდომიანი ქალიშვილი იჯდა. მთლად გაცრეცილსა და გაფითრებულს მკერდი არაბუნებრივად გადმოჰბურცვოდა, რადგან ხელები ზურგს უკან ჰქონდა გაკრული. ფორანი სწრაფად მიეფარა თვალს, მაგრამ მე სამუდამოდ დამამახსოვრდა ეს გაცრეცილი სახე და გაყინული მზერა, რომელიც ველარაფერს ამჩნევდა უკვე.

- დიახ, ბატონებო, - განაგრძო ჩია ბერიკაცმა, - ეს ბატონი მრჩევლის, ჟოსის მეუღლის მოახლე გახლავთ, რომელსაც მოეპრიანა მიჯნურისთვის მოეწონებინა თავი რამპონოსთან და ალანსონურ მაქმანიანი მანდილი მოჰპარა თავის ქალბატონს, რის შემდეგაც მიიძალა. მაგრამ სად წავიდოდა? მალე მიაგნეს ერთ-ერთ სახლში

პონტ-ო-შანჟის მახლობლად და მან იქვე აღიარა დანაშაული; ასე რომ, დიდხანს აღარ უწამებიათ, სულ რაღაც ერთი თუ ორი საათი. ეს საქმე ჩემთვის კარგადაა ცნობილი, ბატონებო, რადგან სწორედ იმ სასამართლოს იასაული გახლავართ, სადაც გაასამართლეს ეს უბედური.

ჩია ბერიკაცი თავის სოსისებს მიუბრუნდა - გაცივებას ხომ არ აცლიდა! - და მერე კვლავ განაგრძო: - ახლა ის უკვე ფიცარნაგზე ავიდა, ალბათ, და ხუთ წუთში, თუ უფრო ადრე არა, სულს ჩააბარებს უფალს. ზოგიერთის ჩამოხრჩობა ჯალათისთვის წუთის საქმეა: ყულფს გადააცვამს კისერზე და... მორჩა, მოგჭამათ ჭირი. ზოგიერთს კი, უნდა მოგახსენოთ, ისე აფრთხობს სახრჩობელაზე აყვანა, რომ ბორგნეულივით უსხლტება ხელიდან ჯალათს. მახსოვს, ყველაზე მეტს ბორგავდა და აქეთ-იქით აწყდებოდა ერთი აბატი, რომელსაც გასულ წელს მიუსაჯეს ჩამოხრჩობა, იმისთვის, რომ ლოტარიის ბილეთებზე მეფის მაგივრად თვითონ აწერდა ხელს. ერთ ოც წუთს მაინც, მეტხანს თუ არა, ანკესზე წამოგებულნი ფარგასავით ფართხალეზდა სახრჩობელასთან.

- ჰი, ჰი! - ჩაიქირქილა ჩია ბერიკაცმა, - უპრეტენზიო კაცი იყო ეს აბატი; თვით ურიცხვი სამწყსოს მწყემსვის პატივიც კი არ ხიბლავდა და იზიდავდა იმ სოფლად. მე ვნახე, როგორ ჩამოჰყავდათ ფორნიდან. ისე მწარედ ტიროდა და ისეთი გააფთრებით უძალიანდებოდა ჯალათს, რომ ამ უკანასკნელმა თავი ვედარ შეიკავა და უთხრა: „როგორ გეკადრებათ, ბატონო აბატო, ბავშვი ხომ არა ხართ?!“ მაგრამ ყველაზე სასაცილო მაინც ისაა, რომ, რაკი ერთ მპარავთან ერთად მოიყვანეს, ჯალათს თავდაპირველად ციხის მოძღვარი ეგონა იგი, ჩამოსახრჩობთა საზიარებლად მოსული; ჩანდა, ამაში ისე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ძლივს შეძლეს მისი გადარწმუნება. რას იტყვით, განა სასაცილო არ არის?

- არა, ბატონო ჩემო, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა და თეფშზევე დადო თევზის ნაჭერი, რომელიც ის იყო პირთან მიჰქონდა, - სრულიადაც არა. რადგან, როგორც კი გავიფიქრებ, რომ ეს მშვენიერი ქალიშვილი ამ წუთში სიცოცხლეს ეთხოვება ალბათ, მყისვე მიქრება ქაშაყის ჭამის ხალისიც და ამ მშვენიერი ცის ჭვრეტისაც, რომელიც სულ ახლახან ღიმილს მაფრქვევდა თავზე.

- აჰ, ბატონო აბატო, - თქვა ამ ჩია იასაულმა, - რაკი აგრე ლმობიერი ბრძანდებით, ალბათ, გული წაგივიდოდათ, თქვენი თვალით რომ გეხილათ ის, რაც მამაჩემმა ნახა ოდესღაც თავის მშობლიურ ქალაქ დიჟონში. თუმცა, იქნება გსმენიათ რამე ელენე ჟილეს შესახებ?

- არა, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - არაფერი არა მსმენია.

- თუ ასეა, მე გიამბობთ მის თავგადასავალს, რომელიც არაერთგზის უამბნია ჩემთვის მამაჩემს.

მან ღვინო მოსვა, სუფრის კიდით შეიმშრალა ტუჩები და ქვემოთ მოტანილი ამბის მოყოლა დაიწყო.

XIX. იასაულის ნაამბობი

1624 წლის ოქტომბრის თვეში ბურგ-ან-ბრესის სამეფო ციხის თავის ოცდაორი წლის ქალიშვილს ელენე ჟილეს, რომელიც მამის სახლში ცხოვრობდა თავის ჩვილ ძმებთან ერთად, ორსულობის იმდენად აშკარა ნიშნები გამოაჩნდა, რომ ამის შესახებ მთელი ქალაქი ალაპარაკდა და ბურგელმა ქალწულებმა ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტეს მასთან. მაგრამ მალე შენიშნეს, რომ მუცელი ისევ დაეწია და ამას ისეთი მითქმა-მოთქმა მოჰყვა, რომ მოსამართლემ განკარგულება გასცა ბებიასა და ბებიაქალებს გაესინჯათ იგი. მათაც გასინჯეს და დაადგინეს, რომ ის მართლაც ორსულად იყო და, ახლანდელი მდგომარეობის მიხედვით, ორი კვირის წინ უნდა ემშობიარა. მათი ჩვენების საფუძველზე ელენე ჟილეს დილეგში უკრეს თავი. დაკითხვაზე მან განაცხადა: - ამ რამდენიმე თვის წინათ ჩვენსას დაიარებოდა ბიძაჩემის მამულში მცხოვრები ერთი ყმაწვილი კაცი, რომელსაც მამაჩემმა ჩემი ძმების აღზრდა მიანდო. სწორედ მან დამღუპა, და ამაში ბრალი მიუძღვის ჩვენს მოახლეს, რომელმაც მასთან ერთად ჩამკეტა ოთახში, სადაც ის უმწეოს ძალით დამეუფლა.

როცა ჰკითხეს, რატომ არ იყვირეო, მან უპასუხა: ანაზდეულმა შიშმა წამართვა ხმაო. დაბოლოს, მსაჯულთა ძალდატანებით, აღიარა, იმ დღიდანვე დავორსულდი, მაგრამ ბავშვი არ მიშობია, ვინაიდან მუცელი მომეშალაო. თუმცა იქვე დასძინა, არამცთუ ძალით მომიშლია მუცელი, არამედ ვერც კი მივხვდებოდი, რა იყო ჩემს თავს, ერთ მოახლეს რომ არ აეხილა ჩემთვის თვალიო.

მოსამართლენი, რასაკვირველია, ვერ დააკმაყოფილა ამ ჩვენებამ, მაგრამ მათ ელენე ჟილეს მამხილებელი არავითარი სხვა საბუთი არ ჰქონდათ ხელთ და პირდაპირ არ იცოდნენ რა ექნათ, რომ მოულოდნელად გამჟღავნდა ყველაფერი. ერთმა ჯარისკაცმა ბატონ პიერ ჟილეს, ბრალდებულის მამის ბაღთან სეირნობის დროს თხრილის პირას შენიშნა ყვავი, რომელიც ნისკარტით თეთრი ჩვრის ამოთრევას ღამობდა ხნარცვიდან. ცნობისწადილით აღძრული ფეხაკრეფით მიეპარა ყვავს და დაინახა... ახალშობილის გვამი. ამის შესახებ მან დაყოვნებლივ აცნობა სასამართლოს. გვამი გახვეული იყო ხალათში, რომლის საყელოზე გარკვევით იკითხებოდა ორი ასო: „ე.ჟ.“ დაადგინეს, რომ ის ზუსტად ორსულობის მეცხრე თვის თავზე დაიბადა და ელენე ჟილეს, პირმშოს მკვლელობაში მხილებულს, კანონის თანახმად, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. მაღალი თანამდებობა, რომელიც მამამისს ეჭირა, წარჩინებულთა პრივილეგიით სარგებლობის უფლებას აძლევდა ბრალდებულს და სასამართლომ თავის მოკვეთა მოუსაჯა მას.

მაშინ ელენე ჟილემ დიჟონის სასამართლოს მიმართა. ის ორი ბადრაგის თანხლებით ჩაიყვანეს ბურგუნდიის დედაქალაქში და სიკვდილმისჯილთა დილეგში მიუჩინეს ბინა. დედამისმა კი, რომელიც გზაზე გვერდიდან არ მოშორებია ქალიშვილს, ბერნარდინელ დედათა მონასტერს მიაშურა. დიჟონის სასამართლომ ორშაბათს, 12 მაისს, გაარჩია საქმე თავის უკანასკნელ სხდომაზე სულთმოფენის დღესასწაულის წინ. ბატონი მრჩევლის, ჟაკობის მოხსენების მოსმენის შემდეგ სასამართლომ ძალაში დატოვა ბურგ-ან-ბრესის სასამართლოს განაჩენი და დაადგინა, სიკვდილმისჯილი კისერზე თოკშებმული აეყვანათ ეშაფოტზე. დიჟონელებმა მკრეხელობად მიიჩნიეს კეთილშობილთა სიკვდილით დასჯის რიტუალის ასე უხეში დარღვევა და ერთხმად დაგმეს მოსამართლეთა სისასტიკე. მაგრამ განაჩენი საბოლოო იყო და დაუყოვნებლივ უნდა აღესრულებინათ.

მართლაც, იმავე დღეს, ნაშუადღევის ოთხის ნახევარზე, ელენე ჟილე ზარების რეკვით გააცილეს ეშაფოტისკენ. პროცესიას წინ უძღოდა ორი მეზუკე, რომლებიც ისე ხმამაღლა აყვირებდნენ თავიანთ ბუკებს, რომ მათ გუგუნზე კეთილი დიჟონელები მუხლებზე ეცემოდნენ და გულმხურვალედ ლოცულობდნენ მისი სულისთვის, ვინც მალე უნდა გამოსალმებოდა სიცოცხლეს. მთავარი პროკურორის თანაშემწე, რომელსაც იასაულები მისდევდნენ გვერდით, ცხენს მოათოხარიკებდა. მათ უკან ფორნით მოჰყვებოდა ელენე ჟილე, კისერზე თოკშებმული, სასამართლოს გადაწყვეტილებისამებრ. ქალიშვილს ორი იეზუიტი და ორი კაპუცინი ახლდა თან, რომლებსაც ჯვარცმა ეჭირათ მის წინ. მსხვერპლის გვერდით ჯალათსა და მის მეუღლეს მოეკალათნათ; პირველს მახვილი ეჭირა ხელში, მეორეს - მაკრატელი. მცველთა რაზმი მჭიდრო რკალად შემორტყმოდა ფორანს, ხოლო უკან ცნობისმოყვარეთა მოყაყანე ბრბო მოიზლაზნებოდა, სხვადასხვა ამქრის ხელოსანთა - მეფუნთუშეთა, ყასაბთა და ქვისმთლელთაგან შემდგარი.

პროცესია შეჩერდა მოედანზე, რომელსაც მორიმონს უწოდებენ, მაგრამ იმიტომ კი არა, როგორც შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ბოროტმოქმედთა სიკვდილით დასჯის ადგილია[92], არამედ მორიმონელ შუბლმიტრიან და ხელკვერთხიან მამათა სახსოვრად, რომელთაც ოდესღაც სავანე ჰქონდათ იქ. ეშაფოტი მომცრო ეკვდერის ქვის კიბეზე იყო მიშენებული, სადაც ბერები სიკვდილით დასჯილთა სულებისთვის ლოცულობენ ხოლმე.

ელენე ჟილე ოთხი ბერის, ჯალათისა და მისი მეუღლის თანხლებით ავიდა ეშაფოტზე. ამ უკანასკნელმა კისერზე თოკი შეხსნა ქალიშვილს; მერე თავისი ვეებერთელა მაკრატლით თმები შეაჭრა და თვალები აუხვია მას. ბერები ხმამაღლა ლოცულობდნენ; ჯალათი კი უცებ გაფითრდა და ცხროიანივით აცახცახდა. ეს სუსტი აღნაგობის კაცი, რომელსაც სიმონ გრანჟანს ეძახდნენ, მთლად მფრთხალი და ჯაბანი ჩანდა თავისი მძვინვარე მეუღლის გვერდით. დილით მან აღსარება უთხრა ციხის მოძღვარს, მაგრამ მაინც შეძრწუნებული გამოიყურებოდა. ეტყობოდა, ვერ ბედავდა სიცოცხლე მოესწრაფებინა ამ მშვენიერი ყმაწვილი ქალისთვის. ის ხალხისკენ

გადაიხარა და თქვა: - მომიტევეთ, თუ კარგად ვერ აღვასრულებ იმას, რაც უნდა აღვასრულო. აგერ უკვე მესამე თვეა ციება მტანჯავს.

მერე წაბარბაცდა, ხელების მტვრევით ცისკენ აღაპყრო მზერა, მუხლებზე დაეცა ელენე ჟილეს წინ და ორჯერ შენდობა სთხოვა თავის მსხვერპლს; შემდეგ ბერებს მიუბრუნდა - სთხოვა მაკურთხეთო და, როცა მისმა მეუღლემ მსჯავრდადებულს თხემის ადგილზე დაადებინა თავი, მახვილი შემართა.

იეზუიტებმა და კაპუცინებმა ერთხმად იყვირეს: - იესო! მარიამ! - ხოლო ბრბომ ყრუდ ამოიგმინა. დარტყმა, რომელსაც თავი უნდა დაეგდებინებინა მსჯავრდადებულისათვის, მიზანს ასცდა და მარცხენა მხარი გაუპო მას; უბედური მარჯვენა მხარეს გადავარდა.

მაშინ სიმონ გრანჟანი მიუბრუნდა ბრბოს და იყვირა: - ჩამქოლეთ!

პასუხად შემზარავი ბლავილი გაისმა და რამდენიმე ქვა მოხვდა ეშაფოტს, რომელზედაც ჯალათის მეუღლე მსხვერპლს ხელახლა თხემის ადგილზე ადებინებდა თავს.

ჯალათმა მეორედ შემართა მახვილი. ამჯერად დარტყმამ ყელი შუა გაუპო მსხვერპლს და ის მოწყვეტით დაეცა მახვილს, რომელიც ხელიდან დაუვარდა ჯალათს.

ბრბომ ველურად იღმუვლა და ეშაფოტს ქვების ისეთი სეტყვა მიაწყდა, რომ სიმონ გრანჟანი, ორი იეზუიტი და ორი კაპუცინი დაბლა ჩამოხტნენ, სირბილით მიაშურეს ეკვდერს და კარი ჩაიკეტეს. ეშაფოტზე მსხვერპლთან მარტოდ დარჩენილმა ჯალათის მეუღლემ მახვილს დაუწყო ძებნა, მაგრამ, რაკი ვერსად იპოვა, ხელი დასტაცა თოკს, რომლითაც ელენე ჟილე აიყვანეს ეშაფოტზე, ხელახლა გადააცვა ყელზე, მერე ფეხით შეადგა მკერდზე და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თავისკენ მოსწია საბელს, რათა ასე მაინც მოეღო ბოლო უბედურისთვის. ის კი, მთლად სისხლში მოთხვრილი, ორივე ხელით ებლაუჭებოდა თოკს და ცდილობდა თავი დაეცვა. მაშინ გრანჟანის მეუღლემ თოკით ფიცარნაგის კიდემდე მიათრია იგი და, როცა თავი დაბლა ჩამოუვარდა, მაკრატლით დაუწყო ყელის გამოჭრა.

მაგრამ აქ გადარეულმა ბრბომ გადაქელა მცველთა რაზმი და ეშაფოტსა და ეკვდერს მიაწყდა. თორმეტმა მძლავრმა ხელმა ზე აიტაცა ცნობამიხდილი ელენე ჟილე და ციმციმ წაიღო მეტრ ჟაკე-ნის სახელოსნოსკენ, რომელიც, ერთდროულად, დალაქიც იყო და დოსტაქარიც.

ხალხი, რომელიც გააფთრებით აწყდებოდა ეკვდერს, ალბათ, მალე შეამტვრევდა მის კარს, მაგრამ თავზარდაცემულმა კაპუცინებმა და იეზუიტებმა თვითონ გააღეს იგი და ჯვარადმართულებმა რის ვაივაგლახით გაიკაფეს გზა ბრბოში.

ჯალათი და მისი მეუღლე ქვებით ჩაქოლეს, მერე ჩაქუჩებით დაჩეჩქვეს და მათი გვამები ქუჩა-ქუჩა ათრიეს. ამასობაში, ელენე ჟილე გონს მოეგო დოსტაქრისას და წყალი ითხოვა. ხოლო, როცა მეტრმა ჟაკენმა ჭრილობების ხვევა დაუწყო, იკითხა: - მეტს ხომ აღარ მაწამებენ, თუ იცით?

მას აღმოაჩნდა ხმლით მიყენებული ორი ჭრილობა და ექვსიც - მაკრატლით, რომელსაც ყელი და ბაგეები დაესერა მისთვის. თემოები დაფლეთილი ჰქონდა ხმლის პირით, რომელიც მის ქვეშ მოჰყვა, როცა ჯალათის მეუღლე მოსაშთობად თოკით ათრევდა ფიცარნაგზე. დაბოლოს, მთელი სხეული ქვებით დალილავებოდა, რომლებიც ბრბომ დააყარა ეშაფოტს.

მაგრამ ელენე ჟილე მაინც განიკურნა ჭრილობებისგან. ის დოსტაქრისას დატოვეს და ერთი იასაული მიუჩინეს მცველად. ამიტომ საბრალო დაუსრულებლივ იმეორებდა: - მაშ, არ მეშვებიან? მაშ, კვლავ მომკლავენ?

დოსტაქარი და რამდენიმე მღმობელი მოქალაქე თავს დასტრიალებდნენ ქალიშვილს და ცდილობდნენ დაემშვიდებინათ იგი. მაგრამ მხოლოდ მეფეს შეეძლო სიცოცხლე ეჩუქებინა მისთვის. ვექილმა ფევრემ თხოვნა დაწერა შეწყალების შესახებ, რომელსაც დიჟონის რამდენიმე წარჩინებულმა მოქალაქემ მოაწერა ხელი და ის მის უდიდებულესობას გადასცეს. იმხანად საფრანგეთის სამეფო კარზე ფრანგი პრინცესას, ანრიეტა-მარიასა და ინგლისის მეფის შეუღლებას დღესასწაულობდნენ. ამ დიდ ზეიმთან დაკავშირებით, ლუი მართლად გამრიგემ შეიწყნარა დიჟონელების თხოვნა და სიცოცხლე აჩუქა საწყალ ქალიშვილს, რადგან, როგორც ბრძანებდა შეწყალების სიგელი, მის მიერ გადატანილი წამება არათუ დაუვარდებოდა დამსახურებულ სასჯელს, კიდევაც აღემატებოდა მას.

ელენე ჟილე, ჭეშმარიტად მკვდრეთით აღმდგარი, მონაზვნად აღიკვეცა ბურგ-ან-ბრესში, სადაც სიცოცხლის დამღევამდე ცხოვრობდა უდიდეს სათნოებასა და ღვთისმოსაობაში.

ასეთია - დასძინა ჩია იასაულმა, - ელენე ჟილეს ჭეშმარიტი ისტორია, რომელიც ბავშვმაც კი იცის დიჟონში. რას იტყვით, ხომ საინტერესო ისტორიაა, ბატონო აბატო?

XX. მართლმსაჯულება

(გაგრძელება) - ეჰ! - ამოიოხრა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - ლუკმა ყელში აღარ გადამდის, ისე შემძრა მაგ შემზარავმა სცენამ, რომელიც თქვენ, ბატონო ჩემო, აგრე გულგრილად გადმოგვეცით, და ბატონი მრჩევლის მეუღლის, მადამ ჟოსის

სვედავსილი მოახლის ხილვამ, ჩამოსახრჩობად რომ მიჰყავდათ, თუმცა შეიძლებოდა უფრო მართლად განესაჯათ იგი.

- კი მაგრამ, - შეესიტყვა იასაული, - მე ხომ გითხარით, ამ გომბიომ თავისი ქალბატონი გაქურდა-მეთქი. თუ, თქვენი აზრით, ქურდებს სახრჩობელაზე არ უნდა ჰკიდებდნენ, ბატონო აბატო?

- რა თქმა უნდა, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - ჩვენში ასეა მიღებული, და, რაკი ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია, ამიტომ, ვიდრე ცხოვრება თავისი გზით მიდის, ყველაფერი ჩვეულებრივად გვეჩვენება. მაგალითისთვის ფილოსოფოსი სენეკა ავიღოთ, რომელიც უწყინარი კაცი იყო ბუნებით, და ეს უწყინარი კაცი უდრტვინველად თხზავდა თავის საუცხოო ტრაქტატებს მაშინ, როცა რომში, მის გვერდით, ჯვარს აცვამდნენ თითქმის სრულიად უდანაშაულო მონებს. ასე, მონა მითრიდატე მხოლოდ იმიტომ აცვეს ჯვარს, რომ, თავისი პატრონის, ბილწი ტრიმალქიონის ღვთაებრივი არსება შეურაცხყო[93]. რას იზამ, ასეა მოწყობილი ჩვენი გონება: არაფერი ჩვეულებრივი არ ამღვრევს და არ არყევს მას. ჩვეულება გვიცვეთს და გვიჩლუნგებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, აღშფოთებისა და განცვიფრების უნარს. მე ვილვიძებ ყოველ დილით და, მართალი გითხრათ, ნაკლებად ვფიქრობ იმ უბედურებზე, რომლებსაც დღის განმავლობაში ჩამოახრჩობენ. ან შაყის კვრით აუგებენ წესს. მაგრამ, როდესაც სიკვდილით დასჯის იდეა უშუალოდ საგრძნობი და საცნაური ხდება ჩემთვის, სული მემღვრევა და რა გასაკვირია, თუ სასიკვდილოდ განწირული ამ მშვენიერი ქალიშვილის ხილვამ ისე შემიკრა საყლაპავი, რომ ეს ერთი ციციქნა თევზიც აღარ გადამდის ყელში.

- რის მშვენიერი ქალიშვილი, რა მშვენიერი ქალიშვილი? - თქვა იასაულმა. - პარიზის ქუჩებში მარტო ერთი ღამის განმავლობაში დუჟინობით აკეთებენ მისთანებს. ახია მასზე; რატომ გაქურდა თავისი ქალბატონი, მაღამ ჟოსი?

- არ ვიცი, ბატონო ჩემო, - მძიმედ მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - ეგ არც თქვენ იცით და არც მისმა მსაჯულებმა იციან, მერწმუნეთ, ნამდვილად არ იციან იმაზე მეტი, ვიდრე ჩვენ ვიცით, რადგანაც ჩვენი ქცევის მიზეზნი გონებაშიუწვდომელნი არიან და ძალები, რომლებიც მოქმედებისთვის აღგვძრავენ ხოლმე - ღრმად დაფარულნი. ჩემი აზრით, კაცი თავისუფალია ყველა თავის მოქმედებისას, ამას მასწავლის ჩემი წმიდა სარწმუნოება; მაგრამ თუ გამოვრიცხავთ საეკლესიო მოძღვრებას, რომელიც მზეებრ ნათელია და ჭეშმარიტი, ჩვენ გამოვრიცხავთ თითქმის ყველაფერს, რაზე დაყრდნობითაც შეგვიძლია ადამიანის თავისუფლება ვიწამოთ; და მე შეძრწუნებით ვიხსენებ ხშირად სასამართლოს მრავალ განაჩენს, სავსებით თვითნებურად რომ სჯიან ხოლმე კაცთა ქმედებებს, რომელთა აზრი, საბაბი და მიზეზი თანაბრად აუხსნელნი რჩებიან ჩვენთვის; რადგან მათში ნაკლებად მონაწილეობს თავისუფალი ნება, რომელსაც სულაც ქვეცნობიერება ენაცვლება ზოგჯერ. მაგრამ თუ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ქმედებებისთვის ჩვენვე

უნდა ვაგოთ პასუხი, რაკი ჩვენი წმიდა რელიგიის ეკონომია მხოლოდ ადამიანის თავისუფლებისა და ღვთიური მადლის თანხმობას ემყარება, განა უდიდესი უსამართლობა არაა ამ ფარული და დელიკატური თავისუფლებიდან ყველა იმ წამების, თავისუფლების აღკვეთისა და სიკვდილით დასჯის გამოყვანა, რომელთაც ასე ხშირად მიმართავენ ჩვენი კანონები?

- მე მწუხარებით ვრწმუნდები, ბატონო ჩემო, - თქვა ჩია იასაულმა, - რომ თქვენ ავაზაკთა მხარე გიჭირავთ.

- ეჰ, ბატონო ჩემო, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - ისინი ტანჯული კაცობრიობის შვილნი არიან და ჩვენსავით იესო ქრისტეს წმიდა სისხლით გამოსყიდულნი, რომელიც ჯვარს ეცვა ორ ავაზაკთან ერთად. მე თუ მკითხავთ, ჩვენს კანონებში ბევრი შემზარავი სისასტიკეა, რაც ოდესმე უთუოდ გაცხადდება ყველასთვის და აღშფოთებით აღავსებს ჩვენს შვილთაშვილებს.

- რას ამბობთ, ბატონო ჩემო? - გაიკვირვა ჩია იასაულმა და თან ღვინო მოსვა პატარა ჭიქიდან, - ყველა გოთური ბარბაროსობა დიდი ხანია განვდევნეთ ჩვენი კანონებიდან და ზნე-ჩვეულებებიდან, ხოლო მართლმსაჯულება დღეს ისე სამართლიანი და ჰუმანურია; სასჯელი ზუსტად შეესაბამება დანაშაულს და აჰა, მპარავნი სახრჩობელაზე აჰყავთ, მკვლელებს შაყის კვრით უგებენ წესს, მისი უდიდებულესობის შეურაცხმყოფელთ ოთხ ნაწილად გლეჯენ ცხენებით, უღმერთოებს, კუდიანებსა და მამათმავლებს კოცონზე წვავენ და ყალბი ფულის მჭრელთ ცოცხლად ხარშავენ ქვაბებში, რაც იმას ნიშნავს, რომ მართლმსაჯულება ყველაფერში ჭეშმარიტ ზომიერებას და შესაძლებელ სირბილეს იჩენს.

- ბატონო ჩემო, მსაჯულებს ყოველთვის მრავალმოწყალე, მლმობელ და სამართლიან არსებებად მოჰქონდათ თავი. თვით ბარბაროსულ ხანაშიც კი, ლუი წმიდისა თუ კარლოს დიდის მეფობის დროსაც, ისინი დიდად ამაყოფნენ თავიანთი ლმობიერებით, რომელიც სისასტიკედ გვეჩვენება დღეს, და მე შემიძლია ვიწინასწარმეტყველო, რომ ჩვენი შთამომავალნი განცვიფრებულნი დარჩებიან ჩვენი სისასტიკით და საჭიროდ სცნობენ ჩვენ მიერ დაწესებული წვალებისა და წამების მრავალი სახის გაუქმებას.

- როგორ გეტყობათ, რომ მოსამართლე არ ბრძანდებით, ბატონო ჩემო. წამება იმისთვისაა აუცილებელი რომ აღიარება გამოსძალო ბრალდებულს; მე შენ გეტყვი, ფერებით დასტყუებ მას?! ხოლო რაც შეეხება სიკვდილით დასჯას, მას ახლაც იმ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ მხოლოდ, როცა აუცილებელი ხდება მოქალაქეთა სიცოცხლისა და საკუთრების დაცვა ხელყოფისაგან.

- მაშასადამე, თქვენ თვითონ აღიარებთ, ბატონო ჩემო, რომ მართლმსაჯულების საგანი სიმართლე კი არაა, არამედ სარგებელი, და რომ მას მხოლოდ ხალხთა ინტერესები და ცრურწმენანი წარმართავენ. არა არის რა უფრო

მართალი, და როცა დანაშაულს სჯიან, მხედველობაში აქვთ არა ბოროტი, რომელიც არის მასში, არამედ ზიანი, რასაც ის აყენებს, ან, შესაძლოა, მხოლოდ ივარაუდება, რომ აყენებს საზოგადოებას. ამიტომაც, რომ ყალბი ფულის მჭრელთ ცოცხლად ხარშავენ, თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა ისეთი ბოროტებაა მონეტების ჭრა? მაგრამ ბანკირებს, და არა მართო ბანკირებს, ფრიად საგრძნობ ზარალს აყენებს ეს თითქოსდა უწყინარი საქმიანობა, და სწორედ ამ ზარალისთვის უსწორდებიან ისინი ასე უწყალოდ მის მიზეზთ. ქურდებს სახრჩობელაზე ჰკიდებენ, მაგრამ არა ბიწიერებისთვის, რომელიც პურისა თუ უბადრუკი ხარახურის საპარავად აქეზებს მათ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანები თვალისჩინივით უფროთხილდებიან თავიანთ ავლადიდებას. ამიტომ მართებული იქნებოდა კაცთა მართლმსაჯულებისთვის კვლავ თავისი ჭეშმარიტი პრინციპი დაგვედო საფუძვლად, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა მოქალაქეთა ანგარება, და ამ მაღალფარდოვანი ფილოსოფიის მოსასხამი შემოგვეფხრიწა მისთვის, რომელშიც ასე პირმოთნედ და პომპეზურად ეხვევა ხოლმე.

- არ მესმის თქვენი, ბატონო აბატო, - შეესიტყვა ჩია იასაული; - ჩემი აზრით, მართლმსაჯულება მით უფრო სამართლიანია, რაც უფრო მეტ სარგებლობას იძლევა, და აი, სწორედ ეს სარგებლიანობა, რისთვისაც აგრე გეზიზღებათ იგი, სიმტკიცითა და სიწმიდით უნდა მოსავდეს თქვენს თვალში მას.

- თქვენ მართლაც არ გესმით ჩემი, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა.

- ბატონო ჩემო, - თქვა ჩია იასაულმა, - მე ვხედავ, რომ თქვენ არა სვამთ. თქვენი ღვინო საუცხოო უნდა იყოს, ფერზე ეტყობა. გამასინჯეთ, თუ შეიძლება.

და მართლაც, პირველად თავის სიცოცხლეში, ჩემმა კეთილმა მოძღვარმა დაუცლელი დატოვა ბოთლი, რომელიც ჩია იასაულის ჭიქაში ჩაცალა.

- თქვენი გამარჯვებისა იყოს, ბატონო აბატო, - თქვა მან, - თქვენი ღვინო მართლაც დიდებულია, მაგრამ აი, მსჯელობა კი არ გივარგათ. მართლმსაჯულება, ვიმეორებ, მით უფრო სამართლიანია, რაც უფრო მეტ სარგებლობას იძლევა და სწორედ ეს სარგებლიანობა, რომელიც, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი საფუძველია და მისი საწყისი, სიმტკიცითა და სიწმიდით უნდა მოსავდეს თქვენს თვალში მას. მაგრამ ისიც უნდა აღიაროთ, რომ მართლმსაჯულების არსი სიმართლეა, როგორც თვით სიტყვა გვიჩვენებს.

- ბატონო ჩემო, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - იმის მტკიცება, რომ მშვენიერება მშვენიერია, ჭეშმარიტება - ჭეშმარიტი და სამართლიანობა - მართალი, წყლის ნაყვანა მხოლოდ და მხოლოდ, სხვა არაფერი. თქვენი ულპიანუსი[94], ვისაც შეეძლო ზუსტად ეთქვა, რისი თქმაც სურდა, ამბობდა, რომ სამართლიანობა ესაა მტკიცე და მუდმივმოქმედი ნება, რომელიც თავის კუთვნილს მიაგებს თითოეულს, და რომ კანონები სამართლიანნი არიან მაშინ, როცა ამტკიცებენ ამ მაღალ ნებას.

უბედურება ისაა, რომ ადამიანებს არაფერი არ გააჩნიათ და კანონთა სამართლიანობა მათივე საკუთარი ან მემკვიდრეობით მიღებული ნაძარცვისა და ნაალაფარის სხვათა მიერ ხელყოფისგან დაცვით შემოიფარგლება. ეგ კანონები იმ წესებს ჰგვანან, რომელთაც კოჭობანას თამაშში მისდევენ ყრმანი: როცა წაგებულნი თავიანთ კოჭებს უკან მოითხოვენ ხოლმე, „ეგ რა წესიაო“, ყვირიან მოგებულნი. მსაჯულთა გამჭრიახობა მხოლოდ იმითი იზომება, ვინ როგორ არჩევს და ასხვავებს წაგლეჯის ერთ ფორმას, რომელიც თამაშის წესებში არ შედიოდა, მეორისაგან, რომელზეც თამაშის დაწყებამდე შეთანხმდნენ მისი მონაწილენი, და ეს განსხვავება, ერთდროულად, ისე ძნელია და ისე ადვილი; ის ყოველთვის თვითნებურია. ქალიშვილმა, რომელიც ახლა უკვე სახრჩობელაზე ჰკიდია, როგორც თქვენ ბრძანეთ, მაქმანიანი მანდილი მოჰპარა თავის ქალბატონს. მაგრამ როგორ დამიმტკიცებთ, რომ ეს მანდილი მართლაც მაძამ ჟოსის ეკუთვნოდა! თქვენ მეტყვით, რომ მან ის თავისი ფულით იყიდა, ან მზითევეში ერგო, ან, შესაძლოა, საყვარლისგან მიიღო საჩუქრად, ერთი სიტყვით, ჩამომითვლით ყველა პატიოსან გზას, რომლითაც მაქმანიანი მანდილს იძენენ. მაგრამ რა გზითაც არ უნდა შეეძინა, მე მაინც ერთს ვიტყვი მხოლოდ: ეს იყო მისთვის ერთგვარი ნიჭი ბედისა, რომელიც კაცს ისევე ეძლევა, როგორც ერთმევა, - ხოლო ეძლევა და ერთმევა შემთხვევის ძალით, - და რომლის ფლობის უფლება, ბუნებით, არც ერთ ჩვენგანს არ გააჩნია. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მე მაინც მზად ვარ ვაღიარო, რომ ეს მანდილი მას ეკუთვნოდა, თანახმად საკუთრობანას თამაშის წესებისა, რომლებსაც ჩვენი საზოგადოება მისდევს და რომლებიც ყრმათა საყვარელი კოჭობანას თამაშის წესებს ჰგვანან სავსებით. მას უყვარდა ეს მანდილი და, ბოლოს და ბოლოს, არავიზე ნაკლები უფლება არა ჰქონდა მისი ფლობისა. კეთილი და პატიოსანი. მართლმსაჯულება მოვალე იყო მისთვის დაებრუნებინა იგი, მაგრამ არა ასეთი ძვირი საზღაურის ფასად. სად ორი ადლი ჭყეტელა აბრეშუმის და სად ადამიანის სიცოცხლე?

- ბატონო ჩემო, - მიუგო ჩია იასაულმა, - თქვენ მართლმსაჯულების ერთ მხარეს იხილავთ მხოლოდ; მაგრამ მას მედალივით ორი მხარე აქვს. არ კმაროდა თავისი მიგვეგო მარტო მაძამ ჟოსისათვის, ე.ი. მანდილი დაგვებრუნებინა მისთვის. საჭირო იყო თავისი მიგვეგო მოახლისთვისაც, საჭირო იყო სახრჩობელაზე ჩამოგვეკიდა იგი; რადგან მართლმსაჯულება იმის მართლმსაჯულებაა, რომ არავის არ რჩება ვალში. ამაშია მისი სიწმინდე და სიდიადე.

- თუ ასეა, - თქვა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა - მართლმსაჯულება კიედვ უფრო ბილწი ყოფილა, ვიდრე მეგონა. თქვენი მტკიცება, დამნაშავე უნდა დაისაჯოს, რათა თავისი მიეგოსო, თვით ველურსაც კი შეადრწუნებს. ეს გოთური ბარბაროსობაა.

- ბატონო ჩემო, - თქვა ჩია იასაულმა, - თქვენ ცუდად იცნობთ მართლმსაჯულებას. როცა ის სჯის, რისხვით როდი სჯის და, თუ სიმართლე გნებავთ, არც ამ ბედშავ არსებას მტრობს, რომელსაც ჩამოხრჩობა მიუსაჯა სამართლიანად.

- ბრავო, ბრავო! - წამოიძახა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა; - მაგრამ, ღმერთო შეგცოდე და, მე ვარჩევდი მსაჯულებს ელიარებინათ, რომ ისინი აუცილებლობის კარნახით სჯიან დამნაშავეებს, რათა ეს გაკვეთილად გამოადგეს სხვებს. მაშინ ისინი აუცილებლობით შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ. მაგრამ, როცა ისინი სჯიან და თან ჰგონიათ, რომ ამით კუთვნილს მიაგებენ დამნაშავეს, ჩვენ ვრწმუნდებით, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ისინი მათმა ცრუ მრწამსმა; აქ თვით მათი პატიოსნებაც კი უღმობლად იქცევა, რადგან, როგორ შეიძლება დააკლო კაცს მისი კუთვნილი? ეს მაქსიმა მე მაძრწუნებს, ბატონო ჩემო. მისი ავტორი ერთი გაქნილი ფილოსოფოსია, სახელად მენარდი[95], რომელიც არაჩვეულებრივი სისასტიკით ამტკიცებს, რომ, ვინც არ სჯის ბოროტმოქმედს, დათვურ სამსახურს უწევს მას და ურცხვად ართმევს დანაშაულის გამოსყიდვის ბუნებით ბოძებულ უფლებას. იგივე მენარდი ამბობს, რომ ათენელი მსაჯულნი, რომელთაც საწამლავი შეასვეს სოკრატეს, მართებულად მოიქცნენ, რადგან მხოლოდ ამ დიდი ბრძენკაცის სულის განწმენდისთვის ზრუნავდნენო. მაგრამ ეს რიოში როშვია და სხვა არაფერი. მე ვისურვებდი, რომ ჩვენი მართლმსაჯულებისთვის უცხო იყოს ეგზოთი მზვაობა. სასჯელის, როგორც მართებული სანაცვლოს, უფრო ფართოდ გავრცელებული ცნება, რაგინდ ბილწი და მდაბალიც არ უნდა იყოს იგი, თუ შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, მაინც ნაკლებ შემზარავია, ვიდრე მტარვალ ფილოსოფოსთა მძვინვარე სათნოება. ოდესღაც ერთ ბურჟუას ვიცნობდი სეეზში, გულკეთლ და მხიარულ კაცს. ეს კაი კაცი ყოველ საღამოს მუხლებზე ისვამდა თავის პატარებს და ზღაპრებს უამბობდა მათ. მართლაც სამაგალითო კაცი იყო: მარხვას ინახავდა, აღსარების სათქმელად დაიარებოდა მოძღვართან და დიდად ამაყობდა თავისი ვაჭრული პატიოსნებით, - დამავიწყდა მეთქვა, რომ სამოცი წელი მაინც, მეტი თუ არა, პურით ვაჭრობდა; - და აი, ერთხელ, მოსამსახურე გოგომ დუბლონები, დუკატები, რეალები და ოქროს სხვა ძვირფასი მონეტები მოჰპარა, რომელთა იშვიათ კოლექციას პატარა ზარდახშაში ინახავდა, თავისი მაგიდის უჯრაში. დანაკარგი შენიშნა თუ არა, დაუყოვნებლივ საჩივარი შეიტანა სასამართლოში, რის შედეგადაც საბრალო გოგო დაიჭირეს, დაკითხეს, გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს. მაშინ ამ კაი კაცმა, რომელიც კარგად იცნობდა კანონებს, ქურდის ტყავი გამოითხოვა და მისგან შარვალი შეაკერინა მკერავს. მახსოვს, როგორ იტყაპუნებდა ხელს ბარძაყებზე და აღშფოთებით ამბობდა: „უნამუსო, ა, უნამუსო!“ მოახლემ „გაატყავა“, მან კი ტყავი გააძრო სანაცვლოდ. მაგრამ, ყველაფერს რომ თავი ვანებოთ, არ ფილოსოფოსობდა მაინც და, უბრალოდ, მდაბიორული გულდრძობით უხდიდა სანაცვლოს საბრალო ქალიშვილს.

მას ერთხელაც არ მოსვლია აზრად, რომ წმიდათაწმიდა მოვალეობას ასრულებდა, როცა ადამიანის ტყავისგან შეკერილ შარვალზე ირტყამდა ხელს. რამდენად უმჯობესი იქნებოდა გველიარებინა, რომ მპარავთა ჩამოხრჩობა სიფრთხილითაა ნაკარნახევი, რაც მიზნად სხვათა დაშინებას ისახავს მხოლოდ და არა თითოეულისათვის კუთვნილის მიგებას, როგორც თქვენი უღპიანუსი ბრძანებს. ამიტომ, მტკიცება იმისა, რომ ჩვენ გვმართებს დასჯის გზით დანაშაული

გამოვასყიდვინოთ ბოროტმოქმედს, ჩემის აზრით, მძვინვარე მისტიციზმია, აშკარა ძალადობასა და ძალმომრეობაზედაც უარესი. ხოლო რაც შეეხება მპარავთა სიკვდილით დასჯის უფლებას, ის ფილოსოფიას კი არა, უხეშ ძალას ემყარება მხოლოდ და მხოლოდ, რადგან ფილოსოფია, პირიქით, გვასწავლის, რომ ყველაფერი, რასაც ჩვენ ვფლობთ, ძალადობითა და ცბიერებით გვაქვს მოხვეჭილი. აკი თქვენ იმასაც ხედავთ, რომ, როდესაც ძლევამოსილი მოძალადე გვყვლევს, მსაჯულნი ხელს აფარებენ მას. ამრიგად, მეფეს ნება ეძლევა ვერცხლის ჭურჭელი წაგვართვას, რათა ომების წარმოება შეძლოს, როგორც ეს ჩანს ლუი დიდის მაგალითზე, ვის დროსაც რეკვიზიცია ისეთი გულმოდგინებით ხორციელდებოდა, რომ თვით სარეცლის ჩარდახებსაც კი აცლიდნენ ფოჩებს, რათა აბრეშუმში ჩაწნული ოქრო დაეძროთ მათგან. ამ მონარქმა არც კერძო პირთა და მონასტერთა საფასენი დაინდო. მახსოვს, ასე, დაახლოებით ოცი წლის წინათ, როცა პიკარდიაში, ლიესის ღვთისმშობლის ტაძარში დავდიოდი სალოცავად, ერთი ნახევრად მიხრწნილი მნათე შემომჩიოდა, განსვენებულმა ხელმწიფემ მთელი ძვირფასეულობა წაგვართვა, გადაადნობინა, და ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ოქროს ძუძუც კი არ შეგვარჩინა, რომელიც პალატინელმა პრინცესამ ერთი ამბით შემოგვწირა ოდესღაც, მას შემდეგ, რაც სასწაულებრივად განიკურნა კიბოსგანო. მართლმსაჯულება მხარში ედგა მეფეს ამ რეკვიზიციის დროს და მკაცრად სჯიდა ყველას, ვინც ეცდებოდა თუნდაც სულ უბრალო ნივთი დაემაღა მეფის მოხელეთათვის. მაშასადამე, ის არც ისე ხელშეუვალ საკუთრებად თვლიდა ამ ნივთებს, რომ შეუძლებლად მიეჩნია მათი ხელყოფა.

- ბატონო ჩემო, - გააწყვეტინა ჩია იასაულმა, - ეგ მოხელენი მეფის სახელით მოქმედებდნენ, რომელსაც ეკუთვნის სახელმწიფოს მთელი სიმდიდრე და თავისი ნებისამებრ იყენებს მას ომების, გემთმშენებლობისა თუ სულ სხვა საჭიროებისათვის.

- სწორია, - თქვა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - სწორია ისიც, რომ ყველაფერი თამაშის წესებითაა გათვალისწინებული. მოსამართლენი ბატობანას თამაშის წესებს მისდევენ და გულდასმით აკვირდებიან, რაა გამოსახული ნახატზე. შვეიცარიელი თუ ყველა სხვა ჯურის ჯარისკაცთა ხიშტებით დაცული მეფის უფლებანი მასზე უკლებლივ არიან აღბეჭდილნი. ამ საცოდავ ქალიშვილს კი არ ჰყავდა შვეიცარიელ მცველთა რაზმი, რომელიც ხიშტებით აღბეჭდავდა ნახატზე, რომ მას სრული უფლება ჰქონდა ეტარებინა მაღამ ჟოსის მაქმანიანი მანდილი. როგორც ხედავთ, ყველაფერი ზედმიწევნით ემთხვევა ერთმანეთს.

- ბატონო ჩემო, - თქვა ჩია იასაულმა, - ვიმედოვნებ, ერთმანეთში არ აურევთ ლუი დიდს, რომელიც ჭურჭელს ართმევდა თავის ქვეშევრდომთ, რათა ჯამაგირი მიეცა ჯარისკაცთათვის, და ამ ბილწ ქმნილებას, რომელმაც მანდილი მოჰპარა ქალბატონს, რათა რამპონოსთან თავი მოეწონებინა მიჯნურისათვის.

- ბატონო ჩემო, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - ლაშქრის შეყრა ცოტა მეტ სიბილწესთანაა დაკავშირებული, ვიდრე თავის მორთვა-მოკაზმვა მაქმანიანი

მანდილით. მაგრამ მართლმსაჯულება მოწოდებულია თავისი კუთვნილი მიაგოს თითოეულს, თანახმად კაცთა საზოგადოებაში გავრცელებული თამაშის წესებისა, რომელიც ყველაზე უსწორო, ყველაზე უაზრო და ყველაზე უინტერესოა თამაშთა შორის. და უბედურება ისაა, რომ ყველა მოქალაქე იძულებულია მონაწილეობა მიიღოს მასში.

- ჰო, ეგ აუცილებელია, - შენიშნა ჩია იასაულმა.

- ამიტომ, - თქვა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - კანონები სასარგებლოა, მაგრამ სრულიადაც არ არის, და არც შეიძლება იყოს, სამართლიანი, რადგან მსაჯული, საკუთარი სიკეთით სარგებლობის უფლებას რომ უზრუნველყოფს მოქალაქეთათვის, ერთმანეთისაგან არ ასხვავებს ჭეშმარიტსა და ყალბ სიკეთეს. ეს განსხვავება თამაშის წესებში არ შედის; ის ღვთაებრივი მართლმსაჯულების წიგნშია ჩაწერილი, მაგრამ ვაი რომ მოკვდავს არ ძალუძს ამ წიგნის კითხვა. გაგიგონიათ თქმულება ანგლოზსა და განდეგილზე? ანგლოზი მიწაზე დაეშვა კაცის სახითა და მსხემის სამოსით. ერთხელ, ეგვიპტეში მოგზაურობისას, უდაბნოში შემოაღამდა და ერთ განდეგილს მიადგა კარზე. მეუდაბნოეს მოგზაური ეგონა; ვახშამი აჭამა და ღვინო ასვა ოქროს ფიალით. მერე თავისი საწოლი დაუთმო სტუმარს, თვითონ კი ჩალა გაიშალა სოხანეზე და ზედ წამოწვა. მეუდაბნოეს ისევ ეძინა, როცა მისი ციური სტუმარი წამოდგა, აიღო ფიალა, რომლითაც ღვინო სვა წინა საღამოს, მოსასხამში დამალა და გაუჩინარდა. მაგრამ ასე იმიტომ კი არ მოიქცა, რომ ბოროტი ეყო კეთილი განდეგილისთვის, არამედ, პირიქით, თავისი სტუმართმოყვარე მასპინძლის სულის ხსნის მიზნით, რადგან იცოდა, რომ ამ ფიალას შეეძლო წაეწყმიდა ეს წმიდა კაცი, რომელსაც ასე უყვარდა იგი; მაშინ, როდესაც უფალს ნებავს ის უყვარდეთ მხოლოდ და მხოლოდ და ვერ ითმენს მსახურს, რომელიც წარუვალთან ერთად სიყვარულით ემსჭვალვის მსწრაფლწარმავალსაც. ეს ანგლოზი, ღვთაებრივ სიბრძნეს ზიარებული, ყალბ სიკეთეს ასხვავებდა ჭეშმარიტისგან. მსაჯულები არ ასხვავებენ. ვინ იცის, წარიწყმედს თუ არა მადამ ჟოსი სულს ამ მანდილით, რომელიც მოახლემ მოჰპარა და მსაჯულებმა დაუბრუნეს მას.

- მაგრამ მე ვიცი, რომ დედამიწაზე ერთით შემცირდა მპარავთა რიცხვი, - ხელების სრესით თქვა ჩია იასაულმა.

მერე ნამცეცები ჩამოიფერთხა კალთიდან, გამოგვემშვიდობა და კმაყოფილი სახით გაგვშორდა.

XX. მართლმსაჯულება

(გაგრძელება) - ეჰ! - ამოიოხრა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - ლუკმა ყელში აღარ გადამდის, ისე შემძრა მაგ შემზარავმა სცენამ, რომელიც თქვენ, ბატონო ჩემო, აგრე გულგრილად გადმოგვეცით, და ბატონი მრჩევლის მეუღლის, მაღამ ჟოსის სვედავსილი მოახლის ხილვამ, ჩამოსახრჩობად რომ მიჰყავდათ, თუმცა შეიძლებოდა უფრო მართლად განესაჯათ იგი.

- კი მაგრამ, - შეესიტყვა იასაული, - მე ხომ გითხარით, ამ გომბიომ თავისი ქალბატონი გაქურდა-მეთქი. თუ, თქვენი აზრით, ქურდებს სახრჩობელაზე არ უნდა ჰკიდებდნენ, ბატონო აბატო?

- რა თქმა უნდა, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - ჩვენში ასეა მიღებული, და, რაკი ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია, ამიტომ, ვიდრე ცხოვრება თავისი გზით მიდის, ყველაფერი ჩვეულებრივად გვეჩვენება. მაგალითისთვის ფილოსოფოსი სენეკა ავიღოთ, რომელიც უწყინარი კაცი იყო ბუნებით, და ეს უწყინარი კაცი უდრტვინველად თხზავდა თავის საუცხოო ტრაქტატებს მაშინ, როცა რომში, მის გვერდით, ჯვარს აცვამდნენ თითქმის სრულიად უდანაშაულო მონებს. ასე, მონა მითრიდატე მხოლოდ იმიტომ აცვეს ჯვარს, რომ, თავისი პატრონის, ბილწი ტრიმალქიონის ღვთაებრივი არსება შეურაცხყო[93]. რას იზამ, ასეა მოწყობილი ჩვენი გონება: არაფერი ჩვეულებრივი არ ამღვრევს და არ არყევს მას. ჩვეულება გვიცვეთს და გვიჩლუნგებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, აღშფოთებისა და განცვიფრების უნარს. მე ვიღვიძებ ყოველ დილით და, მართალი გითხრათ, ნაკლებად ვფიქრობ იმ უბედურებზე, რომლებსაც დღის განმავლობაში ჩამოახრჩობენ. ან შაყის კვრით აუგებენ წესს. მაგრამ, როდესაც სიკვდილით დასჯის იდეა უშუალოდ საგრძნობი და საცნაური ხდება ჩემთვის, სული მემღვრევა და რა გასაკვირია, თუ სასიკვდილოდ განწირული ამ მშვენიერი ქალიშვილის ხილვამ ისე შემიკრა საყლაპავი, რომ ეს ერთი ციციქნა თევზიც აღარ გადამდის ყელში.

- რის მშვენიერი ქალიშვილი, რა მშვენიერი ქალიშვილი? - თქვა იასაულმა. - პარიზის ქუჩებში მარტო ერთი ღამის განმავლობაში დუქინობით აკეთებენ მისთანებს. ახია მასზე; რატომ გაქურდა თავისი ქალბატონი, მაღამ ჟოსი?

- არ ვიცი, ბატონო ჩემო, - მძიმედ მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - ეგ არც თქვენ იცით და არც მისმა მსაჯულებმა იციან, მერწმუნეთ, ნამდვილად არ იციან იმაზე მეტი, ვიდრე ჩვენ ვიცით, რადგანაც ჩვენი ქცევის მიზეზნი გონებაშიუწვდომელნი არიან და ძალები, რომლებიც მოქმედებისთვის აღგვძრავენ ხოლმე - ღრმად დაფარულნი. ჩემი აზრით, კაცი თავისუფალია ყველა თავის მოქმედებისას, ამას მასწავლის ჩემი წმიდა სარწმუნოება; მაგრამ თუ გამოვრიცხავთ საეკლესიო მოძღვრებას, რომელიც მზეებრ ნათელია და ჭეშმარიტი, ჩვენ გამოვრიცხავთ თითქმის ყველაფერს, რაზე დაყრდნობითაც შეგვიძლია ადამიანის

თავისუფლება ვიწამოთ; და მე შეპრწუნებით ვიხსენებ ხშირად სასამართლოს მრავალ განაჩენს, სავსებით თვითნებურად რომ სჯიან ხოლმე კაცთა ქმედებებს, რომელთა აზრი, საბაზი და მიზეზი თანაბრად აუხსნელნი რჩებიან ჩვენთვის; რადგან მათში ნაკლებად მონაწილეობს თავისუფალი ნება, რომელსაც სულაც ქვეცნობიერება ენაცვლება ზოგჯერ. მაგრამ თუ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ქმედებებისთვის ჩვენვე უნდა ვაგოთ პასუხი, რაკი ჩვენი წმიდა რელიგიის ეკონომია მხოლოდ ადამიანის თავისუფლებისა და ღვთიური მადლის თანხმობას ემყარება, განა უდიდესი უსამართლობა არაა ამ ფარული და დელიკატური თავისუფლებიდან ყველა იმ წამების, თავისუფლების აღკვეთისა და სიკვდილით დასჯის გამოყვანა, რომელთაც ასე ხშირად მიმართავენ ჩვენი კანონები?

- მე მწუხარებით ვრწმუნდები, ბატონო ჩემო, - თქვა ჩია იასაულმა, - რომ თქვენ ავაზაკთა მხარე გიჭირავთ.

- ეჰ, ბატონო ჩემო, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - ისინი ტანჯული კაცობრიობის შვილნი არიან და ჩვენსავით იესო ქრისტეს წმიდა სისხლით გამოსყიდულნი, რომელიც ჯვარს ეცვა ორ ავაზაკთან ერთად. მე თუ მკითხავთ, ჩვენს კანონებში ბევრი შემზარავი სისასტიკეა, რაც ოდესმე უთუოდ გაცხადდება ყველასთვის და აღშფოთებით აღავსებს ჩვენს შვილთაშვილებს.

- რას ამბობთ, ბატონო ჩემო? - გაიკვირვა ჩია იასაულმა და თან ღვინო მოსვა პატარა ჭიქიდან, - ყველა გოთური ბარბაროსობა დიდი ხანია განვდევნეთ ჩვენი კანონებიდან და ზნე-ჩვეულებებიდან, ხოლო მართლმსაჯულება დღეს ისე სამართლიანი და ჰუმანურია; სასჯელი ზუსტად შეესაბამება დანაშაულს და აჰა, მპარავნი სახრჩობელაზე აჰყავთ, მკვლელებს შაყის კვრით უგებენ წესს, მისი უდიდებულესობის შეურაცხმყოფელთ ოთხ ნაწილად გლეჯენ ცხენებით, უღმერთოებს, კუდიანებსა და მამათმავლებს კოცონზე წვავენ და ყალბი ფულის მჭრელთ ცოცხლად ხარშავენ ქვაბებში, რაც იმას ნიშნავს, რომ მართლმსაჯულება ყველაფერში ქვემარტ ზომიერებას და შესაძლებელ სირბილეს იჩენს.

- ბატონო ჩემო, მსაჯულებს ყოველთვის მრავალმოწყალე, მღმობელ და სამართლიან არსებებად მოჰქონდათ თავი. თვით ბარბაროსულ ხანაშიც კი, ლუი წმიდისა თუ კარლოს დიდის მეფობის დროსაც, ისინი დიდად ამაყობდნენ თავიანთი ღმობიერებით, რომელიც სისასტიკედ გვეჩვენება დღეს, და მე შემიძლია ვიწინასწარმეტყველო, რომ ჩვენი შთამომავალნი განცვიფრებულნი დარჩებიან ჩვენი სისასტიკით და საჭიროდ სცნობენ ჩვენ მიერ დაწესებული წვალებისა და წამების მრავალი სახის გაუქმებას.

- როგორ გეტყობათ, რომ მოსამართლე არ ბრძანდებით, ბატონო ჩემო. წამება იმისთვისაა აუცილებელი რომ აღიარება გამოსძალო ბრალდებულს; მე შენ გეტყვი, ფერებით დასტყუებ მას?! ხოლო რაც შეეხება სიკვდილით დასჯას, მას ახლაც იმ

უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ მხოლოდ, როცა აუცილებელი ხდება მოქალაქეთა სიცოცხლისა და საკუთრების დაცვა ხელყოფისაგან.

- მაშასადამე, თქვენ თვითონ აღიარებთ, ბატონო ჩემო, რომ მართლმსაჯულების საგანი სიმართლე კი არაა, არამედ სარგებელი, და რომ მას მხოლოდ ხალხთა ინტერესები და ცრურწმენანი წარმართავენ. არა არის რა უფრო მართალი, და როცა დანაშაულს სჯიან, მხედველობაში აქვთ არა ბოროტი, რომელიც არის მასში, არამედ ზიანი, რასაც ის აყენებს, ან, შესაძლოა, მხოლოდ ივარაუდება, რომ აყენებს საზოგადოებას. ამიტომაც, რომ ყალბი ფულის მჭრელთ ცოცხლად ხარშავენ, თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა ისეთი ბოროტებაა მონეტების ჭრა? მაგრამ ბანკირებს, და არა მარტო ბანკირებს, ფრიად საგრძნობ ზარალს აყენებს ეს თითქოსდა უწყინარი საქმიანობა, და სწორედ ამ ზარალისთვის უსწორდებიან ისინი ასე უწყალოდ მის მიზეზთ. ქურდებს სახრჩობელაზე ჰკიდებენ, მაგრამ არა ბიწიერებისთვის, რომელიც პურისა თუ უბადრუკი ხარახურის საპარავად აქეზებს მათ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანები თვალისჩინივით უფრო ხილდებიან თავიანთ ავლადიდებას. ამიტომ მართებული იქნებოდა კაცთა მართლმსაჯულებისთვის კვლავ თავისი ჭეშმარიტი პრინციპი დაგვედო საფუძვლად, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა მოქალაქეთა ანგარება, და ამ მაღალფარდოვანი ფილოსოფიის მოსახსნამი შემოგვეფხრიწა მისთვის, რომელშიც ასე პირმოთნედ და პომპეზურად ეხვევა ხოლმე.

- არ მესმის თქვენი, ბატონო აბატო, - შეესიტყვა ჩია იასაული; - ჩემი აზრით, მართლმსაჯულება მით უფრო სამართლიანია, რაც უფრო მეტ სარგებლობას იძლევა, და აი, სწორედ ეს სარგებლიანობა, რისთვისაც აგრე გეზიზღებათ იგი, სიმტკიცითა და სიწმიდით უნდა მოსავდეს თქვენს თვალში მას.

- თქვენ მართლაც არ გესმით ჩემი, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა.

- ბატონო ჩემო, - თქვა ჩია იასაულმა, - მე ვხედავ, რომ თქვენ არა სვამთ. თქვენი ღვინო საუცხოო უნდა იყოს, ფერზე ეტყობა. გამასინჯეთ, თუ შეიძლება.

და მართლაც, პირველად თავის სიცოცხლეში, ჩემმა კეთილმა მოძღვარმა დაუცლელი დატოვა ბოთლი, რომელიც ჩია იასაულის ჭიქაში ჩაცალა.

- თქვენი გამარჯვებისა იყოს, ბატონო აბატო, - თქვა მან, - თქვენი ღვინო მართლაც დიდებულია, მაგრამ აი, მსჯელობა კი არ გივარგათ. მართლმსაჯულება, ვიმეორებ, მით უფრო სამართლიანია, რაც უფრო მეტ სარგებლობას იძლევა და სწორედ ეს სარგებლიანობა, რომელიც, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი საფუძველია და მისი საწყისი, სიმტკიცითა და სიწმინდით უნდა მოსავდეს თქვენს თვალში მას. მაგრამ ისიც უნდა აღიაროთ, რომ მართლმსაჯულების არსი სიმართლეა, როგორც თვით სიტყვა გვიჩვენებს.

- ბატონო ჩემო, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - იმის მტკიცება, რომ მშვენიერება მშვენიერია, ჭეშმარიტება - ჭეშმარიტი და სამართლიანობა - მართალი, წყლის ნაყვია მხოლოდ და მხოლოდ, სხვა არაფერი. თქვენი ულპიანუსი[94], ვისაც შეეძლო ზუსტად ეთქვა, რისი თქმაც სურდა, ამბობდა, რომ სამართლიანობა ესაა მტკიცე და მუდმივმოქმედი ნება, რომელიც თავის კუთვნილს მიაგებს თითოეულს, და რომ კანონები სამართლიანნი არიან მაშინ, როცა ამტკიცებენ ამ მაღალ ნებას. უბედურება ისაა, რომ ადამიანებს არაფერი არ გააჩნიათ და კანონთა სამართლიანობა მათივე საკუთარი ან მემკვიდრეობით მიღებული ნაძარცვისა და ნაალაფარის სხვათა მიერ ხელყოფისგან დაცვით შემოიფარგლება. ეგ კანონები იმ წესებს ჰგვანან, რომელთაც კოჭობანას თამაშში მისდევენ ყრმანი: როცა წაგებულნი თავიანთ კოჭებს უკან მოითხოვენ ხოლმე, „ეგ რა წესიაო“, ყვირიან მოგებულნი. მსაჯულთა გამჭრიახობა მხოლოდ იმითი იზომება, ვინ როგორ არჩევს და ასხვავებს წაგლეჯის ერთ ფორმას, რომელიც თამაშის წესებში არ შედიოდა, მეორისაგან, რომელზეც თამაშის დაწყებამდე შეთანხმდნენ მისი მონაწილენი, და ეს განსხვავება, ერთდროულად, ისე ძნელია და ისე ადვილი; ის ყოველთვის თვითნებურია. ქალიშვილმა, რომელიც ახლა უკვე სახრჩობელაზე ჰკიდია, როგორც თქვენ ბრძანეთ, მაქმანიანი მანდილი მოჰპარა თავის ქალბატონს. მაგრამ როგორ დამიმტკიცებთ, რომ ეს მანდილი მართლაც მაღამ ჟოსის ეკუთვნოდა! თქვენ მეტყვით, რომ მან ის თავისი ფულით იყიდა, ან მზითევში ერგო, ან, შესაძლოა, საყვარლისგან მიიღო საჩუქრად, ერთი სიტყვით, ჩამომითვლით ყველა პატიოსან გზას, რომლითაც მაქმანიანი მანდილს იძენენ. მაგრამ რა გზითაც არ უნდა შეეძინა, მე მაინც ერთს ვიტყვი მხოლოდ: ეს იყო მისთვის ერთგვარი ნიჭი ბედისა, რომელიც კაცს ისევე ეძლევა, როგორც ერთმევა, - ხოლო ეძლევა და ერთმევა შემთხვევის ძალით, - და რომლის ფლობის უფლება, ბუნებით, არც ერთ ჩვენგანს არ გააჩნია. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მე მაინც მზად ვარ ვაღიარო, რომ ეს მანდილი მას ეკუთვნოდა, თანახმად საკუთრობანას თამაშის წესებისა, რომლებსაც ჩვენი საზოგადოება მისდევს და რომლებიც ყრმათა საყვარელი კოჭობანას თამაშის წესებს ჰგვანან სავსებით. მას უყვარდა ეს მანდილი და, ბოლოს და ბოლოს, არავიზე ნაკლები უფლება არა ჰქონდა მისი ფლობისა. კეთილი და პატიოსანი. მართლმსაჯულება მოვალე იყო მისთვის დაებრუნებინა იგი, მაგრამ არა ასეთი ძვირი საზღაურის ფასად. სად ორი ადლი ჭყეტელა აბრეშუმი და სად ადამიანის სიცოცხლე?

- ბატონო ჩემო, - მიუგო ჩია იასაულმა, - თქვენ მართლმსაჯულების ერთ მხარეს იხილავთ მხოლოდ; მაგრამ მას მედალივით ორი მხარე აქვს. არ კმაროდა თავისი მიგვეგო მარტო მაღამ ჟოსისათვის, ე.ი. მანდილი დაგვებრუნებინა მისთვის. საჭირო იყო თავისი მიგვეგო მოახლისთვისაც, საჭირო იყო სახრჩობელაზე ჩამოგვეკიდა იგი; რადგან მართლმსაჯულება იმის მართლმსაჯულებაა, რომ არავის არ რჩება ვალში. ამაშია მისი სიწმინდე და სიდიადე.

- თუ ასეა, - თქვა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა - მართლმსაჯულება კიედვ უფრო ბილწი ყოფილა, ვიდრე მეგონა. თქვენი მტკიცება, დამნაშავე უნდა დაისაჯოს, რათა თავისი მიეგოსო, თვით ველურსაც კი შეადრწუნებს. ეს გოთური ბარბაროსობაა.

- ბატონო ჩემო, - თქვა ჩია იასაულმა, - თქვენ ცუდად იცნობთ მართლმსაჯულებას. როცა ის სჯის, რისხვით როდი სჯის და, თუ სიმართლე გნებავთ, არც ამ ბედშავ არსებას მტრობს, რომელსაც ჩამოხრჩობა მიუსაჯა სამართლიანად.

- ბრავო, ბრავო! - წამოიძახა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა; - მაგრამ, ღმერთო შეგცოდე და, მე ვარჩევდი მსაჯულებს ეღიარებინათ, რომ ისინი აუცილებლობის კარნახით სჯიან დამნაშავეებს, რათა ეს გაკვეთილად გამოადგეს სხვებს. მაშინ ისინი აუცილებლობით შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ. მაგრამ, როცა ისინი სჯიან და თან ჰგონიათ, რომ ამით კუთვნილს მიაგებენ დამნაშავეს, ჩვენ ვრწმუნდებით, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ისინი მათმა ცრუ მრწამსმა; აქ თვით მათი პატიოსნებაც კი უღმობლად იქცევა, რადგან, როგორ შეიძლება დააკლო კაცს მისი კუთვნილი? ეს მაქსიმა მე მაძრწუნებს, ბატონო ჩემო. მისი ავტორი ერთი გაქნილი ფილოსოფოსია, სახელად მენარდი[95], რომელიც არაჩვეულებრივი სისასტიკით ამტკიცებს, რომ, ვინც არ სჯის ბოროტმოქმედს, დათვურ სამსახურს უწევს მას და ურცხვად ართმევს დანაშაულის გამოსყიდვის ბუნებით ბოძებულ უფლებას. იგივე მენარდი ამბობს, რომ ათენელი მსაჯულნი, რომელთაც საწამლავი შეასვეს სოკრატეს, მართებულად მოიქცნენ, რადგან მხოლოდ ამ დიდი ბრძენკაცის სულის განწმენდისთვის ზრუნავდნენო. მაგრამ ეს რიოში როშვაა და სხვა არაფერი. მე ვისურვებდი, რომ ჩვენი მართლმსაჯულებისთვის უცხო იყოს ეგზომი მზვაობა. სასჯელის, როგორც მართებული სანაცვლოს, უფრო ფართოდ გავრცელებული ცნება, რაგინდ ბილწი და მდაბალიც არ უნდა იყოს იგი, თუ შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, მაინც ნაკლებ შემზარავია, ვიდრე მტარვალ ფილოსოფოსთა მძვინვარე სათნოება. ოდესღაც ერთ ბურჟუას ვიცნობდი სეეზში, გულკეთლ და მხიარულ კაცს. ეს კაი კაცი ყოველ სადამოს მუხლებზე ისვამდა თავის პატარებს და ზღაპრებს უამბობდა მათ. მართლაც სამაგალითო კაცი იყო: მარხვას ინახავდა, აღსარების სათქმელად დაიარებოდა მოძღვართან და დიდად ამყობდა თავისი ვაჭრული პატიოსნებით, - დამავიწყდა მეთქვა, რომ სამოცი წელი მაინც, მეტი თუ არა, პურით ვაჭრობდა; - და აი, ერთხელ, მოსამსახურე გოგომ დუბლონები, დუკატები, რეალები და ოქროს სხვა ძვირფასი მონეტები მოჰპარა, რომელთა იშვიათ კოლექციას პატარა ზარდახში ინახავდა, თავისი მაგიდის უჯრაში. დანაკარგი შენიშნა თუ არა, დაუყოვნებლივ საჩივარი შეიტანა სასამართლოში, რის შედეგადაც საბრალო გოგო დაიჭირეს, დაკითხეს, გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს. მაშინ ამ კაი კაცმა, რომელიც კარგად იცნობდა კანონებს, ქურდის ტყავი გამოითხოვა და მისგან შარვალი შეაკერინა მკერავს. მახსოვს, როგორ იტყაპუნებდა ხელს ბარძაყებზე და აღშფოთებით ამბობდა: „უნამუსო, ა, უნამუსო!“ მოახლემ „გაატყავა“, მან კი ტყავი გააძრო სანაცვლოდ.

მაგრამ, ყველაფერს რომ თავი ვანებოთ, არ ფილოსოფოსობდა მაინც და, უბრალოდ, მდაბიორული გულდრძობით უხდიდა სანაცვლოს საბრალო ქალიშვილს.

მას ერთხელაც არ მოსვლია აზრად, რომ წმიდათაწმიდა მოვალეობას ასრულებდა, როცა ადამიანის ტყავისგან შეკერილ შარვალზე ირტყამდა ხელს. რამდენად უმჯობესი იქნებოდა გველიარებინა, რომ მპარავთა ჩამოხრჩობა სიფრთხილითაა ნაკარნახევი, რაც მიზნად სხვათა დაშინებას ისახავს მხოლოდ და არა თითოეულისათვის კუთვნილის მიგებას, როგორც თქვენი ულპიანუსი ბრძანებს. ამიტომ, მტკიცება იმისა, რომ ჩვენ გვმართებს დასჯის გზით დანაშაული გამოვასყიდვინოთ ბოროტმოქმედს, ჩემის აზრით, მძვინვარე მისტიციზმია, აშკარა ძალადობასა და ძალმომრეობაზედაც უარესი. ხოლო რაც შეეხება მპარავთა სიკვდილით დასჯის უფლებას, ის ფილოსოფიას კი არა, უხემ ძალას ემყარება მხოლოდ და მხოლოდ, რადგან ფილოსოფია, პირიქით, გვასწავლის, რომ ყველაფერი, რასაც ჩვენ ვფლობთ, ძალადობითა და ცბიერებით გვაქვს მოხვეჭილი. აკი თქვენ იმასაც ხედავთ, რომ, როდესაც ძლევამოსილი მოძალადე გვყვლევს, მსაჯულნი ხელს აფარებენ მას. ამრიგად, მეფეს ნება ეძლევა ვერცხლის ჭურჭელი წაგვართვას, რათა ომების წარმოება შეძლოს, როგორც ეს ჩანს ლუი დიდის მაგალითზე, ვის დროსაც რეკვიზიცია ისეთი გულმოდგინებით ხორციელდებოდა, რომ თვით სარეცლის ჩარდახებსაც კი აცლიდნენ ფოჩებს, რათა აბრეშუმში ჩაწნული ოქრო დაეძროთ მათგან. ამ მონარქმა არც კერძო პირთა და მონასტერთა საფასენი დაინდო. მახსოვს, ასე, დაახლოებით ოცი წლის წინათ, როცა პიკარდიაში, ლიესის ღვთისმშობლის ტაძარში დავდიოდი სალოცავად, ერთი ნახევრად მიხრწნილი მნათე შემომჩიოდა, განსვენებულმა ხელმწიფემ მთელი ძვირფასეულობა წაგვართვა, გადაადნობინა, და ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ოქროს ძუძუც კი არ შეგვარჩინა, რომელიც პალატინელმა პრინცესამ ერთი ამბით შემოგვწირა ოდესღაც, მას შემდეგ, რაც სასწაულებრივად განიკურნა კიბოსგანო. მართლმსაჯულება მხარში ედგა მეფეს ამ რეკვიზიციის დროს და მკაცრად სჯიდა ყველას, ვინც ეცდებოდა თუნდაც სულ უბრალო ნივთი დაემალა მეფის მოხელეთათვის. მაშასადამე, ის არც ისე ხელშეუვალ საკუთრებად თვლიდა ამ ნივთებს, რომ შეუძლებლად მიეჩნია მათი ხელყოფა.

- ბატონო ჩემო, - გააწყვეტინა ჩია იასაულმა, - ეგ მოხელენი მეფის სახელით მოქმედებდნენ, რომელსაც ეკუთვნის სახელმწიფოს მთელი სიმდიდრე და თავისი ნებისამებრ იყენებს მას ომების, გემთმშენებლობისა თუ სულ სხვა საჭიროებისათვის.

- სწორია, - თქვა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - სწორია ისიც, რომ ყველაფერი თამაშის წესებითაა გათვალისწინებული. მოსამართლენი ბატობანას თამაშის წესებს მისდევენ და გულდასმით აკვირდებიან, რაა გამოსახული ნახატზე. შვეიცარიელი თუ ყველა სხვა ჯურის ჯარისკაცთა ხიშტებით დაცული მეფის უფლებანი მასზე უკლებლივ არიან აღბეჭდილნი. ამ საცოდავ ქალიშვილს კი არ ჰყავდა შვეიცარიელ მცველთა რაზმი, რომელიც ხიშტებით აღბეჭდავდა ნახატზე, რომ მას სრული

უფლება ჰქონდა ეტარებინა მადამ ჟოსის მაქმანიანი მანდილი. როგორც ხედავთ, ყველაფერი ზედმიწევნით ემთხვევა ერთმანეთს.

- ბატონო ჩემო, - თქვა ჩია იასაულმა, - ვიმედოვნებ, ერთმანეთში არ აურევთ ლუი დიდს, რომელიც ჭურჭელს ართმევდა თავის ქვეშევრდომთ, რათა ჯამაგირი მიეცა ჯარისკაცთათვის, და ამ ბილწ ქმნილებას, რომელმაც მანდილი მოჰპარა ქალბატონს, რათა რამპონოსთან თავი მოეწონებინა მიჯნურისათვის.

- ბატონო ჩემო, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - ლაშქრის შეყრა ცოტა მეტ სიბილწესთანაა დაკავშირებული, ვიდრე თავის მორთვა-მოკაზმვა მაქმანიანი მანდილით. მაგრამ მართლმსაჯულება მოწოდებულია თავისი კუთვნილი მიაგოს თითოეულს, თანახმად კაცთა საზოგადოებაში გავრცელებული თამაშის წესებისა, რომელიც ყველაზე უსწორო, ყველაზე უაზრო და ყველაზე უინტერესოა თამაშთა შორის. და უბედურება ისაა, რომ ყველა მოქალაქე იძულებულია მონაწილეობა მიიღოს მასში.

- ჰო, ეგ აუცილებელია, - შენიშნა ჩია იასაულმა.

- ამიტომ, - თქვა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - კანონები სასარგებლოა, მაგრამ სრულიადაც არ არის, და არც შეიძლება იყოს, სამართლიანი, რადგან მსაჯული, საკუთარი სიკეთით სარგებლობის უფლებას რომ უზრუნველყოფს მოქალაქეთათვის, ერთმანეთისაგან არ ასხვავებს ჭეშმარიტსა და ყალბ სიკეთეს. ეს განსხვავება თამაშის წესებში არ შედის; ის ღვთაებრივი მართლმსაჯულების წიგნშია ჩაწერილი, მაგრამ ვაი რომ მოკვდავს არ ძალუძს ამ წიგნის კითხვა. გაგიგონიათ თქმულება ანგლოზსა და განდეგილზე? ანგლოზი მიწაზე დაეშვა კაცის სახითა და მსხემის სამოსით. ერთხელ, ეგვიპტეში მოგზაურობისას, უდაბნოში შემოაღამდა და ერთ განდეგილს მიადგა კარზე. მეუდაბნოეს მოგზაური ეგონა; ვახშამი აჭამა და ღვინო ასვა ოქროს ფიალით. მერე თავისი საწოლი დაუთმო სტუმარს, თვითონ კი ჩალა გაიშალა სოხანეზე და ზედ წამოწვა. მეუდაბნოეს ისევ ეძინა, როცა მისი ციური სტუმარი წამოდგა, აიღო ფიალა, რომლითაც ღვინო სვა წინა საღამოს, მოსასხამში დამალა და გაუჩინარდა. მაგრამ ასე იმიტომ კი არ მოიქცა, რომ ბოროტი ეყო კეთილი განდეგილისთვის, არამედ, პირიქით, თავისი სტუმართმოყვარე მასპინძლის სულის ხსნის მიზნით, რადგან იცოდა, რომ ამ ფიალას შეეძლო წაეწყმიდა ეს წმიდა კაცი, რომელსაც ასე უყვარდა იგი; მაშინ, როდესაც უფალს ნებაავს ის უყვარდეთ მხოლოდ და მხოლოდ და ვერ ითმენს მსახურს, რომელიც წარუვალთან ერთად სიყვარულით ემსჭვალვის მსწრაფლწარმავალსაც. ეს ანგლოზი, ღვთაებრივ სიბრძნეს ზიარებული, ყალბ სიკეთეს ასხვავებდა ჭეშმარიტისგან. მსაჯულები არ ასხვავებენ. ვინ იცის, წარიწყმედს თუ არა მადამ ჟოსი სულს ამ მანდილით, რომელიც მოახლემ მოჰპარა და მსაჯულებმა დაუბრუნეს მას.

- მაგრამ მე ვიცი, რომ დედამიწაზე ერთით შემცირდა მპარავთა რიცხვი, - ხელების სრესით თქვა ჩია იასაულმა.

მერე ნამცეცები ჩამოიფერთხა კალთიდან, გამოგვემშვიდობა და კმაყოფილი სახით გაგვშორდა.

XX. მართლმსაჯულება

(გაგრძელება) - ეჰ! - ამოიოხრა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - ლუკმა ყელში აღარ გადამდის, ისე შემძრა მაგ შემზარავმა სცენამ, რომელიც თქვენ, ბატონო ჩემო, აგრე გულგრილად გადმოგვეცით, და ბატონი მრჩევლის მეუღლის, მაღამ ჟოსის სვედავსილი მოახლის ხილვამ, ჩამოსახრჩობად რომ მიჰყავდათ, თუმცა შეიძლებოდა უფრო მართლად განესაჯათ იგი.

- კი მაგრამ, - შეესიტყვა იასაული, - მე ხომ გითხარით, ამ გომბიომ თავისი ქალბატონი გაქურდა-მეთქი. თუ, თქვენი აზრით, ქურდებს სახრჩობელაზე არ უნდა ჰკიდებდნენ, ბატონო აბატო?

- რა თქმა უნდა, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - ჩვენში ასეა მიღებული, და, რაკი ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია, ამიტომ, ვიდრე ცხოვრება თავისი გზით მიდის, ყველაფერი ჩვეულებრივად გვეჩვენება. მაგალითისთვის ფილოსოფოსი სენეკა ავიღოთ, რომელიც უწყინარი კაცი იყო ბუნებით, და ეს უწყინარი კაცი უდრტვინველად თხზავდა თავის საუცხოო ტრაქტატებს მაშინ, როცა რომში, მის გვერდით, ჯვარს აცვამდნენ თითქმის სრულიად უდანაშაულო მონებს. ასე, მონა მითრიდატე მხოლოდ იმიტომ აცვეს ჯვარს, რომ, თავისი პატრონის, ბილწი ტრიმალქიონის ღვთაებრივი არსება შეურაცხყო[93]. რას იზამ, ასეა მოწყობილი ჩვენი გონება: არაფერი ჩვეულებრივი არ ამღვრევს და არ არყევს მას. ჩვეულება გვიცვეთს და გვიჩლუნგებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, აღშფოთებისა და განცვიფრების უნარს. მე ვიღვიძებ ყოველ დილით და, მართალი გითხრათ, ნაკლებად ვფიქრობ იმ უბედურებზე, რომლებსაც დღის განმავლობაში ჩამოახრჩობენ. ან შაყის კვრით აუგებენ წესს. მაგრამ, როდესაც სიკვდილით დასჯის იდეა უშუალოდ საგრძნობი და საცნაური ხდება ჩემთვის, სული მემღვრევა და რა გასაკვირია, თუ სასიკვდილოდ განწირული ამ მშვენიერი ქალიშვილის ხილვამ ისე შემიკრა საყლაპავი, რომ ეს ერთი ციცქნა თევზიც აღარ გადამდის ყელში.

- რის მშვენიერი ქალიშვილი, რა მშვენიერი ქალიშვილი? - თქვა იასაულმა. - პარიზის ქუჩებში მარტო ერთი ღამის განმავლობაში დუჟინობით აკეთებენ მისთანებს. ახია მასზე; რატომ გაქურდა თავისი ქალბატონი, მაღამ ჟოსი?

- არ ვიცი, ბატონო ჩემო, - მძიმედ მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - ეგ არც თქვენ იცით და არც მისმა მსაჯულებმა იციან, მერწმუნეთ, ნამდვილად არ იციან

იმაზე მეტი, ვიდრე ჩვენ ვიცით, რადგანაც ჩვენი ქცევის მიზეზნი გონებაში უწვდომელი არიან და ძალები, რომლებიც მოქმედებისთვის აღგვძრავენ ხოლმე - ღრმად დაფარულნი. ჩემი აზრით, კაცი თავისუფალია ყველა თავის მოქმედებისას, ამას მასწავლის ჩემი წმიდა სარწმუნოება; მაგრამ თუ გამოვრიცხავთ საეკლესიო მოძღვრებას, რომელიც მზეებრ ნათელია და ჭეშმარიტი, ჩვენ გამოვრიცხავთ თითქმის ყველაფერს, რაზე დაყრდნობითაც შეგვიძლია ადამიანის თავისუფლება ვიწამოთ; და მე შეძრწუნებით ვიხსენებ ხშირად სასამართლოს მრავალ განაჩენს, სავსებით თვითნებურად რომ სჯიან ხოლმე კაცთა ქმედებებს, რომელთა აზრი, საბაბი და მიზეზი თანაბრად აუხსნელნი რჩებიან ჩვენთვის; რადგან მათში ნაკლებად მონაწილეობს თავისუფალი ნება, რომელსაც სულაც ქვეცნობიერება ენაცვლება ზოგჯერ. მაგრამ თუ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ქმედებებისთვის ჩვენვე უნდა ვაგოთ პასუხი, რაკი ჩვენი წმიდა რელიგიის ეკონომია მხოლოდ ადამიანის თავისუფლებისა და ღვთიური მადლის თანხმობას ემყარება, განა უდიდესი უსამართლობა არაა ამ ფარული და დელიკატური თავისუფლებიდან ყველა იმ წამების, თავისუფლების აღკვეთისა და სიკვდილით დასჯის გამოყვანა, რომელთაც ასე ხშირად მიმართავენ ჩვენი კანონები?

- მე მწუხარებით ვრწმუნდები, ბატონო ჩემო, - თქვა ჩია იასაულმა, - რომ თქვენ ავაზაკთა მხარე გიჭირავთ.

- ეჰ, ბატონო ჩემო, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - ისინი ტანჯული კაცობრიობის შვილნი არიან და ჩვენსავით იესო ქრისტეს წმიდა სისხლით გამოსყიდულნი, რომელიც ჯვარს ეცვა ორ ავაზაკთან ერთად. მე თუ მკითხავთ, ჩვენს კანონებში ბევრი შემზარავი სისასტიკეა, რაც ოდესმე უთუოდ გაცხადდება ყველასთვის და აღშფოთებით აღავსებს ჩვენს შვილთაშვილებს.

- რას ამბობთ, ბატონო ჩემო? - გაიკვირვა ჩია იასაულმა და თან ღვინო მოსვა პატარა ჭიქიდან, - ყველა გოთური ბარბაროსობა დიდი ხანია განვდევნეთ ჩვენი კანონებიდან და ზნე-ჩვეულებებიდან, ხოლო მართლმსაჯულება დღეს ისე სამართლიანი და ჰუმანურია; სასჯელი ზუსტად შეესაბამება დანაშაულს და აჰა, მპარავნი სახრჩობელაზე აჰყავთ, მკვლელებს შაყის კვრით უგებენ წესს, მისი უდიდებულესობის შეურაცხმყოფელთ ოთხ ნაწილად გლეჯენ ცხენებით, უღმერთოებს, კუდიანებსა და მამათმავლებს კოცონზე წვავენ და ყალბი ფულის მჭრელთ ცოცხლად ხარშავენ ქვაბებში, რაც იმას ნიშნავს, რომ მართლმსაჯულება ყველაფერში ჭეშმარიტ ზომიერებას და შესაძლებელ სირბილეს იჩენს.

- ბატონო ჩემო, მსაჯულებს ყოველთვის მრავალმოწყალე, მლმობელ და სამართლიან არსებებად მოჰქონდათ თავი. თვით ბარბაროსულ ხანაშიც კი, ლუი წმიდისა თუ კარლოს დიდის მეფობის დროსაც, ისინი დიდად ამაყობდნენ თავიანთი ლმობიერებით, რომელიც სისასტიკედ გვეჩვენება დღეს, და მე შემიძლია ვიწინასწარმეტყველო, რომ ჩვენი შთამომავალნი განცვიფრებულნი დარჩებიან ჩვენი

სისასტიკით და საჭიროდ სცნობენ ჩვენ მიერ დაწესებული წვალეებისა და წამების მრავალი სახის გაუქმებას.

- როგორ გეტყობათ, რომ მოსამართლე არ ბრძანდებით, ბატონო ჩემო. წამება იმისთვისაა აუცილებელი რომ აღიარება გამოსძალო ბრალდებულს; მე შენ გეტყვი, ფერებით დასტყუებ მას?! ხოლო რაც შეეხება სიკვდილით დასჯას, მას ახლაც იმ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ მხოლოდ, როცა აუცილებელი ხდება მოქალაქეთა სიცოცხლისა და საკუთრების დაცვა ხელყოფისაგან.

- მაშასადამე, თქვენ თვითონ აღიარებთ, ბატონო ჩემო, რომ მართლმსაჯულების საგანი სიმართლე კი არაა, არამედ სარგებელი, და რომ მას მხოლოდ ხალხთა ინტერესები და ცრურწმენანი წარმართავენ. არა არის რა უფრო მართალი, და როცა დანაშაულს სჯიან, მხედველობაში აქვთ არა ბოროტი, რომელიც არის მასში, არამედ ზიანი, რასაც ის აყენებს, ან, შესაძლოა, მხოლოდ ივარაუდება, რომ აყენებს საზოგადოებას. ამიტომაც, რომ ყალბი ფულის მჭრელთ ცოცხლად ხარშავენ, თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა ისეთი ბოროტებაა მონეტების ჭრა? მაგრამ ბანკირებს, და არა მარტო ბანკირებს, ფრიად საგრძნობ ზარალს აყენებს ეს თითქოსდა უწყინარი საქმიანობა, და სწორედ ამ ზარალისთვის უსწორდებიან ისინი ასე უწყალოდ მის მიზეზთ. ქურდებს სახრჩობელაზე ჰკიდებენ, მაგრამ არა ბიწიერებისთვის, რომელიც პურისა თუ უბადრუკი ხარახურის საპარავად აქეზებს მათ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანები თვალისჩინივით უფროთხილდებიან თავიანთ ავლადიდებას. ამიტომ მართებული იქნებოდა კაცთა მართლმსაჯულებისთვის კვლავ თავისი ჭეშმარიტი პრინციპი დაგვედო საფუძვლად, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა მოქალაქეთა ანგარება, და ამ მაღალფარდოვანი ფილოსოფიის მოსასხამი შემოგვეფხრიწა მისთვის, რომელშიც ასე პირმოთნედ და პომპეზურად ეხვევა ხოლმე.

- არ მესმის თქვენი, ბატონო აბატო, - შეესიტყვა ჩია იასაული; - ჩემი აზრით, მართლმსაჯულება მით უფრო სამართლიანია, რაც უფრო მეტ სარგებლობას იძლევა, და აი, სწორედ ეს სარგებლიანობა, რისთვისაც აგრე გეზიზღებათ იგი, სიმტკიცითა და სიწმიდით უნდა მოსავდეს თქვენს თვალში მას.

- თქვენ მართლაც არ გესმით ჩემი, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა.

- ბატონო ჩემო, - თქვა ჩია იასაულმა, - მე ვხედავ, რომ თქვენ არა სვამთ. თქვენი ღვინო საუცხოო უნდა იყოს, ფერზე ეტყობა. გამასინჯეთ, თუ შეიძლება.

და მართლაც, პირველად თავის სიცოცხლეში, ჩემმა კეთილმა მოძღვარმა დაუცლელი დატოვა ბოთლი, რომელიც ჩია იასაულის ჭიქაში ჩაცალა.

- თქვენი გამარჯვებისა იყოს, ბატონო აბატო, - თქვა მან, - თქვენი ღვინო მართლაც დიდებულია, მაგრამ აი, მსჯელობა კი არ გივარგათ. მართლმსაჯულება,

ვიმეორებ, მით უფრო სამართლიანია, რაც უფრო მეტ სარგებლობას იძლევა და სწორედ ეს სარგებლიანობა, რომელიც, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი საფუძველია და მისი საწყისი, სიმტკიცითა და სიწმინდით უნდა მოსავდეს თქვენს თვალში მას. მაგრამ ისიც უნდა აღიაროთ, რომ მართლმსაჯულების არსი სიმართლეა, როგორც თვით სიტყვა გვიჩვენებს.

- ბატონო ჩემო, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - იმის მტკიცება, რომ მშვენიერება მშვენიერია, ჭეშმარიტება - ჭეშმარიტი და სამართლიანობა - მართალი, წყლის ნაყვია მხოლოდ და მხოლოდ, სხვა არაფერი. თქვენი ულპიანუსი[94], ვისაც შეეძლო ზუსტად ეთქვა, რისი თქმაც სურდა, ამბობდა, რომ სამართლიანობა ესაა მტკიცე და მუდმივმოქმედი ნება, რომელიც თავის კუთვნილს მიაგებს თითოეულს, და რომ კანონები სამართლიანნი არიან მაშინ, როცა ამტკიცებენ ამ მაღალ ნებას. უბედურება ისაა, რომ ადამიანებს არაფერი არ გააჩნიათ და კანონთა სამართლიანობა მათივე საკუთარი ან მემკვიდრეობით მიღებული ნაძარცვისა და ნაალაფარის სხვათა მიერ ხელყოფისგან დაცვით შემოიფარგლება. ეგ კანონები იმ წესებს ჰგვანან, რომელთაც კოჭობანას თამაშში მისდევენ ყრმანი: როცა წაგებულნი თავიანთ კოჭებს უკან მოითხოვენ ხოლმე, „ეგ რა წესიაო“, ყვირიან მოგებულნი. მსაჯულთა გამჭრიახობა მხოლოდ იმითი იზომება, ვინ როგორ არჩევს და ასხვავებს წაგლეჯის ერთ ფორმას, რომელიც თამაშის წესებში არ შედიოდა, მეორისაგან, რომელზეც თამაშის დაწყებამდე შეთანხმდნენ მისი მონაწილენი, და ეს განსხვავება, ერთდროულად, ისე ძნელია და ისე ადვილი; ის ყოველთვის თვითნებურია. ქალიშვილმა, რომელიც ახლა უკვე სახრჩობელაზე ჰკიდია, როგორც თქვენ ბრძანეთ, მაქმანიანი მანდილი მოჰპარა თავის ქალბატონს. მაგრამ როგორ დამიმტკიცებთ, რომ ეს მანდილი მართლაც მაღამ ჟოსის ეკუთვნოდა! თქვენ მეტყვით, რომ მან ის თავისი ფულით იყიდა, ან მზითევში ერგო, ან, შესაძლოა, საყვარლისგან მიიღო საჩუქრად, ერთი სიტყვით, ჩამომითვლით ყველა პატიოსან გზას, რომლითაც მაქმანიან მანდილს იძენენ. მაგრამ რა გზითაც არ უნდა შეეძინა, მე მაინც ერთს ვიტყვი მხოლოდ: ეს იყო მისთვის ერთგვარი ნიჭი ბედისა, რომელიც კაცს ისევე ეძლევა, როგორც ერთმევა, - ხოლო ეძლევა და ერთმევა შემთხვევის ძალით, - და რომლის ფლობის უფლება, ბუნებით, არც ერთ ჩვენგანს არ გააჩნია. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მე მაინც მზად ვარ ვაღიარო, რომ ეს მანდილი მას ეკუთვნოდა, თანახმად საკუთრობანას თამაშის წესებისა, რომლებსაც ჩვენი საზოგადოება მისდევს და რომლებიც ყრმათა საყვარელი კოჭობანას თამაშის წესებს ჰგვანან სავსებით. მას უყვარდა ეს მანდილი და, ბოლოს და ბოლოს, არავიზე ნაკლები უფლება არა ჰქონდა მისი ფლობისა. კეთილი და პატიოსანი. მართლმსაჯულება მოვალე იყო მისთვის დაებრუნებინა იგი, მაგრამ არა ასეთი ძვირი საზღაურის ფასად. სად ორი ადლი ჭყეტელა აბრეშუმი და სად ადამიანის სიცოცხლე?

- ბატონო ჩემო, - მიუგო ჩია იასაულმა, - თქვენ მართლმსაჯულების ერთ მხარეს იხილავთ მხოლოდ; მაგრამ მას მედალივით ორი მხარე აქვს. არ კმაროდა

თავისი მიგვეგო მარტო მადამ ჟოსისათვის, ე.ი. მანდილი დაგვებრუნებინა მისთვის. საჭირო იყო თავისი მიგვეგო მოახლისთვისაც, საჭირო იყო სახრჩობელაზე ჩამოგვეკიდა იგი; რადგან მართლმსაჯულება იმის მართლმსაჯულებაა, რომ არავის არ რჩება ვალში. ამაშია მისი სიწმინდე და სიდიადე.

- თუ ასეა, - თქვა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა - მართლმსაჯულება კიედვ უფრო ბილწი ყოფილა, ვიდრე მეგონა. თქვენი მტკიცება, დამნაშავე უნდა დაისაჯოს, რათა თავისი მიეგოსო, თვით ველურსაც კი შეაძრწუნებს. ეს გოთური ბარბაროსობაა.

- ბატონო ჩემო, - თქვა ჩია იასაულმა, - თქვენ ცუდად იცნობთ მართლმსაჯულებას. როცა ის სჯის, რისხვით როდი სჯის და, თუ სიმართლე გნებავთ, არც ამ ბედშავ არსებას მტრობს, რომელსაც ჩამოხრჩობა მიუსაჯა სამართლიანად.

- ბრავო, ბრავო! - წამოიძახა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა; - მაგრამ, ღმერთო შეგცოდე და, მე ვარჩევდი მსაჯულებს ეღიარებინათ, რომ ისინი აუცილებლობის კარნახით სჯიან დამნაშავეებს, რათა ეს გაკვეთილად გამოადგეს სხვებს. მაშინ ისინი აუცილებლობით შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ. მაგრამ, როცა ისინი სჯიან და თან ჰგონიათ, რომ ამით კუთვნილს მიაგებენ დამნაშავეს, ჩვენ ვრწმუნდებით, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ისინი მათმა ცრუ მრწამსმა; აქ თვით მათი პატიოსნებაც კი უღმობლად იქცევა, რადგან, როგორ შეიძლება დააკლო კაცს მისი კუთვნილი? ეს მაქსიმა მე მაძრწუნებს, ბატონო ჩემო. მისი ავტორი ერთი გაქნილი ფილოსოფოსია, სახელად მენარდი[95], რომელიც არაჩვეულებრივი სისასტიკით ამტკიცებს, რომ, ვინც არ სჯის ბოროტმოქმედს, დათვურ სამსახურს უწევს მას და ურცხვად ართმევს დანაშაულის გამოსყიდვის ბუნებით ბოძებულ უფლებას. იგივე მენარდი ამბობს, რომ ათენელი მსაჯულნი, რომელთაც საწამლავი შეასვეს სოკრატეს, მართებულად მოიქცნენ, რადგან მხოლოდ ამ დიდი ბრძენკაცის სულის განწმენდისთვის ზრუნავდნენო. მაგრამ ეს რიოში როშვია და სხვა არაფერი. მე ვისურვებდი, რომ ჩვენი მართლმსაჯულებისთვის უცხო იყოს ეგზოთი მზვაობა. სასჯელის, როგორც მართებული სანაცვლოს, უფრო ფართოდ გავრცელებული ცნება, რაგინდ ბილწი და მდაბალიც არ უნდა იყოს იგი, თუ შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, მაინც ნაკლებ შემზარავია, ვიდრე მტარვალ ფილოსოფოსთა მძვინვარე სათნოება. ოდესღაც ერთ ბურჟუას ვიცნობდი სეეზში, გულკეთლ და მხიარულ კაცს. ეს კაი კაცი ყოველ სადამოს მუხლებზე ისვამდა თავის პატარებს და ზღაპრებს უამბობდა მათ. მართლაც სამაგალითო კაცი იყო: მარხვას ინახავდა, აღსარების სათქმელად დაიარებოდა მოძღვართან და დიდად ამყობდა თავისი ვაჭრული პატიოსნებით, - დამავიწყდა მეთქვა, რომ სამოცი წელი მაინც, მეტი თუ არა, პურით ვაჭრობდა; - და აი, ერთხელ, მოსამსახურე გოგომ დუბლონები, დუკატები, რეალები და ოქროს სხვა ძვირფასი მონეტები მოჰპარა, რომელთა იშვიათ კოლექციას პატარა ზარდახმაში ინახავდა, თავისი მაგიდის უჯრაში. დანაკარგი შენიშნა თუ არა, დაუყოვნებლივ საჩივარი შეიტანა სასამართლოში, რის შედეგადაც საბრალო გოგო დაიჭირეს, დაკითხეს,

გასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს. მაშინ ამ კაი კაცმა, რომელიც კარგად იცნობდა კანონებს, ქურდის ტყავი გამოითხოვა და მისგან შარვალი შეაკერინა მკერავს. მახსოვს, როგორ იტყაპუნებდა ხელს ბარძაყებზე და აღშფოთებით ამბობდა: „უნამუსო, ა, უნამუსო!“ მოახლემ „გაატყავა“, მან კი ტყავი გააძრო სანაცვლოდ. მაგრამ, ყველაფერს რომ თავი ვანებოთ, არ ფილოსოფოსობდა მაინც და, უბრალოდ, მდაბიორული გულდრძობით უხდიდა სანაცვლოს საბრალო ქალიშვილს.

მას ერთხელაც არ მოსვლია აზრად, რომ წმიდათაწმიდა მოვალეობას ასრულებდა, როცა ადამიანის ტყავისგან შეკერილ შარვალზე ირტყამდა ხელს. რამდენად უმჯობესი იქნებოდა გველიარებინა, რომ მპარავთა ჩამოხრჩობა სიფრთხილითაა ნაკარნახევი, რაც მიზნად სხვათა დაშინებას ისახავს მხოლოდ და არა თითოეულისათვის კუთვნილის მიგებას, როგორც თქვენი ულპიანუსი ბრძანებს. ამიტომ, მტკიცება იმისა, რომ ჩვენ გვმართებს დასჯის გზით დანაშაული გამოვასყიდვინოთ ბოროტმოქმედს, ჩემის აზრით, მძვინვარე მისტიციზმია, აშკარა ძალადობასა და ძალმომრეობაზედაც უარესი. ხოლო რაც შეეხება მპარავთა სიკვდილით დასჯის უფლებას, ის ფილოსოფიას კი არა, უხემ ძალას ემყარება მხოლოდ და მხოლოდ, რადგან ფილოსოფია, პირიქით, გვასწავლის, რომ ყველაფერი, რასაც ჩვენ ვფლობთ, ძალადობითა და ცბიერებით გვაქვს მოხვეჭილი. აკი თქვენ იმასაც ხედავთ, რომ, როდესაც ძლევა მოსილი მოძალადე გვყვლევს, მსაჯულნი ხელს აფარებენ მას. ამრიგად, მეფეს ნება ეძლევა ვერცხლის ჭურჭელი წაგვართვას, რათა ომების წარმოება შეძლოს, როგორც ეს ჩანს ლუი დიდის მაგალითზე, ვის დროსაც რეკვიზიცია ისეთი გულმოდგინებით ხორციელდებოდა, რომ თვით სარეცლის ჩარდახებსაც კი აცლიდნენ ფოჩებს, რათა აბრეშუმში ჩაწული ოქრო დაეძროთ მათგან. ამ მონარქმა არც კერძო პირთა და მონასტერთა საფასენი დაინდო. მახსოვს, ასე, დაახლოებით ოცი წლის წინათ, როცა პიკარდიაში, ლიესის ღვთისმშობლის ტაძარში დავდიოდი სალოცავად, ერთი ნახევრად მიხრწნილი მნათე შემომჩიოდა, განსვენებულმა ხელმწიფემ მთელი ძვირფასეულობა წაგვართვა, გადაადნობინა, და ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ოქროს ძუძუც კი არ შეგვარჩინა, რომელიც პალატინელმა პრინცესამ ერთი ამბით შემოგვწირა ოდესღაც, მას შემდეგ, რაც სასწაულებრივად განიკურნა კიბოსგანო. მართლმსაჯულება მხარში ედგა მეფეს ამ რეკვიზიციის დროს და მკაცრად სჯიდა ყველას, ვინც ეცდებოდა თუნდაც სულ უბრალო ნივთი დაეძალა მეფის მოხელეთათვის. მაშასადამე, ის არც ისე ხელშეუვალ საკუთრებად თვლიდა ამ ნივთებს, რომ შეუძლებლად მიეჩნია მათი ხელყოფა.

- ბატონო ჩემო, - გააწყვეტინა ჩია იასაულმა, - ეგ მოხელენი მეფის სახელით მოქმედებდნენ, რომელსაც ეკუთვნის სახელმწიფოს მთელი სიმდიდრე და თავისი ნებისამებრ იყენებს მას ომების, გემთმშენებლობისა თუ სულ სხვა საჭიროებისათვის.

- სწორია, - თქვა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - სწორია ისიც, რომ ყველაფერი თამაშის წესებითაა გათვალისწინებული. მოსამართლენი ბატობანას თამაშის წესებს მისდევენ და გულდასმით აკვირდებიან, რაა გამოსახული ნახატზე. შვეიცარიელი თუ

ყველა სხვა ჯურის ჯარისკაცთა ხიშტებით დაცული მეფის უფლებანი მასზე უკლებლივ არიან აღბეჭდილნი. ამ საცოდავ ქალიშვილს კი არ ჰყავდა შვეიცარიელ მცველთა რაზმი, რომელიც ხიშტებით აღბეჭდავდა ნახატზე, რომ მას სრული უფლება ჰქონდა ეტარებინა მადამ ჟოსის მაქმანიანი მანდილი. როგორც ხედავთ, ყველაფერი ზედმიწევნით ემთხვევა ერთმანეთს.

- ბატონო ჩემო, - თქვა ჩია იასაულმა, - ვიმედოვნებ, ერთმანეთში არ აურევთ ლუი დიდს, რომელიც ჭურჭელს ართმევდა თავის ქვეშევრდომთ, რათა ჯამაგირი მიეცა ჯარისკაცთათვის, და ამ ბილწ ქმნილებას, რომელმაც მანდილი მოჰპარა ქალბატონს, რათა რამპონოსთან თავი მოეწონებინა მიჯნურისათვის.

- ბატონო ჩემო, - მიუგო ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - ლაშქრის შეყრა ცოტა მეტ სიბილწესთანაა დაკავშირებული, ვიდრე თავის მორთვა-მოკაზმვა მაქმანიანი მანდილით. მაგრამ მართლმსაჯულება მოწოდებულია თავისი კუთვნილი მიაგოს თითოეულს, თანახმად კაცთა საზოგადოებაში გავრცელებული თამაშის წესებისა, რომელიც ყველაზე უსწორო, ყველაზე უაზრო და ყველაზე უინტერესოა თამაშთა შორის. და უბედურება ისაა, რომ ყველა მოქალაქე იძულებულია მონაწილეობა მიიღოს მასში.

- ჰო, ეგ აუცილებელია, - შენიშნა ჩია იასაულმა.

- ამიტომ, - თქვა ჩემმა კეთილმა მოძღვარმა, - კანონები სასარგებლოა, მაგრამ სრულიადაც არ არის, და არც შეიძლება იყოს, სამართლიანი, რადგან მსაჯული, საკუთარი სიკეთით სარგებლობის უფლებას რომ უზრუნველყოფს მოქალაქეთათვის, ერთმანეთისაგან არ ასხვავებს ჭეშმარიტსა და ყალბ სიკეთეს. ეს განსხვავება თამაშის წესებში არ შედის; ის ღვთაებრივი მართლმსაჯულების წიგნშია ჩაწერილი, მაგრამ ვაი რომ მოკვდავს არ ძალუძს ამ წიგნის კითხვა. გაგიგონიათ თქმულება ანგლოზსა და განდეგილზე? ანგლოზი მიწაზე დაეშვა კაცის სახითა და მსხემის სამოსით. ერთხელ, ეგვიპტეში მოგზაურობისას, უდაბნოში შემოაღამდა და ერთ განდეგილს მიადგა კარზე. მეუდაბნოეს მოგზაური ეგონა; ვახშამი აჭამა და ღვინო ასვა ოქროს ფიალით. მერე თავისი საწოლი დაუთმო სტუმარს, თვითონ კი ჩალა გაიშალა სოხანეზე და ზედ წამოწვა. მეუდაბნოეს ისევ ეძინა, როცა მისი ციური სტუმარი წამოდგა, აიღო ფიალა, რომლითაც ღვინო სვა წინა საღამოს, მოსასხამში დამალა და გაუჩინარდა. მაგრამ ასე იმიტომ კი არ მოიქცა, რომ ბოროტი ეყო კეთილი განდეგილისთვის, არამედ, პირიქით, თავისი სტუმართმოყვარე მასპინძლის სულის ხსნის მიზნით, რადგან იცოდა, რომ ამ ფიალას შეეძლო წაეწყმიდა ეს წმიდა კაცი, რომელსაც ასე უყვარდა იგი; მაშინ, როდესაც უფალს ნებავს ის უყვარდეთ მხოლოდ და მხოლოდ და ვერ ითმენს მსახურს, რომელიც წარუვალთან ერთად სიყვარულით ემსჭვალვის მსწრაფლწარმავალსაც. ეს ანგლოზი, ღვთაებრივ სიბრძნეს ზიარებული, ყალბ სიკეთეს ასხვავებდა ჭეშმარიტისგან. მსაჯულები არ ასხვავებენ. ვინ იცის,

წარიწყმედს თუ არა მადამ ჟოსი სულს ამ მანდილით, რომელიც მოახლემ მოჰპარა და მსაჯულებმა დაუბრუნეს მას.

- მაგრამ მე ვიცი, რომ დედამიწაზე ერთით შემცირდა მპარავთა რიცხვი, - ხელების სრესით თქვა ჩია იასაულმა.

მერე ნამცეცები ჩამოიფერთხა კალთიდან, გამოგვემშვიდობა და კმაყოფილი სახით გაგვშორდა.

XXI. მართლმსაჯულება

(გაგრძელება) ჩემი კეთილი მოძღვარი მომიბრუნდა და ასე განაგრძო: - ეს თქმულება ანგელოზსა და განდეგილზე მხოლოდ იმისთვის მოვიყვანე აქ, რომ მეჩვენებინა უფსკრული, რომელიც ყოფს წარმავალს საუკუნოსგან. რადგან კაცთა მართლმსაჯულება მხოლოდ წარმავალში ვლინდება, ხოლო ესაა უსხივო ჯურღმული, სადაც ვაგლახად ცუდდებიან მაღალი პრინციპები. როგორ გგონია, განა მაცხოვარს ჩვენსას იესო ქრისტეს მეორედ არ კლავენ კაცნი, როცა მის ხატებს ასვენებენ სამსჯავროებში, სადაც მსაჯულნი ამართლებენ ფარისევლებს, რომლებმაც ჯვარს აცვეს იგი, და მსჯავრს სდებენ მაგდალინას, თავისი ღვთაებრივი ხელებით რომ აღამალა მან? რა ქნას მართალმა ამ ავკაცთა შორის, რომელთაც არ ძალუძთ, კიდევ რომ სურდეთ, სიმართლეს მისდიონ, რადგან მათ უბადრუკ მოვალეობას მოყვასთა თვისთა საქმეების განკითხვა შეადგენს მხოლოდ (მაგრამ არა მათ არსში წვდომით, არამედ მარტოოდენ საზოგადოებრივ ინტერესთა გათვალისწინებით), ან, უფრო უკეთ, წაქეზება ეგოიზმის, სიხარბის, სიცრუისა და უსამართლობის, მოკლედ, ყველაფრის, რაზეც შენობენ სახელმწიფონი და რასაც ასეთი ბრმა ერთგულებით დარაჯობენ ისინი. დანაშაულის გაზომვ-აწონისას მართლმსაჯულების სასწორზე ისინი დებენ შიშსა და რისხვას, რასაც ის აღუძრავს მხდალსა და ჯაბან ბრბოს. და ყველაფერი ეს აღნუსხულია მათ კოდექსებში, ასე რომ, ძველთუძველესი ტექსტი და მკვდარი ასო კაცის გონების, გულისა და სულის მაგივრობას წევს. და ყველა ეს მუხლი, რომელთაგან ზოგიერთი იუსტინიანესა და თეოდორას თავსლავდასხმული დროებიდან მომდინარეობს, მხოლოდ ერთ რამეში ეთანხმება ერთიმეორეს: არავითარი პროგრესი! ვიხსნათ ყველა სათნოება და ყველა ბიწი; ვიხსნათ სამყარო, რომელიც ყოველნაირად ეწინააღმდეგება ცვლასა და წინსვლას! დანაშაული თავისთავად ისე უმნიშვნელოა კანონის თვალში, გარეშე ფაქტორები კი, პირიქით, ისე მნიშვნელოვანნი, რომ ერთი და იგივე აქტი, კანონიერი ერთ შემთხვევაში, მიუტყევებელი ხდება მეორეში, როგორც ეს ჩანს სილის გაწვნის მაგალითზე: თუ ერთმა ბურჟუამ ალიყური აჭამა მეორეს, ეს სიშლეგედ ეთვლება მხოლოდ, ჯარისკაცს კი იმავე დანაშაულისთვის სიკვდილით სჯიან. ეს დრომოქმული ბარბაროსობა

უთუოდ თავსლავს დაგვასხამს მომავლის თვალში; ჩვენ ფეხებზე გვკიდია ეს, მაგრამ, ერთხელაც იქნება, პასუხს მოგვთხოვენ, კაცნი იყავით თუ კანიბალნი, სიკვდილით რომ სჯიდით კეთილშობილურ გულისწყრომას, რომელიც სისხლს უდუღებდაო ყმაწვილკაცს, კანონის ძალით ომების საშინელებათა და ყაზარმის სიბილწეთათვის განწირულს. რადგან, ცხადია, მართლმსაჯულება რომ გვექონდეს მართლაც, რაღას ვაქნევდით მაშინ ორ კოდექსს, სამხედროს და სამოქალაქოს? ეს ყაზარმული მართლმსაჯულება, რომელიც დღედაღამ დაუნდობლად უსწორდება ურჩთ, არაჩვეულებრივი სისასტიკით გამოირჩევა, და თუ კაცნი ოდესმე თავს დააღწევენ უმეცრების ბურუსს, მათთვის ძნელი იქნება ირწმუნონ, რომ ოდესღაც, სრული მშვიდობიანობის დროსაც კი, სამხედრო-საველე სასამართლონი სიკვდილით სჯიდნენ ადამის მეთ კაპრალთა და სერჟანტთა ღირსების შეურაცხყოფისათვის; მათთვის ძნელი იქნება ირწმუნონ, რომ უბედურებს ორ გრძელ მწკრივს შორის ატარებდნენ იმ დანაშაულის გამო, რომელსაც მტრისთვის ზურგის ჩვენება ეწოდება, და ეს - იმ ექსპედიციის დროს, როცა საფრანგეთის მთავრობა არ სცნობდა მოწინააღმდეგე მხარეს. მაგრამ ყველაზე საოცარი მაინც ისაა, რომ მთელი ამ სისასტიკისა და გულმხეცობის ნიმუშებს უხვად ვხვდებით ქრისტიან ხალხებში, რომლებიც თავყანს სცემენ წმიდა სებასტიანს[96], მეამბოხე მეომარს, და თებეს ლეგიონის წმიდა წამებულთ, რომელთა დიდება მხოლოდ იმან განაპირობა, რომ თავის თავზე იწვნიეს სამხედრო ტრიბუნალის სისასტიკე, როცა უარი განაცხადეს ბაგაუდებთან[97] ბრძოლაზე. მაგრამ მოვეშვათ ამას, ნუღარას ვიტყვით ამ ხმალ-ქარქაშოსანთა სამართალზე, რომელნიც, უფლის ძის წინასწარმეტყველური სიტყვებით რომ ვთქვათ, უკვალოდ აღიხოცებიან პირისაგან მიწისა, და ისევ სამოქალაქო სამართალს მოვუბრუნდეთ.

მსაჯულნი არ დადიან გულისგულამდე და არ კითხულობენ კაცთა სულებს. ამიტომ მათი ყველაზე სამართლიანი მართლმსაჯულებაც კი ტლანქია და ზედაპირული. მათ ჯერ კიდევ არ მიუწვდებათ ხელი თუნდაც იმ მოჩვენებით სამართლიანობამდე, რასაც ემყარებიან მათი კანონები. ისინი ადამიანები არიან და, მამასადაძამე, სუსტნი და საკუთარი სინდისით მოვაჭრენი, ლმობიერნი ძლიერთა და ულმობელნი უძლურთა მიმართ. თავიანთი განაჩენებით ისინი ამტკიცებენ უსაზარლეს სოციალურ უთანასწორობას და ძნელი საცნობია, საიდან წარმოსდგება ეს მდაბალი მიმკერძოებლობა, მათი პირადი სიმდაბლისა თუ თანამდებობით თავსმოხვეული მოვალეობისაგან, რომელიც სხვას არას გულისხმობს, თუ არა სახელმწიფოს თანამდგომლობას (თანამდგომლობას ყველაფერში, განურჩევლად კეთილისა და ბოროტისა), საზოგადოებრივი ზნეობის სიმტკიცისათვის ზრუნვასა, ბოლოს, მოქალაქეთა უფლებებთან ერთად, მონარქის დესპოტური თვითნებობის დაცვას, იმ ბრიყვულ და სასტიკ ცრურწმენათა მფარველობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომელნიც ხელშეუხებელ თავშესაფარს პოულობენ შრომანის ღერბქვეშ.

ყველაზე მოუსყიდველ მსაჯულს, სწორედ თავისი მიუკერძოებლობის წყალობით, შეუძლია ყველაზე ამაზრზენი და, შესაძლოა, უფრო არაადამიანური განაჩენის გამოტანაც, ვიდრე მის ზნედაცემულ კოლეგას, და მე ვერ ვიტყვი, მაინც რომელს უფრო უნდა უფროხოდეს კაცი: იმას, ვისაც სულის მაგივრობას კანონთა მკვდარი ასო უწევს თუ მას, ვინც შეინარჩუნა კაცური გრძნობის ნატამალი, რომელსაც ამ კანონთა გასამრუდებლად იყენებს მხოლოდ. პირველი გულგრილად შემწირავს მკვდარ ასოს, მეორე კი - თავის ვნებებს და ანგარებას.

მერე, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მსაჯული, თავისი ფუნქციებით, ახალ ცრურწმენებს კი არ იცავს, რომელთაც მეტ-ნაკლებად ექვემდებარება ყველა ჩვენგანი, არამედ დრომოჭმულთ, რომლებიც კანონთა კოდექსებში მას შემდეგაც კი აგრძელებენ არსებობას, რაც ჩვენი სულებიდან და ჩვენი ჩვეულებებიდან გადაეგნენ. ვერ მიჩვენებთ მეტ-ნაკლებად დიდბუნებოვანსა და ღრმად მოაზროვნე კაცს, რომელიც არ გრძნობდეს კანონების ამ დრომოჭმულ ბარბაროსობას, მაშინ როდესაც მსაჯულს წართმეული აქვს უფლება იგრძნოს იგი.

მაგრამ მე ისე ვმსჯელობ, თითქოს კანონები, თუნდაც ასე სასტიკნი და ბარბაროსულნი, ნათელნი მაინც იყვნენ და ცხადნი. ვაი, რომ არა. მსახვრალის ბნელი სიტყვების გაგება ხშირად უფრო ადვილია, ვიდრე ჩვენი კოდექსების ზოგიერთი პარაგრაფისა. კანონთა ინტერპრეტაციის ამ სიძნელემ დიდად შეუწყო ხელი მართლმსაჯულების სხვადასხვა ინსტანციების შექმნას. ივარაუდება, რომ თუ რამეში ვერ გაერკვა ადგილობრივი მსაჯული, მასში უთუოდ გაერკვევიან ბატონი უმაღლესი სასამართლოს მოსამართლენი. მაგრამ ცოტა მეტ იმედებს ხომ არ ვამყარებთ იმ ხუთ კაცზე, რომელთაც წითელი მანტიები ასხიათ და ოთხკუთხა ქუდები ხურავთ, და Veni, Creator[98]-ის ჩაკითხვის შემდეგაც ვერ აღწევენ თავს ცთომილებას? ხომ არ აჯობებდა გველიარებინა, რომ უმაღლეს სასამართლოს მხოლოდ იმიტომ გამოაქვს საბოლოო განაჩენი, რომ განვლილ იქნა ყველა დანარჩენი ინსტანცია, ვიდრე მანამდე მივიდოდა საქმე. მონარქიც ამავე აზრისაა, რადგან მისი მსჯავრი უზენაეს სამსჯავროზე უმაღლესია.

XXII. მართლმსაჯულება

(გაგრძელება და დასასრული) ჩემმა კეთილმა მოძღვარმა სევდიანი მზერა გააყოლა მდინარის დინებას, თითქოს ჩვენი სამყაროს ხატს ჭვრეტსო მასში, სადაც ყველაფერი მიედინება და არა იცვლება რა.

ერთხანს ასე მდუმარედ იჯდა, ჩაფიქრებული, მერე კი ჩუმი ხმით წარმოსთქვა: - სხვას ყველაფერს რომ თავი ვანებოთ, შვილო, ჩემი გონება იმასაც კი

ვერ ხვდება, რატომ მაინცდამაინც მსაჯულნი არიან ხმობილნი მართლმსაჯულების ჭეშმარიტ მსახურებად? ხომ ცხადია, რომ ისინი დამნაშავედ თვლიან მას, ვისზედაც იმთავითვე მიიტანენ ეჭვს? ამას ავალებს მათ მსაჯულთა კასტის კოლექტიური სული, ასე რომ მძლავრობს მათში. ამიტომ საქმის გარჩევისას ისინი ყოველნაირად ცდილობენ თავიდან ჩამოიცილონ დაცვა, როგორც აბეზარი ცნობისმოყვარე, რომელსაც მხოლოდ მას შემდეგ თუ ჩაახედებენ საქმეში, რაც ბრალდება თხემით ტერფამდე აღიჭურვება და თავის ჭეშმარიტ კი არა, მომხიბლავი მინერვას პროფეტულ სახეს მიიღებს ათასგვარი მანქანების წყალობით. თვით საკუთარი პროფესიის სული მათ აიძულებს ყოველ ბრალდებულში მხოლოდ დამნაშავეს ხედავდნენ, და მათი ორთოდოქსული გულმოდგინება ისე აძრწუნებს ევროპელ ხალხებს, რომ რთული საქმეების გარჩევისას ისინი ასისტენტებს უყენებენ მათ, კენჭისყრით არჩეული თორმეტი მოქალაქის სახით. აქედან ჩანს, რომ ბრმა შემთხვევითობა უფრო უკეთ უზრუნველყოფს ბრალდებულთათვის სიცოცხლის შენარჩუნებას, ვიდრე მსაჯულთა ცივილიზებული სინდისი. მართალია, კენჭისყრით არჩეული ეს ნაფიცი მსაჯულნი, რომელთაც ახლოს არ აკარებენ საქმეს, მხოლოდ მის პომპეზურ მხარეს ჭვრეტენ; მართალია ისიც, რომ, რაკი კანონების არა გაგეგებათ რა, მათი გამოყენება კი არ ევალებათ, არამედ თანხმობის განცხადება ორიოდ სიტყვით: მხარს ვუჭერთ ამ შემთხვევაში მათ გამოყენებასო. როგორც ამბობენ, ამ ასისტენტებს ხშირად სრულ უაზრობამდე მიჰყავთ საქმე, მაგრამ ხალხები, რომლებმაც წესად აქციეს მათი არჩევა, ისე ებლაუჭებიან ნაფიც მსაჯულებს, როგორც წყალწადებული - ხავსს. და მე მესმის, რატომ აღიარებს ხალხი მათი მონაწილეობით გამოტანილ ყველა განაჩენს: ისინი, შეიძლება, უღმობელნი და უაზრონი იყვნენ, მაგრამ მათი უაზრობა და სისასტიკე, ყოველ შემთხვევაში, არავის აწვება ცოდვად. უსამართლობა ასატანი გეჩვენება, როცა იმდენად უაზროა, რომ უნებური გგონია ხოლმე.

ამ პატარა იასაულმა, რომელიც ასე აქებს და ადიდებს მართლმსაჯულებას, მპარავთა და მკვლელთა თანამდგომლობა დამწამა, მაგრამ ცილისწამება გამოუვიდა, რადგან ისე მძულს ქურდობაც და მკვლელთა ხელობაც, რომ თვით აღმასრულებელ ფურცლებზეც კი ვერ ვიტან მათ. და მე სევდით მევსება სული, როცა ვუყურებ ამ უბადრუკ მართლმსაჯულებას, რომელმაც მპარავთა და კაცისმკვლელთა დასასჯელად ვერა მოიგონა რა უკეთესი, მათივე მიბაძვის გარდა; რადგან, კაცმა რომ თქვას, ტურნებროშ, შვილო ჩემო, რას წარმოადგენს ყველა ეს იძულება და სიკვდილის მისჯა, თუ არა იმავე ქურდობასა და მკვლელობას, ჩადენილს პომპეზური გარდუვალობით? და ნუთუ ვერ ხედავ, რომ მთელი თავისი მზვარობის მიუხედავად, ჩვენი მართლმსაჯულება ბოროტმოქმედების სამარცხვინო გზას ადგას, ესე იგი, ბოროტებას ბოროტებით უხდის სანაცვლოს, უკეთურებას - უკეთურებით და, წონასწორობისა და სიმეტრიის შენარჩუნების მიზნით, ერთიორად ზრდის დანაშაულობათა და ბოროტმოქმედებათა რიცხვს. თუმცა, აქაც შეიძლება ერთგვარი პატიოსნებისა და უანგარობის გამოჩენა; შეიძლება ახალ ლეოპიტლადაც[99] ისევე მოველინო ხალხს, როგორც ახალ ჯეფრისად[100]. მე

თვითონ ვიცნობ ერთ მოსამართლეს, პირუთვნელ და პატიოსან კაცს. მაგრამ საწყისებიდან სწორედ იმ მიზნით დავიწყე, რომ მეჩვენებინა ჭეშმარიტი ბუნება ამ დაწესებულებისა, რომელიც ნასესხები სიდიადით შემოსეს მსაჯულთა მზავობამ და ხალხების შიშმა; მეჩვენებინა თანდაყოლილი უბადრუკობა კანონთა ამ კოდექსებისა, რომლებიც ბიბლიასავით წმიდა წიგნებად სურთ მოგვაჩვენონ, თუმცა სინამდვილეში სხვას არას წარმოადგენენ, თუ არა ათასგვარი მზაკვრობისა და მანქანების კრებულთ.

რას იზამ! კანონები ადამიანისაგან იღებენ დასაბამს. უბადრუკი დასაბამია, არა?! უმრავლესობა შემთხვევითობის პირშოა, შვილო. მონარქის უმეცრება, ცრუმრწმენობა და მზავობა, კანონმდებლის ანგარება, ფანტაზია და ჟინი, - აი, წყარონი სამართლის ამ სქელტანიანი კოდექსებისა, რომლებიც მით მეტი სიდიადით იმოსებიან, რაც უფრო ბნელნი ხდებიან და მიუწვდომელნი. წყვიდადს, რომელიც მათ მოსავს და რომელსაც უფრო ამრუმებენ კომენტატორნი, ანტიკური ორაკულების სიმაღლეზე აჰყავს ისინი. ყოველი ფეხის ნაბიჯზე მესმის და ყოველდღე ვკითხულობ გაზეთებში, რომ დღეს კანონებს მხოლოდ შემთხვევა და გარემოება გვკარნახობს. მაგრამ ამას ამბობენ ბეცნი, რომელნიც ვერ ხედავენ, რომ დღევანდელია წარსულს იმეორებს, რადგანაც კანონს შემთხვევითობა შობდა ოდითგან. უჩივიან აგრეთვე ბუნდოვანებასა და შეუსაბამობას, რასაც წამდაუწუმ აწყდებიან ახლანდელი კანონმდებელნი. რა იციან ნახევრად ბრძებმა, რომ მათ წინამორბედთაც წყვიდადში უხდებოდათ ხელის ფათური.

ისე კი, ტურნებრომ, შვილო ჩემო, კანონები კეთილნი ან უკეთურნი არიან. არა თავისთავად, არამედ იმის მიხედვით, თუ როგორ იყენებენ მათ, ამიტომ კანონის სიმრუდე არ იქცევა ბოროტის წყაროდ, თუ მსაჯული მთელი სიმკაცრით არ ამოქმედებს მას. ჩვეულება მარტო რჯულზე კი არა, კანონზედაც უმტკიცესია. ზნესრულობა და სულის სიწმიდე - აი, ერთადერთი საშუალება, რითაც შეიძლება გონივრულად ებრძოლო კანონთა ბარბაროსობას. რადგან ვინც კანონის გასწორებას კანონითვე ცდილობს, გრძელსა და მცდარ გზას ირჩევს. მხოლოდ საუკუნენი შემუსრავენ იმას, რასაც ქმნიან საუკუნენი. და ჩვენ ნაკლები იმედი უნდა გვქონდეს იმისა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ფრანგი ნუმა პომპილიუსი[101] კომპიენის ტყეში თუ ფონტენბლოს ქარაფებს შორის შეეყრება მუზა ეგერიას, რომელიც ბრძნულ კანონებს უკარნახებს მას.

მან ნათელი მზერა მოავლო ჰორიზონტზე ჩამწკრივებულ ქლიავისფერ ბორცვებს. მწუხარე ჩანდა და ჩაფიქრებული; მერე ალერსით დამადო მხარზე თავისი მშვენიერი, მსუქანი ხელი და ისეთი გულშიჩამწვდომი ხმით მომმართა, რომ კინაღამ ცრემლი მომადგა თვალზე, სულის სიღრმემდე შეძრულს: - ტურნებრომ, შვილო ჩემო, ხომ ხედავ, როგორ მაკრთობს და მახნევს, კრიჭას მიკრავს და გონებას მირევს, მხოლოდ იმის გაფიქრებაც კი, როგორ შეიძლება იმისი გასწორება, რაც ასეთ ზიზღს იწვევს ჩემში. ნუ გგონია, სულის სიმხდალე იყოს ამის მიზეზი: არაფერს ძალუმს შეადრწუნოს შემართება ჩემი გონების. მაგრამ ყური მიგდე, რას გეტყვი, შვილო.

გონებით გაცხადებული ჭეშმარიტებანი ბერწნი არიან და უნაყოფონი. მხოლოდ გული ანაყოფიერებს ზმანებებს. ის სიცოცხლით ავსებს ყველაფერს, რასაც სიყვარულით ემსჭვალვის. მხოლოდ გრძნობა თესს სიკეთის თესლს დედამიწაზე. გონებას არ ძალუძს თესვა. და მე ვაღიარებ, რომ კანონებსა და ზნე-ჩვეულებებს აქამდე გონებით ვაკრიტიკებდი მხოლოდ. ამიტომ ჩემი კრიტიკა ნაყოფს ვერ გამოიღებს და უდროოდ ჩაჭკნება, როგორც ახლად აყვავებული ხე - აპრილის ჭირხლით. თუ კაცთა სამსახური გსურს, გვერდზე უნდა მიაგდო გონება, როგორც ზედმეტი ბარგი და შთაგონების მძლავრი ფრთებით აფრინდე მალა. გონებით კი ვერასოდეს ვერ აფრინდები.

[1] Sagiensis episcopi bibliothecarius solertissimus - სეუზის ეპისკოპოსის უმარჯვესი ბიბლიოთეკარი (ლათ.).

[2] Judaea manu nefandissima - იუდეველის უბილწესი ხელით (ლათ.).

[3] ტურნებროში - ფრანგ. Tournebroche - ნიშნავს „აბრუნე შამფური“.

[4] სოკრატე (469-399 ძვ. წ. ა.) - დიდი ბერძენი ფილოსოფოსი.

[5] ქსენოფონტე (434-359 ძვ. წ. ა.) - ბერძენი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი, სოკრატეს მოწაფე, ავტორი „მოგონებებისა სოკრატეზე“.

[6] ერაზმუს როტერდამელი (1467-1536) - დიდი ჰოლანდიელი ჰუმანისტი, ავტორი საქვეყნოდ ცნობილი წიგნისა „ქება სისულელისა“.

[7] ჰანს ჰოლბეინი, უმცროსი (1497-1543) - გერმანელი მხატვარი.

[8] ბოსიუე (1627-1704) - ცნობილი ფრანგი თეოლოგი.

[9] ტრაპის მონაზონთა ორდენი 1140 წელს დააარსა გრაფმა დე როტრუმ საფრანგეთის პროვინცია პერშში.

[10] აქ ჩამოთვლილი ორდენები და მედლები სხვადასხვა პოლიტიკურ რეჟიმს განასახიერებენ სიმბოლურად. შრომანის ჯვრის ორდენი 1814 წელს იქნა შემოღებული ნაპოლეონის დამხობისა და ბურბონთა მონარქიის რესტავრაციის შემდეგ. წმ. ელენეს მედალი 1857 წელს დააწესა ნაპოლეონ III, ნაპოლეონ I-ის ცოცხლად დარჩენილ ვეტერანთა დასაჯილდოებლად, ხოლო ივლისის ორდენი ლუი-ფილიპეს ივლისის ბურჟუაზიული მონარქიის ორდენია.

[11] ეპიკურე (342-270 ძვ. წ. ა.) - ბერძენი ფილოსოფოსი, ანტიკურობის ერთ-ერთი უდიდესი მორალისტი.

[12] ფრანჩესკო ასიზელი (1182-1226) - იტალიელი წმიდანი, ფრანცისკანელთა ორდენის დამაარსებელი.

[13] ფრენსის ბეკონი (1561-1626) - ინგლისელი ფილოსოფოსი.

[14] რენე დეკარტი (1596-1650) - დიდი ფრანგი ფილოსოფოსი.

[15] 306 ძვ. წ. ა. ეპიკურე გადასახლდა ათენში, სადაც პატარა ბალი შეიძინა. აქ, ბაღში ასწავლიდა და წვრთნიდა იგი თავის მრავალრიცხოვან მოწაფეებს.

[16] თეზაიდა - ჩრდ. ეგვიპტის ძველი სახელწოდება. თეზაიდა განთქმულია თავისი უდაბნოებით, სადაც ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ათასობით გარბოდნენ ქრისტესმოსავნი რათა, სოფლისგან განდგომილნი, მარხულობას, თვითგვემასა და ხორცის მოკვდინებას მისცემოდნენ.

[17] კინიკოსები (ცინიკოსები) - ერთ-ერთი ბერძნული ფილოსოფიური სექტის წევრნი (დამაარსებელი ანტისტენე, სოკრატეს მოწაფე).

[18] პორციუნკულა - ადგილი ასიზის მახლობლად, ფრანჩესკო ასიზელის მიერ დაარსებულ მკოდოვან ბერ-მონაზონთა ორდენის პირველი სავანე.

[19] იგულისხმება ქრისტე.

[20] „ემილი, ანუ აღზრდისათვის“ - ფრანგი ფილოსოფოსის ჟან-ჟაკ რუსოს (1712-1778) რომანი (1762).

[21] მადამ ვარანსი - რუსოს სიყრმისდროინდელი მეგობარი და მფარველი. მის მამულში არა ერთი და ორი წელი გაუტარებია რუსოს.

[22] „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ - რუსოს პოლიტიკური ტრაქტატი, რომლის პრინციპებსაც ეყრდნობოდნენ იაკობინელები მათი კონსტიტუციის შედგენისას.

[23] რობესპიერი (1758-1794) - საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ერთ-ერთი ბელადი.

[24] მარატი (1743-1793) - საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის გამოჩენილი მოღვაწე.

[25] „ადამიანის უფლებათა დეკლარაცია“ - საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ერთ-ერთი საპროგრამო დოკუმენტი (1789).

[26] მუდამ უდეტო, მარშალი ლუქსემბურგელი - რუსოს არისტოკრატი მეგობრები („აღსარება“).

[27] არლეკინები და ჟილები - ხალხური კომედიის პერსონაჟები.

[28] „ათალია“ - ფრანგი დრამატურგის, ჟან რასინის (1639-1699) უკანასკნელი ნაწარმოები.

[29] იგულისხმება გიომ დიუბუა (1656-1723) - კარდინალი, კამბრეს არქიეპისკოპოსი, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი.

[30] მარკოზი სებასტიან ლე პრეტრ დე ვოზანი (1633-1707) - ფრანგი ინჟინერი, მხედართმთავარი და ეკონომისტი.

[31] ძველმა ფინიკიელებმა (I-II ათასწლეული ჩვენს ერამდე) კოლონიები დააარსეს კიპროსზე, სიცილიაზე, საფრანგეთისა და იტალიის სამხრეთ და აფრიკის ჩრდილო სანაპიროებზე. კადმოსი, თებეს ლეგენდარული დამაარსებელი, გადმოცემით, ფინიკიელი იყო.

[32] ე.ი. ეკლესიას.

[33] სენეკას (54 ძვ. წ. ა.) სატირული ნაწარმოები „აპოკოლოკინტოსი“ რომის იმპერატორს კლაუდიუსს ამასხრებს. „მენიპეს სატირა“ (ავტორები: პ. პიტუ, ჟილ დურანი, ჟან პასრა, ფლორან კრეტიენი და სხვ.) - 1594 წელს გამოიცა, რელიგიური ომების დროს. მიმართულია კათოლიკური ლიგისა და მისი ბელადის, ჰერცოგ გიზის წინააღმდეგ.

[34] ჟაკ-ოგიუსტ დე ტუ (1553-1617) - ფრანგი ისტორიკოსი, ავტორი ლათინურ ენაზე დაწერილი მრავალტომიანი შრომისა „ჩემი დროის ისტორია“.

[35] იგულისხმება დიონისიოსი, უფროსი (430-368 ძვ. წ. ა.) - სირაკუზელი ტირანი, ჭეშმარიტი სიმბოლო სისხლისმსმელი დესპოტისა.

[36] ანდრე-ერკიულ დე ფლერი (1653-1743) - კარდინალი და სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ლუი XV 1626 წელს პრემიერ-მინისტრად დანიშნა.

[37] იანსენისტები - იანსენიზმის აღმსაარებელი. ეს მოძღვრება, რომლის შემქმნელია ჰოლანდიელი თეოლოგი კორნელიუს იანსენი (1585-1638) და რომელიც მიზნად ისახავდა ეკლესიის მსახურთა მიერ შერყვნილი ქრისტიანული სარწმუნოების განწმენდასა და განმტკიცებას, ოფიციალურად იღვევებოდა კათოლიკური ეკლესიის მიერ.

[38] პიერ შარონი (1541-1603) - ფრანგი მწერალი და მორალისტი. მისი მთავარი თხზულებაა „ტრაქტატი სიბრძნისათვის“, რომელიც ბორდოში გამოიცა 1601 წ.

[39] Benedicite - აკურთხეთ (ლათ.). პირველი სიტყვა ლოცვისა, რომელსაც კათოლიკენი საზრდოს მიღების წინ ამბობენ.

[40] ელიუს ლამპრიდიუსი (IV ს. ჩვ. წ. ა.) - რომელიც ისტორიკოსი, იმპერატორთა ბიოგრაფი.

[41] ალექსანდრე სევერუსი - რომის იმპერატორი (222-235).

[42] Pulcher hymnus Dei homo immortalis - უფლის უკეთესი საგალობელი - უკვდავი კაცი (ლათ.).

[43] ლუციუს ლაქტანციუსი (250-330) - ცნობილი ქრისტიანი მწერალი.

[44] Et tribuit eis petitionem eorum - და მიაგო მათ თხოვნისამებრ მათისა (ლათ.).

[45] დიდი ფრანგი ფიზიკოსი, მათემატიკოსი და ფილოსოფოსი ბლეზ პასკალი (1623-1662) იანსენისტი იყო.

[46] quarum insigne virginitas est et virginitatis praemium divinatio - რომელთა განთქმულია სიქალწულე და ჯილდო სიქალწულისა - მისნობის ნიჭი (ლათ.).

[47] კორნელი - „ცინა“.

[48] გი დიუ ფურ დე პიბრაკი (1529-1586) - ფრანგი დიპლომატი და პოეტი.

[49] დუკესა ანა-ჟენევიევა ლონგევილელი (1619-1679) - მომხიბლავი და გარყვნილი ბანოვანი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ფრონდისტულ მოძრაობაში (1648-1653). მისი თაოსნობით იხლართებოდა მაზარინის წინააღმდეგ მიმართული ყველა ინტრიგა.

[50] მაქსიმილიან დე სიული (1560-1641) - ანრი IV მინისტრი.

[51] კოლენი და ჟანო - ფრანგ მდაბიოთა ფართოდ გავრცელებული სახელები.

[52] შუა საუკუნეებში ქალაქის მრჩევლებს თვით მოქალაქენი ირჩევდნენ, წოდებათა მიხედვით. 1617 წლიდან მოვიდებული, ორი წლის ვადით არჩეული ოთხი მრჩევიდან ორს ხელახლა ირჩევდნენ ყოველ წელს. ლუი XIV ეს მრჩევლები სახელმწიფო მოხელეებად აქცია, რომლებიც თავიანთ თანამდებობას მონარქისგან ყიდულობდნენ და მემკვიდრეობით გადასცემდნენ მას.

[53] სათაური ფრანგი მწერლის - ონორე დეიუფრეს (1568-1625) პასტორალური რომანისა.

[54] ფრანგი მწერალი ქალის - მადლენ დე სკიუდის (1607-1701) რომანი.

[55] ანგერან დე მონსტრელე (1390-1453) - ფრანგი მემატიაწე. მისი საინტერესო „ქრონიკების“ 2 ტომი XV ს. დამლევს გამოიცა, ავტორის სიკვდილის შემდეგ.

[56] პიერ გასენდი (1592-1655) - ფრანგი ფილოსოფოსი-მატერიალისტი.

[57] ბერნარ დე ფონტენელი (1657-1757) - ფრანგი სწავლული და მწერალი.

[58] სებასტიან ლეკლერკი (1637-1714) - ფრანგი სწავლული და მწერალი.

[59] ლუი მონდორი (1578-1651) - ფრანგი კომიკოსი.

[60] ტულიპი - ფრანგული ხალხური სიმღერების გმირი, დამთხვეული, შლეგი სალდათი.

[61] ბრენ დეამური - მუსუსი ჯარისკაცი.

[62] ნიკოლო მაკიაველი (1469-1527) - იტალიელი მწერალი, ავტორი საქვეყნოდ ცნობილი პოლიტიკური ტრაქტატისა „მთავარი“.

[63] ევანდრე - ძველ რომაელთა ლეგენდარული წინაპარი, მათი ცივილიზატორი.

[64] ფილემონი და ბავკიდა - მითოლ. უპოვარი ცოლ-ქმარი, ფრიგიის მკვიდრნი, რომელთაც კეთილი მასპინძლობა გაუწიეს ღვთაებრივ სტუმრებს იუპიტერსა და მერკურს.

[65] ფრანსუა-მიშელ დე ლუვუა (1639-1691) - ლუი XIV სამხედრო მინისტრი.

[66] ქალაქი (ლათ.).

[67] პროკოპის ყავახანა - ასე ეწოდებოდა პარიზის ყველაზე ცნობილ კაფეს მისი პატრონის - სესილიან-ფრანსუა პროკოპის სახელის მიხედვით. ამ კაფეში იკრიბებოდნენ ფრანგი მწერლები, სწავლულნი და ხელოვანნი, მათ შორის - ვოლტერი, პირონი, ჟან-ბატისტ რუსო, მარმონტელი, სენტ-ფუა, დიუკლო, დორა და სხვ.

[68] შარლ პინო დიუკლო (1704-1772) - ფრანგი მწერალი, ისტორიკოსი და მორალისტი, 1747 წლიდან საფრანგეთის აკადემიის წევრი.

[69] ანრი-ქსავიე დე ბელზანსი (1671-1755) - მარსელის ეპისკოპოსი, რომელმაც ჭეშმარიტად გმირული თავდადება გამოიჩინა 1720-1721 წწ. მარსელში შავი ჭირის ეპიდემიის დროს.

[70] ანტუან გოდო (1605-1672) - გრასისა და ვანსის ეპისკოპოსი, უნიჭო მწერალი, რომლის ნაწარმოებები, როგორც ერთი ფრანგული ენციკლოპედია აღნიშნავს, ყველაზე სრულსა და ყველაზე სამართლიან დავიწყებას მიეცნენ მალე, თუმცა თანამედროვეთა შორის ისეთი პოპულარობით სარგებლობდა, რომ, როცა ვინმეს შეეკება სურდათ, ამბობდნენ: „გოდოსავით წერსო“. გოდო 1634 წელს, აკადემიის დაარსებისთანავე აირჩიეს აკადემიის წევრად.

[71] ვალენტინ კონრარი (1603-1675) - გოდოს ნათესავი, მასავით ხელმოცარული მწერალი და მასავით საფრანგეთის აკადემიის წევრი 1634 წლიდან.

[72] *Erigens de stercore pauperem, ut coollocet eum cum principibus. cum principibus populi sui* - და აღმოიყვანს გლახაკს სკორედან, რათა დაადგინოს იგი მთავართა თანა, მთავართა თანა ხალხისა თვისისა (ლათ.).

[73] აკადემია რიშელიემ დააარსა 1634 წელს.

[74] ჯემს სკოტ მონმუთი (1649-1685) - ინგლისის მეფის, შარლ II ვაჟი. მამის სიკვდილისა და ტახტზე ბიძამისის, იაკობ II ასვლის შემდეგ (1685) შეთქმულება მოაწყო ამ უკანასკნელის წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა და სიკვდილით იქნა დასჯილი.

[75] იულიუს ცეზარი სკალიგერი (1484-1558) - ცნობილი იტალიელი ფილოლოგი და ექიმი.

[76] იგულისხმება დიდი ინგლისელი პოეტის ჯონ მილტონის (1608-1674) პოემა „დაკარგული სამოთხე“.

[77] ანაქსაგორა (500-428 ძვ. წ. ა.) - დიდი ბერძენი ფილოსოფოსი, რომელსაც ათენელებმა სიკვდილი მიუსაჯეს იმისთვის, რომ ცდილობდა ბუნებრივი მიზეზებით აეხსნა ისეთი მოვლენები, როგორცაა მთვარისა და მზის დაბნელება, მიწისძვრა და სხვ. პერიკლეს წყალობით, სასიკვდილო განაჩენი განდევნით შეუცვალეს შემდეგ.

[78] ბარატარია - „დონ კიხოტში“ - სანჩო პანსას საგუბერნატორო ფსევდო-კუნძული.

[79] იგულისხმება ე.წ. კატილინარიები - ციცერონის ცნობილი ინვექტივები ლუციუს სერგიუს კატილინას (108-62 ძვ. წ. ა.), რომელი ავანტურისტისა და მემამოხის წინააღმდეგ.

[80] აიაქსი - „ილიადის“ გმირი.

[81] ისტორიის მუზა.

[82] ფრანჩესკო გვიჩარდინი (1482-1540) - იტალიელი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, ავტორი სახელგანთქმული „იტალიის ისტორიისა“.

[83] ფრანსუა დე მეზერე (1610-1683) - ფრანგი ისტორიკოსი.

[84] კლოდ ვილარე (1716-1766) - ფრანგი ისტორიკოსი.

[85] პოლ-ფრანსუა ველი (1709-1759) - ფრანგი ისტორიკოსი.

[86] კასიოდორე (468-557) - რომაელი ისტორიკოსი.

[87] სარა და ტობია - ბიბლიური ცოლ-ქმარი, სიმბოლონი უმწიკველობისა.

[88] კალვინისტი - დიდი ფრანგი რეფორმისტის, ჟან კალვინის (1509-1564) პროტესტანტული მოძღვრების - კალვინიზმის მიმდევარი.

[89] იკონოკლასტი - (ბერძნ. ეკონ - ხატი, კლას - ვამსხვრევ) ხატომბრძოლი ჰერეტიკოსი. იკონოკლასტური მოძრაობა VIII ს. პირველ ნახევარში ჩაისახა ბიზანტიაში და რეფორმაციის ეპოქამდე უწია, ოღონდ, რა თქმა უნდა, შეცვლილი სახით.

[90] ჯულიო რომანო (1492-1546) - იტალიელი მხატვარი, რაფაელის მოწაფე.

[91] პრიტანეონი - ძველ ათენში ე.წ. ორმოცდაათთა საბჭოს რეზიდენცია, სადაც საბჭოს წევრნი ქალაქის საქმეებზე ბჭობდნენ და სადაც უცხოელ ელჩებს იღებდნენ. საპატიო მოქალაქენი სახელმწიფოს ხარჯზე სადილობდნენ პრიტანეონში.

[92] ლათ. მორი - კვდომას ნიშნავს, ფრანგ. მორტ - სიკვდილს.

[93] იგულისხმება ეპიზოდი რომაელი მწერლის ტიტუს პეტრონიუსის (I ს. ჩვ. წ. ა.) რომანისა „სატირიკონი“.

[94] დომიციუს ულპიანუსი (II-III ს.) - ცნობილი რომაელი იურისტი.

[95] პიერ მენარდი (1606-1701) - ფრანგი ლიტერატორი და ადვოკატი.

[96] წმ. სებასტიანი (III ს.) - იმპერატორ დიოკლეტიანეს პრეტორიანელთა მეთაური და მისი ფავორიტი, მაგრამ მისგანვე წამებული (288 წ.). ქრისტიანობის აღმსარებლობისთვის.

[97] ბაგაუდები - გალიელი მიწის მუშაკნი, რომელნიც ორჯის აუჯანყდნენ რომაელ დამპყრობთ.

[98] Veni, Creator - მოვედ, შემოქმედო (ლათ.).

[99] მიშელ დე ლოპიტალი (1507-1573) - პოეტი და იურისტი, საფრანგეთის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, ითვლებოდა მოუსყიდველ და კაცთმოწყალე მსაჯულად.

[100] ლორდი ჯორჯ ჯეფერსი (1640-1689) - ინგლისის კანცლერი სტიუარტების დინასტიის რესტავრაციის დროს, ცნობილი თავისი ზნედაცემულობით.

[101] ნუმა პომპილიუსი (VIII-VII ს. ძვ. წ. ა.) - ძველი რომის მეორე მეფე, დიდი კანონმდებელი. გადმოცემით, კანონები მუზა ეგერიამ უკარნახა მას.